

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
სამართლის სადოქტორო პროგრამა



თეო კვირიკაშვილის

სადისერტაციო ნაშრომი თემაზე

სახელმწიფოსა და საარბიტრაჟო ტრიბუნალების როლი
საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებისას

სამართლის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი
ასოცირებული პროფესორი: გიორგი ცერცვაძე

თბილისი

2021

აბსტრაქტი:

ეკონომიკა ქვეყნის მამოძრავებელი ძალაა, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების შემოდინება. აღნიშნულისთვის კი უნდა არსებობდეს სათანადო სამართლებრივი გარანტიები, რომელთა გამოხატულებაა საინვესტიციო ხელშეკრულებები. აღნიშნული უმრავლეს შემთხვევაში შეიცავს არასრულყოფილად მოწესრიგებულ ნორმებს, მათ შორის საქართველოსი. უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის საერთაშორისო პრაქტიკაში ხშირად წარმოიშობა დავა, რომლის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტურ მექანიზმს საერთაშორისო არბიტრაჟი წარმოადგენს. თუმცა, პრობლემა წარმოიშობა საინვესტიციო სტანდარტების ბუნდოვნად რეგულირებისას, რომლის განმარტებაც ტრიბუნალის ხელთ რჩება. ამგვარ შემთხვევაში სახელმწიფო აღმოჩნდება ნორმის გაუთვალისწინებელ ინტერპრეტაციასთან, რომლის შედეგიც არბიტრთა მიერ გამოყენებულ განმარტების მეთოდებზეა დამოკიდებული. ეს კი აისახება საბოლოო შედეგზე, როგორც სამართლებრივი, ისე ფინანსური თვალსაზრისით.

აღნიშნულ შემთხვევაში ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები, რათა ტრიბუნალი ზედმეტად არ შეიჭრას სახელმწიფოს კომპეტენციაში და ამასთან სათანადოდ დაიცვას უცხოელი ინვესტორის ინტერესები. ეს უკანასკნელი პირველად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სიღრმისეულად გაანალიზებულია და გამოვლენილია განმარტებითი მეთოდების განსაკუთრებული მნიშვნელობა ნორმის განმარტებისას შედეგობრივი თვალსაზრისით.

საქართველოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების შემოდინება, თუმცა საინვესტიციო ხელშეკრულებებით საინვესტიციო რეჟიმი არ არის სათანადოდ მოწესრიგებული. შესაბამისად, უცხოელ ინვესტორსა და საქართველოს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, საქართველო შესაძლოა დაზარალდეს, რადგან ნორმები ფართო შინაარსით ან ბუნდოვნად არის გათვალისწინებული და ტრიბუნალმა შესაძლოა ისე განმარტოს ნორმა, რომ

სახელმწიფოსთვის არასასურველი შედეგი დადგეს. შესაბამისად, აუცილებელია განმარტებითი სტანდარტების არსებობა, რაც დააბალანსებდა, როგორც ტრიბუნალის, ისე სახელმწიფოს ჩართულობას ნორმის განმარტებისას. ამის გათვალისწინებით ნაშრომში გაანალიზებულია ნორმის განმარტებასთან დაკავშირებული მიდგომები და შემოთავაზებულია ყველაზე ხელსაყრელი მეთოდების გათვალისწინება ინტერპრეტაციისას. ნაშრომში განხილულია საქართველოს მიერ გაფორმებულ საინვესტიციო ხელშეკრულებებში მოცემული არასრულყოფილად მოწესრიგებული ნორმები და შემოთავაზებულია პრაქტიკული მიდგომები ნორმის განსამარტად. აღნიშნული განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, რომელიც მისწრაფვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისკენ. ამასთან, დროის მსვლელობასთან ერთად იზრდება იმის პოტენციური შანსი, რომ საქართველოს მონაწილეობით დავათა ოდენობა გაიზარდოს, რადგან უცხოური ინვესტიციები საქართველოში ინტენსიურად შემოედინება. შესაბამისად, ნორმის განმარტების სათანადოობა იმ მიზანს ემსახურება, რომ დაცული იყოს სახელმწიფოსა და უცხოელი ინვესტორის ინტერესები და დაბალანსებული იყოს ტრიბუნალის და სახელმწიფოს მონაწილეობა ინტერპრეტაციისას.

ნაშრომში თავდაპირველად აღწერილია საინვესტიციო სტანდარტების განმარტებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო პერსპექტივით. განხილულია საინვესტიციო დავის სპეციფიკა, როგორც ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის, ისევე უშუალოდ სახელმწიფოებს შორის და მათი როლი ნორმის განმარტების პროცესში. შემდეგ განხილულია ძირითადი საინვესტიციო სტანდარტების განმარტებითი მიდგომები საერთაშორისო მოწინავე პრაქტიკის საფუძველზე. შემდგომ გაანალიზებულია განმარტებითი მეთოდები და აღნიშნულ პროცესში სახელმწიფოსა და ტრიბუნალების ჩარევის ფარგლები. ასევე, განხილულია საერთაშორისო საჯარო სამართლის, ადამიანის უფლებების და საინვესტიციო საარბიტრაჟო დავის სხვა მახასიათებლების (კონფიდენციალურობა, პრეცედენტულობა) როლი ნორმის განმარტებისას. ბოლოს კი, გამოვლენილია ყველაზე ხელსაყრელი განმარტებითი მიდგომები ნორმის განმარტებისას სახელმწიფოსა და ტრიბუნალის დაბალანსებული ჩარევის ფარგლების არსებობის მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიცია გახდა ძალიან მნიშვნელოვანი როგორც განვითარებადი, ისევე განვითარებული ქვეყნებისთვის, აღნიშნულის მარეგულირებელი ნორმები და მისი განმარტების პრინციპები საერთაშორისო დავისას დიდ მნიშვნელობას იძენს. საქართველოსთვის, როგორც ინვესტიციისთვის მიმზიდველი სახელმწიფოსთვის, განსაკუთრებით საყურადღებოა საინვესტიციო ხელშეკრულებების მოწესრიგება და მისი განმარტების თანმდევი შედეგები. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს მიერ გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებების ჭრილში. საქართველოს მიერ გაფორმებულია დღესდღეობით ორმოცამდე ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, რომელთა უმეტესი ნაწილის მოწესრიგება, საკმაოდ ბუნდოვანია და რომელთაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ სახელმწიფოს სტრატეგიულ და სამართლებრივ ინტერესებზე. ამასთან, თემის პრობლემატიკა დაკავშირებულია არა მხოლოდ საქართველოში არსებულ გამოწვევებთან, არამედ საერთაშორისო დონეზე არსებული პრობლემაა. იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების მეორე მხარეა უცხოელი ინვესტორი და დავა საერთაშორისო, შესაბამისად განსახილველი თემა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მასშტაბურობის თვალსაზრისით. საინვესტიციო ურთიერთობების განვითარება დამოკიდებულია უცხო ქვეყნებთან ურთიერთობებზე და აქედან გამომდინარე უცხოელი ინვესტორებისთვის მიმღები ქვეყანა უნდა ქმნიდეს ხელსაყრელ გარემოს, რაც მიიღწევა სათანადო სამართლებრივი ნორმების არსებობით და დავის გადაწყვეტისას განჭვრეტადი და პროგნიზირებადი განმარტებითი მეთოდებისა და მიდგომების საშუალებით. ეს კი თავის მხრივ, სახელმწიფოსთვის საბოლოოდ გავლენას ახდენს საერთაშორისო დონეზე, როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით.

Summary:

The economy is the driving force of the country and one of the manifestations of this is the inflow of foreign investment. For this there should be appropriate legal guarantees, which are reflected in the investment agreements. In most cases, they contain imperfectly regulated provisions, including Georgia. In international practice often arises a dispute between a foreign investor and a host state for which resolution the most effective mechanism is international arbitration. However, the problem arises from the vague regulation of investment standards of which interpretation remains in the hands of the tribunal. Many investment agreements, including signed by Georgia, contain a broad set of investment principles. In such a case the state remains with the result of the unforeseen interpretation of the provision of which consequences depend on the methods of interpretation applied by the arbitrators. This will affect the final result, both legally and financially.

In the mentioned case the greatest difficulty is the scope of the discretionary power, so that the tribunal does not interfere too much in the competence of the state and at the same time adequately protect the interests of foreign investors. The latter has been analyzed in depth for the first time in the Georgian scientific literature and the special importance of interpretative methods in terms of final consequences.

One of the main priorities of Georgia is the inflow of foreign investments, however, the investment regime is not properly regulated by investment agreements. Therefore, in the event of a dispute between a foreign investor and Georgia, Georgia may be inflicted as the provisions are broad in scope and vague and the tribunal may interpret the provision so that it would have an undesirable outcome for the state. Therefore, it is necessary to have interpretative standards that would balance the involvement of both the tribunal and the state in interpreting the provision. Considering this, the work analyzes the approaches to provision interpretation and proposes to consider the most favorable approaches while interpreting.

The work discusses the imperfectly regulated provisions given in the investment agreements concluded by Georgia and proposes practical approaches to interpret the provision. This is

especially important for a developing country like Georgia is, which aspires to implement international standards. Herewith, over time, there is a potential chance that the amount of disputes with the participation of Georgia will increase, as foreign investment flows intensively into Georgia. Accordingly, the appropriateness of the interpretation of the provision serves the purpose of protecting the interests of the state and the foreign investor, and balancing the participation of the investor and the state in the process of interpretation.

The work initially describes important agreements related to the interpretation of investment standards, both from a Georgian and international perspective. There are discussed the specifics of the investment dispute, both between the investor and the state, as well as directly between the states, and their role in the interpreting of provision. Then there are discussed the role of international public law, human rights and other features of investment arbitration dispute (confidentiality, precedent) in interpreting the provision. Finally, the most favorable interpretative approaches are identified in the interpretation of provision within the scope of balanced intervention by the state and the tribunal.

Considering that foreign direct investment has become very important for both developing and developed countries, the regulatory provisions and principles of its interpretation are of great importance in international disputes. For Georgia, which is attractive for an investment, the regulation of investment agreements and the consequences of its interpretation are particularly important. This is especially noteworthy in the context of investment agreements signed by Georgia. The state has currently about forty investment agreements, most of which, are rather vague and which may have a negative impact on the strategic and legal interests of the state. Herewith, the problematics of the research are related not only to the challenges in Georgia, but also to the problems at the international level. Considering that the other party to the agreement is a foreign investor and the dispute is international, the topic becomes even more important in terms of immensity. In addition, the development of investment relations depends on relations with foreign countries, and therefore the host country should create a favorable environment for foreign investors, which is achieved through the existence of appropriate legal provisions and predictable interpretative methods and approaches to dispute

resolution. This in turn ultimately affects the state on the international level, as legally and economically, as well as politically.

სარჩევი

აბრევიატურა.....	x
I. შესავალი.....	1
II. ინვესტიციების მარეგულირებელი და მის განმარტებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და საინვესტიციო კონტრაქტები	12
1. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA).....	15
2. ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ (VCLT)	19
2.1. ვენის კონვენციის 31-ე მუხლი.....	20
2.2. ვენის კონვენციის 32-ე მუხლი.....	26
2.3. ვენის კონვენციის 33-ე მუხლი.....	28
3. ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (NAFTA)....	29
4. ვაშინგტონის საინვესტიციო დავების საერთაშორისო ცენტრის კონვენცია (ICSID)	32
5. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები	42
6. საინვესტიციო კონტრაქტები.....	50
7. საინვესტიციო ხელშეკრულება v. საინვესტიციო კონტრაქტი	54
III. საინვესტიციო საარბიტრაჟო დავის მხარეები.....	60
1. საინვესტიციო საარბიტრაჟო დავა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის	63
2. საინვესტიციო საარბიტრაჟო დავა სახელმწიფოებს შორის.....	68
IV. საინვესტიციო სამართლის სტანდარტები, როგორც საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებისას გამოსაყენებელი პრინციპები	77
1. კეთილსინდისიერების პრინციპი	78
2. სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის პრინციპი	84
3. ლეგიტიმური მოლოდინი	95
4. უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი	99
5. ეროვნული მოპყრობის პრინციპი	109
6. ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი.....	117
7. მართლმსაჯულების განხორციელების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმა.....	126

8. ქოლგა კლაუზულა	140
9. ექსპროპრიაცია	152
V. სახელმწიფოს ჩარევის ჰიპოთეტური ფარგლები საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებისას	164
1. სახელმწიფო - საინვესტიციო ხელშეკრულების მხარე და მოპასუხე საარბიტრაჟო დავისას.....	167
2. სახელმწიფოს სუვერენიტეტის გავლენა საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილებაზე.....	169
3. საინვესტიციო საარბიტრაჟო დავის მხარეებს შორის კოოპერაციის ფარგლები	179
VI. საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებისას გამოსაყენებელი სამართლის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობა.....	186
1. საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპებთან შესაბამისობა	187
2. ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებთან შესაბამისობა.....	190
2.1. ადამიანის უფლებების ვიწრო ფარგლებით გამოყენება	191
2.2. ადამიანის უფლებების ფართო ფარგლებით გამოყენება	193
VII. საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტების ძირითადი მეთოდები	201
1. მოსამზადებელი სამუშაოები	203
2. პრეცედენტული სამართლის გავლენა საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებაზე	209
3. საარბიტრაჟო დავის არამონაწილე სახელმწიფოს გავლენა საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებაზე	218
4. საინვესტიციო სამართალში მოქმედი პირებისა და ორგანიზაციების გავლენა საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებაზე.....	221
5. განმარტება დროში	228
6. Amicus Curiae	233
7. საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეების ერთობლივი განმარტებები	241
8. სახელმწიფოების ცალმხრივი განხცხადებები	251
VIII. ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული საარბიტრაჟო დავის მახასიათებლები.....	253

1. ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული საარბიტრაჟო დავის რეჟიმი და მისი წვლილი სამართლის ნორმაში	254
1.1. კონფიდენციალურობის პრინციპის გავლენა საინვესტიციო საარბიტრაჟო დავისას.....	259
1.2. საარბიტრაჟო ტრიბუნალის როლი ნორმის განმარტებაში ფინანსური შედეგის თვალსაზრისით	262
2. ინსტიტუციონალური საარბიტრაჟო ორგანოს და <i>Ad hoc</i> არბიტრაჟის როლი საინვესტიციო სამართლებრივი ნორმის განმარტებისას	264
IX. საინვესტიციო დავის განმხილველი სააპელაციო მექანიზმის შექმნისა და მისი ფუნქციონირების გავლენა ნორმის განმარტების პროცესში	266
1. საინვესტიციო დავის განმხილველი სააპელაციო ორგანოს შექმნისა და მისი ფუნქციონირების დადებითი ასპექტები.....	268
2. საინვესტიციო დავის განმხილველი სააპელაციო ორგანოს შექმნისა და მისი ფუნქციონირების უარყოფითი ასპექტები.....	272
X. დასკვნა	276
ბიბლიოგრაფია.....	287

აბრევიატურა

ობ.	იხილეთ
ე.ი.	ესე იგი
Vol.	Volume (ტომი)
No.	Number (ნომერი)
Para.	Paragraph (პარაგრაფი)
NAFTA	North American Free Trade Agreement (ჩრდილოეთ ამერიკის შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ)
VCLT	Vienna Convention on Law of Treaties (ვენის კონვენცია ხელშეკრულებათა შესახებ)
DCFTA	Deep and Comprehensive Free Trade Area (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება)
ICSID	International Centre for Settlement of Investment Disputes (ვაშინგტონის საინვესტიციო დავების საერთაშორისო ცენტრი)
UNCITRAL	United Nations Commission on International Trade Law (გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია)
CETA	EU-Canada Comprehensive Economic and Trade Agreement (კანადისა და ევროკავშირის ყოვლისმომცველი ეკონომიკური და სავაჭრო შეთანხმება)

GATT	The General Agreement on Tariffs and Trade (გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ)
OECD	Organization for Economic Co-operation and Development (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია)
UNCTAD	United Nations Conference on Trade and Development (გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია)

I. შესავალი

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ინვესტიციებისა და მათი მარეგულირებელი ნორმების მნიშვნელობისა და რაოდენობის ზრდამ საერთაშორისო საინვესტიციო სამართლისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად გაზარდა. დღესდღეობით ინვესტირება კომპლექსურ მიდგომას ითხოვს, ხოლო მისი რეგულირება საერთაშორისო თუ ეროვნული მოწესრიგების ერთი კონკრეტული მიმართულების ფარგლებში სრულყოფილად ვერ თავსდება.¹ კომპლექსური საინვესტიციო ურთიერთობების რეგულირების ეფექტურ მექანიზმს კი წარმოადგენს საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როდესაც ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებულია საინვესტიციო ხელშეკრულება, რომელიც უშუალოდ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის აწესრიგებს საინვესტიციო ურთიერთობებს. თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით დადასტურებულია, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება განვითარებადი ქვეყნებისთვის წარმოადგენს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების² მოზიდვის გარანტს.³ თუმცა, მათი სრულყოფილად რეგულირება უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს საერთაშორისო საინვესტიციო სამართლისთვის. რთულია, მოიძებნოს ბალანსი ინვესტორის უფლებათა დაცვასა და სახელმწიფოს მარეგულირებელ

¹ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 9.

² პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არის ერთი სახელმწიფოს ინვესტორის მიერ განხორციელებული ინვესტიცია სხვა სახელმწიფოში კომპანიის მინიმუმ 10%-იანი წილის დაუფლებით ან ბენეფიციარ სახელმწიფოში ახალი მეწარმე-სუბიექტის დაფუძნებით. წყარო: *Ravi S.*, Does Corruption in a Country Affect the Foreign Direct Investment? A Study of Rising Economic Super Powers China and India, Open Journal of Social Sciences, Vol. 3, No. 7, Scientific Reaserch Publishing, Wuhan, 2015, 102.

³ *ვეკუა გ.*, საქართველოს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2016, 4, <https://gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/avtoreferatebi_2016/Soc-mecn_17.02.16/avtoreferati_g.vekua.pdf>, [22.02.2021].

ფუნქციას შორის. როგორც წესი, სახელმწიფო საჯარო ინტერესის არსებობისას ერევა ინვესტორის საქმიანობაში სათანადო რეგულირებების დაწესებით. მაგრამ, დიდ სირთულეს წარმოადგენს საინვესტიციო სამართლის მარეგულირებელი ნორმების გამჭვირვალობისა და განჭვრეტადობის ხარისხის ამაღლება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პროგნოზირებადი და არაბუნდოვანი ნორმების საშუალებით მაღლდება საინვესტიციო გარემოსადმი ნდობა, რაც ინვესტორებისთვის შესანიშნავ შესაძლებლობას წარმოადგენს სამომავლო პერსპექტივის ნათლად წარმოსაჩენად.⁴

დღესდღეობით სამი ათასამდე საინვესტიციო ხელშეკრულებაა დადებული.⁵ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საერთაშორისო ინვესტიციებთან მიმართული საკითხები სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე განვითარებად და ნოვაციურ სფეროს წარმოადგენს. ინვესტიციები მჭიდრო კავშირშია პოლიტიკურ გარემოებებთან. რაც უმთავრესია, საინვესტიციო ხელშეკრულებები მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს საერთაშორისო ინვესტიციების თვალსაზრისით. საინვესტიციო ხელშეკრულებები წინაპირობაა განვითარებადი ქვეყნებისთვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად. უდავოა, რომ საქართველოს ეკონომიკური და გეოპოლიტიკური გარემოებების გათვალისწინებით, საინვესტიციო ხელშეკრულებები პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს.

არსებული საერთაშორისო პრაქტიკა იმის საშუალებას წარმოადგენს, რომ უცხოელ ინვესტორსა და მიმღებ ქვეყნებს შორის არსებობდეს უფლება-მოვალეობების ბალანსი. აღნიშნულის გათვალისწინებით კი საქართველო შეძლებს უზრუნველყოს თავის სუვერენული უფლებები. თუმცა, ამჟამინდელი საინვესტიციო მოწესრიგებით ინვესტორისთვის მრავალი საერთაშორისო უფლებაა გარანტირებული და მისგან არ არის მოთხოვნილი შესაბამისი ვალდებულებები.⁶ უცხოელ ინვესტორსა და მიმღებ

⁴ *ჯერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 11.

⁵ იხ. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების შესახებ განახლებული ინფორმაცია <<https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements>>, [21.02.2021].

⁶ *ვეკუა გ.*, საქართველოს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2016, 4-6,

სახელმწიფოს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში კი, პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როდესაც მხარეთა შორის გამოსაყენებელი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები შეიცავენ ბუნდოვან და გაურკვეველ ნორმებს, რაც სამწუხაროდ საქართველოს ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში მრავლადაა.

მრავალი საინვესტიციო ხელშეკრულება შეიცავს ვრცელ სტანდარტებს და ბუნდოვან დათქმებს, რაც უტოვებს საარბიტრაჟო ტრიბუნალებს საინვესტიციო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავების სრული დისკრეციით გადაწყვეტის შესაძლებლობას. ეს დისკრეცია ნიშნავს, რომ საარბიტრაჟო განმარტებები იქნება არაპროგნოზირებადი, რადგან სხვადასხვა არბიტრთა შემადგენლობა შესაძლოა მივიდეს იდენტური ფაქტობრივი გარემოებებიდან განსხვავებულ დასკვნამდე. და როდესაც არბიტრები გამოიყენებენ თავიანთ დისკრეციას სახელმწიფო ვალდებულებების ფართოდ განმარტებისას, სახელმწიფოებმა შესაძლებელია ეს აღიქვან საინვესტიციო ხელშეკრულებების ინვესტორების მიერ იმგვარად გამოყენებად, რასაც მთავრობები არ ითვალისწინებდნენ. აგრეთვე, პრობლემატურია საკითხი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების პირობების ერთიანი გაგების არარსებობა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნაირგვარობაზე. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და საარბიტრაჟო ტრიბუნალებს შორის პასუხისმგებლობის სწორი გადანაწილება საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებისას, რადგან მთავრობები ხელმძღვანელობენ ხელშეკრულებების ინტერპრეტაციისას თავიანთი მოქალაქეების ინტერესების სასარგებლოდ, ხოლო არბიტრები იმ დელეგირებული უფლებამოსილების შესაბამისად, რომელიც გადაცემული აქვთ განსაზღვრული შემთხვევის არსებობისას.

საინვესტიციო არბიტრაჟში საერთაშორისო სამართლის პრინციპების გამოყენება, რომლებიც დღესდღეობით ერთხმად მხარდაჭერილია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოადგენდა განხილვის საგანს.⁷ საინვესტიციო

<https://gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/avtoreferatebi_2016/Soc-mecn_17.02.16/avtoreferati_g.vekua.pdf>, [22.02.2021].

⁷Zarra G., Parallel Proceedings in Investment Arbitration, G. Giappichelli Torino, Eleven International Publishing, Torino, 2017, 109.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული არბიტრაჟი უშუალოდ არის დაკავშირებული საერთაშორისო საინვესტიციო სამართალთან. უდავოა ის გარემოება, რომ დღესდღეობით საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი მოიცავს არა მხოლოდ კერძო სახელშეკრულებო ურთიერთობას უცხოელ ინვესტორსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის, არამედ ის ასევე დაფუძნებულია საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის ძირითად პრინციპებზე. აგრეთვე, ნაწილობრივ საერთაშორისო ჩვეულებით სამართალსა და სამართლის ზოგად პრინციპებს.⁸

ამგვარ შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალის დისკრეციას განეკუთვნება სწორი ბანალანსის მოძებნა ნორმის განსამარტად, რათა მაქსიმალურად თავიდან იქნეს აცილებული სახელმწიფოს კომპეტენციის „მითვისება“, რადგან ტრიბუნალი გარკვეულწილად გვევლინება ნორმის შემოქმედად, და ასევე დაცულ იქნას ინვესტორის უფლებები.

საინვესტიციო სახელშეკრულებო სფეროში სწორედ ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ძალაუფლების გადანაწილების საკითხი ხელშეკრულების მხარეთა შორის და საარბიტრაჟო ტრიბუნალებს შორის საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებისას. თეორიულად, ხელშეკრულების მხარეები წარმოადგენენ უმაღლეს ძალას სამართლის ნორმების შედგენისას. მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალებს გააჩნიათ უმაღლესი ძალაუფლება, როდესაც დავა მათ განხილვას ექვემდებარება. უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში აღნიშნული ორი გარემოება ერთმანეთისგან განუყოფელია. იმას თუ როგორ განმარტავენ მხარეები ხელშეკრულების ნორმას და რომელი სამართლის მიხედვით, აღნიშნული საკითხები გავლენას ახდენს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამართლის ჩამოყალიბებაში. აქედან გამომდინარე, საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეებსა და საინვესტიციო

⁸ *de Brabandere E.*, Investment Treaty Arbitration as Public International Law, Procedural Aspects and Implications, Cambridge University Press, Cambridge, 2014, 17.

ტრიბუნალს შორის არსებობს გარკვეული ბალანსი განმარტებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც არც ერთს არ გააჩნია ნებისმიერ გარემოებაში გადამწყვეტი ძალა.⁹

იმის გათვალისწინებით, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიცია გახდა ძალიან მნიშვნელოვანი როგორც განვითარებადი, ისევე განვითარებული ქვეყნებისთვის, შესაბამისად აღნიშნულის მარეგულირებელი ნორმები და მისი განმარტების პრინციპები საერთაშორისო დავისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გახდა ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმი ქვეყნის მიმზიდველობის განსასაზღვრად საერთაშორისო ბიზნესისთვის.¹⁰ გლობალიზაცია ქმნის ახალ შესაძლებლობებს კომპანიებისთვის უცხოეთში ინვესტიციის განსახორციელებლად და მრავალი ეკონომიკა დიდ ძალისხმევას ახორციელებს უცხოური ინვესტიციის მოსაზიდად ეკონომიკური ზრდის მიზნით. უცხოეთში ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.¹¹

საქართველოსთვის, როგორც ინვესტიციისთვის მიმზიდველი სახელმწიფოსთვის უდიდეს მნიშვნელობას იძენს საინვესტიციო ხელშეკრულებების მოწესრიგება და მისი განმარტების თანმდევი შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს საინვესტიციო კანონმდებლობის ჰარმონიზება წარმოადგენს, დღესდღეობით მაინც დიდ გამოწვევას წარმადგენს აღნიშნული სახელმწიფოსთვის. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს მიერ გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ჭრილში. საქართველოს მიერ გაფორმებულია დღესდღეობით ორმოცამდე

⁹ *Roberts A.*, The Power and Persuasion in Investment Treaty Interpretation: The Dual Role of States, *The American Journal of International Law*, Vol. 104, No. 2, Cambridge University Press, Cambridge, 2010, 179.

¹⁰ *Ravi S.*, Does Corruption in a Country Affect the Foreign Direct Investment? A Study of Rising Economic Super Powers China and India, *Open Journal of Social Sciences*, Vol. 3, No. 7, Scientific Reaserch Publishing, Wuhan, 3, 2015, 105.

¹¹ *Ravi S.*, Does Corruption in a Country Affect the Foreign Direct Investment? A Study of Rising Economic Super Powers China and India, *Open Journal of Social Sciences*, Vol. 3, No. 7, Scientific Reaserch Publishing, Wuhan, 3, 2015, 61.

საინვესტიციო ხელშეკრულება,¹² რომელთა უმეტესი ნაწილის მოწესრიგება, როგორც აღინიშნა, საკმაოდ ბუნდოვანია და რომელთაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ სახელმწიფოს სტრატეგიულ და სამართლებრივ ინტერესებზე.¹³

შესაბამისად, კვლევის საკითხებისადმი ინტერესი გამოიკვეთა საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობიდან გამომდინარე. კვლევის ამოცანას წარმოადგენს საინვესტიციო ხელშეკრულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების გამოვლენა, პრობლემატური საკითხების ანალიზი, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მათი განმარტების და საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეების სტრატეგიული ინტერესების შესაბამისი დასკვნის შემუშავება.

საკითხის სირთულიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ უნდა არსებობდეს ინტერპრეტაციის მეთოდები და ფორმები, რომლებიც შესაბამისად იქნება გამოყენებული, რათა არ არსებობდეს ნორმის არასწორად ინტერპრეტაციის საკმაოდ დიდი რისკი. აგრეთვე, საარბიტრაჟო ტრიბუნალის და სახელმწიფოს არადაბალანსებული ჩართულობა ნორმის განმარტებისას, სახელმწიფოს მიერ გადამეტებული როლი ნორმის განმარტებისას უშუალოდ დავის პროცესში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს უცხოელი ინვესტორისა და სახელმწიფოს, როგორც მოპასუხის, საპროცესო არათანსწორუფლებიანობა. აღნიშნულის შედეგად კი, უცხოელი ინვესტორი არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდება დავის მეორე მხარესთან შედარებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების საბოლოო შედეგზე.

¹² იხ. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების სტატისტიკის შესახებ: <<https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements/countries/77/georgia>>, [21.02.2021].

¹³ ვეკუა გ., საქართველოს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების პოლიტიკურ-სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2016, 14, <https://gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/avtoreferatebi_2016/Soc-mecn_17.02.16/avtoreferati_g.vekua.pdf>, [22.02.2021].

პირველად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სიღრმისეულად იქნება გაანალიზებული სახელმწიფოსა და საარბიტრაჟო ტრიბუნალების როლი საინვესტიციო ხელშეკრულებების ინტერპრეტაციისას და განმარტების განსაკუთრებული მნიშვნელობა საბოლოო გადაწყვეტილების შედეგზე. გაანალიზდება განვითარებული ქვეყნების როლი და მათი გავლენა საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებზე. ასევე, განიხილება საარბიტრაჟო პრაქტიკა იმ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიშობა საინვესტიციო ხელშეკრულებების ბუნდოვან და დაურეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით საქართველოსა და სხვა ქვეყნების მაგალითზე. აგრეთვე, განხილული იქნება სახელმწიფოსა და საარბიტრაჟო ტრიბუნალების როლის გადანაწილებასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები საინვესტიციო ხელშეკრულების ინტერპრეტაციასთან მიმართებით. გაანალიზებული იქნება ნორმის განმარტებითი მეთოდები, გამოვლენილი იქნება ყოველი მათგანის უპირატესობა თუ ნაკლოვანება და შემოთავაზებული იქნება ყველაზე მეტად დაბალანსებული განმარტებითი მიდგომა გაუთვალისწინებელი შედეგებისა და რისკების თავიდან ასაცილებლად.

წინამდებარე ნაშრომის შესავლის შემდგომ მეორე თავში შემოთავაზებული იქნება იმ მრავალმხრივი ხელშეკრულებების მიმოხილვა, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟში, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით. თავდაპირველად განხილული იქნება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება, როგორც საქართველოსთვის მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის და საერთაშორისო სტანდარტების დასაანერგად. ამასთან, ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს ნორმების განმარტებისას ნებისმიერ საერთაშორისო საინვესტიციო დავაში, რადგან აღნიშნული ხელშეკრულებით მოცემული განმარტების მეთოდები ერთგვარ სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის. აგრეთვე, ვაშინგტონის საინვესტიციო დავების საერთაშორისო ცენტრის კონვენცია, რომლის ხელშეკრული საქართველოცაა, განსაკუთრებული აქტუალურობით სარგებლობს საინვესტიციო დავებში, რადგან აღნიშნული ითვალისწინებს იმ მოწინავე პროცედურულ პრინციპებს რაც საინვესტიციო არბიტრაჟთან არის დაკავშირებული. მის

განსაკუთრებულ აქტუალობას განაპირობებს ასევე ის გარემოება, რომ მის საფუძველზე შეიქმნა მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო საინვესტიციო სარბიტრაჟო დავების ცენტრი, რომელიც ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით უპირატესად სასურველ საშუალებას წარმოადგენს დავის გადასაწყვეტად. ამას გარდა, ყურადღება გამახვილებული იქნება ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე. აღნიშნული საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ხსენებული ხელშეკრულების გამოყენებით მრავალი განსაკუთრებული მნიშვნელობის დავა განიხილება, სადაც არბიტრაჟის მიერ შემოთავაზებულია საინვესტიციო სტანდარტების განმარტების მოწინავე მიდგომები.

მეორე თავის შემდგომ ქვეთავებში განხილულია ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებისა და საინვესტიციო კონტრაქტების სპეციფიკა, მათი ურთიერთმიმართება და საინვესტიციო საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მათი გამოყენების შესაძლებლობები.

მესამე თავში მიმოხილული იქნება საინვესტიციო საარბიტრაჟო დავის მხარეები, როდესაც დავის მონაწილეებს წარმოადგენენ უცხოელი ინვესტორი და სახელმწიფო და როდესაც დავაში ერთმანეთის წინააღმდეგ წარმოდგენილი არიან სახელმწიფოები. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში აღნიშნულის დახასიათება მნიშვნელოვანია საინვესტიციო ნორმის განმარტების პროცესისთვის. ეს განპირობებულია იმით, რომ საინვესტიციო დავაში ნორმის განმარტებისას უცხოელი ინვესტორი თითქოს არათანაბარ მდგომარეობაში წარმოგვიდგება მოპასუხესთან შედარებით, რადგან ეს უკანასკნელი არის იმ კანონის შემოქმედი, რომლის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს დავა. ხოლო, სახელმწიფოებს შორის დავის შემთხვევაში, ნორმის განმარტების პროცესი თითქოს უფრო თანასწორუფლებიანად მიმდინარეობს, სადაც გადაწყვეტილების მიღებისას მიუკერძობლობისა და განჭვრეტადობის უფრო მაღალი ხარისხია. ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოთა შორის საინვესტიციო საარბიტრაჟო დავა, როგორც წესი, წარმოიშობა მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი სახელმწიფო დაარღვევს უცხოელი ინვესტორის უფლებებს და ინვესტორის მშობლიური სახელმწიფოს შეხედულებით, თავდაპირველი დავა მასპინძელ სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის არ გადაწყდება სათანადოდ.

ნაშრომის მეოთხე თავში შემოთავაზებულია იმ საინვესტიციო სტანდარტების მიმოხილვა, რომელთაც ეფუძნება საერთაშორისო საინვესტიციო ურთიერთობები და საინვესტიციო ხელშეკრულებები. ისეთი საინვესტიციო სტანდარტები, მაგალითად, როგორცაა, სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი, ინვესტორის ლეგიტიმური მოლოდინი, უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი, ეროვნული მოპყრობის პრინციპი, განხილულია საერთაშორისო საინვესტიციო მნიშვნელობის საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ განვითარებული მიდგომებისა და განმარტებების საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ნორმები საინვესტიციო სტანდარტების ფართო და ბუნდოვან მოწესრიგებას ითვალისწინებს, რაც ტრიბუნალს უტოვებს ფართო დისკრეციის საშუალებას, ამიტომ აუცილებელია იმ საინვესტიციო პრინციპების მიმართ განვითარებული მიდგომების მიმოხილვა და ანალიზი.

მეხუთე თავში გაანალიზებული იქნება სახელმწიფოს ჩარევის ჰიპოთეტური ფარგლები საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებისას. როგორც აღინიშნა, სახელმწიფო უცხოელ ინვესტორთან შედარებით შესაძლოა წარმოჩნდეს უპირატეს პოზიციაში, რადგან საინვესტიციო დავაში მიუხედავად იმისა, რომ მხარეები თანაბარი უფლებებით და მოვალეობებით არიან აღჭურვილი, სახელმწიფოს შესაძლოა გააჩნდეს გარკვეული გავლენა ნორმის განმატების პროცესზე. შესაბამისად, გაანალიზებული იქნება, სახელმწიფოს როლი საინვესტიციო დავისას ნორმის განმარტების პროცესში, როგორც მოპასუხისა და მისი სუვერენიტეტის გავლენის ფარგლები საარბიტრაჟო პროცესში. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალები და ხელშემკვრელი სახელმწიფოები სხვადასხვა როლს ასრულებენ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების განსამარტად, განხილული იქნება ხელშეკრულების მხარეთა კოოპერაციის ფარგლები, რაც შესაძლოა გავლენას ახდენს ტრიბუნალზე ნორმის განმარტებისას. ეს განპირობებულია იმ მიზნით, რათა დაბალნსდეს ის კომპლექსურობა, რაც ახასიათებს საარბიტრაჟო საინვესტიციო დავას.

მექვსე თავში განხილულია საერთაშორისო საჯარო სამართლისა და ადამიანის უფლებათა როლი საინვესტიციო ნორმის განმარტებისას. მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პრინციპები უდიდეს მნიშვნელობას ასრულებენ დავის გადასწყვეტად, დავის საერთაშორისო ბუნებიდან

გამომდინარე არბიტრები ვერ უფლებელყოფენ საერთაშორისო საჯარო სამართლისა და ადამიანის უფლებათა იმ პრინციპებს, რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლოა განიმარტოს ნორმა. ამასთან, სირთულეს წარმოადგენს, რა ფარგლებით უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული ტრიბუნალმა და რა შემთხვევაში.

მეშვიდე თავი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია წინამდებარე კვლევის ფარგლებში, რადგან ამ თავში შემოთავაზებულია ის ძირითადი მეთოდები, რომლებიც არსებობს საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმების განმარტებისას. აღნიშნული მოიაზრებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც, მაგალითად, ხელშეკრულების დადებამდე არსებული მოლაპარაკებების ამსახველ მასალებს ან საინვესტიციო სამართალში მოქმედ პირებსა თუ ორგანიზაციების მიდგომებს ქმედითი როლი შეუძლიათ შეასრულონ ნორმის განმარტებისას.

მერვე თავში გაანალიზებული იქნება ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული დავის მახასიათებლები, რომლებიც გადაწყვეტილების საბოლოო შედეგის თვალაზრისით საყურადღებოა ტრიბუნალის მიერ ნორმის განმარტებისას. ასევე, ის მახასიათებლები, რომლებიც უშუალოდ არბიტრაჟის ბუნებიდან გამომდინარეობს და შესაძლოა ითქვას გარკვეულ დამაბრკოლებელ ფაქტორებს წარმოადგენენ განმარტების მეთოდების დახვეწასა და განვითარებაში, და გარკვეულ ფარგლებში თანმიმდევრული სისტემის შექმნაში. მაგალითად, საარბიტრაჟო პროცესის კონფიდენციალურობა ერთ-ერთი ძირეული დამაბრკოლებელი გარემოებაა ნორმების განმარტების პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად. ასევე, ტრიბუნალის მიერ არჩეული სწორი დაბალანსებული მიდგომა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან სწორედ საარბიტრაჟო ტრიბუნალის განმარტების შედეგად განისაზღვრება ის ფულადი ოდენობა, რომელიც შესაძლოა დაეკისროს სახელმწიფოს. ამას გარდა, არბიტრაჟის მახასიათებელია ის, რომ დავა შეიძლება გადაწყდეს, როგორც მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ორგანოს ფარგლებში მოქმედი ტრიბუნალის, ისე ყოველი შემთხვევისთვის შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ. შესაბამისად, ამ ორი სხვადასხვა შემთხვევისას, ნორმის განმარტების პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად განხვავებული შედეგები წარმოიშობა. თავისი ბუნებით მუდმივი ორგანო უფრო განჭვრეტად და თანმიმდევრულ შედეგებს გთავაზობს, ვიდრე ყოველი კონკრეტული საქმისთვის შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალი.

საინვესტიციო არბიტრაჟის მახასიათებელია ასევე ის, რომ შესაძლოა არსებობდეს სააპელაციო საარბიტრაჟო ორგანო. აღნიშნული ნაკლებად მხარდაჭერილია, თუმცა საყურადღებოა, რადგან ბოლო დროის განმავლობაში მნიშვნელოვანი განხილვის საგანს წარმოადგენს აღნიშნულის არსებობა და შესაბამისად განსახილველია სააპელაციო მექანიზმის არსებობის გავლენის ანალიზი საინვესტიციო ნორმის განმარტებისას. აქედან გამომდინარე, ხსენებული საკითხის დადებითი და უარყოფითი მხარეები ნორმის განმარტების ჭრილში შემოთავზებული იქნება მერვე თავში.

საბოლოოდ კი, შეჯამებული იქნება წინამდებარე თემის ფარგლებში არსებული გამოწვევები და გაანალიზებული იქნება ტრიბუნალების განსაკუთრებული როლი ნორმის განმარტებისას და პრიორიტეტულად გამოსაყენებელი მიდგომები, რომელთა მეშვეობითაც მაქსიმალურად იქნება დაბალანსებული საარბიტრაჟო ტრიბუნალისა და სახელმწიფოს როლი ნორმის ინტერპრეტაციისას.

II. ინვესტიციების მარეგულირებელი და მის განმარტებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და საინვესტიციო კონტრაქტები¹⁴

უცხოური ინვესტიციების დაცვის ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს უცხოელი ინვესტორისთვის საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის მექანიზმის არსებობა. აღნიშნული ძირითადად წარმოდგენილია ხოლმე საერთაშორისო ხელშეკრულების სახით, რომელთაგან უმრავლესი საინვესტიციო ხელშეკრულება ორმხრივია.¹⁵ გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (United Nations Conference on Trade and Development – UNCTAD) 2021 წლის თებერვლის მონაცემებით სამი ათასამდე ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებაა გაფორმებული.¹⁶ აღნიშნული ხელშეკრულებების მთავარ მიზანს წარმოადგენს ინვესტიციების წახალისება და უცხოური ინვესტიციების დაცვა მისი განხორციელების შემდგომი პერიოდიდან. ასევე, მოქმედებს მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომლებიც არეგულირებს ინვესტიციებთან დაკავშირებულ საკითხებს.¹⁷

ინვესტიციების საკითხთან მიმართებით მრავალმხრივ ხელშეკრულებებს შორის აღსანიშნია ჩრდილოეთ ამერიკის შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ (North American Free Trade Agreement - NAFTA),¹⁸ ვაშინგტონის საინვესტიციო დავების საერთაშორისო ცენტრის კონვენცია (Convention on the Settlement of Disputes

¹⁴ წინამდებარე ნაშრომში საინვესტიციო ხელშეკრულებად მოიხსენიება სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულება, ხოლო საინვესტიციო კონტრაქტში ნაგულისხმევი იქნება სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის გაფორმებული შეთანხმება.

¹⁵ *de Brabandere E.*, Investment Treaty Arbitration as Public International Law, Procedural Aspects and Implications, Cambridge University Press, Cambridge, 2014, 25.

¹⁶ იხ. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების შესახებ განახლებული ინფორმაცია: <<https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements>>, [25.01.2021].

¹⁷ *de Brabandere E.*, Investment Treaty Arbitration as Public International Law, Procedural Aspects and Implications, Cambridge University Press, Cambridge, 2014, 25.

¹⁸ North American Free Trade Agreement, მიღების თარიღი: 17/12/1992, ძალაში შესვლის თარიღი: 01/01/1994, <<https://www.italaw.com/sites/default/files/laws/italaw6187%286%29.pdf>>, [24.01.2021].

Between States and Nationals of Other States – ICSID Convention),¹⁹ ენერგეტიკის შესახებ ქარტია (Energy Charter Treaty - ECT)²⁰ და ა.შ.

რაც შეეხება ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებს, რომლებიც ფორმდება ორ სახელმწიფოს შორის, მათი შინაარსი იცვლება ხელშეკრულების მხარეთა საჭიროებების მიხედვით. მიუხედავად ამისა, მრავალმა სახელმწიფომ შეიმუშავა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების მოდელი. უცხოური ინვესტიციების დაცვის შესახებ მრავალი რეგულირებაა შემუშავებული, რომელთაც ითვალისწინებს დღეს მოქმედი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები. მათი უმრავლესობა მოიცავს უცხოელი ინვესტორების დაცვის სტანდარტულ დებულებებს, როგორცაა: სამართლიანი და თანასწორი მოპყრობა (Fair and Equitable Treatment - FET), ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი (Full Protection and security - FPS), უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most Favored Treatment - MFN) და ეროვნული მოპყრობა (National Treatment). ასევე, დებულებებები რომლებიც შეეხება ექსპროპრიაციასა და კომპენსაციას, ომის შედეგად გამოწვეული დანაკარგებისგან დაცვასა და სხვა განსაკუთრებული შემთხვევებს.²¹

მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო ხელშეკრულებები თამაშობს ცენტრალურ როლს სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლის სისტემაში, დღესდღეისობით ცოდნა ნაკლებია იმის თაობაზე, თუ როგორი და რა მიდგომები გამოიყენება სხვადასხვა ხელშეკრულების განმარტებისას. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წინააღმდეგობები იქმნება მაშინ, როდესაც სახელმწიფოები სხვადასხვაგვარად განმარტავენ ხელშეკრულებებს. მაგრამ, ამასთან აღსანიშნია ისიც,

¹⁹ Convention on the Settlement of Disputes between States and Nationals of Other States (ICSID Convention), მიღების თარიღი: 18/04/1965, ძალაში შესვლის თარიღი: 14/10/1966, <<https://icsid.worldbank.org/sites/default/files/ICSID%20Convention%20English.pdf>>, [26.01.2021].

²⁰ Energy Charter Treaty, მიღების თარიღი: 17/12/1994, ძალაში შესვლის თარიღი: 16/04/1998, <http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2014_2019/documents/itre/dv/energy_charter/energy_charter_en.pdf>, [25.01.2020].

²¹ *de Brabandere E.*, Investment Treaty Arbitration as Public International Law, Procedural Aspects and Implications, Cambridge University Press, Cambridge, 2014, 26.

რომ სახელმწიფოებს აქვთ განსხვავებული მისწრაფებები თავიანთი ხელშეკრულებების საგანთან და მიზნებთან დაკავშირებით.²²

ამას გარდა, საინვესტიციო ხელშეკრულებების განხილვისას ვერ უგულებელვყოფთ საინვესტიციო კონტრაქტებს.²³ აღნიშნული იდება უცხოელი ინვესტორის მიმღებ სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის, და როგორც წესი უფრო დაწვრილებით აწესრიგებს ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს. თუმცა, პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როდესაც საინვესტიციო კონტრაქტის მხარეებს, მასპინძელ სახელმწიფოსა და უცხოელი ინვესტორის სახელმწიფოს შორის გაფორმებულია ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები. გაუგებრობა იქმნება იმასთან დაკავშირებით, დავის გადაწყვეტისას რომელი შეთანხმებით მოცემული რეგულირება უნდა იქნას გამოყენებული, თუ საინვესტიციო კონტრაქტით მოცემული დანაწესი არ შეესაბამება ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით მოცემულ რეგულირებას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს საინვესტიციო კონტრაქტითა და ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით მოცემული პირობების დარღვევა, რაც გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით უნდა შეფასდეს. ამის შეფასება კი არბიტრთა ხელთ რჩება, რაც მათ ამოცანას კიდევ უფრო ართულებს.²⁴

იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმების განმარტების მიმოხილვა, ამიტომ მოცემულ თავში ყურადღება გამახვილდება ყველაზე მეტად გავრცელებულ მრავალმხრივ ხელშეკრულებებზე, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო რეგულირებასა და მის განმარტებასთან. ასევე, ორმხრივი საინვესტიციო

²² *Ginsburg T.*, *Objections to Treaty Reservation – A Comparative Approach to Decentralized Interpretation*, in: *Roberts A., Spephan B.P., Verdier P.H., Versteeg M.* (Editors), *Comparative International Law*, Oxford University Press, New York, 2018, 231.

²³ წინამდებარე ნაშრომში უცხოელ ინვესტორსა და ინვესტიციის ბენეფიციარ სახელმწიფოს შორის არსებული შეთანხმება მოიხსენიება, როგორც საინვესტიციო კონტრაქტი, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რადგან ორმხრივ ან მრავალმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში მოიაზრება სახელმწიფოთა შორის გაფორმებული შეთანხმება. წყარო: *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 41.

²⁴ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 44.

ხელშეკრულებების ძირითად მახასიათებლებზე. ამასთან, მიმოხილული იქნება საინვესტიციო კონტრაქტები, როგორც ინდივიდუალური საინვესტიციო ურთიერთობების მომწესრიგებელი დოკუმენტი და მისი ურთიერთმიმართება ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებთან.

1. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)

მჭიდრო ეკონომიკური კავშირების შედეგად, განვითარებული ქვეყნები უფრო მეტად დაინტერესდნენ განვითარებადი ქვეყნების დახმარებით.²⁵ ამის ნათელი მაგალითია 2014 წელს საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლა. 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა, ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმებას,²⁶ რომლის რატიფიცირებაც საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 18 ივლისს განახორციელა. 2014 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა შეთანხმების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA).

ასოცირების შეთანხმება, DCFTA-ის ჩათვლით, ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცებას, დემოკრატიის გაღრმავებას, მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, ეფექტიანი მმართველობის, უსაფრთხოებისა და რეგიონული

²⁵ *Campsos E., Lien D., Pradhan S., Corruption and Its Implications for Investment*, World Bank Group, 11, <<http://www1.worldbank.org/publicsector/anticorrupt/feb06course/corruption%20Chp1.pdf>>, [26.01.2021].

²⁶ ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, მიღების თარიღი: 01/09/2014, ძალაში სრულად შესვლის თარიღი: 01/08/2016, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

თანამშრომლობის განმტკიცებას. ასევე, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს არსებობას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ბიზნეს გარემოს შემდგომ გაუმჯობესებასა და ეკონომიკურ ზრდას.²⁷

როგორც ასოცირების შესახებ შეთანხმება, ისე DCFTA, არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (European Neighbourhood Policy - ENP) ამსახველი დოკუმენტი, რომლის ოფიციალური მიზანია „ევროპის საზღვრებთან კეთილდღეობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების” ზონის შექმნა. ოფიციალური განმარტების თანახმად, DCFTA „აუქმებს პროდუქტების იმპორტის ტარიფებს და უზრუნველყოფს ფართო ორმხრივ წვდომას სერვისებით ვაჭრობაზე”.²⁸

DCFTA-ის მთავარი მიზანია ფართო ეკონომიკური ინტეგრაცია, რაც მხარეების მიერ არის შეთანხმებით ნაკისრი. ასევე, შეთანხმების მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ინსტიტუციონალურ განვითარებას ფართომასშტაბიანი და მრავალსპექტრიანი თანამშრომლობის საშუალებით.²⁹ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა წინაპირობაა იმისა, რომ საქართველო შეძლებს გაზარდოს ინვესტიციები, რაც მიიღწევა ექსპორტზე ორიენტირებული უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. ამ ყველაფრით კი შეიქმნება მყარი საინვესტიციო გარემო და შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნისათვის ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარება.³⁰

²⁷ საქართველო და ევროკავშირი - 2014 წლის ეკონომიკური ტენდენციები და თანამშრომლობა, 4, <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/41118/EU-Georgia_2014_-_9>, [26.01.2021].

²⁸ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება – რისკები და შესაძლებლობები საქართველოსთვის, ISET Policy Institute, თბილისი, 2016, 5, <https://www.osgf.ge/files/2016/Publications/DCFTA_GEO_WEB.pdf>, [27.01.2021].

²⁹ *ჯანელიძე კ.*, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, 21-22, <<https://openscience.ge/bitstream/1/1646/1/Kristine%20Janelidze%20Samagisro.pdf>>, [27.01.2021].

³⁰ *ჯანელიძე კ.*, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, 32-33, <<https://openscience.ge/bitstream/1/1646/1/Kristine%20Janelidze%20Samagisro.pdf>>, [27.01.2021].

სწორედ ასოცირების ხელშეკრულების პრეამბულაშივე აღნიშნულია, რომ „შეთანხმება შექმნის მხარეებს შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებისათვის ახალ გარემოს და წახალისებს კონკურენციას, რაც წარმოადგენს ეკონომიკური რესტრუქტურისაციისა და მოდერნიზაციისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს“. შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, ერთი მხრივ, გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკური ინსტიტუტების მოდერნიზაციასა და ევროკულ სტანდარტებთან დაახლოებას. მეორე მხრივ, საქართველოსა და ევროკავშირს, ასევე, მის წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციას. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა კი საქართველოს შესაძლებლობას მისცემს გაზარდოს საინვესტიციო მიმზიდველობა და მოიზიდოს ექსპორტზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.³¹

აღსანიშნია, რომ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საქართველომ ლიბერალიზაციის უფრო მაღალ დონეს მიაღწია. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ უნდა იქნას გამოყენებული. იმისათვის, რომ უფრო მეტად გაიზარდოს ინვესტიციების მოცულობა, ასოცირების ხელშეკრულების საშუალებით, საჭიროა ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკის გატარება და ბაზრების დივერსიფიკაცია.³²

მრავალი სახელმწიფო და მათ შორის საქართველო ორიენტირებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოსაზიდად, რადგან მისი მეშვეობით მოსალოდნელია ხელსაყრელი შედეგები ეკონომიკაზე: შემოსავალის ზრდა, ნოუ-ჰაუ, ადგილობრივი ბაზრის კონკურენცია, დასაქმების შესაძლებლობები და გლობალურ ბაზარზე ხელმისაწვდომობა. ³³ კერძოდ, 2014 წლის 17 ივნისს საქართველოს

³¹ საქართველო და ევროკავშირი - 2014 წლის ეკონომიკური ტენდენციები და თანამშრომლობა, 4, <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/41118/EU-Georgia_2014_-_9>, [27.01.2021].

³² *ჯანელიძე ქ.*, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, 42, <<https://openscience.ge/bitstream/1/1646/1/Kristine%20Janelidze%20Samagisro.pdf>>, [27.01.2021].

³³ *Castro C., Nunes P.*, Does Corruption Inhibit Foreign Direct Investment? *Política/Revista de Ciencia Política*, Vol. 51, No. 1, University of Chile, Santiago, 2013, 62.

მთავრობამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“ დაამტკიცა, რომელიც ასახავდა იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც იკისრა ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში. სტრატეგიაში აისახა ის მექანიზმები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ქვეყანაში ყოვლისმომცველი ეკონომიკური ზრდა. დოკუმენტში ხაზგასმულია საქართველოს მთავრობის ეფექტური ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობა, რომლისთვისაც ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება წარმოადგენდა.³⁴ აღსანიშნია ის გარემოება, რომ პოზიტიურად ფასდება ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება საქართველოს მიერ. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ DCFTA-ის გაფორმების შემდეგ ხელშეკრულებით გაფორმებული ვალდებულებების ნაწილი დათქმულ ვადებზე ადრე დასრულდა.³⁵ ამასთან, საქართველოს 2020 წლის დეკემბერში დაამტკიცა 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „აქტიურად გაგრძელდება ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოყენება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის ჩათვლით“.³⁶ დროის გასვლასთან ერთად კი, საინვესტიციო პარტნიორობა ხელს შეუწყობს საგარეო ეკონომიკური ინსტიტუტების გაძლიერებას გაუმჯობესებული ბიზნეს პრაქტიკის, უკეთესი კორპორაციული მმართველობისა და უკეთესი მენეჯმენტის ხარისხის მეშვეობით.³⁷

ამასთან, სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზანს, ასოცირების შეთანხმების შესაბამისად,³⁸ წარმოადგენს დავის ალტერნატიული მექანიზმის -

³⁴ საქართველო და ევროკავშირი - 2014 წლის ეკონომიკური ტენდენციები და თანამშრომლობა, 4, <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/41118/EU-Georgia_2014_-_9>, [26.01.2021].

³⁵ *ჯანელიძე ქ.*, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, 57, <<https://openscience.ge/bitstream/1/1646/1/Kristine%20Janelidze%20Samagisro.pdf>>, [27.01.2021].

³⁶ სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის, 2020, 6, <http://gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf>, [27.01.2021].

³⁷ *Belgibayeva A., Plekhanov A.*, Does Corruption Matter for Sources of Foreign Direct Investment? European Bank for Reconstruction and Development, Working Paper No. 176, 2015, 12.

³⁸ იხ. საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-14 თავი.

არბიტრაჟის - განვითარება.³⁹ აღნიშნული განსაკუთრებული მნიშვნელობის საგანს წარმოადგენს ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც ცდილობს გახდეს უცხოური ინვესტიციების მიმზიდველი სახელმწიფო. შესაბამისად, ეს უკანასკნელი იმის რეალურ პოტენციალს ქმნის, რომ უცხოელ ინვესტორსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტის მექანიზმად არბიტრაჟის განსასაზღვრა დროის გასვლასთან ერთად უფრო მეტად მხარდაჭერილი და მიმზიდველი იქნება ეროვნულ სასამართლოსთან შედარებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ეფექტურად და სამართლიანად განხორციელების შემთხვევაში, ეს ყველაფერი დადებითად აისახება პირდაპირი ინვესტიციების ზრდაზე, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდასთან და ასევე საინვესტიციო სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებასთან.

2. ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ (VCLT)

ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ⁴⁰ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებების განმარტების თვალსაზრისით. საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებისას მიმართავენ იმ ძირითად წესებს, რომლებიც დარეგულირებულია ვენის კონვენციის⁴¹ 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლებით. კონვენციის 31-ე მუხლში მოცემული არის ხელშეკრულების განმარტების ზოგადი წესები. 32-ე მუხლი განსაზღვრავს განმარტების ე.წ. დამატებით საშუალებებს, როდესაც ხელშეკრულების ნორმები გაურკვეველი და ბუნდოვანია. ხოლო, 33-ე მუხლი მიემართება იმ ხელშეკრულებების განმარტებას, რომლებიც ავტენტურია ორ

³⁹ საქართველო და ევროკავშირი - 2014 წლის ეკონომიკური ტენდენციები და თანამშრომლობა, 4, <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/41118/EU-Georgia_2014_-_9>, [26.01.2021].

⁴⁰ ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, მიღების თარიღი: 23/05/1969, ძალაში შესვლის თარიღი: 27/01/1980, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

⁴¹ „ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ შემდგომ მოხსენიებული იქნება, როგორც - ვენის კონვენცია.

ან მეტ ენაზე.⁴² აღნიშნული მუხლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებისას. ამიტომ, ქვემოთ შემოთავაზებული იქნება დასახელებული მუხლების ძირითადი მახასიათებლები.

2.1. ვენის კონვენციის 31-ე მუხლი

საარბიტრაჟო ტრიბუნალები საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმების განმარტებას თავდაპირველად იწყებენ ვენის კონვენციის 31-ე მუხლით. კონვენცია განმარტების ზოგადი წესისთვის განსაზღვრავს, რომ ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერად. ე.ი. ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად, ხელშეკრულების შინაარსისა და მისი ობიექტიდან და მიზნებიდან გამომდინარე.⁴³ აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტი ადგენს ნორმის განმარტების ძირითად წესებს. კერძოდ, „ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერად, ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულების ტერმინებს უნდა მიეცეს მათ კონტექსტში და ასევე გამომდინარე ხელშეკრულების ობიექტიდან და მიზნებიდან“. მოცემული ნორმა გამოყოფს ხელშეკრულების განმარტების ოთხ ძირითად ელემენტს: 1. ხელშეკრულების ტექსტი; 2. ნორმების ჩვეულებრივი მნიშვნელობა; 3. ხელშეკრულების ნორმების მნიშვნელობა; 4. ხელშეკრულების მიზანი და დანიშნულება.⁴⁴

ვენის კონვენცია აშკარად აღიარებს იმას, რომ ხელშეკრულების ნორმის განმარტება უნდა განხორციელდეს ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად მათი შინაარსის გათვალისწინებით. ნორმის განმარტებისას ადგენენ „ჩვეულებრივი მნიშვნელობის“ ნუსხას მისი შინაარსის განსასაზღვრად, რათა ხსენებული სიიდან

⁴² *Salacuse, J.*, The Law of Investment Treaties, Oxford University Press, New York, 2010, 139.

⁴³ *Kaufmann-Kohler G.*, Interpretation of Treaties: How Do Arbitral Tribunals Interpret Dispute Settlement Provisions Embodied in Investment Treaties, in: *Mistelis L., Lew J.* (Editors), Pervasive Problems in International Arbitration, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2006, 258.

⁴⁴ *Salacuse, J.*, The Law of Investment Treaties, Oxford University Press, New York, 2010, 139.

მიუსადაგონ ყველაზე სათანადო „ჩვეულებრივი“ მნიშვნელობა. მაგრამ, ხშირად ამგვარი მიდგომა არ ამართლებს. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა, რომ ნორმის ფორმულირება იყოს უფრო კონკრეტული.⁴⁵

ვენის კონვენციის 31(1)-ე მუხლის მიხედვით, ნათლად არის დადგენილი, რომ ნორმა არ უნდა განიმარტოს მანამ, სანამ არ განისაზღვრება მისი შინაარსი. ე.ი. ნორმის შინაარსს აქვს უპირატესი ძალა სიტყვებსა და წინადადებებთან შედარებით, რადგან მათ არ გააჩნიათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ამასთან, ვენის კონვენციის მიხედვით, დავა უნდა გადაწყდეს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.⁴⁶ საქმეზე *Siemens AG v. Argentine Republic*⁴⁷ ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულება არ უნდა განიმარტოს არც ლიბერალურად და არც მკაცრად, რადგან ვენის კონვენციის 31(1)-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმულირება ამას არ ითვალისწინებს. ტრიბუნალმა უნდა იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მიზნის შესაბამისად, როგორც ეს გამოხატულია ხელშეკრულების დასახელებასა და პრეამბულაში, რათა ხელი შეეწყოს ინვესტიციების წახალისებასა და დაცვას.⁴⁸

ვენის კონვენციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, თუ რა მოიაზრება ხელშეკრულების ტექსტში. აღნიშნული მუხლის მიხედვით, „ხელშეკრულების განმარტების მიზნისათვის, მისი შინაარსი, ხელშეკრულების ტექსტის, პრეამბულისა და დანართების გარდა მოიცავს: ა) ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც ხელშეკრულებასთანაა დაკავშირებული და რომელიც მიღწეული იყო ყველა მხარეს

⁴⁵ *Regan H.D.*, Sources of International Trade Law – Understanding What the Vienna Convention Says About Identifying and Using “Sources for Treaty Interpretation”, in: *Besson S., d’Aspremont J., Knuchel S.* (Editors), The Oxford Handbook on the Sources of International Law, Oxford University Press, Oxford, 2017, 1052.

⁴⁶ *Rubino-Sammartano M.*, International Arbitration Law and Practice, 3rd Edition, JurisNet, New York, 2014, 1581.

⁴⁷ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Siemens A.G. v. The Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/02/8, para. 80, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0790.pdf>>, [28.01.2021].

⁴⁸ *Rubino-Sammartano M.*, International Arbitration Law and Practice, 3rd Edition, JurisNet, New York, 2014, 1581-1582.

შორის ხელშეკრულების გასაფორმებლად; ბ) ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც შედგენილია ერთი ან რამდენიმე მხარის მიერ ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით და სხვა სახელმწიფოებმა მიიღეს იგი, როგორც ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტი.⁴⁹ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ამავე მუხლში დასახელებულ ყველა დოკუმენტს ერთნაირი სტატუსი და ავტორიტეტი გააჩნია თუ არა. ამის განსახილველად აუცილებელია დადგინდეს, თუ პირდაპირ რას გამოხატავს ეს ნორმა.⁵⁰

კონვენციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი აშკარად განსაზღვრავს, რომ კონტექსტის გარეშე სიტყვებს ვერ მიენიჭება მნიშვნელობა. ეს კი მოიცავს არა მხოლოდ ხელშეკრულების ტექსტს (მათ შორის ნებისმიერ პრეამბულას და დამატებას), არამედ ყველა სხვა შეთანხმებას ან დოკუმენტს, რომლებიც მიიღება ყველა მხარის მიერ. ნორმის განმარტება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდული კონტექსტით. 31(2)-ე მუხლში დასახელებული სამართლებრივი დოკუმენტები არის 31(1)-ე მუხლში მითითებული კონტექსტის ნაწილი, რაც ერთ მთლიანობაში უნდა განიხილებოდეს.⁵¹

31(3)-ე მუხლი მიუთითებს იმაზე, რომ კონტექსტთან ერთად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მხარეთა შორის ნებისმიერი შეთანხმება, პრაქტიკა და საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი შესაბამისი ნორმა. იქიდან გამომდინარე, რომ ტერმინებისთვის მნიშვნელობის მინიჭებამდე უნდა დადგინდეს ნორმის კონტექსტი,

⁴⁹ *Regan H.D.*, Sources of International Trade Law – Understanding What the Vienna Convention Says About Identifying and Using “Sources for Treaty Interpretation”, in: *Besson S., d’Aspremont J., Knuchel S.* (Editors), The Oxford Handbook on the Sources of International Law, Oxford University Press, Oxford, 2017, 1050.

⁵⁰ *Regan H.D.*, Sources of International Trade Law – Understanding What the Vienna Convention Says About Identifying and Using “Sources for Treaty Interpretation”, in: *Besson S., d’Aspremont J., Knuchel S.* (Editors), The Oxford Handbook on the Sources of International Law, Oxford University Press, Oxford, 2017, 1052.

⁵¹ *Regan H.D.*, Sources of International Trade Law – Understanding What the Vienna Convention Says About Identifying and Using “Sources for Treaty Interpretation”, in: *Besson S., d’Aspremont J., Knuchel S.* (Editors), The Oxford Handbook on the Sources of International Law, Oxford University Press, Oxford, 2017, 1053.

მაშინ ის წინაპირობები, რაც გათვალისწინებულია ვენის კონვენციის 31(1)-ე მუხლით, უნდა გამოიყენონ ამ შემთხვევაშიც. ეს მოსაზრება ასევე განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლის კომისიის (International Law Commission - ILC) მიერ. ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ 31(3)-ე მუხლის დასაწყისი ფრაზა „კონტექსტთან ერთად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული” მოცემულია იმისთვის, რომ მე-3 პუნქტში მოცემული ელემენტები განიხილონ პირველ პუნქტთან მიმართებით.⁵²

კერძოდ, კონვენციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-3 პუნქტის “ა” და “ბ” ქვეპუნქტებით განსაზღვრულია ავთენტური განმარტების სამი მეთოდი (ისინი გამოიყენება პირველ პუნქტთან ერთად, რათა განიმარტოს ხელშეკრულების ნორმა). მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მექანიზმები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას თუ ნორმის განმარტების პროცესში ხელშეკრულების ყველა მხარე არის ჩართული. ან იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან მეტი მხარე მიმართავს აწ უკვე განხორციელებულ პრაქტიკას, რომლის თაობაზეც ხელშეკრულების სხვა მხარეებიც არიან თანახმა.

ვენის კონვენციის 31-ე მუხლის 3(c) ქვეპუნქტში აღნიშნულია შემდეგნაირი ფორმულირება: „საერთაშორისო სამართლის სხვა წესები”. ეს გულისხმობს იმას, რომ ხელშეკრულების ნორმების განმარტება უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სამართლის მიღმა.⁵³ ე.ი. საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებისას ნორმის შინაარსთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნას საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი ნორმა, რომელიც გამოიყენება მხარეთა შორის ურთიერთობებში.⁵⁴ ხელშეკრულების ნორმა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის რომელიმე

⁵² *Regan H.D.*, Sources of International Trade Law – Understanding What the Vienna Convention Says About Identifying and Using “Sources for Treaty Interpretation”, in: *Besson S., d’Aspremont J., Knuchel S.* (Editors), *The Oxford Handbook on the Sources of International Law*, Oxford University Press, Oxford, 2017, 1052.

⁵³ *Villiger E.M.*, The Rules on Interpretation: Misgivings, Misunderstandings, Miscarriage, The Crucible Intended by the International Law Commission, in: *Cannizzaro E.* (Editor), *The Law of Treaties Beyond the Vienna Convention*, Oxford University Press, New York, 2011, 110.

⁵⁴ *Ghuri A.*, Interaction and Conflict of Treaties in Investment Arbitration, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2015, 115.

მნიშვნელოვან წესს, რომელიც თანხვედრაშია მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობასთან. აღნიშნულ წესები არ საჭიროებს ხელშეკრულებასთან მჭიდრო კავშირის არსებობას. ის ასრულებს დამხმარე როლს ხელშეკრულების ნორმის განსამარტად. საბოლოოდ კი, ისინი უზრუნველყოფენ ნორმის დროში განმარტებას.⁵⁵

31-ე მუხლის 3(c) ქვეპუნქტის გავრცელება შესაძლებელია ნებისმიერ დავაზე, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ინვესტიციებთან და მოითხოვება ნორმის განმარტება. ეს საარბიტრაჟო ტრიბუნალებს აძლევს ნორმატიული საფუძვლების ან სამოქმედო იურისდიქციის ფარგლების განსაზღვრის შესაძლებლობას. ეს მიზნად ისახავს მსგავსი ტიპის ნორმების ან საინვესტიციო ხელშეკრულებით მოცემული ბუნდოვანი ნორმების განმარტებას. როგორცაა, მაგალითად: ექსპროპრიაციისა და სამართლიანი და თანასწორი მოპყრობის ცნებები.

აგრეთვე, განსახილველი მუხლი გამოიყენება მაშინ, როდესაც ხელშეკრულებებს შორის არსებობს კონფლიქტი. ამ შემთხვევაში მოიაზრება გარემოება, როდესაც სახელმწიფოს ვალდებულებები (რომლებიც წარმოადგენენ საინვესტიციო დავის საგანს) დარეგულირებულია როგორც საინვესტიციო, ისე არასაინვესტიციო ხელშეკრულებითაც და რომელთა რეგულირება ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამგვარ შემთხვევაში, საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა უნდა გადაწვიტონ ნორმატიული კონფლიქტი. ამის განსახორციელებლად ტრიბუნალმა უნდა განსაზღვროს იერარქია საინვესტიციო ხელშეკრულებების ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არსებულ ნორმებს შორის და დააბალანსოს კონფლიქტური ინტერესები.

შესაბამისად, საინვესტიციო და არასაინვესტიციო ხელშეკრულებების ურთიერთკავშირი შესაძლებელია ორ შემთხვევაში: 1. საინვესტიციო ხელშეკრულებებისა და ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების იურისდიქცია ერთმანეთთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული. ე.ი. როდესაც ერთიდაიგივე სამართლებრივი ნორმა ორივე ხელშეკრულების რეჟიმის ფარგლებში ხდება

⁵⁵ *Villiger E.M.*, The Rules on Interpretation: Misgivings, Misunderstandings, Miscarriage, The Crucible Intended by the International Law Commission, in: *Cannizzaro E.* (Editor), The Law of Teaties Beyond the Vienna Convention, Oxford University Press, New York, 2011, 110.

განმარტების საგანი საერთაშორისო სამართლისა და ზოგადი სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით. ამგვარი ურთიერთკავშირის შემთხვევაში, არასაინვესტიციო ხელშეკრულების რეჟიმი შეიძლება განმარტების საშუალებად გამოიყენებოდეს და შეასრულოს ახსნა-განმარტებითი და დამხმარე როლი საინვესტიციო არბიტრაჟში; 2. სახელმწიფოები იძულებული არიან თავიანთი ვალდებულებების გამო, რომლებიც გამომდინარეობენ ადამიანის უფლებათა და გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებიდან, დაარღვიონ საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები თავიანთი მოქალაქეების ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოსთან დაკავშირებული უფლებების დასაცავად. ამგვარ შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა და გარემოსდაცვით ხელშეკრულებებს შეუძლიათ მაკონტროლებელი ფუნქციის შესრულება საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებისას და საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ნორმატიული განვითარების თვალსაზრისით.⁵⁶

მიუხედავად იმისა, რომ ვენის კონვენციის 31-ე მუხლში მოცემულია სავალდებულოდ გასათვალისწინებელი ნორმები, არ არის განმარტებული თუ რა ძალა ენიჭება თითოეულ ელემენტს. ყველა მთავარი მიდგომა - ტექსტობრივი, შინაარსობრივი, ან ტელეოლოგიური - გამოყენებულ უნდა იქნას არა იერარქიულად, არამედ დაბალანსდეს ერთიანი განმარტების პროცესში. აქედან გამომდინარე, ნორმის განმარტებისას გამოსაყენებელი ჩვეულებითი სამართლის ნორმებს არ მივყავართ განმარტების ქაოსურ მეთოდამდე. პირიქით, ის ქმნის მოქნილ სისტემას ლოგიკური და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პრინციპების საშუალებით.⁵⁷

⁵⁶ *Ghuri A.*, *Interaction and Conflict of Treaties in Investment Arbitration*, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2015, 115-116.

⁵⁷ *Vadi V.*, *Cultural Heritage in International Investment Law and Arbitration*, Cambridge University Press, Cambridge, 2014, 263-264.

2.2. ვენის კონვენციის 32-ე მუხლი

იმ შემთხვევაში, თუ განმარტების ზემოთ აღნიშნული პირველადი მეთოდების გამოყენებით ბუნდოვანი და აშკარად შეუსაბამო შედეგები იქნება მიღებული, რაც საჭიროებს დადასტურებას, მაშინ ნორმის განმარტებისას უნდა მიმართონ ვენის კონვენციის 32-ე მუხლს.⁵⁸ ამ უკანასკნელით შემოთავაზებულია განმარტების დამატებითი საშუალებები. მათ შორის, ხელშეკრულების მოსამზადებელი მასალები, როდესაც ხელშეკრულების ნორმები ბუნდოვანი და გაურკვეველია.⁵⁹

აღნიშნული ემსახურება ნორმის მნიშვნელობის განსაზღვრას, როდესაც 31-ე მუხლით განმარტება ორაზროვანს და გაურკვეველს ტოვებს მის მნიშვნელობას ან იწვევს აშკარა აბსურდულ ან არაგონივრულ შედეგებს. ე.ი. ვენის კონვენციის 32-ე მუხლით მოცემულია განმარტების დამატებითი საშუალებების გამოყენების შეზღუდული პირობები. მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებელი სამუშაოები წარმოადგენს განმარტების დამატებით საშუალებას, არ უნდა იქნას დაკნინებული მისი დამხმარე როლი ინტერპრეტაციის პროცესში. მათი საშუალებით შესაძლოა კონფლიქტური სიტყვების ზუსტი განმარტების განსაზღვრა.⁶⁰ საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ ვენის კონვენციის განხილვისას, მოსამართლე ჰერშ ლაუტერპრახტმა აღნიშნა, რომ მხარეთა ნების განსაზღვრის გარეშე ნორმის განმარტება არასასურველი შედეგის მომტანი იქნება. მისი მოსაზრებით, ნორმის ჩვეულებრივი მნიშვნელობა შეიძლება საცილო გახდეს ნორმის შინაარსის, მიზნის და

⁵⁸ *Kaufmann-Kohler G.*, Interpretation of Treaties: How Do Arbitral Tribunals Interpret Dispute Settlement Provisions Embodied in Investment Treaties, in: *Mistelis L., Lew J.* (Editors), *Pervasive Problems in International Arbitration*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2006, 258.

⁵⁹ *Venzke I.*, Sources in Interpretation Theories – The International Law-Making Process, in: *Besson S., d’Aspremont J., Knuchel S.* (Editors), *The Oxford Handbook on the Sources of International Law*, Oxford University Press, Oxford, 2017, 412-413.

⁶⁰ *Clasmier M.*, Arbitral Awards as Investments – Treaty Interpretation and the Dynamics of International Investment Law, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2017, 16.

საგნის გათვალისწინების მიუხედავად. განმარტებისას უფრო მეტი ყურადღება შესაძლებელია დაეთმოს მოსამზადებელი სამუშაოების მასალებს.⁶¹

ამასთან, მოსამართლეები და არბიტრები, როდესაც ცდილობენ ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოების განზრახვის დადგენას, მოსამზადებელმა სამუშაოებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საკითხის უკეთ შესასწავლად. ამას გარდა, სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ ხელშეკრულების დადებისას მხარეთა შორის წარმოებულ მოლაპარაკებების პროცესზე. უფრო ხელსაყრელი შედეგის მომტანი იქნება, თუ მხარეები გაცვლიან ერთმანეთისთვის სასურველ დოკუმენტაციას. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული პროცესი საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ფარგლებში ვერ იყენებენ.⁶² მაგალითად, საქმეზე *Aguas del Tunari, S.A. v. Republic of Bolivia*⁶³ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განმარტა, რომ დოკუმენტების ნაკლებობა ართულებს ნორმის განმარტების პროცესს.⁶⁴

⁶¹ *Venzke I.*, Sources in Interpretation Theories – The International Law-Making Process, in: *Besson S., d’Aspremont J., Knuchel S.* (Editors), *The Oxford Handbook on the Sources of International Law*, Oxford University Press, Oxford, 2017, 412-413.

⁶² *Clasmier M.*, *Arbitral Awards as Investments – Treaty Interpretation and the Dynamics of International Investment Law*, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2017, 16.

⁶³ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე *Aguas del Tunari, S.A. v. Republic of Bolivia*, ICSID Case No. ARB/02/3, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw10957_0.pdf>, [28.01.2021].

⁶⁴ *Clasmier M.*, *Arbitral Awards as Investments – Treaty Interpretation and the Dynamics of International Investment Law*, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2017, 17.

2.3. ვენის კონვენციის 33-ე მუხლი

ვენის კონვენციის 33-ე მუხლი მიემართება იმ ხელშეკრულებათა განმარტებას, რომელთა ტექსტის აუთენტურობა დადგენილია ორ ან მეტ ენაზე. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „როდესაც ხელშეკრულების ტექსტის აუთენტურობა დადგენილია ორ ან რამდენიმე ენაზე, მის ტექსტს ყოველ ენაზე თანაბარი ძალა აქვს, თუკი ხელშეკრულებით არაა გათვალისწინებული ან მისი მხარეები არ შეთანხმდნენ, რომ ამ ტექსტთა შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესი ძალა ექნება რომელიმე ერთ, განსაზღვრულ ტექსტს“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება, რომ გარდა აუთენტურად დადგენილი ხელშეკრულებებისა, მხარეებმა აუთენტურად შესაძლებელია მიიჩიონ მათ მიერ განსაზღვრული ხელშეკრულების ტექსტი.

რამდენიმე ენაზე ხელშეკრულებების ტექსტის აუთენტურობის განსაზღვრისას შესაძლოა წარმოიშვას პრობლემა, როდესაც თანაბარი აუთენტურობის ძალის მქონე ხელშეკრულებებში ტერმინებს არ აქვთ ერთნაირი მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით, ამავე მუხლის მე-4 პუნქტი გვთავაზობს გამოსავალს. თუ აუთენტურ ტექსტთა შედარებისას ვერ დადგინდა ცნებათა მნიშვნელობა 31-ე და 32-ე მუხლების შესაბამისად, მაშინ უნდა გაითვალისწინონ ხელშეკრულების საგანი და მიზანი. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (European Court of Justice – ECJ) ერთ-ერთ საქმეზე დადგინდა, რომ ცნებათა საერთო შინაარსის დასადგენად უმთავრესია სწორედ ხელშეკრულების საგანი და მიზანი.⁶⁵

აღსანიშნია, რომ 33-ე მუხლის მე-4 პუნქტი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ტექსტთა კონტექსტი სხვადასხვა ენაზე სრულიად განსხვავდება. ე.ი. როდესაც არც ნორმის შინაარსის განმარტებაა შესაძლებელი და არც ხელშეკრულების საგნისა და მიზნის განსაზღვრაც არ იძლევა სწორად განმარტების შესაძლებლობას. განსახილველი მუხლის მე-4 პუნქტი დიდ გაუგებრობას იწვევს, როგორც საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში, ისე პრაქტიკაში. საერთაშორისო სამართლის კომისიის კომენტარების მიხედვით, ყველაზე მეტად მიუღებელია იმ

⁶⁵ *Gardnier R.*, Treaty Interpretation, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2015, 315.

ხელშეკრულებისათვის უპირატესობის მინიჭება, რომელიც უფრო მკაცრ შეზღუდვებს აწესებს.⁶⁶

ზემოთ აღნიშნულიდან ნათელია, რომ ვენის კონვენციის განხილულ ნორმებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია სახელშეკრულებო სადავო ურთიერთობის გადასაწყვეტად. საარბიტრაჟო ტრიბუნალებისთვის ბუნდოვანი ნორმების განსამართად სწორედ ვენის კონვენციის დასახელებული მუხლები წარმოადგენენ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც უმეტესწილად ხორციელდება საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმათა ინტერპრეტაცია.

3. ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (NAFTA)

თავისუფალი ვაჭრობის მარეგულირებელი დოკუმენტის ცნობილ მაგალითს წარმოადგენს ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (NAFTA), რომელიც ძალაში შევიდა 1992 წელს. განსახილველი დოკუმენტის მე-11 თავი ეხება ინვესტიციების დაცვას.⁶⁷ აღნიშნული დოკუმენტი საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟში მნიშვნელოვან როლს იკავებს, რადგან იურიდიულ ლიტერატურასა თუ საინვესტიციო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებში მითითების სახით ხშირად გამოყენებულია სწორედ განსახილველი ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები.

რაც შეეხება უშუალოდ საინვესტიციო დავების გადაწყვეტის რეგულირებას, NAFTA-ს მე-11 თავის მიხედვით, შეთანხმების წევრი სახელმწიფოს ინვესტორი უფლებამოსილია, როგორც ფიზიკურ პირს, ან მის მიერ კონტროლირებადი საწარმოს

⁶⁶ *Berends W.J.*, The Interpretation of Multilingual EU Legislation, University of Utrecht, Utrecht, 2010, 20,
<https://static1.squarespace.com/static/5574a2fae4b0083487121509/t/557c444de4b072849367b050/1434207309183/Scriptieprijs2010_NVER_Berends.pdf>, [20.02.2021].

⁶⁷ *Clasmier M.*, Arbitral Awards as Investments – Treaty Interpretation and the Dynamics of International Investment Law, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2017, 28.

სახელით, დარღვეული უფლების აღსადგენად წარადგინოს საარბიტრაჟო სარჩელი⁶⁸ NAFTA-ს სხვა წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ.⁶⁹

NAFTA-ს ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობის მარეგულირებელი კომისია (Free Trade Commission - FTC).⁷⁰ იმ შემთხვევაში, თუ NAFTA-ს წევრ სახელმწიფოებს შორის წარმოიშობა დავა NAFTA-ს ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით, NAFTA-ს 1131(2)-ე მუხლის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, განმარტოს ნორმა, რომელიც სავალდებულოდ გასათვალისწინებელი იქნება.⁷¹ აღნიშნული მექანიზმი შეიმუშავა NAFTA-ს თავისუფალი ვაჭრობის მარეგულირებელმა კომისიამ 2001 წლის 31 ივლისს მიღებული დოკუმენტის საწინააღმდეგოდ,⁷² რომელიც ეხება NAFTA-ს მე-11 თავში მოცემულ ნორმების გამოყენებას. აღნიშნული წინააღმდეგობა გულისხმობს, როდესაც განიხილებოდა თავისუფალი ვაჭრობის მარეგულირებელი კომისიის მიერ თავისი უფლებამოსილების გამოყენება, ნორმის შესაცვლელად, მისი განმარტების სანაცვლოდ.⁷³ სხვაგვარად, რომ ვთქვათ, კომისიას ექნებოდა უფლებამოსილება ნორმის შინაარსის ცვლილების განსახორციელებლად.

NAFTA-ს 1131(1)-ე მუხლი საარბიტრაჟო ტრიბუნალს მიუთითებს მუხლის განმარტებას საერთაშორისო სამართლის წესების შესაბამისად, რომლებიც აშკარად

⁶⁸ *Murphy S.D.*, U.S. Interpretation of Core NAFTA Investment Standards, *The American Journal of International Law*, Vol. 95, No. 4, Cambridge University Press, Cambridge, 2001, 881.

⁶⁹ NAFTA-ს წევრი სახელმწიფოები არიან აშშ, კანადა და მექსიკა.

⁷⁰ NAFTA-ს ფარგლებში მოქმედი ორგანო თავისუფალი ვაჭრობის მარეგულირებელი კომისია დაფუძნდა 2001 წელს. კომისიის წევრები არიან NAFTA-ს წევრი სახელმწიფოების მთავრობის წარმომადგენლები.

⁷¹ *Clasmier M.*, *Arbitral Awards as Investments – Treaty Interpretation and the Dynamics of International Investment Law*, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2017, 28.

⁷² Note on NAFTA Commission's July 31, 2001, Initiative to Clarify Chapter 11 Investment Provisions, International Institute for Sustainable Development, 2001, <https://www.iisd.org/system/files/publications/trade_nafta_aug2001.pdf>, [28.01.2021].

⁷³ *McLachan C., Shore L., Weiniger M.*, *International Investment Arbitration – Substantive Principles*, *Mistelis L.* (Series Editor), Oxford International Arbitration Series, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 37.

შეიცავენ ვენის კონვენციაში მოცემულ ჩვეულებითი სამართლის წესებს. შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა სიტყვები უნდა განმარტოს კონტექსტის ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად, ხელშეკრულების ობიექტის, მიზნისა და მხარეთა შორის არსებული ვალდებულებების გათვალისწინებით.⁷⁴ მაგალითად, საარბიტრაჟო ტრიბუნალები NAFTA-ს 1105-ე მუხლის, რომელიც ეხება ინვესტორისადმი მოპყრობის მინიმალურ სტანდარტს, განმარტებისას თავდაპირველად მიმართავენ ინტერპრეტაციის ზოგად წესებს და ასევე ითვალისწინებენ NAFTA-ს მახასიათებლებს, რომელთა საფუძველზე შესაძლოა შეიზღუდოს განმარტების ფარგლები.⁷⁵ ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თავისუფალი ვაჭრობის მარეგულირებელი კომისიის მიერ მიღებული განმარტებები სავალდებულოდ გასათვალისწინებელია საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის.⁷⁶

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ, უპირველეს ყოვლისა, განმარტება უნდა იყოს გასაგები და გამჭვირვალე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არ იქნება პროგნოზირებადი და განჭვრეტადი. მეორე, განმარტების შედეგად არ უნდა განხორციელდეს კანონის უკუძალა. მესამე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნორმა არ უნდა იქნას იმგვარად განმარტებული, რომ დაირღვეს ფუნდამენტური პროცესუალური უფლებები. მაგალითად, ამგვარი შემთხვევა შესაძლებელია საარბიტრაჟო პროცესის წარმოებისას დაფიქსირდეს. პროცესუალური უფლების დარღვევამ კი შესაძლოა გავლენა

⁷⁴ *Brower H.Ch.*, Fair and Equitable Treatment under NAFTA's Investment Chapter, Proceedings of the Annual Meeting Journal, American Society of International Law, Vol. 96, No. 4, Cambridge University Press, Cambridge, 2002, 9.

⁷⁵ *McLachan C., Shore L., Weiniger M.*, International Investment Arbitration – Substantive Principles, *Mistelis L.* (Series Editor), Oxford International Arbitration Series, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 37.

⁷⁶ *Kaufmann-Kohler G.*, Interpretive Powers of the Free Trade Commission and the Rule of Law, Fifteen Years of NAFTA Chapter 11 Arbitration, Jurisnet, New York, 2011, 176, <http://arbitrationlaw.com/files/free_pdfs/titletoc15naf.pdf>, [28.01.2021].

მოახდინოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შედეგზე, რაც უარყოფითად იმოქმედებს გადაწყვეტილების სათანადოობაზე.⁷⁷

4. ვაშინგტონის საინვესტიციო დავების საერთაშორისო ცენტრის კონვენცია (ICSID)

1965 წლის ვაშინგტონის კონვენციის სახელმწიფოსა და უცხო სახელმწიფოს რეზიდენტებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ⁷⁸ საფუძველზე შეიქმნა საინვესტიციო დავების განმხილველი ცენტრი (International Centre for Settlement of Investment Disputes - ICSID). ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული დავის გადაწყვეტის მეთოდად საარბიტრაჟო განხილვა განისაზღვრა. კონვენციის პირველივე მუხლის მიხედვით, „ცენტრის ამოცანაა ხელშემკვრელი სახელმწიფოსა და სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოშობილ საინვესტიციო დავებთან დაკავშირებით არბიტრაჟის და შემათანხმებელი პროცედურის სტრუქტურების ამ კონვენციის დებულებებთან მოყვანა“.⁷⁹ საინვესტიციო დავების გადასაწყვეტად ყველაზე ხშირად გამოიყენება ICSID არბიტრაჟი, რადგან დავის გადაწყვეტის სხვა ორგანოებისგან განსხვავებით, ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება პირდაპირ სავალდებულოა სახელმწიფოსთვის.⁸⁰ საქართველო ვაშინგტონის კონვენციის ხელშემკვრელი მხარეა

⁷⁷ *Kaufmann-Kohler G.*, Interpretive Powers of the Free Trade Commission and the Rule of Law, Fifteen Years of NAFTA Chapter 11 Arbitration, Jurisnet, New York, 2011, 194, <http://arbitrationlaw.com/files/free_pdfs/titletoc15naf.pdf>, [28.01.2021].

⁷⁸ ვაშინგტონის კონვენცია სახელმწიფოსა და უცხო სახელმწიფოს რეზიდენტებს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტის შესახებ შემდეგ მოიხსენიება, როგორც - ვაშინგტონის კონვენცია.

⁷⁹ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 41-42.

⁸⁰ უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ნიუ იორკის 1958 წლის კონვენციით გათვალისწინებული პროცედურა ითვალისწინებს, რომ უცხოური

და აღნიშნული დოკუმენტი მისთვის სავალდებულო ძალის მქონე 1992 წლის 6 სექტემბრიდანაა. საქართველოს მიერ გაფორმებული თითქმის ყველა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით დავის გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებად განსაზღვრულია ICSID არბიტრაჟი.⁸¹ დღესდღეობით საქართველოს მონაწილეობით ICSID არბიტრაჟის მიერ განხილულია 8 საქმე, ხოლო განხილვის პროცესშია 4 საქმე.⁸²

ICSID არბიტრაჟმა საქმე რომ განიხილოს, ამისათვის აუცილებელია, არსებობდეს სამართლებრივი დავა, რომელიც წარმოიშვა ინვესტიციასთან დაკავშირებულ თემაზე ვაშინგტონის კონვენციის ხელშემკვრელი მონაწილე სახელმწიფოსა - ან მისი ერთეულის - და სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს უცხოელ ინვესტორს შორის. ამასთან, უნდა არსებობდეს მხარეთა შორის შეთანხმება, რომ თავიანთი დავა განსახილველად დაუქვემდებარონ ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალს.⁸³ ⁸⁴ მაგალითად, ხელშემკვრელი მხარის ფიზიკური პირის

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იმ ქვეყნის ეროვნული სასამართლო, სადაც უნდა აღსრულდეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იხ. Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, მიღების თარიღი: 10/06/1958, ძალაში შესვლის თარიღი: 07/07/1959, <https://newyorkconvention1958.org/index.php?lvl=cmspage&pageid=10&menu=866&opac_view=-1>, [20.02.2021].

⁸¹ საქართველოს უმრავლესი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები დავის გადაწყვეტის საშუალებად, ალტერნატიულად, ასევე ითვალისწინებენ სპეციალურ საარბიტრაჟო ტრიბუნალს, რომელიც უნდა შეიქმნას გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად.

⁸² იხ. ICSID არბიტრაჟის მიერ საქართველოს მონაწილეობით განხილული საქმეები: <<https://icsid.worldbank.org/en/Pages/cases/AdvancedSearch.aspx>>, [19.02.2021].

⁸³ *Rubino-Sammartano M.*, International Arbitration Law and Practice, 3rd Edition, JurisNet, New York, 2014, 1553.

⁸⁴ აგერთვე, საინტერესოა, რომ ვაშინგტონის კონვენციის 46-ე მუხლი ითვალისწინებს დავის წარმოებისას დამატებითი სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას, თუ აღნიშნული კავშირშია მიმდინარე დავასთან. მაგალითად, საქმეზე *Itera International Energy LLC and Itera Group NV v. Georgia* (ICSID Case No. ARB/08/7) (Itera წარმოადგენდა გაზის მიმწოდებელ კომპანიას საქართველოში. მხარეთა შორის თანამშრომლობის დაწყების შემდეგ,

ნაციონალობასთან დაკავშირებით აღსანიშნია საქმე ბიძინა ივანიშვილი საქართველოს წინააღმდეგ.⁸⁵ წინამდებარე დავაზე გამოსაყენებელ ხელშეკრულებად განსაზღვრული იყო საფრანგეთსა და საქართველოს შორის არსებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება.⁸⁶ 2012 წელს სარჩელის წარდგენისას ბიძინა ივანიშვილი წარმოადგენდა საფრანგეთის მოქალაქეს და შესაბამისად მას უფლებამოსილება ჰქონდა სარჩელი წარედგინა აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე. თუმცა, დავის წარმოებისას მოსარჩელემ მიიღო საქართველოს მოქალაქეობა და შესაბამისად წარადგინა განცხადება ICSID-ში დავის შეწყვეტის თაობაზე.⁸⁷

აგრეთვე, იურისდიქციის განსასაზღვრად ინვესტიციის არსებობასთან დაკავშირებით საინტერესოა საქმეზე *Zhinvali Development Ltd. v. Republic of Georgia* საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ დაადგინა იურისდიქცია იმ თვალსაზრისით, რომ ინვესტიციის ცნების ფარგლებში ვერ ექცეოდა სადავო საკითხი. კერძოდ, მოსარჩელე კომპანიას უნდა განეხორციელებინა პროექტი ჟინვალის წყალსაცავთან

საქართველოს მიერ დაგროვილი დავალიანება შეადგენდა 70 მილიონ ლარზე მეტს, რის საფუძველზეც წარდგენილ იქნა სარჩელი). მოსარჩელების მიერ წარდგენილ იქნა დამატებითი სარჩელი სხვა არსებული შეთანხმების საფუძველზე. არბიტრაჟმა არ დაუშვა აღნიშნული, თუმცა არბიტრმა ფრანსისკო ორეგო ვიკუნამ დააფიქსირა განსხვავებული აზრი და აღნიშნა, რომ შეთანხმება, რომლის საფუძველზეც უნდა წარდგენილიყო სარჩელი დაკავშირებული იყო განსახილველ დავასთან. იხ. Dissenting Opinion of Professor Francisco Orrego Vicuña, 04/09/2009, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0438.pdf>>, [22.02.2021].

⁸⁵ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2012 წლის 10 დეკემბრის ბრძანება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ საქმეზე Bidzina Ivanishvili v. Georgia, ICSID Case No. ARB/12/27, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw1185.pdf>>, [21.02.2021].

⁸⁶ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 03/02/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 13/04/2000, UNCTAD.

⁸⁷ ტაკაშვილი ს., უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან, იურისტების სამყარო, თბილისი, 2020, 40.

დაკავშირებით. თუმცა, პროექტი ვერ განხორციელდა, რადგან აღნიშნული საქართველოს მიერ არ დაფინანსდა მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება ამის შესახებ არსებობდა. შესაბამისად, კომპანიამ წარადგინა სარჩელი გაწეული მოსამზადებელი სამუშაოსთვის, მიუღებელი შემოსავლისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით. მხარეებს გამოსაყენებელ სამართლად განსაზღვრული ჰქონდათ ქართული კანონმდებლობა. შესაბამისად, ტრიბუნალმა გამოიყენა საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ და დაადგინა, რომ აღნიშნულით განსაზღვრული მხარეთა შორის არსებული დავა ვერ თავსდება ინვესტიციის ცნების ფარგლებში.⁸⁸ კერძოდ, აღნიშნული კანონის თანახმად, „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში”.⁸⁹ იმის გათვალისწინებით, რომ ინვესტიცია ფაქტობრივად არ განხორციელებულა, შესაბამისად ICSID არბიტრაჟის იურისდიქცია არ დადგინდა.

აღსანიშნია, ასევე, რომ ვაშინგტონის კონვენციით გათვალისწინებულია წესები დამატებითი საშუალებების შესახებ (Additional Facility Rules).⁹⁰ ეს უკანასკნელი მიმართულია ისეთი შემთხვევების რეგულირებისკენ, როდესაც დავა არ აკმაყოფილებს ICSID-ის არბიტრაჟით განხილვისათვის შესაბამის წინაპირობებს. აღნიშნული წესების მიხედვით, აუცილებელი არ არის, მასპინძელი სახელმწიფოც და ინვესტორის სახელმწიფოც, წარმოადგენდნენ ხელშემკვრელ მხარეებს. ეს რეგულირება განსხვავდება ვაშინგტონის კონვენციის მოწესრიგებისგან, სადაც დავის

⁸⁸ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2013 წლის წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Zhinvali Development Ltd. v. Republic of Georgia, ICSID Case No. ARB/00/1, para. 375, para. 432, <<https://jsumundi.com/en/document/decision/en-zhinvali-development-ltd-v-republic-of-georgia-award-friday-24th-january-2003>>, [22.02.2021].

⁸⁹ საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, მიღების თარიღი: 12/11/1996, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 1.

⁹⁰ ICSID Additional Facility Rules, მიღების თარიღი: 29/09/2002, ძალაში შესვლის თარიღი: 01/01/2003, <http://icsidfiles.worldbank.org/icsid/icsid/staticfiles/facility/AFR_English-final.pdf>, [28.01.2021].

ორივე მხარე - ინვესტორის სახელმწიფო და მიმღები სახელმწიფო - კონვენციის წევრი უნდა იყოს. მათ შორის კიდევ ერთი განსხვავება ისაა, რომ წესები დამატებითი საშუალებების შესახებ არ მიემართება მხოლოდ ინვესტიციებს. წესები ფარავს ასევე გარიგებებს, რომლებიც ჩვეულებრივი კომერციული ხელშეკრულებების ხასიათს ცდებიან. უნდა აღინიშნოს, რომ ICSID-ის *Ad hoc*⁹¹ კომიტეტს არ ექვემდებარება წესები დამატებითი საშუალებების შესახებ და მათ საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები შესაძლოა გასაჩივრდეს ადგილობრივი წარმოების სასამართლოში.⁹²

ICSID არბიტრაჟის იურისდიქციის დადგენისას კონვენციის მოწესრიგების ყველაზე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს 25(1)-ე მუხლში მოცემული ინვესტიციის ცნების განმარტება. აღნიშნულით გათვალისწინებულია, რომ „ცენტრს გააჩნია იურისდიქცია ნებისმიერ დავაზე, რომელიც წარმოშობილია ინვესტიციიდან...“. ამ პუნქტის განმარტებისას, შემოთავაზებულია დაშვება, რომ დავის მხარეებს მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება განსაზღვრონ ინვესტიციების მნიშვნელობა 25(1)-ე მუხლის საფუძველზე. უმჯობესი იქნებოდა ტერმინი ინვესტიცია საერთოდ არ მოექცეს განსახილველი მუხლის რეგულირების ფარგლებში, რადგან ამის შედეგად არ იქნებოდა შესაძლებელი ცნების ვიწრო შინაარსით განმარტება. უნდა არსებობდეს კონტროლის გარკვეული მექანიზმი ინვესტიციის ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებით. კონვენციას მიერთებულ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ მინიჭებული უფლებამოსილება, რომ განმარტონ ინვესტიციის „მინიმალური შინაარსი“.

ამგვარი სიტუაცია იწვევს რთულ პრაქტიკულ პრობლემას. კერძოდ, ვაშინგტონის კონვენციის 54-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ წევრი

⁹¹ „არბიტრაჟი, რომლის ადმინისტრირებაც არ ხდება საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ. *Ad hoc* არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეებს თავად უწევთ არბიტრაჟის ყველა ასპექტის, მათ შორის: არბიტრთა რაოდენობის, მათი არჩევის/დანიშვნის წესის, გამოსაყენებელი საარბიტრაჟო წესების, არბიტრის ადგილის განსაზღვრა“. წყარო: *ინჯია ბ., ლაპიაშვილი ნ., არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 12.*

⁹² *Rubino-Sammartano M.*, International Arbitration Law and Practice, 3rd Edition, JurisNet, New York, 2014, 1556.

სახელმწიფოები, მასპინძელი თუ ინვესტორის სახელმწიფო, კისრულობენ ვალდებულებას, რომ ადასრულონ ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებული ICSID-ის ნებისმიერი გადაწყვეტილება. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ არ იქნება ინვესტიციის ცნების განმარტების მინიმალური შინაარსი განსაზღვრული, ეს უკარგავს მნიშვნელობას ICSID-ს, როგორც გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს.

შესაბამისად, ვაშინგტონის კონვენციის 25(1)-ე მუხლის ფარგლებში უნდა არსებობდეს მხარეთა მოქმედების თავისუფლების შემზღუდავი ფარგლები. ამასთან, შეზღუდვა უნდა იყოს ობიექტურად დადგენილი და არ უნდა იყოს შეზღუდული არბიტრთა შეხედულებისამებრ თითოეული დავაში.⁹³

„სუბიექტური“ მიდგომის⁹⁴ მხარდამჭერებიც 25(1)-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით თანხმდებიან, რომ უნდა არსებობდეს ინვესტიციის განმარტების უფრო ფართო ფარგლები. ე.ი. გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი გარემოებებიც, რომელთა თანახმად მხოლოდ მხარეთა შეთანხმება არ იქნება განმსაზღვრელი ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციის დასადგენად.⁹⁵ განსახილველი მიდგომის მიხედვით, ტრიბუნალის უფლებამოსილება ინვესტიციის ცნების განმარტებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად იზღუდება. აღნიშნული კი, ერთი მხრივ, გამოიწვევს მხარეთა ნების უკონტროლობას და, მეორე მხრივ, არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის ორგანოს კომპეტენციის დაუსაბუთებლად შეზღუდვას.

აგრეთვე, პრობლემა ისაა, რომ არბიტრები აირჩევიან მხარეთა ნების შესაბამისად. აღნიშნული კი მათ შესაძლებლობას აძლევს აარჩიონ არბიტრები მათ მიერ განვითარებული მიდგომების საფუძველზე. მათ შორის, კონვენციის 25(1) მუხლში მოცემული ინვესტიციის ცნებასთან მიმართებით. მიუხედავად ამისა,

⁹³ *Cole T.*, *The Structure of Investment Arbitration*, Routledge Tony & Francis Group, London, New York, 2013, 20.

⁹⁴ ეს გულისხმობს, რომ ინვესტიციის ცნება განმარტება იმ საინვესტიციო ხელშეკრულებიდან, რაც მხარეთა შორის არის გაფორმებული. თუ რა მიიჩნევა ინვესტიციად უმთავრესად დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე და არა სხვა ეკონომიკურ თუ სამართლებრივ თეორიებზე.

⁹⁵ *Cole T.*, *The Structure of Investment Arbitration*, Routledge Tony & Francis Group, London, New York, 2013, 20.

არბიტრები მაქსიმალურად ცდილობენ თავიდან იქნას აცილებული მხარეთა ძალაუფლება ნორმის განმარტებისას. შესაბამისად, ტრიბუნალის მიერ დეფინიციის დადგენისას, არბიტრები ითვალისწინებენ სახელმწიფოთა მიერ დადგენილ შეზღუდვებს მხარეთა მიერ ინვესტიციების განსაზღვრებისას.⁹⁶

ICSID არბიტრაჟი გამოცდილების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ნორმის ინტერპრეტაციისას მხოლოდ ვერ დაეფუძნება მხარეთა მიერ გაფორმებულ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებაში მოცემულ ინვესტიციის განმარტებას. ამ შემთხვევაში შედეგად მივიღებთ, რომ მხარეთა გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული ინვესტიციის განმარტება და შესაბამისად ნებისმიერი განსაზღვრების ფარგლებში დაექვემდებარება დავა ICSID არბიტრაჟს. ამგვარ სიტუაციაში კი, ცენტრის კომპეტენციაც დავის გადაწყვეტის თვალსაზრისით დაკნინდება.⁹⁷

ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ შეემუშავებინათ ინვესტიციის განმარტებისთვის შეფასების ტესტი. თავდაპირველად მივიდნენ დასკვნამდე, რომ ცნების ობიექტური განმარტება იქნებოდა ყველაზე ხელსაყრელი. განმარტების აღნიშნული ტესტი პირველად გამოიყენეს საქმეზე *Fedax N.V. v. The Republic of Venezuela*.⁹⁸ მაგრამ, ობიექტური ტესტის უფრო რაფინირებული

⁹⁶ *Cole T.*, *The Structure of Investment Arbitration*, Routledge Tony & Francis Group, London, New York, 2013, 20.

⁹⁷ *Grabowski A.*, *The Definition of Investment under the ICSID Convention: A Defence of Salini*, Vol. 15, No. 1, Article 13, *Chicago Journal of International Law*, The University of Chicago, Chicago, 2014, 289.

⁹⁸ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 1998 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Fedax N.V. v. The Republic of Venezuela*, ICSID Case No. ARB/96/3, paras. 29-36, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0316_0.pdf>, [28.01.2021].

მიდგომა პირველად დაასაბუთეს საქმეში *Salini et. al v. Marocco*.⁹⁹ სალინის ტესტის¹⁰⁰ მიხედვით ინვესტიციას უნდა ჰქონდეს ოთხი ელემენტი: 1. ინვესტიციის განხორციელება ფულის ან ქონების სახით; 2. გარკვეული ხანგრძლივობა;¹⁰¹ 3. რისკის ელემენტი; ¹⁰² 4. მასპინძელი სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა. სალინის ტესტი მრავალ საქმეში გამოიყენეს, თუმცა რამდენიმე საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განხვავებული მიდგომა განავითარა. ეს უკანასკნელი პუნქტი ყველაზე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს, რადგან აღნიშნული განისაზღვრება ტრიბუნალების მიერ ყოველ კონკრეტულ საქმეზე. მაგალითად, Deutsche Bank-მა გამოთქვა მოსაზრება, რომ სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის განმარტება პრაქტიკულად ძალიან რთულია, რადგან ყველა სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა დონე აქვს. უფრო განვითარებული სახელმწიფოს

⁹⁹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2001 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე *Salini Constructions S.P.A. and Italstrade S.P.A. v. Kingdom of Marocco*, ICSID Case No. ARB/00/4, paras. 43-64, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0738.pdf>>, [28.01.2021].

¹⁰⁰ იმის გათვალისწინებით, რომ ინვესტიციის განსაზღვრის ობიექტური მიდგომა განავითარეს საქმეზე *Salini et. al v. Marocco*, ამიტომ არსებული მიდგომა სალინის ტესტად არის წოდებული ICSID არბიტრაჟში ინვესტიციის განმარტებისთვის.

¹⁰¹ ინვესტიციად მიჩნევსათვის მისაღები ხანგრძლივობა ორიდან ხუთ წლამდეა, თუმცა მინიმალური ხანგრძლივობის აღნიშნული ოდენობა არ არის მკაცრად დადგენილი. წყარო: *გოშხეთელიანი ნ.*, უცხოური ინვესტიციის დაცვის სტანდარტები და ექსპროპრიაციის მართლზომიერება ქართული კანონმდებლობისა და საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2019, 12, <<https://openscience.ge/bitstream/1/1003/1/samagistro%20goshkhetheliani.pdf>>, [21.02.2021].

¹⁰² რისკის კრიტერიუმი განიმარტება, როგორც დაშვება იმისა, რომ რაიმე მოვლენას უარყოფითი გავლენა ექნება პირზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრიტერიუმის მიზანი ინვესტიციისა და ტრადიციული კომერციული ხელშეკრულების გამიჯვნაა. წყარო: *გოშხეთელიანი ნ.*, უცხოური ინვესტიციის დაცვის სტანდარტები და ექსპროპრიაციის მართლზომიერება ქართული კანონმდებლობისა და საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2019, 12, <<https://openscience.ge/bitstream/1/1003/1/samagistro%20goshkhetheliani.pdf>>, [21.02.2021].

წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელისას, იურისდიქციის დასადგენად შეფასების უფრო მაღალი კრიტერიუმები იქნება საჭირო.¹⁰³

საქმეზე *Quiborax v. Bolivia*¹⁰⁴ ტრიბუნალმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ ინვესტიციად მიჩნევისათვის რამდენად აუცილებელია სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა. მაგალითად, კიდევ ერთ საქმეზე *Malaysian Historical Salvors v. Malaysia*¹⁰⁵ ტრიბუნალმა შეფასების ტესტიდან არ გაითვალისწინა სიტყვა „მნიშვნელოვანი“, როდესაც უნდა განესაზღვრა ინვესტორის მიერ შეტანილი წვლილი მასპინძელი სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში.

დღესდღეობით ცენტრის ტრიბუნალები ჰიბრიდულ მიდგომას (ე.წ. ფართო განმარტება) ანიჭებენ უპირატესობას. აღნიშნულის თანახმად, არბიტრები ითვალისწინებენ როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ მიდგომებს. ამ შემთხვევაში ტრიბუნალები თავდაპირველად განსაზღვრავენ ინვესტიციას კონვენციის შესაბამისად (ობიექტური მიდგომა) და შემდეგ ადგენენ მხარეთა შორის არსებული შეთანხმება რაიმე შეზღუდვას ხომ არ ითვალისწინებს (სუბიექტური მიდგომა).¹⁰⁶ ამგვარი მიდგომა გამოიყენეს საქმეზე *Autopista Concesionada de Venezuela, C.A. v. Bolivarian Republic of Venezuela*.¹⁰⁷ ავტომაგისტრალის მშენებლობის შესახებ

¹⁰³ *Exelbert J.M.*, Consistently Inconsistent: What Is a Qualifying Investment under Article 25 of the ICSID Convention and Why the Debate Must End, *Fordham Law Review*, Vol. 85, Issue 3, Article 12, Fordham Law School, New York, 2016, 1259.

¹⁰⁴ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Quiborax S.A., Non Metallic Minerals S.A. and Allan Fosk Kaplún v. Plurinational State of Bolivia*, ICSID Case No. ARB/06/2, paras. 228-237, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw1098.pdf>>, [28.01.2021].

¹⁰⁵ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Malaysian Historical Salvors, SDN, BHD v. The Government of Malaysia*, ICSID Case No. ARB/05/10, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0496.pdf>>, paras. 54-146, [28.01.2021].

¹⁰⁶ *Walid B.H.*, *The Mihaly and Sri Lanka Case: Some Thoughts Relating to the Status of Pre-Investment Expenditures*, *International Investment Law and Arbitration*, Cameron May Ltd, London, 2005, 55.

¹⁰⁷ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2001 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Autopista Concesionada de Venezuela, C.A.*

ხელშეკრულებით მხარეებს გათვალისწინებული ჰქონდათ, რომ განხორციელებული საქმიანობა მიაჩნდათ ინვესტიციად გაწეული რესურსისა და სამუშაოების ხანგძლივობიდან გამომდინარე. ტრიბუნალმა მხარეთა მიერ განსაზღვრული განმარტება სრულად მიზანშეწონილად მიიჩნია, რაც თავსდება კონვენციის 25-ე მუხლის ფარგლებში.¹⁰⁸

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ICSID ტრიბუნალები ვაშინგტონის კონვენციის 25(1) მუხლში მოცემული ინვესტიციის ცნების განსასაზღვრად იყენებენ ვენის კონვენციას, როგორც უნივერსალურ ინსტრუმენტს საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმების განსამარტად.¹⁰⁹ ვენის კონვენციით გათვალისწინებული პრინციპები საყურადღებოა, რადგან ეს უზრუნველყოფს ტრიბუნალების მიერ ნორმის განმარტების გარკვეულ ფარგლებში მოქცევას. ამასთან, დავის მხარეებს უფრო მეტი ნდობა შეექმნებათ იურისდიქციის დადგენისას, რადგან ექნებათ მეტი გარანტია იმისა, რომ ნორმა განმარტება კეთილსინდისიერად, ჩვეულებრივი მნიშვნელობის, ხელშეკრულების კონტექსტიდან, ობიექტიდან და მიზნებიდან გამომდინარე.

v. Bolivarian Republic of Venezuela, CSID Case No. ARB/00/5, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw6352.pdf>>, paras. 95-140, [28.01.2021].

¹⁰⁸ *Walid B.H.*, The Mihaly and Sri Lanka Case: Some Thoughts Relating to the Status of Pre-Investment Expenditures, International Investment Law and Arbitration, Cameron May Ltd, London, 2005, 56.

¹⁰⁹ *Exelbert J.M.*, Consistently Inconsistent: What Is a Qualifying Investment under Article 25 of the ICSID Convention and Why the Debate Must End, Fordham Law Review, Vol. 85, Issue 3, Article 12, Fordham Law School, New York, 2016, 1259.

5. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები

საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი ეხება პირდაპირ და მცირედით არაპირდაპირ ინვესტიციებს, ასევე საზღვარგარეთ არსებული საკუთრების პორტფოლიო ინვესტიციებს.¹¹⁰ აღნიშნულის მთავარ მონაწილეებს წარმოადგენენ კაპიტალის ექსპორტიორი სახელმწიფოები (ე.ი. ინვესტორი სახელმწიფოები), კაპიტალის იმპორტიორი სახელმწიფოები (ე.ი. მასპინძელი სახელმწიფოები) და კერძო უცხოელი ინვესტორები. მნიშვნელოვანი საკითხია მასპინძელ სახელმწიფოში მოპყრობის სტანდარტები, განსაკუთრებით ინვესტიციის დაცვა და დავის გადაწყვეტა. ამავე დროს, უკანასკნელი წლების განმავლობაში ეკონომიკის გლობალიზაციამ წამოჭრა მრავალი საკითხი, მათ შორის ბაზრის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით (ე.ი. ბაზარზე ხელიმისაწვდომობასა და უფლებების დადგენის თაობაზე).

როგორც წესი, საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი უმეტესწილად დაკავშირებულია კაპიტალის შედინებაზე განვითარებული სახელმწიფოდან განვითარებად სახელმწიფოში. თუმცა, ბოლო დროის განმავლობაში ყველა სახელმწიფო ცდილობს¹¹¹ უცხოური ინვესტიციის¹¹² მოზიდვას, რაც უმნიშვნელოვანესია მზარდი ეკონომიკის ქვეყნისთვის. აღნიშნულის ნათელი მაგალითია საქართველო, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს უცხოური ინვესტიციების მიმზიდველობის თვალსაზრისით. საინვესტიციო კლიმატი

¹¹⁰ იხ. ინვესტიციის ცნების შესახებ ვრცლად: *Sasson M.*, Substantive Law in Investment Treaty Arbitration – The Unsettled Relationship between International and Municipal Law, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 27-50.

¹¹¹ *Ziegler A., Asif Q.*, International Economic Law, 3rd Edition, Thomson Reuters, London, 2011, 490.

¹¹² იხ. უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებთან დაკავშირებით საერთაშორისო კანონშემოქმედების მიმოხილვა: *Strik Ph.*, Shaping the Single European Market in the Field of Foreign Direct Investment, Hurt Publishing, Oxford, Portland, 2014, 17-20; იხ. ევროკავშირის სამართლის მიხედვით უცხოური ინვესტიციის განმარტების შესახებ ვრცლად: *Dimopoulos A.*, EU Foreign Investment Law, Oxford University Press, Oxford, 2011, 36-49.

საქართველოში ძალიან ხელსაყრელია, რადგან არსებული მექანიზმები ორიენტირებულია ინვესტორების მხარდაჭერაზე.¹¹³

საინვესტიციო ურთიერთობების მასშტაბურობის მიუხედავად, საინვესტიციო ხელშეკრულებები ძირითადად ორმხრივი და არა მრავალმხრივი ფორმით იდება.¹¹⁴ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების მოწესრიგება¹¹⁵ უმეტესწილად მსგავსია, მიუხედავად მათი დიდი ოდენობისა. ხელშეკრულებები ძირითადად იწყება პრემბულით, სადაც გამოხატულია სახელმწიფოთა მისწრაფება, მხარეთა შორის ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობის, კერძო კაპიტალის გადინების წახალისებისა და აღნიშნულისთვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად.¹¹⁶

საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები კომპლექსური საინვესტიციო ურთიერთობების რეგულირების ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს.¹¹⁷ პირველი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება დაილო გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და პაკისტანს შორის 1959 წელს.¹¹⁸ მას შემდეგ გერმანიამ მრავალი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება გააფორმა, რასაც მოჰყვა საფრანგეთისა და შვეიცარიის მიერ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების დადება. ეს უკანასკნელი სრულიად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და აშშ-ის უცხოური ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი შეიქმნა. დღესდღეობით დადებულია სამი ათასამდე ორმხრივი

¹¹³ Doing Business 2019, A World Bank Group Flagship Report, 16th Edition, The World Bank, Washington D.C., 2019, 5, <<https://bit.ly/367YlQI>>, [29.01.2021].

¹¹⁴ Ziegler A., Asif Q., International Economic Law, 3rd Edition, Thomson Reuters, London, 2011, 490.

¹¹⁵ იხ. დამატებით ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ზოგადი დახასიათების შესახებ: *Brown Ch.*, Introduction: The Development and Importance of the Model Bilateral Investment Treaty, in: *Brown Ch.* (Editor), Commentaries on Selected Model Investment Treaties, Oxford University Press, Oxford, 2013, 1-11.

¹¹⁶ Lowenfeld A., International Economic Law, Oxford University Press, Oxford, 2008, 555.

¹¹⁷ ცერცვაძე გ., შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 9.

¹¹⁸ იხ. პაკისტანსა და გერმანიას შორის დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების შესახებ ვრცლად: *Tams J. Ch., Tiede Ch.* (Editors), Documents in International Economic Law – Trade, Investment, and Finance, Oxford University Press, Oxford, 2012, 361-365.

საინვესტიციო ხელშეკრულება. საქართველოს მიერ გაფორმებულია ორმოცამდე საინვესტიციო ხელშეკრულება (აღნიშნულიდან რამდენიმე დღესდღეობით ძალაში არ არის შესული. მაგალითად, იაპონიასთან, თურქეთთან და ეგვიპტესთან გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებები).¹¹⁹ სახელმწიფოთა მიერ გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ყველა კონტინენტს ფარავს.¹²⁰

იმის გათვალისწინებით, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ყველა კონტინენტზეა გავრცელებული, ჰიპოთეტურად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ერთად ექცევა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ჭრილში.¹²¹ ამასთან, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების წესების აღქმა დროის გასვლასთან ერთად იცვლება.¹²² ინვესტორთა მიმართ სახელმწიფოთა მხრიდან მრავალი განსხვავებული მიდგომის მიუხედავად, ზოგადად აღიარებულია, რომ მასპინძელმა სახელმწიფოებმა არ უნდა განახორციელონ დისკრიმინაცია უცხოელ ინვესტორთა შორის და მათ წინააღმდეგ.¹²³ ისინი ასევე შესაბამისობაშია ე.წ. კალვო დოქტრინასთან (Calvo Doctrin), რომელიც განვითარდა არგენტინელი *Carlos Calvo*-ს (1824-1906) მიერ. აღნიშნული დოქტრინა დიდი ხნის განმავლობაში მხარდაჭერილი იყო ლათინურ ამერიკაში. მისი შეხედულების მიხედვით, საინვესტიციო ხელშეკრულების გათვალისწინებით უცხოელ ინვესტორებს უნდა მოპყრობოდნენ ადგილობრივი ინვესტორების მსგავსად (ასევე, დავის გადაწყვეტის საშუალებების თანაბარი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით).¹²⁴

¹¹⁹ იხ. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების სტატისტიკის შესახებ: <<https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements/countries/77/georgia>>, [29.01.2021].

¹²⁰ *Lowenfeld A.*, International Economic Law, Oxford University Press, Oxford, 2008, 554.

¹²¹ *Lowenfeld A.*, International Economic Law, Oxford University Press, Oxford, 2008, 584.

¹²² *Lowenfeld A.*, International Economic Law, Oxford University Press, Oxford, 2008, 554.

¹²³ ამგვარი მიდგომა ექცევა უპირატესი ხელშეწყობის და ეროვნული მოპყრობის პრინციპების ფარგლებში. აღნიშნული დეტალურად განხილულია წინამდებარე ნაშრომის თავში: “საინვესტიციო სამართლის სტანდარტები, როგორც საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებისას გამოსაყენებელი პრინციპები”.

¹²⁴ *Ziegler A., Asif Q.*, International Economic Law, 3rd Edition, Thomson Reuters, London, 2011, 506.

საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები შეიცავენ სხვადასხვა რეგულირებას უცხოელ ინვესტორსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. მათ შორისაა, ნორმები რომლებიც არეგულირებენ ნებართვის გაცემას ინვესტიციის დასაწყებად, სექტორისთვის დამახასიათებელი გამონაკლისები, ნორმები რომელთა საშუალებით მასპინძელი სახელმწიფოები გავლენას ახდენენ საინვესტიციო დავებსა და დაცვის სტანდარტებზე.

საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების ყველაზე მსუბუქი მოწესრიგება ეხება ნებართვის გაცემას ინვესტიციის დასაწყებად.¹²⁵ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ღია ქვეყანაა მსოფლიოში უცხოური კაპიტალის შემოდინების თვალსაზრისით. ასევე, საქართველო მსოფლიოს მასშტაბით მოწინავე პოზიციას იკავებს უცხოური შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოთათვის რეგისტრაციის სიმარტივითა და ამის განსახორციელებლად განსაზღვრული პერიოდის მიხედვით.¹²⁶ საქართველოში ბიზნესის დასაწყებად გათვალისწინებულია 4 დღე.¹²⁷ საქართველო ასევე ლიდერია მსოფლიოში ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურების მიხედვითაც.¹²⁸

ინვესტიციების შესახებ ნებართვის გაცემა როგორც წესი რეგულირებულია მასპინძელი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით. აღნიშნული შესაძლებლობას უქმნის მასპინძელ სახელმწიფოს, რომ არ დაირღვეს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი პრინციპები. მაგალითად, აშშ-ს და კანადის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ

¹²⁵ *Markert L.*, The Crucial Question of Future Investment Treaties: Balancing Investor's Rights and Regulatory Interests of Host States, in: *Bungenberg M., Griebel J., Hindelang S.* (Editors), *European Yearbook of International Economic Law*, Springer, Berlin, Heidelberg, 2011, 151.

¹²⁶ *Doing Business 2019*, A World Bank Group Flagship Report, 16th Edition, The World Bank, Washington D.C., 2019, 5, <<https://bit.ly/367YlQI>>, [29.01.2021].

¹²⁷ დარეგისტრირება 4 პროცედურას მოიცავს, რომელთაგან თითოეულის დამუშავება ერთ დღეშია შესაძლებელი: 1. საზღვარგარეთ არსებული მშობელი კომპანიის დოკუმენტაციის ავტორიზაცია; 2. სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდა; 3. კომპანიის დარეგისტრირება და შესაბამისი კოდების მიღება; 4. ბანკში კორპორაციული ანგარიშის გახსნა.

¹²⁸ *Doing Business 2019*, A World Bank Group Flagship Report, 16th Edition, The World Bank, Washington D.C., 2019, 5, <<https://bit.ly/367YlQI>>, [29.01.2021].

შეთანხმებებიც კი, როგორც წესი, შეიცავენ რეგულაციებს, რომ ინვესტიციის დაწყებისას ინვესტორის უფლებები სათანადოდ იქნას უზრუნველყოფილი. მაგრამ, ამასთან საინტერესოა ის გარემოება, რომ პოტენციური ინვესტორების მიერ განსახორციელებელი ინვესტიციების არეალი შესაძლოა ითვალისწინებდეს მრავალ გამონაკლისს. მაგალითად, ინვესტორებს შესაძლოა შეზღუდული ჰქონდეთ საარბიტრაჟო პროცესის ინიცირების უფლებამოსილება, ინვესტიციის დაწყებასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელების თაობაზე. მსგავსი შემთხვევის მაგალითად შესაძლოა დასახელდეს კანადის საინვესტიციო აქტით გათვალისწინებული რეგულირება, რომლის მიხედვით ინვესტიციის დაშვებამდე მოთხოვნილია შემოწმების ვრცელი ტესტი. ამასთან, შესაძლოა გათვალისწინებული იყოს გამონაკლისები სექტორებისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამო. ზოგიერთი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულება აწესებს, რომ არსებითი დაცვა არ განხორციელდება გადახდის, სახელმწიფო დახმარებისა და ფინანსური მომსახურების რეგულაციებთან დაკავშირებით.¹²⁹

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ითვალისწინებენ ვალდებულებებს მასპინძელი სახელმწიფოსთვის უცხოელ ინვესტორებთან მიმართებით. ზოგიერთი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება უდგენს მასპინძელ სახელმწიფოებს, რომ უფრო თავისუფალი გახადონ თავიანთი ბაზარი. აღნიშნული ვალდებულების საშუალებით საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები უწესებს მასპინძელ სახელმწიფოს მოქმედ და პოტენციურ პასუხისმგებლობას. ასევე, ახდენს ძირეულ გავლენას სამრეწველო და სხვა საჯარო პოლიტიკის განვითარებასა და განხორციელებაზე.

ამასთან, უცხოელ ინვესტორებს აღჭურავენ უფლებით, რომ სახელმწიფოს მხრიდან დარღვეული უფლებები აღიდგინონ საინვესტიციო არბიტრაჟის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებაში არ არის მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, სირთულეს წარმოადგენს სახელმწიფოებისთვის. ეს გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფოები ვერ

¹²⁹ *Markert L.*, The Crucial Question of Future Investment Treaties: Balancing Investor's Rights and Regulatory Interests of Host States, in: *Bungenberg M., Griebel J., Hindelang S.* (Editors), *European Yearbook of International Economic Law*, Springer, Berlin, Heidelberg, 2011, 151.

განსაზღვრავენ თუ რომელი არბიტრაჟი განიხილავს მათ წინააღმდეგ წარმოებულ დავას. ეს კი ტოვებს სახელმწიფოებს დაუცველს საარბიტრაჟო ტრიბუნალების გაუთვალისწინებელ განმარტებასთან და შედეგებთან.¹³⁰ თუმცა, მნიშვნელოვანი მიდგომა განავითარა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე *Saluka Investment BV (The Netherlands) v. The Czech Republic*.¹³¹ ტრიბუნალმა განმარტა, რომ „ხელშეკრულება არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ სახელმწიფოს დაეკისროს ჯარიმა ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისას, როდესაც ინვესტორი, როგორც წესი, ითხოვს ზიანის ანაზღაურებას სახელმწიფო სასამართლოებისგან“.¹³²

სახელმწიფოებმა საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების გაფორმებისას წინდახედულობით უნდა განსაზღვრონ ხელშეკრულების ნორმები. სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვანია რომ გადახედონ არსებულ ხელშეკრულებებს და იმოქმედონ სათანადოდ გაურკვეველი და ბუნდოვანი ნორმების განსამარტად, რათა ხელშეკრულების ტექსტში ზუსტად ჩანდეს სახელმწიფოთა განზრახვა. არსებულ ხელშეკრულებებთან მიმართებით სახელმწიფოებს გააჩნიათ სამი არჩევანი: 1. ხელშეკრულების შეწყვეტა; 2. მოლაპარაკების გამართვა ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით (ან არსებული ხელშეკრულების ახლით ჩანაცვლება); 3. ხელშეკრულების მხარეთა მიერ ნორმების განმარტება, რაც საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა უნდა გაითვალისწინონ ხელშეკრულებების ინტერპრეტაციისას.

მიუხედავად იმისა, რომ სამივე საშუალება სტრატეგიის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია, მესამე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. იგი წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას სახელმწიფოებო ვალდებულებებზე

¹³⁰ *Razbaeva M., Johnson L., State Control over Interpretation of Investment Treaties*, Columbia Center on Sustainable International Investment, Columbia University, New York, 2014, <http://ccsi.columbia.edu/files/2014/04/State_control_over_treaty_interpretation_FINAL-April-5_2014.pdf>, [29.01.2021].

¹³¹ ჰააგის მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს 2006 წლის 17 მარტის ნაწილობრივი გადაწყვეტილება საქმეზე *Saluka Investments B.V. v. The Czech Republic*, para. 442, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0740.pdf>>, [07.02.2021].

¹³² *Rubino-Sammartano M., International Arbitration Law and Practice*. 3rd Edition, JurisNet, New York, 2014, 1581.

გათვალისწინებელი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფოებს შეუძლიათ განმარტონ ხელშეკრულებათა გაურკვეველი და ბუნდოვანი ნორმები იურისდიქციულ, საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით შემდეგნაირად: ხელშეკრულების მხარეთა მიერ ერთობლივი განმარტებების შემუშავებით, დიპლომატიური მოსაზრებების გაცვლით, ცალმხრივი განცხადებების წარდგენით, არამოდავე მხარის ან მოპასუხის მიერ შემუშავებული დასკვნების მეშვეობით. მაგალითად, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ხელშეკრულებების განმარტებისას უნდა დადგინდეს ისეთი პრინციპების მნიშვნელობა, როგორცაა, სამართლიანი და თანასწორი მოპყრობის ვალდებულება, ეროვნული მოპყრობის პრინციპი და მრავალი სხვა საკითხი.¹³³

თუმცა, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები მოითხოვს ხშირად ცვალებადობას, რომლის თაობაზეც გათვალისწინებულია მცირე ოდენობით ხელშეკრულებაში. ეს უკანასკნელი აუცილებელია იმ მიზნით, რომ საინვესტიციო ხელშეკრულება მიჰყვეს საერთაშორისო სამართლის განვითარებას, განსაკუთრებით გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, შრომის სტანდარტებისა და ადამიანის უფლებებთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოები რომლებიც უფრო ფრთხილი არიან განსახილველ საკითხებთან მიმართებით უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა, რომ პროგრესული ნორმები გაითვალისწინონ თავიანთი მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ნორმა (რომელსაც შესაძლოა ეწოდოს „ეკოლუციური ნორმა“), რომლის თანახმად განისაზღვრება უცხოური ინვესტიციის სამართლებრივი დაცვის საშუალებების გადასინჯვა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებული სიახლეების შესაბამისად. ამ უკანასკნელის განხორციელება შესაძლებელია, მაგალითად, ერთობლივი სამუშაო კომიტეტის

¹³³ *Razbaeva M., Johnson L., State Control Over Interpretation of Investment Treaties*, Columbia Center on Sustainable International Investment, Columbia University, New York, 2014, <[http://ccsi.columbia.edu/files/2014/04/State control over treaty interpretation FINAL-April-5 2014.pdf](http://ccsi.columbia.edu/files/2014/04/State%20control%20over%20treaty%20interpretation%20FINAL-April-5%202014.pdf)>, [29.01.2021].

საშუალებით. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ევროკავშირსა და ხორვატიას შორის გაფორმებული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.¹³⁴

ამგვარ მიდგომას რომ ითვალისწინებდეს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების უმეტესი ნაწილი, მაშინ აღნიშნული დადებითი შედეგის მომტანი იქნება რამდენიმე თვალსაზრისით. პირველი, თუ ნორმა საერთაშორისო თანამედროვე პრინციპების მიხედვით იქნება მოწესრიგებული, ინვესტორის მიერ საინვესტიციო დავის დაწყება ნაკლებად სავარაუდო იქნება. მეორე, დავის წარმოშობის შემთხვევაში, არბიტრებს არ მოუწევთ ნორმის განმარტება და მისი მისადაგება საერთაშორისოდ არსებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად (თავისთავად მხარეთა მიზნების გათვალისწინებით). მესამე, იმის გათვალისწინებით, რომ არბიტრები არ არიან შეზღუდული პრეცედენტით, გადაწყვეტილების მიღებისას მხარეები არ აღმოჩნდებიან ნორმის გაუთვალისწინებელ განმარტების შედეგებთან. მეოთხე, სახელმწიფოსა და ინვესტორის ფინანსური და დროის რესურსი დაიზოგება. მეხუთე, სახელმწიფოს ავტორიტეტი კნინდება საერთაშორისო არენაზე მის წინააღმდეგ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. ამასთან, სახელმწიფო უცხოელი ინვესტორებისათვის აღარ იქნება საინვესტიციო პროექტის განსახორციელებლად მიმზიდველი. მეექვსე, საერთაშორისო საინვესტიციო დავაში სახელმწიფოს მარცხის შემთხვევაში, მას ეკისრება, როგორც წესი, კოლოსალური თანხის ანაზღაურება. აღნიშნული კი თავისთავად ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. გადაწყვეტილების აღუსრულებლობა კი, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების რაოდენობაზე ასახვას ჰპოვებს არახელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის არსებობის თვალსაზრისით.

¹³⁴ *Gazzini T.*, States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 42.

6. საინვესტიციო კონტრაქტები

ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ინვესტიციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ დეტალს ვერ აწესრიგებს. ამიტომაც, ინვესტორები ამჯობინებენ მეტი თავდაცვითი მექანიზმის მისაღებად საინვესტიციო კონტრაქტის გაფორმებას ინვესტიციის მიმღებ სახელმწიფოსთან. საინვესტიციო კონტრაქტების შინაარსი შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. საინვესტიციო ურთიერთობების მრავალფეროვნებიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, შეუძლებელია არსებობდეს მოდელური საინვესტიციო კონტრაქტი.¹³⁵ საინვესტიციო კონტრაქტთა სახეები იცვლება ინვესტორთა და სახელმწიფოთა ინტერესების ცვალებადობის მიხედვით.¹³⁶

საინვესტიციო კონტრაქტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნორმას წარმოადგენს დავის გადაწყვეტის შესახებ წესი. არბიტრაჟი, როგორც საერთაშორისო ბიზნეს-დავების გადაწყვეტის ყველაზე მოქნილი მექანიზმი, ამ შემთხვევაშიც მხარეებისთვის უმრავლეს შემთხვევაში სასურველ საშუალებას წარმოადგენს დავის გადასაწყვეტად. მხარეები ხშირად ირჩევენ საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრებს საქმეების წარმოებისთვის, მაგალითად, როგორცაა: ICSID არბიტრაჟი ან საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟი. ამას გარდა, არაადმინისტრირებული, *Ad hoc*

¹³⁵ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 41.

¹³⁶ *Bishop R.D., Crawford J., Reisman W.M.*, Foreign Investment Disputes – Cases, Materials and Commentary, Wolters Kluwer, Hague, 2014, 213.

არბიტრაჟის¹³⁷ მიმდინარეობისას მხარეებს აქვთ შესაძლებლობა,¹³⁸ გამოიყენონ გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (United Nations Commission on International Trade Law - UNCITRAL) საარბიტრაჟო წესები.^{139 140}

კონტრაქტის მონაწილეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში მოდავე მხარეებად გვევლინებიან ინვესტორის მასპინძელი სახელმწიფო და უცხოელი ინვესტორი. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო განმარტება გააკეთა ICSID არბიტრაჟმა. ერთ-ერთ საქმეზე ICSID-ის ეგიდით მოქმედმა ტრიბუნალმა განსაზღვრა, რომ საარბიტრაჟო პროცესში მხარეებად უნდა მონაწილეობდნენ ინვესტიციების უშუალოდ განმახორციელებელი პირი და სახელმწიფო, და არა ინვესტორის მიერ ბენეფიციარ სახელმწიფოში დაფუძნებული კომპანია და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი იურიდიული პირი.¹⁴¹

ამასთან, უმთავრესი კითხვაა საინვესტიციო კონტრაქტიდან წარმოშობილ დავაზე უნდა გავრცელდეს თუ არა ინვესტორის მასპინძელი სახელმწიფოს კანონმდებლობა, თუ ასეთ კონტრაქტებზე უნდა გავრცელდეს საერთაშორისო სამართლის წესები და პრინციპები, რომლებიც მასპინძელი სახელმწიფოს კონტროლს მიღმაა.

¹³⁷ არბიტრაჟი, რომლის ადმინისტრირებაც არ ხდება საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ. *Ad hoc* არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეებს თავად უწევთ ყველა ასპექტის, მათ შორის: არბიტრთა რაოდენობის, მათი არჩევის/დანიშვნის წესის, გამოსაყენებელი საარბიტრაჟო წესების, არბიტრაჟის ადგილის განსაზღვრა. *Ad hoc* არბიტრაჟის არჩევის შემთხვევაში მხარეები, როგორც წესი, თანხმდებიან გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ შემუშავებულ საარბიტრაჟო წესებზე.

¹³⁸ *Bishop R.D., Crawford J., Reisman W.M.*, Foreign Investment Disputes – Cases, Materials and Commentary, Wolters Kluwer, Hague, 2014, 214.

¹³⁹ UNCITRAL Arbitration Rules (Revised in 2010), მიღების თარიღი: 15/12/1976, გადამუშავებული ვერსიის ძალაში შესვლის თარიღი: 15/08/2010, <<https://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/arb-rules-revised/arb-rules-revised-2010-e.pdf>>, [15.02.2021].

¹⁴⁰ შემდეგ მოხსენიებული იქნება, როგორც UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესები.

¹⁴¹ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 41.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპების საფუძველზე პირდაპირი პასუხი არის გაცემული.¹⁴² მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში საქმეზე *France v. Kingdom of the Serbs, Croats and Slovenes*¹⁴³ აღნიშნულია, რომ „ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც თავისი შინაარსით არ მიემართება საერთაშორისო სამართალს, უნდა მოექცეს რომელიმე ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ფარგლებში“. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ მსგავს შემთხვევებზე უნდა გავრცელდეს საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები. იქიდან გამომდინარე, რომ უცხოელი ინვესტორები არ წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის წესების შესაბამისად, სახელმწიფოებსა და უცხოელ ინვესტორებს შორის დადებულ კონტრაქტებზე არ გავრცელდება საერთაშორისო სამართალი. მსგავსი ტიპის კონტრაქტებზე უნდა გავრცელდეს ეროვნული კანონმდებლობის მომწესრიგებელი ნორმები. უფრო ზუსტად კი, საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლებიც, როგორც წესი, უთითებს მასპინძელი სახელმწიფოს კანონმდებლობაზე, რადგან კონტრაქტთან ყველაზე ახლოს არის დაკავშირებული.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, საერთაშორისო საჯარო სამართალი არ უარყოფს სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის გაფორმებული კონტრაქტების მიმართ პატივისცემას. სახელმწიფოთა შორის არსებულმა დიპლომატიურმა ურთიერთობებმა ცხადჰყო, რომ საინვესტიციო კონტრაქტების უგულვებელყოფა მიიჩნევა საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპებისა და წესების საწინააღმდეგოდ. ეს კი შეიძლება შეიქმნას კონტრაქტის მონაწილე სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის საფუძველი. მაგრამ, ისიც უნდა

¹⁴² von Walter A., *Investor-State Contracts in the Context of International Investment Law*, in: Bungeberg M., Griebel J., Hobe S., Reinisch A. (Editors), *International Investment Law*, C.H.Beck/Hart/Nomos, Oxford, 2015, 83.

¹⁴³ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 1929 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *France v. Kingdom of the Serbs, Croats and Slovenes*, No. 14, para. 86, <http://www.worldcourts.com/pcij/eng/decisions/1929.07.12_payment1.htm>, [30.01.2020].

აღნიშნოს, რომ საკონტრაქტო ურთიერთობების ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა ავტომატურად ვერ მიიჩნევა საერთაშორისოდ აღიარებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებად. ამ შედეგის დადგომისთვის კონტრაქტის პირობის დარღვევა უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმ ზოგადად დამკვიდრებულ წესებს, რომლებიც უცხოელთა მოპყრობის მიმართ გამოიყენება.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო საჯარო სამართლის წესების გამოყენება საინვესტიციო კონტრაქტის მიმართ, თავის მხრივ აღნიშნულს არ გადააქცევს საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტად. აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპის დარღვევის შემთხვევაში. მაგალითად, როგორცაა, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წესები, რომლებიც მიემართება უცხოელ პირთა დაცვის საკითხებს.¹⁴⁴

ამასთან, ყურადსაღებია, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების და საინვესტიციო კონტრაქტის პირობების დარღვევა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს. აღნიშნული კი შესაბამისი გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით ფასდება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კი ნათელია, რომ საინვესტიციო კონტრაქტის დარღვევისას გამოიყენება, ეროვნული კანონმდებლობა, თუ ვალდებულების დარღვევა საერთაშორისოდ აღიარებული საინვესტიციო გარანტიების ფარგლებში არ ექცევა, ხოლო ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით მოცემული ნორმის დარღვევა განიხილება საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.¹⁴⁵

უდავოა, რომ მხარეები ამჯობინებენ ურთიერთობის უფრო დეტალურად მოწესრიგებას საინვესტიციო კონტრაქტით რისკების მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად. მხარეები უფრო მეტი სიზუსტით თანხმდებიან იმ უფლებებსა და მოვალეობებზე, ვიდრე ეს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით არის მოცემული. საინვესტიციო ურთიერთობების კომპლექსურობა კი საარბიტრაჟო ტრიბუნალის ამოცანას კიდევ უფრო ართულებს.

¹⁴⁴ *von Walter A.*, Investor-State Contracts in the Context of International Investment Law, in: *Bungeberg M., Griebel J., Hobe S., Reinisch A.* (Editors), International Investment Law, C.H.Beck/Hart/Nomos, Oxford, 2015, 84.

¹⁴⁵ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 44.

7. საინვესტიციო ხელშეკრულება V. საინვესტიციო კონტრაქტი

საინვესტიციო ხელშეკრულებებისა და საინვესტიციო კონტრაქტების განხილვისას უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს მათი კოლიზია. ე.ი. თუ საინვესტიციო კონტრაქტის მხარეებს შორის წარმოიშვა დავა და ამავე დროს მასპინძელ სახელმწიფოსა და ინვესტორის სახელმწიფოს შორის გაფორმებულია ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, განსახილველია თუ რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა დავის გადაწყვეტისას (კონტრაქტისა თუ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების რეგულირებას). მაგალითად, საქმეზე *Enron Creditors Recovery Corporation and al. v. Argentine Republic*¹⁴⁶ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ „ხელშეკრულებასა და კონტრაქტის საფუძველზე განსახილველი სარჩელების განსხვავება ეფუძნება სამმაგ შემოწმებას. ეს გულისხმობს შემდეგს: 1. დავაში უნდა მონაწილეობდნენ ერთი და იგივე მხარეები; 2. საინვესტიციო კონტრაქტითა და საინვესტიციო ხელშეკრულებით რეგულირებული საკითხების განცალკევება შეუძლებელი უნდა იყოს; 3. ნორმები არ უნდა გამომდინარეობდეს სხვადასხვა იურისდიქციიდან”.¹⁴⁷ ე.ი. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიდგომის თანახმად, უპირატესობა ენიჭება საინვესტიციო ხელშეკრულებას და საინვესტიციო კონტრაქტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო კონტრაქტის ნორმები არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულების ნორმებს და მისი პრინციპების შემავსებელ ფუნქციას ასრულებს.

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ დავის განხილვის საგანი უფრო ფართოა ტრიბუნალის წინაშე საინვესტიციო კონტრაქტის გათვალისწინების შემთხვევაში. ეს გამოწვეულია იმით, რომ საინვესტიციო კონტრაქტით, როგორც წესი, უფრო

¹⁴⁶ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2004 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე *Enron Corporation and Ponderosa Assets, L.P. v. Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/01/3, para. 49, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0291.pdf>>, [30.01.2021].

¹⁴⁷ *Rubino-Sammartano M.*, *International Arbitration Law and Practice*, 3rd Edition, JurisNet, New York, 2014, 157.

დეტალურად არის მოწესრიგებული სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ვალდებულების შესრულების თაობაზე, ვიდრე საინვესტიციო ხელშეკრულებებით.¹⁴⁸

საინვესტიციო კონტრაქტსა და ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების კოლიზიის ყველაზე მარტივი გადაწყვეტაა, როდესაც უშუალოდ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით არის მოცემული, თუ როგორ დარეგულირდეს აღნიშნული საკითხი. მაგალითად, იტალიასა და იორდანias შორის გაფორმებული ხელშეკრულებით პირდაპირი არის მოცემული, რომ მხარეთა შორის საინვესტიციო კონტრაქტის არსებობისას უპირატესობა ენიჭება უცხოელ ინვესტორსა და მიმღებ სახელმწიფოს შორის არსებულ შეთანხმებას.¹⁴⁹

კიდევ ერთი განსახილველი საკითხი ეხება დავის გადაწყვეტის საშუალების არჩევის შესაძლებლობას.¹⁵⁰ კერძოდ, გაურკვეველობა შეიძლება წარმოიშვას დავის გადაწყვეტის მექანიზმებთან დაკავშირებით, თუ კონტრაქტითა და ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით სხვადასხვა საშუალებაა გათვალისწინებული დავის გადასაწყვეტად (ამ საკითხის ილუსტრაციაა, მაგალითად, საქმე *Salini v. Morocco*, რომელიც ქვემოთ არის განხილული). ამიტომ, სასურველია, რომ საინვესტიციო კონტრაქტის გაფორმებისას მხარეებმა საინვესტიციო ხელშეკრულება არ უგულებელყონ.¹⁵¹

ამასთან, ზოგიერთი ხელშეკრულება კონკრეტულად განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევებისას გააჩნია ინვესტორს საარბიტრაჟო დავის ინიცირება. სხვა ხელშეკრულებები იყენებენ უფრო ფართო ფორმულირებას, როგორცაა,

¹⁴⁸ *Kryvoi Y.*, International Center for Settlement of Investment Disputes, Kluwer International, Alpen aan den Rijn, 2010, 75.

¹⁴⁹ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 44.

¹⁵⁰ *Kaufmann-Kohler G.*, Interpretation of Treaties: How Do Arbitral Tribunals Interpret Dispute Settlement Provisions Embodied in Investment Treaties?, in: *Mistelis A.L., Lew D.M.J.* (Editors) Pervasive Problems in International Arbitration, Kluwer Law International, Alpen aan den Rijn, 2006, 265.

¹⁵¹ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 44.

„ინვესტიციასთან დაკავშირებული დავები”.¹⁵² საინტერესოა ამგვარი დათქმა გულისხმობს თუ არა კონტრაქტიდან წარმოშობილ დავას. ერთი შეხედვით, დავები რომლებიც საინვესტიციო კონტრაქტს ეხება უსათუოდ განიხილება, როგორც „ინვესტიციასთან დაკავშირებული დავა”.¹⁵³ თუმცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განვითარებულია სხვადასხვაგვარი შეხედულება.

განსახილველ თემასთან დაკავშირებით შესაძლებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებში მოცემული სამი სხვადასხვა მიდგომის განხილვა.¹⁵⁴ პირველ მაგალითად შეიძლება დასახელდეს საქმეზე *Salini v. Morocco*¹⁵⁵ მიღებული

¹⁵² ზოგადად, პრობლემურია ინვესტიციის ცნების განმარტება, კერძოდ, ფრაზები, რომლებიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული - „ინვესტიციასთან დაკავშირებული ყველა დავა“ ან „ინვესტიციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი დავა“. ბოლო დროის განმავლობაში საარბიტრაჟო ტრიბუნალები ხშირად განმარტავენ ინვესტიციის ცნებას და მიაკუთვნებენ მათ სხვადასხვა აქტივსა და ტრანზაქციას. ტრიბუნალებმა მრავალი საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებისას ინვესტიის ცნების ქვეშ მოაქციეს სამშენებლო ხელშეკრულებები, შეთანხმებები სესხის თაობაზე, წილები, ადგილობრივად დაფუძნებული, სავალო ვალდებულებები და სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაცემული ქონება. აგრეთვე, აქტივები იყოფა კატეგორიებად, რადგან არსებობს განსხვავებული შეხედულება ეს უკანასკნელი შეიცავს თუ არა დაცულ ინვესტიციებს. ამგვარი გართულებული შემთხვევებია წინასაინვესტიციო დანახარჯები; აქციების ფლობა; არაპირდაპირი მფლობელობა. წყარო: *Hai Yen T.*, *The Interpretation of Investment Treaties*, Vol. 7, Brill Nijhof, Leiden, Boston, 2014, 24.

¹⁵³ *Kaufmann-Kohler G.*, *Interpretation of Treaties: How Do Arbitral Tribunals Interpret Dispute Settlement Provisions Embodied in Investment Treaties*, in: *Mistelis A.L., Lew D.M.J.* (Editors) *Pervasive Problems in International Arbitration*, Kluwer Law International, Alpen aan den Rijn, 2006, 265.

¹⁵⁴ *Kaufmann-Kohler G.*, *Interpretation of Treaties: How Do Arbitral Tribunals Interpret Dispute Settlement Provisions Embodied in Investment Treaties*, in: *Mistelis A.L., Lew D.M.J.* (Editors) *Pervasive Problems in International Arbitration*, Kluwer Law International, Alpen aan den Rijn, 2006, 265.

¹⁵⁵ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2001 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Salini Constructions S.P.A. and Italstrade S.P.A. v. Kingdom of Marocco*, ICSID Case No. ARB/00/4, paras. 14-58, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0738.pdf>>, [30.01.2021].

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ტერმინი „ინვესტიციასთან დაკავშირებული დავა“ მოიცავს კონტრაქტიდან წარმოშობილ დავებსაც. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განმარტა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით გამოსაყენებელი მაროკოსა და იტალიას შორის დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირობები ძალიან ზოგადია. ამასთან, ტრიბუნალმა მიუთითა, რომ კონტრაქტიდან წარმოშობილი დავა, რომელიც ეხება ექსპროპრიაციასა და ნაციონალიზაციასთან დაკავშირებული საკითხებს (რომლებიც მიიღება სახელმწიფოს მხრიდან ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე) არ შეიძლება გამოირიცხოს დასახელებული ნორმის ფარგლებიდან. აქედან გამომდინარე, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ მიიჩნია ნამდვილად საინვესტიციო კონტრაქტით გათვალისწინებული დათქმა დავის განმხილველი ორგანოს შესახებ, რომლითაც განსაზღვრული იყო ადგილობრივი ადმინისტრაციული სასამართლო. ტრიბუნალის მითითებით, მხარეების მიერ ამგვარი სასამართლოების არჩევა დავის განმხილველ ორგანოდ არ არის შესაძლებელი.

თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული არასაკმარისი მიზეზია კონტრაქტის ნორმის უარყოფის საფუძველად, რომელიც განსაზღვრავდა დავის გადაწყვეტის იურისდიქციას. იმ შემთხვევაშიც, თუ მხარეები აშკარად გამოხატავენ საერთო ნებას, რომ მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა გადაწყდეს ეროვნული სასამართლოების მიერ, მაშინ ამგვარი შეთანხება ნამდვილად უნდა ჩაითვალოს.¹⁵⁶

მეორე საქმეს წარმოადგენს *SGS v. Philippine*,¹⁵⁷ რომელზეც საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განმარტა, რომ შვეიცარიასა და ფილიპინებს შორის გაფორმებული

¹⁵⁶ *Kaufmann-Kohler G.*, Interpretation of Treaties: How Do Arbitral Tribunals Interpret Dispute Settlement Provisions Embodied in Investment Treaties, in: *Mistelis A.L., Lew D.M.J.* (Editors), Pervasive Problems in International Arbitration, Kluwer Law International, Alpen aan den Rijn, 2006, 265-266.

¹⁵⁷ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2004 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე *SGS Société Générale de Surveillance S.A. v. Republic of the Philippines*, ICSID Case No. ARB/02/6, para. 136-155, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0782.pdf>>, [06.02.2021].

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება ვრცელდება საკონტრაქტო დავებზეც. მაგრამ, საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრიბუნალი დავას ვერ განიხილავს, სანამ საინვესტიციო კონტრაქტით განსაზღვრული დავის განმხილველი ორგანო არ დაადგენს თავის იურისდიქციას.¹⁵⁸

მესამე განსხვავებული მიდგომა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დაფიქსირებულია საქმეში *SGS v. Pakistan*.¹⁵⁹ ხსენებულ საქმეზე აღნიშნულია, რომ საინვესტიციო დავასთან დაკავშირებული დათქმის ფორმულირება „ინვესტიციასთან დაკავშირებული დავა“ შვეიცარიასა და პაკისტანს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გულისხმობს მხოლოდ ამ უკანასკნელიდან წარმოშობილ დავებს.¹⁶⁰

არიტრ გაბრიელ კაუფმან-კოლერის მოსაზრებით, კონტრაქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმება განსაკუთრებულია თავისი ბუნებით. აღნიშნული ფორმულირებულია მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შესაბამისად. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ საარბიტრაჟო პროცესში წარმოდგენილია ორივე მხარე, მათ უნდა განმარტონ თავიანთი განზრახვა, რაც იგულისხმებს საარბიტრაჟო შეთანხმებით. კონტრაქტის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი რასაც არ უნდა ითვალისწინებდეს, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დიდი ყურადღება უნდა გაამახვილოს მხარეთა განზრახვაზე.

¹⁵⁸ *Kaufmann-Kohler G.*, Interpretation of Treaties: How Do Arbitral Tribunals Interpret Dispute Settlement Provisions Embodied in Investment Treaties, in: *Mistelis A.L., Lew D.M.J.* (Editors), Pervasive Problems in International Arbitration, Kluwer Law International, Alpen aan den Rijn 2006, 266.

¹⁵⁹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2003 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე *SGS Société Générale de Surveillance S.A. v. Islamic Republic of Pakistan*, ICSID Case No. ARB/01/13, paras. 185-189, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0779.pdf>>, [30.01.2021].

¹⁶⁰ *Kaufmann-Kohler G.*, Interpretation of Treaties: How Do Arbitral Tribunals Interpret Dispute Settlement Provisions Embodied in Investment Treaties, in: *Mistelis A.L., Lew D.M.J.* (Editors), Pervasive Problems in International Arbitration, Kluwer Law International, Alpen aan den Rijn 2006, 267.

თუმცა, ამის საპირისპიროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმები დავის გადაწყვეტის თაობაზე ზოგადად განსაზღვრავენ იურისდიქციას მომავალი ინვესტიციებისთვის. საარბიტრაჟო პროცესისას წარმოდგენილია საინვესტიციო ხელშეკრულების მხოლოდ ერთი მხარე - მოპასუხე სახელმწიფო, რომლის მიერაც არის შედგენილი ხელშეკრულება. მოსარჩელისათვის კი, დათქმა დავის გადაწყვეტის თაობაზე წარმოადგენს *res inter alios acta*. აქედან გამომდინარე, საინვესტიციო არბიტრაჟში ობიექტური კრიტერიუმი (ობიექტური მიდგომის მიმდევრების თვალსაზრისით, განმარტების მიზანია ხელშეკრულების ტექსტის მნიშვნელობის განსაზღვრა) თავისი არსით უპირატესია სუბიექტურ ელემენტთან (სუბიექტური მიდგომის თანახმად, განმარტების მიზანს წარმოადგენს მხარეთა განზრახვის დადგენა) შედარებით, რომელიც უფრო ნაკლებ როლს თამაშობს საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებისას.¹⁶¹

ზემოთ განხილული სირთულების თავიდან ასაცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით განისაზღვროს კონტრაქტისა და ხელშეკრულების ურთიერთმიმართება და იერარქია. არბიტრაჟის მიერ ნორმის განმარტების პროცესი თავისთავად რთულ გარემოებას წარმოადგენს და საინვესტიციო კონტრაქტისა და საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმების ურთიერთკავშირის დადგენა კიდევ დამატებით გამოწვევას წარმოადგენს ტრიბუნალისთვის. ამასთან, აღნიშნული ამცირებს გადაწყვეტილების პროგნოზირებადობას და კიდევ უფრო ქაოტურს ხდის საარბიტრაჟო ტრიბუნალთა მიდგომებს.

¹⁶¹ *Kaufmann-Kohler G.*, Interpretation of Treaties: How Do Arbitral Tribunals Interpret Dispute Settlement Provisions Embodied in Investment Treaties, in: *Mistelis A.L., Lew D.M.J.* (Editors), Pervasive Problems in International Arbitration, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2006, 260.

III. საინვესტიციო საარბიტრაჟო დავის მხარეები

ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის განხილვა ბოლო ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია. აღნიშნული სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს მიზანს თავდაპირველად წარმოადგენდა უფრო ეფექტური საერთაშორისო სამართლის რეჟიმის შექმნა, კერძოდ კი დიპლომატიური დაცვის უზრუნველყოფა.¹⁶² ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტა არბიტრაჟის მეშვეობით ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების საშუალებით ხელმისაწვდომი გახდა 1980-იანი წლებიდან. აღნიშნული შეიქმნა სახელმწიფოების მიერ ინვესტორთა უფლებების დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად (როგორც მასპინძელი სახელმწიფოს, ისე ინვესტორის სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით).¹⁶³

მოქმედი საინვესტიციო რეჟიმი ინვესტორს სთავაზობს მრავალრიცხოვან საერთაშორისო უფლებებს, თუმცა არ ითხოვს მისგან შესაბამის ვალდებულებებს. ერთი მხრივ, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება უზრუნველყოფს განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას, რაც განაპირობებს ქვეყნის სტაბილურობასა და ინვესტორისადმი კეთილგანწყობას. მაგრამ, მეორე მხრივ, სათანადოდ არ არის დაცული ინვესტორის უფლებები, რაც წარმოშობს დავას სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის.¹⁶⁴ მართალია, საინვესტიციო ხელშეკრულებები ერთმანეთისგან განსხვავდება მონაწილე სახელმწიფოების მიხედვით, მაგრამ მსგავსია უცხოური ინვესტიციების დაცვის წახალისებისა და გარანტიების უზრუნველყოფის

¹⁶² *Feighery J.T.*, Investor-State Arbitration and Human Rights, *Vanderbilt Journal of Entertainment and Technology Law*, Vol. 21, No. 1, Vanderbilt University, Nashville, 2018, 420-421.

¹⁶³ *Rubins N., Kinsella S.*, International Investment, Political Risk and Dispute Resolution, A Practitioner's Guide, Oceana Publications - A Division of Oxford University Press, New York, 2005, 405.

¹⁶⁴ *Schreider E.M.*, The Role of the State in Investor-State Arbitration, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R. (Editors)*, The Role of the State in Investor-State Arbitration, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 3.

თვალსაზრისით. დღესდღეობით საინვესტიციო ხელშეკრულებამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა და უფრო მიმზიდველი გახდა არამხოლოდ ინვესტიციების დასაცავად, არამედ ასევე საინვესტიციო დავების გადასაწყვეტად.¹⁶⁵

ეროვნული სასამართლოს როლი საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის განვითარებაში მცირეა.¹⁶⁶ დავის წარმოშობის შემთხვევაში უცხოელ ინვესტორს უცხო ქვეყნის სახელმწიფოს სასამართლოში მოუწევს სამართალწარმოება. ეს თავისთავად უცხოელი ინვესტორისთვის არ არის მისაღები მრავალ მიზეზთა გამო (სამართალწარმოების ენის არცოდნა, დავის საგნის სპეციფიკურობიდან გამომდინარე მოსამართლის არაკომპეტენტურობა, ეროვნული სასამართლოების მიერ საქმის განხილვის გაჭიანურების ალბათობა, მასპინძელი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის არცოდნა და ა.შ).¹⁶⁷

ამიტომაც, იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ბიზნეს დავის გადასაწყვეტად არბიტრაჟი წარმოადგენს ყველაზე მოქნილ და ხელსაყრელ მექანიზმს, დღესდღეობით ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის განხილვის მექანიზმებს თითქმის ყველა საინვესტიციო ხელშეკრულება ითვალისწინებს, განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების მხოლოდ მცირე ნაწილი არ შეიცავს დავის გადაწყვეტის მეთოდად არბიტრაჟს.¹⁶⁸

საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟის პოპულარობის ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. მაგრამ, არსებულ განვითარებამდე მრავალი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება დიპლომატიურ ქმედებებთან ერთად ითვალისწინებდა სახელმწიფოთა შორის დავის

¹⁶⁵ *Perera Th., Demeter D., A Balancing Act: Retaining Investor-State Dispute Settlement Provisions in Investment Agreements and Balancing Stakeholder Interests, The Australian Yearbook of International Law, Vol. 31, Centre for International and Public Law, ANU College of Law, The Australian National University, Melbourne, 2013, 76.*

¹⁶⁶ *Lowenfeld A., International Economic Law, Oxford University Press, Oxford, 2008, 511.*

¹⁶⁷ *ცერცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010, 23.*

¹⁶⁸ *Ratz P., International and European Law Problems of Investment Arbitration Involving the EU, 1st Edition, Nomos, Baden-Baden, 2017, 159.*

განხილვას არბიტრაჟის მეშვეობით ინვესტორის სახელმწიფოს მიერ.¹⁶⁹ ამასთან, უმეტეს შემთხვევაში დავები განიხილებოდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ან *Ad hoc* არბიტრაჟის მიერ.¹⁷⁰ საინტერესოა ის გარემოება, რომ 2005 წლამდე არსებობდა მხოლოდ ერთი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა დათქმას სახელმწიფოს შიგნით არსებული არბიტრაჟის თაობაზე. შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქცია დიდწილად დამოკიდებულია საინვესტიციო ხელშეკრულების იმ დათქმაზე, რომელიც ვრცელდება საინვესტიციო ურთიერთობაზე.¹⁷¹

ამას გარდა, მნიშვნელოვანია, რომ საინვესტიციო ხელშეკრულებები ითვალისწინებს დავის გადაწყვეტას სახელმწიფოებს შორის. მაგალითად, „მეგობრობის, ვაჭრობისა და ნავიგაციის“¹⁷² ხელშეკრულებები, რომლებიც წარმოადგენს საფუძველს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების ფორმირებისთვის და სტრუქტურირებისთვის, მიმართულია მხოლოდ სახელმწიფოებს შორის არსებულ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ დავებზე. ამასთან, 1959 წლიდან 1969 წლამდე, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები

¹⁶⁹ *Rubins N., Kinsella S., International Investment, Political Risk and Dispute Resolution, A Practitioner's Guide, Oceana Publications, A Division of Oxford University Press, New York, 2005, 419.*

¹⁷⁰ აღნიშნული არ გულისხმობს, რომ ამჟამად გამოიცხებულია საინვესტიციო დავის განხილვა საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს ან *Ad hoc* არბიტრაჟის მიერ.

¹⁷¹ *Rubins N., Kinsella S., International Investment, Political Risk and Dispute Resolution, A Practitioner's Guide, Oceana Publications - A Division of Oxford University Press, New York, 2005, 419.*

¹⁷² „მეგობრობის, ვაჭრობისა და ნავიგაციის“ ხელშეკრულებები საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობების მთავარ ინსტრუმენტს. ამ ტიპის ხელშეკრულებები არეგულირებდა საკითხთა ფართო წრეს. მათ შორის: ადამიანის უფლებები, ვაჭრობა და ინვესტიციების დაცვა. ბოლო წლების განმავლობაში, სახელმწიფოები აფორმებენ ხელშეკრულებებს ცალ-ცალკე იმ თემებზე, რომლებიც ერთად რეგულირებული იყო „მეგობრობის, ვაჭრობისა და ნავიგაციის“ ხელშეკრულების ფარგლებში. ეს უკანასკნელი თანამედროვეობისთვის უმეტესწილად წარმოადგენს მხოლოდ ისტორიული ინტერესის საგანს.

იქმნებოდა მხოლოდ სახელმწიფოებს შორის არსებული საარბიტრაჟო დავისთვის. მიუხედავად იმისა, რომ „მეგობრობის, ვაჭრობისა და ნავიგაციის“ შესახებ მრავალი ხელშეკრულება ჩანაცვლებული არის თანამედროვე ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით, ზოგიერთი მაინც დღემდე ძალაშია. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა უახლესი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება ითვალისწინებს არა მხოლოდ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტას საინვესტიციო არბიტრაჟის მეშვეობით, არამედ ასევე სახელმწიფოებს შორის.¹⁷³ სახელმწიფოებს შორის დავის გადაწყვეტის სტანდარტული დათქმები ნებას რთავს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოს, რომ წარადგინოს მეორე წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებით.¹⁷⁴ ამგვარი ფორმულირება კი სხვადასხვა შესაძლო სცენარის განვითარების საშუალებას იძლევა, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება განხილული, რაც საინვესტიციო არბიტრაჟს კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის.

1. საინვესტიციო საარბიტრაჟო დავა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის

სახელმწიფოები ასრულებენ მთავარ როლს თავიანთი მოქალაქეების უფლებების დასაცავად სხვა სახელმწიფოში.¹⁷⁵ უცხოელი ინვესტორები, რომლებიც ახორციელებენ პირდაპირ ინვესტიციას, როგორც წესი, დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებიან მასპინძელ სახელმწიფოში და ამ უკანასკნელის ხელშეწყობით

¹⁷³ *Rubins N., Kinsella S.*, International Investment, Political Risk and Dispute Resolution, A Practitioner's Guide, Oceana Publications - A Division of Oxford University Press, New York, 2005, 417-418.

¹⁷⁴ *Kulick A.*, Reassertion of Control Over the Investment Treaty Regime, Cambridge University Press, Cambridge, 2016, 128.

¹⁷⁵ *Rubins N., Kinsella S.*, International Investment, Political Risk and Dispute Resolution, A Practitioner's Guide, Oceana Publications - A Division of Oxford University Press, New York, 2005, 405.

ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას. ამგვარ სიტუაციაში დავის გადაწყვეტის საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს მოლაპარაკება. უცხოელი ინვესტორები ხშირად იმედს ამყარებენ ადგილობრივ სასამართლოებზე, რომლებიც ყოველთვის არ წარმოადგენენ ეფექტურ მეთოდს დავის გადასაწყვეტად. აღნიშნულის რისკი არსებობს განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში შემდეგ შესაძლო გარემოებათა გამო: მოსამართლეთა არასათანადო კვალიფიკაცია ამგვარი სპეციფიკური შინაარსის დავებთან მიმართებით, პროცესის გაჭიანურება, ინვესტორთა არასაკმარისი ინფორმირებულობა მასპინძელი სახელმწიფოს პროცედურული საკითხების შესახებ, მოსამართლეთა მიკერძოებულობა უცხოელ ინვესტორსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის დავის განხილვისას, სახელმწიფოთა სუვერენული იმუნიტეტი ინვესტორის მიერ წარდგენილ საინვესტიციო დავის საკითხთან მიმართებით ან სულ მცირე აღსრულების მექანიზმებთან დაკავშირებით.¹⁷⁶

დღესდღეობით ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის განხილვის მექანიზმებს თითქმის ყველა საინვესტიციო შეთანხმება ითვალისწინებს, განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა.¹⁷⁷ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების მხოლოდ მცირე ნაწილი ითვალისწინებს შეზღუდვას დავათა კატეგორიების მიხედვით ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის საარბიტრაჟო დავის განსახილველად. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების უმრავლესობა კი, არ შეიცავს დათქმებს, რომლებიც ზღუდავს დავათა კატეგორიას.¹⁷⁸ აღნიშნულ შემთხვევაში, საგამონაკლისო შემთხვევა ძირითადად ეხება ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით მისაღები კომპენსაციის ოდენობის შესახებ დავებს.¹⁷⁹

¹⁷⁶ *Vandeveldt J., Kenneth S., Bilateral Investment Treaties (History, Policy, and Interpretation)*, Oxford University Press, New York, 2010, 427.

¹⁷⁷ *Ratz P., International and European Law Problems of Investment Arbitration Involving the EU*, 1st Edition, Nomos, Baden-Baden, 2017, 159.

¹⁷⁸ *Ratz P., International and European Law Problems of Investment Arbitration Involving the EU*, 1st Edition, Nomos, Baden-Baden, 2017, 160.

¹⁷⁹ Organisation for Economic Co-operation and Development Investment Division, *Dispute Settlement Provisions in International Investment Agreements: A Large Sample Survey*, Paris, 2012, 14, <<http://www.oecd.org/investment/internationalinvestmentagreements/50291678.pdf>>, [31.01.2021].

დავის გადაწყვეტა არბიტრაჟის საშუალებით, როგორც წესი, მოდავე მხარეთა თანმხვედრ ნებაზეა დამოკიდებული. მაგრამ, თანამედროვე საინვესტიციო არბიტრაჟის ყველაზე გავრცელებულ მახასიათებლად ასახელებენ იმას, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში საარბიტრაჟო პროცესი იმართება ინვესტორის ნებისგან დამოუკიდებლად. ეს უკანასკნელი იმას გულისხმობს, რომ არ არსებობს უშუალოდ მხარეთა შორის შედგენილი საარბიტრაჟო შეთანხმება საარბიტრაჟო პროცესის დაწყებისას. ამგვარი მიდგომა გავრცელდა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით.¹⁸⁰ ე.ი. ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით, როდესაც გათვალისწინებულია დავის გადაწყვეტა არბიტრაჟის მეშვეობით, უცხოელ ინვესტორსა და ბენეფიციარ სახელმწიფოს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, მათ ურთიერთობაზე ვრცელდება ბენეფიციარ სახელმწიფოსა და უცხოელი ინვესტორის სახელმწიფოს შორის დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება (რასაც იყენებს საარბიტრაჟო ტრიბუნალი დავის განხილვისას).

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით, როგორც წესი, გათვალისწინებულია, რომ „თუ მასპინძელ სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის დავა ვერ გადაწყდა განსაზღვრულ ვადაში მოლაპარაკების გზით, მაშინ უცხოელი ინვესტორი უფლებამოსილია, რომ დავის წარმოება დაიწყოს საერთაშორისო არბიტრაჟში“.¹⁸¹ აღნიშნულით უცხოელ ინვესტორს ენიჭება უფლებამოსილება პირდაპირ მიმართოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალს დავის განსახილველად მასპინძელი სახელმწიფოს წინააღმდეგ საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებით.¹⁸² მაგრამ, თუ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით უშუალოდ არ არის მოცემული ამგვარი დათქმა, ნაგულისხმევად ყველა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით

¹⁸⁰ *Ratz P.*, International and European Law Problems of Investment Arbitration Involving the EU, 1st Edition, Nomos, Baden-Baden, 2017, 154.

¹⁸¹ *Ratz P.*, International and European Law Problems of Investment Arbitration Involving the EU, 1st Edition, Nomos, Baden-Baden, 2017, 154.

¹⁸² *de Brabandere E.*, Investment Treaty Arbitration as Public International Law, Procedural Aspects and Implications, Cambridge University Press, Cambridge, 2014, 25-26.

არის გარანტირებული სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დავის გადაწყვეტის საშუალება.¹⁸³ განსახილველი მექანიზმი წარმოადგენს ინვესტორისთვის დაცვის ახალ სტანდარტს. აღნიშნული მექანიზმის მთავარ დადებით ასპექტს წარმოადგენს ინვესტორის უსაფრთხოება. ე.ი. იმის გარანტიის არსებობა, რომ მისი უფლებები იქნება დაცული. მაგრამ, ეს თავისთავად არ გულისხმობს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში ინვესტორის სასარგებლოდ იქნება მიღებული.¹⁸⁴

ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებს გააჩნიათ ძალიან დიდი მნიშვნელობა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადასაწყვეტად.¹⁸⁵ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტა არბიტრაჟის საშუალებით ინვესტორს განსაკუთრებული კონტროლის საშუალებას აძლევს დავის გადაწყვეტის პროცესზე. ეს კი შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე საიმედო საშუალებად დავის სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტისთვის.¹⁸⁶ მართლაც, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტის შესაძლებლობის გათვალისწინება წარმოადგენს უმთავრეს საშუალებას სამართლებრივი ნორმის აღსრულების, თავისუფალი საინვესტიციო გარემოს შექმნისა და ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის უზრუნველსაყოფად.¹⁸⁷

¹⁸³ *Ratz P.*, International and European Law Problems of Investment Arbitration Involving the EU, 1st Edition, Nomos, Baden-Baden, 2017, 154.

¹⁸⁴ *Schreider E.M.*, The Role of the State in Investor-State Arbitration, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), The Role of the State in Investor-State Arbitration, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 3.

¹⁸⁵ *Rubins N., Kinsella S.*, International Investment, Political Risk and Dispute Resolution, A Practitioner's Guide, Oceana Publications - A Division of Oxford University Press, New York, 2005, 417.

¹⁸⁶ *Rubins N., Kinsella S.*, International Investment, Political Risk and Dispute Resolution, A Practitioner's Guide, Oceana Publications - A Division of Oxford University Press, New York, 2005, 405.

¹⁸⁷ *Vandeveldt J.K.*, Bilateral Investment Treaties (History, Policy, and Interpretation), Oxford University Press, New York, 2010, 427.

რაც შეეხება, უშუალოდ დავის განმხილველ საარბიტრაჟო ტრიბუნალებს, ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული დავის განმხილველი საარბიტრაჟო ტრიბუნალები სახელმწიფოების მიერ დაფუძნებული საერთაშორისო ინსტიტუტებია. მათი ამოცანაა საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის გადაწყვეტა ამავე ხელშეკრულების და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. ICSID-ის ტრიბუნალებიც კი, რომლებიც უმრავლესი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დავის გამომწვევტ ინსტიტუტად, დაფუძნებული არის საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. კერძოდ, 1965 წლის 18 მარტის ვაშინგტონის კონვენციის საფუძველზე. ინსტიტუციური თვალსაზრისით, ისინი არ წარმოადგენენ კერძო საარბიტრაჟო ტრიბუნალებს, რადგან მათი ფუნქციონირება დამყარებულია საერთაშორისო საჯარო სამართალეზრივ კონვენციაზე. ამასთან აღსანიშნია, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალები უნდა განიხილებოდეს ჰიბრიდულ ფენომენად, რადგან საერთაშორისო საინვესტიციო დავაში შესაძლოა მოსარჩელეს წარმოადგენდეს კერძო პირი, ხოლო მოპასუხეს - საჯარო.

ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალები საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებენ, რადგან ისინი წყვეტენ ნაციონალური ინსტიტუტების მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი ქმედებების კანონიერების საკითხს საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის შესაბამისად. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ გააჩნიათ პირდაპირი სამართალეზრივი ძალა მოპასუხე მასპინძელი სახელმწიფოს შიდა რეგულირებაზე, მათ მაინც შეუძლიათ მათი სუვერენული უფლებების შეზღუდვა მნიშვნელოვნად. ეს განპირობებულია იმით, რომ შემოწმების არეალი მოიცავს საჯარო მოწესრიგების თითქმის ყველა ასპექტს.¹⁸⁸

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უცხოელ ინვესტორსა და მის მიმღებ სახელმწიფოს შორის დავის გადასაწყვეტად საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟი წარმოადგენს ყველაზე მოქნილ და

¹⁸⁸ *Ohler Ch.*, Democratic Legitimacy and the Rule of Law in Investor-State Dispute Settlement under CETA, in: *Bungenberg M., Krajewski M., Tams Ch., Terhechte J.P., Ziegler R.A.* (Editors), *European Yearbook of International Economic Law* 2017, Springer, Berlin, 2017, 235.

საიმედო მექანიზმს. ინვესტორს ამ შემთხვევაში გააჩნია იმის გარანტია, რომ დავა განხილვა მიუკერძოებელი და კომპეტენტური მოსამართლეების მიერ. მოსამართლეთა სპეციალიზაცია ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამასთან, უცხოელ ინვესტორს მასპინძელი სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოს მიერ დავის განხილვის შემთხვევაში, შესაძლოა არ ჰქონდეს მიუკერძოებლობის მოლოდინი, რაც საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟის შემთხვევაში ნაკლებსავარაუდოა. აგრეთვე, ინვესტორებს გააჩნიათ იმისა გარანტია, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნება ინვესტორის დაცვის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებისა და პრინციპების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მათი ინტერესების სათანადოდ დაცვასა და შეფასებას.

2. საინვესტიციო საარბიტრაჟო დავა სახელმწიფოებს შორის

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დავის განხილვის გარდა, ითვალისწინებს დავის გადაწყვეტის მექანიზმს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოებს შორის.¹⁸⁹ სახელმწიფოთა შორის დავის განხილვამ უკანა პლანზე გადაინაცვლა მას შემდეგ, რაც ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის განხილვის შესაძლებლობას დროთა განმავლობაში მით უფრო მეტი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება ითვალისწინებდა. დღესდღეობით არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მომავალში სახელმწიფოთა შორის დავის განხილვა კვლავ გახდება ყურადღების საგანი. სახელმწიფოთა შორის დავის განხილვის მიმართ მთავრობების მხრიდან არსებობს სკეპტიკური დამოკიდებულება, რათა აღნიშნულის შემცველი ნორმები გათვალისწინებულ იქნას ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით. მაგრამ, აღსანიშნია, რომ ევროკავშირის სავაჭრო და ასოციაციის შეთანხმებები, რომლებიც ასევე მიემართება ინვესტორთა უფლებების დაცვას, არ შეიცავენ დათქმებს

¹⁸⁹ *Ratz P.*, International and European Law Problems of Investment Arbitration Involving the EU, 1st Edition, Nomos, Baden-Baden, 2017, 154.

სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დავის გადაწყვეტის მექანიზმების შესახებ. აღნიშნულში მოცემულია მხოლოდ სახელმწიფოთა შორის დავის გადაწყვეტის საშუალებები.¹⁹⁰ ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, ძირითადად ყველა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება ითვალისწინებს დავის გადაწყვეტის მექანიზმს სახელმწიფოებს შორის.¹⁹¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, დათქმები რომლებიც მიემართება დავას ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების უმრავლესი ოდენობით ვრცელდება ინვესტიციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავაზე. ხოლო, ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს დავის გადაწყვეტას სახელმწიფოებს შორის, გააჩნიათ დავის საგნის უფრო ვიწრო არეალი.¹⁹² სახელმწიფოთა შორის საარბიტრაჟო დათქმები მოიცავენ მატერიალურ-სამართლებრივ უფლებათა მთელ ჯაჭვს, რადგან ხელშეკრულების რეგულირება ვრცელდება უცხოელ ინვესტორებზე. საინვესტიციო ხელშეკრულებით, სახელმწიფოთა შორის დავის გადაწყვეტის შესახებ საარბიტრაჟო დათქმით საინვესტიციო დავებზე წარდგენილი სარჩელებისთვის დგინდება სავალდებულო არბიტრაჟი საინვესტიციო ხელშეკრულებაზე ხელმომწერი სახელმწიფოთათვის.¹⁹³

სახელმწიფოთა შორის საარბიტრაჟო დავის შესახებ სტანდარტული დათქმა ითვალისწინებს ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ საარბიტრაჟო დავის დაწყების შესაძლებლობას, რაც დაკავშირებულია

¹⁹⁰ *Ratz P.*, International and European Law Problems of Investment Arbitration Involving the EU, 1st Edition, Nomos, Baden-Baden, 2017, 154.

¹⁹¹ *Ratz P.*, International and European Law Problems of Investment Arbitration Involving the EU, 1st Edition, Nomos, Baden-Baden, 2017, 156; იხ. ასევე სახელმწიფოთა შორის არსებული საინვესტიციო დავის თაობაზე: *Bernasconi-Osterwalder N.*, State-State Dispute Settlement in Investment Treaties, IISD Best Practices Series, International Institute for Sustainable Development, Winnipeg, 2014.

¹⁹² *Vandeveldt J.K.*, Bilateral Investment Treaties (History, Policy, and Interpretation), Oxford University Press, New York, 2010, 427.

¹⁹³ *Rubins N., Kinsella S.*, International Investment, Political Risk and Dispute Resolution, A Practitioner's Guide, Oceana Publications - A Division of Oxford University Press, New York, 2005, 420.

საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებასა და გამოყენებასთან.¹⁹⁴ ინტერპრეტაცია გულისხმობს ხელშეკრულების ნორმის განმარტებას კონკრეტული შემთხვევისას. ხოლო, ხელშეკრულების გამოყენების განსაზღვრა მოიცავს სახელმწიფოთა მიერ განხორციელებული ქმედებების შეფასებას საინვესტიციო ხელშეკრულების მიზნისა და ობიექტის ფარგლებში.¹⁹⁵

ამგვარი ფართო ფორმულირება წარმოშობს მრავალ გაურკვევლობას ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის საარბიტრაჟო დავის წარმოებისას. მაგალითად, საარბიტრაჟო დავის მიმდინარეობისას ინვესტორსა და მის მიმღებ სახელმწიფოს შორის, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ინვესტორის სახელმწიფომ შესაძლოა დაიწყოს პარალელური საარბიტრაჟო წარმოება ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის საჭიროება წარმოიშობა ინვესტორსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის არსებული დავის მოსაგვარებლად.¹⁹⁶

ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის, და სახელმწიფოებს შორის არბიტრაჟის შესახებ დათქმა წარმოადგენს სხვადასხვა განხილვის საშუალებას ერთიანი დარღვეული უფლებისთვის. ¹⁹⁷ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სახელმწიფოთა შორის საინვესტიციო დავას გავლენა არ უნდა ჰქონდეს პარალელურად მიმდინარე ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებულ დავაზე. ამას გარდა, სახელმწიფოთა შორის საარბიტრაჟო წარმოება არ წარმოგვიდგება ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის განხილვის დამხმარე საშუალებად ან სააპელაციო მექანიზმად. ¹⁹⁸ მაგრამ, მაგალითად, ვაშინგტონის კონვენციაში

¹⁹⁴ *Kulick A.*, Reassertion of Control over the Investment Treaty Regime, Cambridge University Press, Cambridge, 2016, 128.

¹⁹⁵ *Bernasconi-Osterwalder N.*, State-State Dispute Settlement in Investment Treaties, Best Practices Series, International Institute for Sustainable Development, Winnipeg, 2014, 7.

¹⁹⁶ *Kulick A.*, Reassertion of Control over the Investment Treaty Regime, Cambridge University Press, Cambridge, 2016, 128.

¹⁹⁷ *Rubins N., Kinsella S.*, International Investment, Political Risk and Dispute Resolution, A Practitioner's Guide, Oceana Publications - A Division of Oxford University Press, New York, 2005, 420.

¹⁹⁸ *Bernasconi-Osterwalder N.*, State-State Dispute Settlement in Investment Treaties, Best Practices Series, International Institute for Sustainable Development, Winnipeg, 2014, 13.

მოცემულია პირდაპირი ჩანაწერი ამ საკითხთან დაკავშირებით. კონვენციის 27-ე მუხლით დარეგულირებულია, რომ სახელმწიფოთა შორის დავის განხილვა არ დაექვემდებარება ვაშინგტონის კონვენციას, თუ დავა უკვე წარმოადგენს საინვესტიციო საარბიტრაჟო ტრიბუნალის განხილვის საგანს.¹⁹⁹

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების უმეტესობა, რომლებიც ითვალისწინებს სახელმწიფოებს შორის საარბიტრაჟო განხილვას, დავები ძირითადად ეხება ხელშეკრულების ნორმების განმარტებასა და გამოყენებას. გაერთიანებულ სამეფოსა და აზერბაიჯანს შორის დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება წარმოადგენს ამის ნათელ მაგალითს, რომლის მიხედვით: „სახელშეკრულებო მხარეთა შორის არსებული დავა, რომელიც ეხება ხელშეკრულების გამოყენებას ან განმარტებას, თუ შესაძლებელია უნდა გადაწყდეს დიპლომატიური გზით... თუ ხელშეკრულების მხარეთა შორის დავის ამგვარად მოგვარება შეუძლებელია, მაშინ ორივე მხარის მოთხოვნის საფუძველზე დავა განსახილველად გადაეცემა საარბიტრაჟო ტრიბუნალს“.²⁰⁰

სახელმწიფოთა შორის დავა მაშინ შესაძლოა წარმოიშვას, როდესაც მოპასუხე სახელმწიფო არ ასრულებს ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებულ დავასთან დაკავშირებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას. ევროკომისიის ოფიციალური პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არის შემდეგი: ევროპული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების მიხედვით, მასპინძელი სახელმწიფოს მთავარი მოვალეობაა, რომ ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა შორის დავის მოგვარებას, რომელიც ეხება ხელშეკრულების განმარტებას ან გამოყენებას.²⁰¹

¹⁹⁹ *Ratz P.*, *International and European Law Problems of Investment Arbitration Involving the EU*, 1st Edition, Nomos, Baden-Baden, 2017, 154.

²⁰⁰ *McLachan C., Shore L., Weiniger M.*, *International Investment Arbitration – Substantive Principles*, *Mistelis L.* (Series Editor), Oxford International Arbitration Series, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 35.

²⁰¹ *Rubins N., Kinsella S.*, *International Investment, Political Risk and Dispute Resolution, A Practitioner’s Guide*, Oceana Publications - A Division of Oxford University Press, New York, 2005, 419.

როგორც წესი, სახელმწიფოთა შორის დავის განხილვის მექანიზმი, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს მხარეთა შორის მოლაპარაკებების წარმოებას ან ერთმანეთისთვის კონსულტაციის გაწევას. ზოგიერთი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებით განსაზღვრულია დროის გარკვეული ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც უნდა გაიმართოს მოლაპარაკებების პროცესი.²⁰² როგორც ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული დავისას, ისე განსახილველ შემთხვევაშიც, თუ შესაძლებელია მხარეთა შორის წარმოშობილი დავა, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების ნორმასთან, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკებების საშუალებით. ასევე, ზოგჯერ დადგენილია, რომ უნდა გავიდეს გარკვეული ვადა, სანამ მხარეები მიმართავენ არბიტრაჟს დავის განსახილველად. ეს უკანასკნელი უმრავლეს შემთხვევაში 6 თვის ვადით განისაზღვრება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მოცემულია, რომ უნდა გავიდეს გონივრული ვადა.

ზოგიერთი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება შეიცავს სრულიად დამოუკიდებელ დათქმას, რომლის მიხედვითაც რომელიმე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს გაუწიონ კონსულტაცია ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამგვარი ნორმა მოცემულია იმისათვის, რომ მხარეებს ხელი შეუწყონ დავის მოლაპარაკების გზით გადასაწყვეტად. ასეთი ნორმა მიზნად ისახავს მხოლოდ მხარეთა შორის დავის შეთანხმების გზით გადაწყვეტის ხელშეწყობასა და წახალისებას.²⁰³ აღსანიშნია, რომ საქართველოს მიერ გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით განსაზღვრულია, რომ საინვესტიციო ხელშეკრულების ინტერპრეტაციასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით ხელშემკვრელ მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდეს შეძლებისდაგვარად კონსულტაციების ან მოლაპარაკებების გზით. აღნიშნულისთვის კი განსაზღვრულია ექვსი თვე, რომლის უშედეგოდ გასვლის

²⁰² *Ratz P.*, International and European Law Problems of Investment Arbitration Involving the EU, 1st Edition, Nomos, Baden-Baden, 2017, 157.

²⁰³ *Vandeveldt J.K.*, Bilateral Investment Treaties (History, Policy, and Interpretation), Oxford University Press, New York, 2010, 427.

შემდეგ დავა განსახილველად შესაძლოა გადაეცეს საინვესტიციო საარბიტრაჟო ტრიბუნალს.²⁰⁴

როგორც საქართველოს მაგალითზე აღინიშნა, იმ შემთხვევაში, თუ დავის გადაწყვეტის აღნიშნული პროცესი არ იქნება წარმატებული, მაშინ დავები სახელმწიფოთა შორის განიხილება საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა ის მცირე ოდენობა, რომლებიც არ შეიცავენ დათქმას სახელმწიფოთა შორის დავის განხილვის შესაძლებლობას არბიტრაჟის მეშვეობით, დავის განხილვას უქვემდებარებს საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს ან კვაზი სამართლებრივ მექანიზმს.²⁰⁵

ამას გარდა, საინტერესოა ის გარემოება, რომ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული დავა შესაძლებელია გადაიზარდოს სახელმწიფოთა შორის საინვესტიციო საარბიტრაჟო დავაში, რომელიც ეფუძნება ნაციონალური სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. მაგალითად, ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ზოგიერთი საარბიტრაჟო დავა წარმოიშვა ეკვადორის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების

²⁰⁴ იხ. მაგალითად, შეთანხმება საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ორმხრივი დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 29/08/2009, ძალაში შესვლის თარიღი: 13/03/2011, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 9(1) და 9(2); შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 08/03/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 10/03/1996, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 10(1) და 10(2); შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 05/06/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 18/01/1999, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 10(1) და 10(2).

²⁰⁵ *Ratz P.*, International and European Law Problems of Investment Arbitration Involving the EU, 1st Edition, Nomos, Baden-Baden, 2017, 157.

გამო.²⁰⁶ საქმეზე *Chevron Corp (USA) v. Ecuador*²⁰⁷ მიღებულმა ნაწილობრივმა გადაწყვეტილებამ დავა გადაზარდა სახელმწიფოთა შორის საარბიტრაჟო განხილვაში. წინამდებარე საქმეზე Chevron უთითებდა, რომ აშშ-სა და ეკვდორს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-2(7) მუხლი (“თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს სარჩელის მტკიცების ეფექტური საშუალებები..”) უზრუნველყოფს ნაკლებად მკაცრ ტესტს საერთაშორისო ჩვეულებით სამართალთან შედარებით მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. ამის საპასუხოდ, ეკვადორმა წარადგინა საარბიტრაჟო სარჩელი აშშ-ის წინააღმდეგ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-7 მუხლის საფუძველზე, რომლის მიხედვით სარჩელის წარდგენა განსახილველ საქმეზე მიიჩნის მისაღებ სამართლებრივ სტანდარტად. აშშ-მ უარყო საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქცია იმ საფუძველით, რომ არსებობდა დავა ეკვადორსა და აშშ-ს შორის და შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ გააჩნდა ეკვადორის მიერ ცალმხრივად განხორციელებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტების დადასტურების ან უარყოფის უფლებამოსილება.

კიდევ ერთ სახელმწიფოთა შორის არსებული დავისას, იტალიამ წარადგინა სარჩელი კუბის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელსა და იტალიას შორის დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების საფუძველზე. იტალია ითხოვდა კომპენსაციას თავისი მოქალაქეების სასარგებლოდ კუბას მიერ სავარაუდოდ დარღვეული სხვადასხვა ქმედების გამო. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განაცხადა, რომ იტალია უფლებამოსილია წარდგინოს სარჩელი თავისი მოქალაქეების სასარგებლოდ,

²⁰⁶ *McLachan C., Shore L., Weiniger M.*, International Investment Arbitration – Substantive Principles, *Mistelis L.* (Series Editor), Oxford International Arbitration Series, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 35.

²⁰⁷ ჰააგის მუდმივმოქმედი სასამართლოს 2018 წლის 30 აგვისტოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება საქმეზე *Chevron Corporation and Texaco Petroleum Corporation v. The Republic of Ecuador*, UNCITRAL, PCA Case No. 2009-23, para. 2.9, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw9934.pdf>>, [31.01.2021].

რადგან აქამდე თავად იტალიის მოქალაქეების მიერ არ იყო პრეტენზია წარდგენილი.²⁰⁸

როგორც ჩანს, სახელმწიფოთა შორის საარბიტრაჟო პროცესის წარმოება წარმოადგენს უკანასკნელ საშუალებას საინვესტიციო ურთიერთობების მოსაგვარებლად. ეს მექანიზმი კიდევ უფრო განამტკიცებს უცხოელი ინვესტორის დარღვეული უფლებების დაცვის გარანტიებს. ამ შემთხვევაში უცხოელი ინვესტორის სახელმწიფო გვევლინება როგორც მისი ინტერესების წარმომადგენელი, რადგან ამ უკანასკნელის მიერ დავის დაწყება ინვესტიციის მიმღები სახელმწიფოს წინააღმდეგ ხელს შეუწყობს დავის სამართლიანად გადაწყვეტას. ამას გარდა, ნორმის განმარტების შემთხვევაში, ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის წარმოებისას არსებობს დავის მხარეების უთანაბრობის რისკი, რადგან ნორმის ინტერპრეტაციისას არბიტრაჟმა შესაძლოა უმეტესწილად გაითვალისწინოს სახელმწიფოს პოზიცია, როგორც ხელშეკრულების პირობების შემოქმედის. სახელმწიფოთა შორის დავისას კი, მსგავსი შემთხვევის ნაკლები რისკია, რადგან ორივე სახელმწიფო საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს და ორივე მხარის თანამონაწილეობა ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას თანაბარია. აღნიშნული კი უზრუნველყოფს საარბიტრაჟო დავის მიმდინარეობისას მხარეთა თანასწორობას ნორმის განმარტების თვალსაზრისით. უფრო მეტიც, სახელმწიფოთა შორის დავის განხილვის შესაძლებლობა ინვესტორისთვის წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების არაპირდაპირ შესაძლებლობას, რაც ზოგადად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპიდან გამომდინარე საერთაშორისო არბიტრაჟში არ არსებობს. ე.ი. თუ ინვესტიციის სახელმწიფომ მიიჩნია, რომ ინვესტორსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის არსებული დავის გადასაწყვეტად არბიტრებმა არასწორად გამოიყენეს ან განმარტეს ხელშეკრულების ნორმა, მაშინ ინვესტორის სახელმწიფო უფლებამოსილია დაიწყოს საარბიტრაჟო წარმოება ინვესტიციის მიმღები სახელმწიფოს წინააღმდეგ. აღნიშნული კი

²⁰⁸ *McLachan C., Shore L., Weiniger M.*, International Investment Arbitration – Substantive Principles, *Mistelis L.* (Series Editor), Oxford International Arbitration Series, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 35.

თავისთავად უზრუნველყოფს უცხოელი ინვესტორის უფლებების დაცვას მაღალი სტანდარტით.

IV. საინვესტიციო სამართლის სტანდარტები, როგორც საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებისას გამოსაყენებელი პრინციპები

საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები უნდა უზრუნველყოფდეს ინვესტორთა უფლებების დაცვას მაქსიმალურად.²⁰⁹ მასპინძელ სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად საინვესტიციო ხელშეკრულება შეიცავს უცხოელი ინვესტორისადმი მოპყრობის ვრცელ სტანდარტებს. მასპინძელ სახელმწიფოს აღნიშნული სტანდარტების მიხედვით მოეთხოვება მოეპყრას უცხოელ ინვესტორს. ეს სტანდარტები ემნის თანამედროვე საერთაშორისო ინვესტიციების დაცვის საფუძველს.²¹⁰ საინვესტიციო ხელშეკრულებებით მოწესრიგებულია ისეთი პრინციპები, როგორცაა: ექსპროპრიაცია, სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი, ეროვნული მოპყრობის სტანდარტი, კეთილსინდისიერების პრინციპი და უარი მართლმსაჯულების განხორციელებაზე.²¹¹

თუმცა, დასახელებული სტანდარტები უმრავლეს შემთხვევაში გაურკვეველი და ბუნდოვანია. პრინციპები იშვიათად არის განმარტებული საინვესტიციო ხელშეკრულებების ტექსტში, რაც დავის წარმოშობის შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალის ხელთ რჩება.²¹² ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით მოცემული დათქმა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის საინვესტიციო არბიტრაჟით დავის გადაწყვეტის შესახებ, ინვესტორს ლეგიტიმურ მოლოდინს უქმნის, რომ მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მისი ინტერესები იქნება დაცული ორმხრივი

²⁰⁹ *Basener N.*, Investment Protection in the European Union (Considering EU Law in Investment Arbitrations Arising from Intra-EU and Extra-EU Bilateral Investment Agreements), Nomos, Baden-Baden, 2017, 54.

²¹⁰ *Schreuer Ch.*, Introduction: Interrelationship of Standards, in: *Reinisch A.* (Editor), Standards of Investment Protection, Oxford University Press, Oxford, 2008, 10.

²¹¹ *Trujillo E.*, Balancing Sustainability, the Right to Regulate, and the Need for Investor Protection: Lessons from Trade Regime, Boston College Law Review, Vol. 59, Issue 8, Boston College Law School, Boston, 2739.

²¹² *Salacuse J.*, The Law of Investment Treaties, Oxford University Press, New York, 2010, 139.

საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბუნდოვანი პრინციპების სათანადოდ განმარტების მეშვეობით.²¹³ ქვემოთ კი შემოთავაზებულია ის ძირითადი სტანდარტები, რომლებიც უმთავრეს როლს ასრულებს საინვესტიციო უფლებების განმარტების თვალსაზრისით და გამოიყენება, როგორც საინვესტიციო ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას გამოსაყენებელი პრინციპები.

1. კეთილსინდისიერების პრინციპი

კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპს, რომელიც სხვადასხვა ფორმით აღწევს საერთაშორისო სამართლებრივ სისტემასა და პროცესში.²¹⁴ კეთილსინდისიერების პრინციპი ხშირად გამოიყენება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამართალში. კეთილსინდისიერების პრინციპის მიმართ სხვადასხვა მიდგომა არსებობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგადი ერთიანი შინაარსი ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში მაინც სირთულეებთან არის დაკავშირებული კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება ერთიანი მიდგომის საფუძველზე. ნებისმიერი მცდელობა კეთილსინდისიერების პრინციპის კოდიფიცირების ან კონკრეტული განსაზღვრების შესახებ უშედეგოა, რადგან პრინციპი ამის შედეგად დაკარგავს თავის ღირებულებას საერთაშორისო სამართალში და დააკნინებს ნორმის გამოყენების მიზნობრიობასა და პრაქტიკულობას. ეს

²¹³ *Marsahal M.*, Investor-State Dispute Settlement Reconceptualized: Regulation of Disputes, Standards and Mediation, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol. 17, No.1, Pepperdine University, Malibu, 2017, 244.

²¹⁴ *Caron D.D.*, The Interpretation of National Foreign Investment Law as Unilateral Acts under International Law, in: *Arsanjani H. M., Cogan Katz J., Sloane D.R., Wiessner S.* (Editors), *Looking to the Future*, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2011, 579.

სირთულე განსაკუთრებით საერთაშორისი საინვესტიციო სამართალში გამოწვეულია განსხვავებული განსაზღვრებების, მნიშვნელობისა და დეტალების გამო.²¹⁵

ხელშეკრულების განმარტებისას კეთილსინდისიერების პრინციპის განსაზღვრა საკმაოდ რთულია. კეთილსინდისიერება ხელშეკრულების განმარტებისას გულისხმობს იმას, რომ ხელშეკრულებები უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების დაცვით. მიუხედავად ამ პრინციპის დიდი მნიშვნელობისა, სახელმწიფოთა პრაქტიკაშიც და საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში იშვიათად არის კეთილსინდისიერების პრინციპი განხილული, განსაკუთრებით ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებით.²¹⁶ პრინციპის შინაარსი შესაძლოა განსხვავდებოდეს არამხოლოდ კონტინენტებისა და სახელმწიფოების მიხედვით, არამედ ერთი და იმავე იურისდიქციის ფარგლებში.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, თუ რატომ მიიჩნევა სირთულედ კეთილსინდისიერების შინაარსის დადგენა. იმ შემთხვევაში, თუ პრინციპის შინაარსი არ არის განსაზღვრული, საბოლოო განმარტება მაინც მოსამართლეთა ხელთ რჩება. კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება კი უზრუნველყოფს ბალანსის შენარჩუნებას სამართლებრივი ნორმის შინაარსის დასადგენად. ამიტომ, ამ შემთხვევაში საერთაშორისო არბიტრაჟის უპირატესობად მიიჩნევენ მხარეთა მიერ საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრების თავად განსაზღვრის შესაძლებლობას. კიდევ ერთ პრობლემურ საკითხს განსაზღვრებასთან დაკავშირებით წარმოადგენს „მორალური სტანდარტისადმი“ ნდობა კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით.²¹⁷

კეთილსინდისიერების საკითხის მნიშვნელოვანი როლი ხელშეკრულების განმარტებისას უდავოა. მაგრამ, კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება და მისი კავშირი ხელშეკრულების განმარტების სხვა პრინციპებთან დღესდღეობით

²¹⁵ *Sipiorski E.*, Good Faith in International Investment Arbitration, Oxford University Press, Oxford, 2019, 20-21.

²¹⁶ *de Branbadere E., van Damme I.*, Good Faith in Treaty Interpretation; in: *Andrew A.D., Sornarajah M., Voon T.* (Editors), Good faith and International Economic Law, Oxford University Press, Oxford, 2015, 37.

²¹⁷ *Sipiorski E.*, Good Faith in International Investment Arbitration, Oxford University Press, Oxford, 2019, 23.

განხილვის საგანს წარმოადგენს. საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებში იშვიათად არის მოხსენიებული კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც დამოუკიდებელი პრინციპი. როგორც წესი, განსახილველი პრინციპი უმრავლეს შემთხვევაში განიხილება სხვა პრინციპებთან ერთად, რომლებიც ეფუძნება კეთილსინდისიერებას.

კეთილსინდისიერების პრინციპი ემსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრინციპების შესრულებასა და განხორციელებას. ვენის კონვენციის 31(1)-ე მუხლის მიხედვით, „ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერად, ჩვეულებრივი მნიშვნელობის შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულების ტერმინებს უნდა მიეცეს მათ კონტექსტში და ასევე გამომდინარე ხელშეკრულების ობიექტიდან და მიზნებიდან გამომდინარე“. ვენის კონვენციის აღნიშნული პრინციპი ასევე მიემართება ამავე კონვენციის 26-ე მუხლში მოცემულ რეგულირებას, რომლის მიხედვითაც „ყოველი ძალაში მყოფი ხელშეკრულება სავალდებულოა მისი მხარეებისთვის და მათ მიერ კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს“. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-18 მუხლი წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის გამოძახილს, სადაც აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს მოქმედებებისგან, რომლებიც ხელყოფენ ხელშეკრულების ობიექტსა და მიზანს“.²¹⁸ აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი ხელშეკრულების ნორმების განმარტებისას მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, რაც საკანონმდებლო ჩანაწერთაც არის განმტკიცებული.

უმთავრესად კეთილსინდისიერების პრინციპის განმარტება ხორციელდება იმ კანონის შესაბამისად, რომელიც მოიცავს საერთაშორისო სამართალში არსებულ პრინციპებს ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებით და იმ დანაწესებს, რომლითაც რეგულირდება განმარტების განხორციელებაზე კომპეტენციის მქონე პირების საკითხი. ეს გულისხმობს იმას, რომ არსებობს განმარტების დადგენილი მეთოდები. ამასთან, ვენის კონვენციით გათვალისწინებულია, რომ ხელშეკრულების

²¹⁸ *de Branbadere E., van Damme I., Good Faith in Treaty Interpretation; in: Andrew A.D., Sornarajah M., Voon T. (Editors), Good faith and International Economic Law Oxford University Press, Oxford, 2015, 37.*

განმარტების მეთოდები უნდა დაეფუძნოს და განისაზღვროს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად. ამის გათვალისწინებით, ნათელია, რომ ხელშეკრულების განმარტება ძირეულად დაკავშირებულია კეთილსინდისიერების პრინციპთან.

ზემოთ დასახელებული მიდგომები კეთილსინდისიერების პრინციპთან დაკავშირებით არ გულისხმობს იმას, რომ უნდა არსებობდეს ჩამოყალიბებული ცალკეული მეთოდოლოგიები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. მთავარია, რომ გათვალისწინებულ იქნას კეთილსინდისიერების პრინციპი საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში.²¹⁹ კეთილსინდისიერების პრინციპის მთავარ მახასიათებლად შესაძლოა მივიჩნიოთ ის, რომ იგი მრავალი პრინციპის საყრდენს წარმოადგენს და დაკავშირებულია მრავალი პრინციპის სათანადოდ განხორციელებასთან. მაგალითად, კეთილსინდისიერების პრინციპი სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის ნაწილს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი სტანდარტი კეთილსინდისიერების პრინციპზე არის დაფუძნებული.²²⁰

აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს. საქმეში *Técnicas Medioambientales Tecmed, S.A. v. The United Mexican States*,²²¹ მოსარჩელე წარმოადგენდა ესპანურ კომპანიას, რომელმაც მექსიკაში შეიძინა სამრეწველო ნარჩენების ნაგავსაყრელი და მასთან დაკავშირებული აქტივები მექსიკური ორგანიზაციისგან. შესაბამისად, ესპანურმა კომპანიამ მიიღო მექსიკის ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის ფედერალური ორგანოდან ოპერირების უფლებამოსილება. კომპანიის ოპერირების პირობები განსხვავდებოდა წინა მესაკუთრისგან. Tecmed-ს მიღებული ჰქონდა 1-წლიანი ოპერირების უფლება ყოველწლიურად განახლების

²¹⁹ *de Branbadere E., van Damme I.*, Good Faith in Treaty Interpretation; in: *Andrew A.D., Sornarajah M., Voon T.* (Editors), *Good Faith and International Economic Law* Oxford University Press, Oxford, 2015, 38-39.

²²⁰ *Balcerzak F.*, *Investor – State Arbitration and Human Rights*, *International Studies in Human Rights*, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 168.

²²¹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2003 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Técnicas Medioambientales Tecmed, S.A. v. The United Mexican States*, Case No. ARB (AF)/00/2, paras. 154-174, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0854.pdf>>, [01.02.2021].

პირობით მაშინ, როდესაც წინა მესაკუთრეს განუსაზღვრელი ვადით ჰქონდა ნებართვა ჰქონდა მიღებული. Tecmed-მა საქმიანობის განხორციელებისას გარკვეული ვალდებულებები დაარღვია, რის გამოც მექსიკის გარემოს დაცვის ორგანოს მიერ დაჯარიმდა. ამ საფუძვლით კი გარემოს დაცვის ორგანომ Tecmed-ს აღარ გაუგრძელა მექსიკაში ოპერირების ვადა მაშინ, როდესაც კომპანიას განსაზღვრული ვადა ამოეწურა საქმიანობისთვის.

Tecmed-მა აღნიშნული მიიჩნია მექსიკის მიერ ესპანეთსა და მექსიკას შორის არსებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევად. კომპანიამ თავისი დარღვეული უფლების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი. ე.ი. მექსიკამ არ განახორციელა იმგვარი მოპყრობა მის მიმართ, როგორც ეს ნაგავსაყრელის წინა მესაკუთრის შემთხვევაში იყო. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მექსიკის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება. ტრიბუნალის მითითებით, მექსიკის გარემოს დაცვის ორგანომ ვერ დაასაბუთა ნათლად, თუ რა უარყოფითი შედეგის მომტანი იქნებოდა კომპანიის მიერ ოპერირების გაგრძელება და რას ეფუძნებოდა ორგანოს მიერ ნებართვის განახლებაზე უარის თქმა. აღნიშნულის დასაბუთებისას კი, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განავითარა არსებული ლეგიტიმური მოლოდინისა და გამჭვირვალობის მოთხოვნები სამართლიანი და თანასწორი მოპყრობიდან გამომდინარე, რომელიც დაფუძნებული იყო მხოლოდ კეთილსინდისიერების პრინციპზე.²²²

საქმეზე *Merrill and Ring Forestry L.P. v. Canada*²²³ მოპასუხე სახელმწიფო უთითებდა, რომ თავის მხრივ კეთილსინდისიერების პრინციპი არ გულისხმობს რაიმე მავალდებულებელ გარემოებას. ამის საწინააღმდეგოდ კი, საარბიტრაჟო

²²² *Caron D.D.*, The Interpretation of National Foreign Investment Law as Unilateral Acts under International Law, in: *Arsanjani H. M., Cogan Katz J., Sloane D.R., Wiessner S.* (Editors), Looking to the Future, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2011, 579.

²²³ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Merrill and Ring Forestry L.P. v. Canada*, ICSID Case No. UNCT/07/1, paras. 155-213, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0504.pdf>>, [01.02.2021].

ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც ზოგადი პრინციპი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული უსაფრთხო სამართლებრივი გარემოს არსებობასთან და ასევე გამჭვირვალობასთან. საქმეში საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გაიზიარა ინვესტორის დასაბუთება იმასთან დაკავშირებით, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადენს სამართლიანი და თანასწორი მოპყრობის სტანდარტის უმთავრეს პრინციპს.²²⁴

კიდევ ერთ სხვა საქმეზე *TECO Guatemala Holdings LLC v. Republic of Guatemala*,²²⁵ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განმარტა, რომ დაცვის მინიმალური სტანდარტი შეუძლებელია არსებობდეს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის გარეშე. ასევე, ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ თუ სახელმწიფოს ან მისი რომელიმე ორგანოს მიერ დარღვეულია კეთილსინდისიერების პრინციპი, ეს უკანასკნელი უნდა იქნას გათვალისწინებული, რათა შეფასდეს დაირღვა თუ არა დაცვის მინიმალური სტანდარტი.²²⁶

დასახელებული საქმეების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე საკითხთან. მაგალითად, საქმეში *Ioan Micula, Viorel Micula, S.C. European Food S.A, S.C. Starmill S.R.L. and S.C. Multipack S.R.L. v. Romania*²²⁷ განსახილველი პრინციპი

²²⁴ *Caron D.D.*, The Interpretation of National Foreign Investment Law as Unilateral Acts under International Law, in: *Arsanjani H. M., Cogan Katz J., Sloane D.R., Wiessner S.* (Editors), Looking to the Future, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2011, 579.

²²⁵ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2013 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *TECO Guatemala Holdings LLC v. Republic of Guatemala*, ICSID Case No. ARB/10/23, paras. 443-465, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw3035.pdf>>, [01.02.2021].

²²⁶ *Caron D.D.*, The Interpretation of National Foreign Investment Law as Unilateral Acts under International Law, in: *Arsanjani H. M., Cogan Katz J., Sloane D.R., Wiessner S.* (Editors), Looking to the Future, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2011, 579.

²²⁷ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2013 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Ioan Micula, Viorel Micula, S.C. European Food S.A, S.C. Starmill S.R.L. and S.C. Multipack S.R.L. v. Romania*, ICSID Case No. ARB/05/20, paras. 831-836, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw3036.pdf>>, [01.02.2021].

წარმოადგენს ხელშეკრულების განმარტების წესს. საქმეში *TECO Guatemala Holdings LLC v. Republic of Guatemala* კეთილსინდისიერების პრინციპი განხილულია, როგორც ვალდებულება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. რაც შეეხება საქმეს *Técnicas Medioambientales Tecmed, S.A. v. The United Mexican States*, კეთილსინდისიერების პრინციპი განხილულია, როგორც ზოგადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც უნდა განიმარტოს ხელშეკრულება ან ნაგულისხმევი ვალდებულება. განხილული საქმეებიდან გამომდინარე, ასევე, ნათელია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი ვალდებულების შინაარსის განსაზღვრის თვალსაზრისით სხვადასხვა როლს ასრულებს.²²⁸

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს ამოსავალ წერტილს ნორმის განმარტებისას. განსახილველი პრინციპი, როგორც წესი, განიხილება სხვა პრინციპებთან ერთობლიობაში და ქმნის საინვესტიციო დავის გადასაწყვეტად მამოძრავებელ ძალას, რომლის უგულებელყოფის შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების კანონიერება ჰიპოთეტურად შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს.

2. სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის პრინციპი

სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის პრინციპი ²²⁹ საინვესტიციო ურთიერთობებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი მიეკუთვნება „აბსოლუტურ“ სტანდარტთა კატეგორიას. მიიჩნევა, რომ განსახილველ სტანდარტს გააჩნია ყველაზე ბუნდოვანი

²²⁸ *Caron D.D.*, The Interpretation of National Foreign Investment Law as Unilateral Acts under International Law, in: *Arsanjani H. M., Cogan Katz J., Sloane D.R., Wiessner S.* (Editors), Looking to the Future, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2011, 579.

²²⁹ იხ. სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის შინაარსის შესახებ ვრცლად: *Diehl A.*, The Core Standard of International Investment Protection, Fair and Equitable Treatment, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 311-534.

შინაარსი სხვა სტანდარტებთან შედარებით.²³⁰ საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ფარგლებში ტერმინი „სამართლიანი“ გულისხმობს: რამდენად სწორად ახორციელებს ინვესტიციის მიმღები სახელმწიფო მოგებისა და ხარჯების განაწილებას გამოსაყენებელი სამართლის საფუძველზე, ინვესტორი რითი კომპენსირდება რაიმეს გაცემის ან დათმობის სანაცვლოდ, გარანტირებულ უფლებებს რამდენად სათანადოდ უზრუნველყოფს სახელმწიფო ინვესტიციის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე. ტერმინი „თანაბარი“ კი მოიცავს უცხოელი ინვესტორისა და მასპინძელი სახელმწიფოს საჯარო ინტერესებს შორის რაციონალური ბალანსის დაცვას.²³¹

საინვესტიციო ხელშეკრულებათა უმეტესობა არ უთითებს, თუ რა ფარგლებში უნდა განიმარტოს სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი. მაგალითად, ავსტრალიასა და პოლონეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ „ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფომ თავის ტერიტორიაზე უნდა უზრუნველყოს სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის მოქმედება ინვესტიციასთან და მასთან დაკავშირებით განხორციელებულ საკითხებთან მიმართებით“.²³² აგრეთვე, მაგალითად, კანადისა და ევროკავშირის ყოვლისმომცველი ეკონომიკური და სავაჭრო შეთანხმების (EU-Canada Comprehensive Economic and Trade Agreement – CETA)²³³ ბუნდოვანი ნორმებიდან

²³⁰ *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, International Studies in Human Rights, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 161.

²³¹ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 102.

²³² *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, International Studies in Human Rights, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 161.

²³³ EU-Canada Comprehensive Economic and Free Trade Agreement, მიღების თარიღი: 30/10/2016, ნაწილობრივ ძალაში შესვლის თარიღი: 21/09/2017, <http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2014/september/tradoc_152806.pdf>, [01.02.2021].

მრავალწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ CETA პირობითად ძალაში შევიდა 2017 წლის 21 სექტემბერს. შეთანხმება სრულად ამოქმედდება მას შემდეგ, რაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები განახორციელებენ CETA-ს რატიფიცირებას შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, რაც შესაძლოა გაგრძელდეს მრავალი წლის განმავლობაში. ინვესტიციებთან

შესაძლებელია დასახელდეს უცხოელი ინვესტორისადმი სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის განსაზღვრება. CETA ნათლად არ ადგენს განსახილველი პრინციპის შემადგენელ ელემენტებს, რის თაობაზეც ევროკომისია ხშირად გამოხატავს პრეტენზიას. თუ კანადა და ევროკავშირი შეთანხმდებიან ამის თაობაზე, მაშინ აღნიშნული CETA-თი უნდა განისაზღვროს ნათლად.²³⁴

სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტს ხშირად განმარტავენ საერთაშორისო ჩვეულებით სამართლის შესაბამისად. თუმცა, საინვესტიციო ხელშეკრულებათა უმრავლესი ნაწილი არ შეიცავს მითითებას, თუ როგორ უნდა იყოს ეს განმარტებული „ჩვეულებრივი მნიშვნელობის“ ფარგლებში, როგორც ეს მოთხოვნილია ვენის კონვენციის 31(1)-ე მუხლით.

NAFTA-ს 1105-ე მუხლი სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის ყველაზე გავრცელებული მაგალითია, რომელიც განიმარტება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად. NAFTA-ს კონვენციის 1105(1)-ე მუხლთან დაკავშირებით გამოხატულია მოსაზრება, რომ მცირედი ფორმულირებით არის მოცემული.²³⁵ კერძოდ, NAFTA-ს 1105-ე მუხლის მიხედვით, „ხელშეკრულების თითოეულმა მხარემ პატივი უნდა სცეს ხელშეკრულების სხვა მხარის ინვესტორის ინვესტიციებს, მათ შორის, სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის, სრული დაცვისა

დაკავშირებული საკითხები (შეთანხმების მე-8 თავი და მე-13 თავის ზოგიერთი მუხლი) ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეთანხმება იქნება რატიფიცირებული ყველა წევრი-სახელმწიფოს მიერ. ეს უკანასკნელი ეხება პორტუგალია ინვესტიციას, ინვესტიციის დაცვას, საინვესტიციო დავების გადაწყვეტას სახელმწიფოსა და ინვეტორს შორის. წყარო: *Brown E.*, *CETA is in Effect (mostly): What You Need to Know*, Norton Rose Fulbright, 2017, <<https://www.nortonrosefulbright.com/en-nl/knowledge/publications/9f197d24/ceta-is-in-effect-mostly-what-you-need-to-know>>, [01.02.2021].

²³⁴ *Banifatem Y., von Walter A.*, France, in: *Brown Ch.* (Editor), *Commentaries on Selected Model Investment Treaties*, Oxford University Press, Oxford, 2013, 260.

²³⁵ *Balcerzak F.*, *Investor – State Arbitration and Human Rights*, *International Studies in Human Rights*, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 162.

და უსაფრთხოების პრინციპების გათვალისწინებით”.²³⁶ ერთი მხრივ, ნორმის ფართო რეგულირება შესაძლებელია მიჩნეულ იქნას სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის უარყოფით მხარედ იმ თვალსაზრისით, რომ არბიტრებს ენიჭებათ ფართო დისკრეცია, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებებს ამგვარი მოწესრიგების საფუძველზე. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ფორმულირება სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის უფრო მეტი მოქნილობის საშუალებას იძლევა.

მიუხედავად სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის ფართო განმარტებისა, დაცვის ეს სტანდარტი ყოველთვის დაკავშირებული იქნება თითოეული საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან, რომელიც გამორიცხავს მის ზოგად განმარტებას. მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას სრული სიტუაცია და არა ცალკეული გარემოებები. სრული სურათის შეფასება ქმნის შესაძლებლობას განისაზღვროს დარღვეულია თუ არა საერთაშორისო სამართლის პრინციპი. ზოგიერთი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით განსახილველი სტანდარტი განიმარტება დამოუკიდებლად. NAFTA-ს შესაბამისადაც კი, რომელიც განმარტებულია მრავალი ტრიბუნალის მიერ და წარმოადგენდა მრავალი საინვესტიციო დავის საფუძველს - არ არსებობს სტანდარტის ზუსტი განსაზღვრება.

საქმეზე *L.F.H. Neer and Pauline Neer (U.S.A.) v. Mexico* მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ხშირად ციტირებად განმარტებას, რომელიც მიღებულ იქნა 1926 წლის 15 ოქტომბერს აშშ-სა და მექსიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.²³⁷ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში გამოხატულია მოსაზრება, რომ სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი უნდა განიმარტოს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში. ამ მიდგომის მიხედვით, უცხოელის მიმართ მოპყრობა საერთაშორისო დონეზე დარღვეულად ჩაითვლება, თუ მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედებები არაკეთილსინდისიერად, ვალდებულების უგულებელყოფად ან არასაკმარისად

²³⁶ *Thomas J.C.*, Reflections on Article 1105 of NAFTA: History, State Practice and the Influence of Commentators, ICSID Review: Foreign Investment Law Journal, Vol. 17, No. 1, Oxford University Press, Oxford, 2002, 21.

²³⁷ *Kostytska M.*, International Arbitration Case Law, Queen Mary University of London, London, <<https://bit.ly/2MuUZOV>>, [01.02.2021].

განხორციელებულ სტანდარტად მიიჩნევა, გონივრული და მიუკერძოებელი განსჯის საფუძველზე”.²³⁸ საინვესტიციო საარბიტრაჟო დავისას გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას ინვესტორის ინტერესებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებიდან გამომდინარე. ამერიკელი მოსამართლე შტეფან ბრეიერის სიტყვები წარმოადგენს კონსტიტუციური პრინციპების გამოძახილს, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟის თვალსაზრისით. მისი მოსაზრებით, მოსამართლე, რომელიც განმარტავს მრავალმნიშვნელოვან ნორმებს, არ უნდა იმოქმედოს პირადი შეხედულებების მიხედვით.²³⁹

სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განმარტებასთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა იმ მიდგომის განხილვა, რომლის მიხედვით პრინციპი უნდა განიმარტოს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მინიმალური სტანდარტის შესაბამისად. მაგალითად, ფრანგულ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის შესახებ დათქმაში მოხსენიებულია „საერთაშორისო სამართლის პრინციპები”. ამგვარი ფორმულირების გამო, პრაქტიკოსების მიერ გავრცელდა არგუმენტები, რომელთა მიხედვით სტანდარტი განიმარტება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მინიმალური სტანდარტის ფარგლებში. ე.ი. პრინციპი გათანაბრებულია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მინიმალურ სტანდარტთან. მიუხედავად ამისა, ამგვარი მიდგომა უარყოფილია ტრიბუნალების მიერ.²⁴⁰

საქმეზე *Compañía de Aguas del Aconquija S.A. and Vivendi Universal S.A. v. Argentina*²⁴¹ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უარყო დათქმა „საერთაშორისო სამართლის

²³⁸ *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, *International Studies in Human Rights*, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 163-165.

²³⁹ *Caron D.D.*, The Interpretation of National Foreign Investment Law as Unilateral Acts under International Law, in: *Arsanjani H. M., Cogan Katz J., Sloane D.R., Wiessner S.* (Editors), *Looking to the Future*, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2011, 579.

²⁴⁰ *Banifatem Y., Von Walter A.*, France, in: *Brown Ch.* (Editor), *Commentaries on Selected Model Investment Treaties*, Oxford University Press, Oxford, 2013, 260.

²⁴¹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2000 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Compañía de Aguas del Aconquija S.A. and*

პრინციპების” გათანაბრება საერთაშორისო მინიმალურ სტანდარტთან. აღნიშნულის მსგავსად, საქმეზე *Suez, Sociedad de Aguas de Barcelona & Vivendi v. Argentina*²⁴² საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაადგინა, რომ სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის ჩვეულებრივმა მნიშვნელობამ უბიძგა ტრიბუნალს განსახილველი სტანდარტი განემარტა საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების შესაბამისად. თუმცა, აღნიშნული არ გულისხმობს შეზღუდული ფარგლებით განმარტებას საერთაშორისო მინიმალური სტანდარტის მიხედვით.²⁴³

მსგავსი მიდგომა იქნა გამოხატული საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საქმეზე *Total S.A. v. The Argentine Republic*²⁴⁴, სადაც სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის ნორმის ფრანგულმა ფორმულირებამ ტრიბუნალს უბიძგა იმისკენ, რომ ნორმის განმარტებისას უფრო მეტად ეხელმძღვანელა ზოგადი პრინციპებითა და საერთაშორისო საჯარო სამართლით.²⁴⁵

საქმეზე *Gemplus SA, SLP SA, Gemplus Industrial SA de CV v. Mexico*²⁴⁶ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გაითვალისწინა სტანდარტის სამართლებრივი

Vivendi Universal S.A. v. Argentine Republic, ICSID Case No. ARB/97/3, paras. 43-64, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0206.pdf>>, [01.02.2021].

²⁴² ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Suez, Sociedad General de Aguas de Barcelona S.A., and InterAguas Servicios Integrales del Agua S.A. v. The Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/03/17, paras. 174-229, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0813.pdf>>, [07.02.2021].

²⁴³ *Banifatem Y., von Walter A., France*, in: *Brown Ch.* (Editor), *Commentaries on Selected Model Investment Treaties*, Oxford University Press, Oxford, 2013, 260.

²⁴⁴ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2016 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Total S.A. v. The Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/04/01, paras. 67-73, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw7084.pdf>>, [01.02.2021].

²⁴⁵ *Banifatem Y., von Walter A., France*, in: *Brown Ch.* (Editor), *Commentaries on Selected Model Investment Treaties*, Oxford University Press, Oxford, 2013, 260.

²⁴⁶ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Gemplus SA, SLP SA, Gemplus Industrial SA de*

ფარგლები. მოსარჩელები უთითებდნენ საფრანგეთსა და მექსიკას შორის გაფორმებულ 1998 წლის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-4 მუხლზე. აღნიშნულის თანახმად, „ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, რომ თავიანთი ტერიტორიისა და საზღვაო ზონის ფარგლებში, სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად შესრულდება. კერძოდ, სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ მასპინძელ სახელმწიფოში განსახორციელებელი ინვესტიცია იქნება დაცული სამართლებრივი და პრაქტიკული თვალსაზრისით”.

წინამდებარე საქმეზე მოსარჩელებმა განაცხადეს, რომ სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი მოცემულია, როგორც მოქნილი პრინციპი, რომელიც მოიცავს მრავალ განსხვავებულ ელემენტს. ამ საფუძვლით მოსარჩელები ასაბუთებდნენ, რომ სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი ითვალისწინებს შემდეგს: კეთილსინდისიერების ვალდებულება, არადისკრიმინაციული მოპყრობა, ინვესტიციების პატივისცემა და ინვესტორისთვის ხელის არშემლა საქმიანობის განხორციელებისას. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა სტანდარტის განმარტებისას უპირველეს ყოვლისა იხელმძღვანელა სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის პრინციპის ძირითადი ფორმულირებით, რომელიც გათვალისწინებული იყო საფრანგეთსა და მექსიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. აღნიშნული სტანდარტი ტრიბუნალმა განმარტა ვენის კონვენციის 31-ე მუხლის შესაბამისად და მიიღო მოსარჩელეთა არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი შეიცავს „კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის, მიკერძოებული და დაუსაბუთებელი ქმედებების განუხორციელებლობის გარანტიას”.²⁴⁷

არბიტრ მაიკლ რეისმანის მონაწილეობით მიღებული საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები ნათელი გამოხატულებაა დავის

CV v. Mexico and Taslud SA v. Mexico, ICSID Case No. ARB(AF)/04/3, paras. 7.1-7.7.8, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0357.pdf>>, [01.02.2021].

²⁴⁷ *Banifatem Y., von Walter A., France*, in: *Brown Ch.* (Ediror), *Commentaries on Selected Model Investment Treaties*, Oxford University Press, Oxford, 2013, 261.

გადაწყვეტისას ზომიერი მიდგომის არსებობისა.²⁴⁸ მაგალითად, შესაძლებელია დასახელდეს ორი საქმე *AG Fraport Airport Services Worldwide v. Philippines*²⁴⁹ და *GAMI Investment Inc. v. Mexico*.²⁵⁰ ორივე საქმესთან დაკავშირებით მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებში გათვალისწინებულია, როგორც მოპასუხე სახელმწიფოთა სამართლებრივი სისტემა, ისე საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები და ინვესტორის ინტერესები მათი ინვესტიციის დასაცავად. საქმეზე *AG Fraport Airport Services Worldwide v. Philippines* მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში აშკარად, ხოლო საქმეზე *GAMI Investment Inc. v. Mexico* მიღებულ გადაწყვეტილებაში ნაგულისხმევად არის აღიარებული სახელმწიფო პასუხისმგებლობის რეჟიმის ძირითადი პოლიტიკური საწყისები საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში. აღნიშნულში იგულისხმება, მასპინძელი სახელმწიფოს სამართლისადმი პატივისცემა უცხოური ინვესტიციებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.²⁵¹

განსახილველი სტანდარტის ფარგლებში საინტერესოა საქართველოს მონაწილეობით წარმოებული საქმის მიმოხილვა ICSID არბიტრაჟში, სადაც მოსარჩელების აზრით, ბენეფიციარი სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთ დარღვეულ სტანდარტს წარმოადგენდა სამართლიანი და თანაბარ მოპყრობის პრინციპი. კერძოდ,

²⁴⁸ *Caron D.D.*, The Interpretation of National Foreign Investment Law as Unilateral Acts under International Law, in: *Arsanjani H. M., Cogan Katz J., Sloane D.R., Wiessner S.* (Editors), Looking to the Future, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2011, 579.

²⁴⁹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Fraport AG Frankfurt Airport Services Worldwide v. The Republic of the Philippines*, ICSID Case No. ARB/03/25, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0340.pdf>>, [01.02.2021].

²⁵⁰ NAFTA-ს საფუძველზე შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2004 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Gami Investments, Inc. v. The Government of the United Mexican States*, paras. 83-92, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0353_0.pdf>, [01.02.2021].

²⁵¹ *Caron D.D.*, The Interpretation of National Foreign Investment Law as Unilateral Acts under International Law, in: *Arsanjani H. M., Cogan Katz J., Sloane D.R., Wiessner S.* (Editors), Looking to the Future, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2011, 579-581.

ICSID არბიტრაჟმა განიხილა საქმე საქართველოს წინააღმდეგ, სადაც მოსარჩელებს წარმოადგენდნენ იტალიაში დაფუძნებული კომპანიები Ares და MetalGeo. წინამდებარე დავაში იტალიელი ინვესტორების უფლებების დარღვევა დადგინდა საქართველოს მიერ. ICSID არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2005 წლის 9 ნოემბერს ინვესტორის სასარგებლოდ. ინვესტორების შეხედულებით, საქართველოს სახელმწიფო უწყებები და სამთავრობო პირები ხელს უშლიდნენ ინვესტიციის სათანადოდ განხორციელებაში. კერძოდ, უცხოელ ინვესტორებს საქართველოში ჩამოერვათ მეტალურგიული ქარხანა იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული წარმოადგენდა სახელწიფოს საკუთრებას. შესაბამისად, მოსარჩელები ითხოვდნენ ფულად კომპენსაციას, როგორც სუფთა დანაკარგისთვის, ისე მიუღებელი შემოსავლისთვის.²⁵²

წინამდებარე დავაში გამოიყენებოდა საქართველოსა და იტალიას შორის დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება. ამ უკანასკნელის მე-2(3) მუხლის თანახმად, „ორივე მონაწილე მხარემ ყოველთვის უნდა უზრუნველყოს თანაბარი და სამართლიანი რეჟიმით მეორე მონაწილე მხარის ინვესტორების ინვესტიციები, ორივე მონაწილე მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ მათ ტერიტორიაზე მეორე მონაწილე მხარის ინვესტორების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მართვა, ხელშეწყობა, გამოყენება, გარდაქმნა, სარგებლობა ან გადანაწილება, ისევე როგორც იურიდიული პირების, კერძოდ, მაგრამ არაამომწურავად, ის კომპანიები და საწარმოები, რომლებშიც განხორციელდა ეს ინვესტიციები არანაირად არ უნდა გახდნენ უსამართლო ან დისკრიმინაციული ზომების საგანი“.²⁵³ ტრიბუნალის მიდგომით, სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის

²⁵² ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Ares International S.r.l. and MetalGeo S.r.l. v. Georgia, ICSID Case No. ARB/05/23, <<https://jsumundi.com/en/document/decision/en-ares-international-s-r-l-and-metalgeo-s-r-l-v-georgia-award-tuesday-26th-february-2008>>, [01.02.2021].

²⁵³ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 15/05/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 26/07/1999 (დღესდღეობით ხელშეკრულება მხარეებს შორის შეწყვეტილია), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 2(3).

პრინციპი არ უნდა განიმარტოს აბსტრაქტულად. აღნიშნული განმარტება უნდა დაეფუძნოს ყოველი საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და ობიექტურ მოცემულობას. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დასახელებული მუხლი ძალიან ფართოდ არის მოწესრიგებული და მოპყრობის მინიმალურ სტანდარტსაც არ აწესებს. მიუხედავად იმისა, რომ პუნქტის ბოლოს დაკონკრეტებულია მუხლის შინაარსი, აღნიშნული არ წარმოადგენს მხარეთა განზრახვას მინიმალური მოპყრობის სტანდარტის დასადგენად.

თუმცა, მიუხედავად პრინციპის ფართო მოწესრიგებისა ტრიბუნალის მიდგომა არის გამართლებული იმ თვალსაზრისით, რომ ნორმის მნიშვნელობას აფასებს ფაქტობრივი მოცემულობიდან გამომდინარე. პროფესორი მანის მიერ აღნიშნულია, რომ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს მინიმალური, საშუალო ან მაქსიმალური სტანდარტი, რადგან შეფასების სათანადო კრიტერიუმი უნდა განხორციელდეს დამოუკიდებლად და ავტონომიურად.²⁵⁴

ამასთან, ისიც აღსანიშნია, რომ საქართველოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები ზედაპირულად მოიხსენიებენ განსახილველ სტანდარტს, როგორც საქართველოსა და იტალიას შორის მაგალითზეა.²⁵⁵ ზოგიერთ შემთხვევაში მცირედი მითითებაც არ არის, თუ რა ფარგლებს მოიცავს სამართლიანი თანაბარი მოპყრობის პრინციპი. მაგალითად, საქართველოსა და სომხეთს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მხოლოდ, რომ „ნებისმიერი მხარის ინვესტორის ინვესტიციები სარგებლობენ სამართლიანი და თანასწორუფლებიანი დამოკიდებულებით“.²⁵⁶ ამგვარი მოწესრიგება სრულ თავისუფლებას ანიჭებს

²⁵⁴ Ares International S.r.l. and MetalGeo S.r.l. v. Georgia, ICSID Case No. ARB/05/23, 09/11/2005, <<https://jsumundi.com/en/document/decision/en-ares-international-s-r-l-and-metalgeo-s-r-l-v-georgia-award-tuesday-26th-february-2008>>, [01.02.2021].

²⁵⁵ იხ. ასევე, შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 01/03/2017, ძალაში შესვლის თარიღი: 01/12/2017, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 2.

²⁵⁶ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 05/06/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 18/01/1999, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 3(2);

ტრიბუნალს, რაც არც ამ უკანასკნელისთვისაა ხელსაყრელი და არც სახელმწიფოსთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნორმების შინაარსის აღქმის შესახებ ზოგადი მითითებაც არ არის.²⁵⁷

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სტანდარტის განმარტება ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით და დავის გადაწყვეტა ზომიერი მიდგომის საფუძველზე, ხელსაყრელ საშუალებას წარმოადგენს სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. უცხოელი ინვესტორისადმი მოპყრობის შეფასებამ მხოლოდ მინიმალური სტანდარტის ფარგლებში შესაძლოა ინვესტორის უფლებათა სრულყოფილად დაცვა ვერ უზრუნველყოს. შესაბამისად, მთავარია რომ ტრიბუნალმა მინიმალური მოთხოვნების მიღმა არ შეაფასოს სადავო ქმედებები და ამასთან გაითვალისწინოს ის საერთაშორისო სამართლის პრინციპებიც, რომლებიც მიემართება მხარეთა ურთიერთობას. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს ბალანსის შენარჩუნებას სახელმწიფოსა და ინვესტორის ინტერესების სათანადოდ დასაცავად.

შეთანხმება საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 18/10/2001, ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/2004, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 3(1).

²⁵⁷ მაგალითად, შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ ითვალისწინებს მუხლს, რომლის მიხედვით მოცემულია თუ როგორ უნდა იქნას გაგებული ხელშეკრულების ნორმები (მუხლი 11(1): „წინამდებარე შეთანხმების არცერთი პუნქტი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს იგი ხელს უშლიდეს რომელიმე ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე შეთანხმების შესაბამისი ნებისმიერი ისეთი ზომის მიღებაში, ხელშეწყობაში ან განხორციელებაში, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს: (a) შესაბამისობა იმ კანონებთან და კანონქვემდებარე აქტებთან, რომლებიც წინააღმდეგობაში არ მოდის წინამდებარე შეთანხმებასთან; (b) გარემოს, ასევე ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს დაცვა; (c) ცოცხალი და არაცოცხალი ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის რეგულირება; (d) საერთაშორისო მშვიდობის ან უსაფრთხოების შენარჩუნება ან აღდგენა, ან საკუთარი უსაფრთხოების ინტერესების დაცვა”), მიღების თარიღი: 01/03/2017, ძალაში შესვლის თარიღი: 01/12/2017, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

3. ლეგიტიმური მოლოდინი

ლეგიტიმური მოლოდინი ინვესტორის დაცვაზე ორიენტირებული პრინციპია. აღნიშნული ინვესტიციის მიმღებ სახელმწიფოს ავალდებულებს არ განახორციელოს ისეთი მოქმედება, რომლის ლეგიტიმური მოლოდინი უცხოელ ინვესტორს ვერ ექნებოდა.²⁵⁸ ინვესტორის ლეგიტიმური მოლოდინი გულისხმობს მასპინძელი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების პატივისცემას, დაცვასა და შესრულებას, რაც ემსახურება სამართლებრივი მოწესრიგების სტაბილურობასა და სახელმწიფოს უმთავრესი ვალდებულებების სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფას.²⁵⁹

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ლეგიტიმური მოლოდინის განმარტებისას ასახვას ჰპოვებს ადამიანის უფლებები.²⁶⁰ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, შეუძლებელია არსებობდეს ლეგიტიმური მოლოდინი იქ, სადაც რაიმე ადამიანის უფლებათა საწინააღმდეგოდ ხორციელდება.²⁶¹

ამას გარდა, ლეგიტიმური მოლოდინი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტთან.²⁶² ამ უკანასკნელის დასაბუთება სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის ფარგლებში უფრო მეტად

²⁵⁸ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 105.

²⁵⁹ *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, International Studies in Human Rights, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 173.

²⁶⁰ ლეგიტიმური მოლოდინისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართება ვრცლად არის განხილული წინამდებარე ნაშრომის ქვეთავში „ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებთან შესაბამისობა“ და შესაბამისად ამ თავში აღნიშნულ თემაზე აღარ შევჩერდები.

²⁶¹ *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, International Studies in Human Rights, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 173.

²⁶² *Schernbeck A.*, Der Fair and Equitable Treatment Standard in Internationalen Investitionsschutzabkommen, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2013, 101.

ჰპოვებს წარმატების გარანტიას.²⁶³ სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი დარღვეულად მიიჩნევა ლეგიტიმური მოლოდინის მნიშვნელობის შესაბამისად.²⁶⁴

ლეგიტიმური მოლოდინის შინაარსის საილუსტრაციოდ შესაძლოა დასახელდეს შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს მიერ ხორციელდება საკანონმდებლო ცვლილება. ე.ი. როგორ მოქმედებს ინვესტორზე სახელმწიფოს მიერ უცხოელი ინვესტორის უფლებებთან დაკავშირებული რეგულაციების ცვლილება.²⁶⁵

დასახელებული შემთხვევა მოცემულია საქმეზე *Electrabel S.A. v. Republic of Hungary*.²⁶⁶ ამ საქმის მიხედვით, 1995 წელს Dunamenti-სა (უნგრეთის უდიდესი ელექტროსადგური, რომელსაც შემდეგ სრულად ფლობდა უნგრეთი) და MVM-ს შორის გაფორმდა ელექტროენერჯის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება. ამ უკანასკნელის საფუძველზე ინვესტორთა ჯგუფმა, მათ შორის Electrabel-მა, განახორციელა მნიშვნელოვანი ინვესტიცია, როგორც Dunament-ის მეწილემ. უნგრეთი 2004 წელს შეუერთდა ევროკავშირს. ევროკომისიამ 2005 წლიდან 2008 წლამდე გამოიძია უნგრეთის მიერ გაცემული უკანონოდ გაცემული სახელმწიფო დახმარებები ელექტროენერჯის ხელშეკრულების ფარგლებში. 2008 წლის ივნისში ევროკომისიამ გამოაქვეყნა გამოძიების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც 2008 წელს უნგრეთმა ელექტროენერჯის ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება შეწყვიტა. ამ შემთხვევაში Electrabel-სა და უნგრეთს შორის მთავარ

²⁶³ *Potestà M.*, Legitimate Expectations in Investment Treaty Law: Understanding the Roots and the Limits of a Controversial Concept, ICSID Review, Vol. 28, No. 1, Oxford University Press, Oxford, 2013, 98.

²⁶⁴ *Basener N.*, Investment Protection in the European Union (Considering EU law in Investment Arbitrations Arising from Intra-EU and Extra-EU Bilateral Investment Agreements), Nomos, Baden-Baden, 2017, 372.

²⁶⁵ *van Harten G.*, Comments on the EU-Canada Joint Interpretive Declaration on the CETA, 5, <http://digitalcommons.osgoode.yorku.ca/cgi/viewcontent.cgi?article=1135&context=public_writing>, [01.02.2021].

²⁶⁶ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2015 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Electrabel S.A. v. Republic of Hungary*, ICSID Case No. ARB/07/19, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw4495.pdf>>, [01.02.2021].

სადავო თემას წარმოადგენდა, კომპანიასთან ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა რამდენად სამართლიანი იყო ევროკომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. ეს განხორციელდა მაშინ, როცა მხარეთა შორის ურთიერთობა 1995 წლიდან არსებობდა და Electrabel-ს არ ჰქონდა იმის მოლოდინი, რომ მის მიმართ განხორციელებული ქნედებები შეფასდებოდა ევროკავშირის სამართლის შესაბამისად. Electrabel მიიჩნევდა, რომ აღნიშნულით დაირღვა სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი, რაც გათვალისწინებულია ენერგეტიკული ქარტიის 10(1)-ე მუხლით.²⁶⁷

ლეგიტიმური მოლოდინის შეფასებასთან დაკავშირებით საარბიტრაჟო ტრიბუნალმა წინამდებარე საქმეზე განმარტა, რომ ინვესტორს არ უნდა გააჩნდეს იმის მოლოდინი, რომ მასპინძელი სახელმწიფო დაარღვევს ფუნდამენტურ ნორმებს თავის სასარგებლოდ, რომელთა შორის იგულისხმება ევროკავშირის სამართალიც. აღსანიშნია, რომ ამგვარი პოზიცია სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტთან დაკავშირებით განვითარებულია მრავალი საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ.²⁶⁸

Electrabel S.A. v. Republic of Hungary საქმის განმხილველმა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განავითარა ორი მიდგომა ლეგიტიმური მოლოდინის ფარგლებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება ინვესტორს გააჩნდეს. პირველი, ინვესტორი არ უნდა აღმოჩნდეს დაუცველი ევროკავშირის სამართლის მიხედვით მასპინძელი სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობისას. მეორე, გულისხმობს იმას, რომ ინვესტორის მოლოდინი უნდა იქნას დაცული მიუხედავად მასპინძელი

²⁶⁷ *Levine M.*, ICSID Tribunal Dismisses Final Claim for Compensation in Relation to Hungary's 2008 Termination of Power Purchase Agreement, International Institute for Sustainable Development, 2016, <<https://bit.ly/3eHK0xe>>, [01.02.2021].

²⁶⁸ *Basener N.*, Investment Protection in the European Union (Considering EU Law in Investment Arbitrations Arising from Intra-EU and Extra-EU Bilateral Investment Agreements), Nomos, Baden-Baden, 2017, 372.

სახელმწიფოს პოლიტიკური, სამართლებრივი თუ სოციალური ფონისა. ასევე, იმის მიუხედავად, თუ როდის შეუერთდა მასპინძელი სახელმწიფო ევროკავშირს.²⁶⁹

მსგავსი მიდგომა ასევე განავითარა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე *Duke Energy Electroquil Partners & Electroquil S.A. v. Republic of Ecuador*²⁷⁰. აღნიშნულ საქმეზე მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში ნათლად არის გამოხატული, რომ გონივრულობის ან ლეგიტიმურობის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ყველა გარემოება. მათ შორის, არა მხოლოდ ის ფაქტები, რომლებიც ეხება უშუალოდ ინვესტიციას, არამედ, ასევე, მასპინძელი სახელმწიფოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ისტორიული პირობები.²⁷¹

ლეგიტიმური მოლოდინი, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უცხოელი ინვესტორის მიერ უფლებების დასაცავად მამოძრავებელ პრინციპს წარმოადგენს. განსახილველი პრინციპის მთავარი მახასიათებელია, რომ იგი მრავალ სხვა პრინციპთან არის დაკავშირებული და ზოგ შემთხვევაში მოიაზრება სხვა ცალკეული სტანდარტის შემადგენელ ნაწილადაც. ამასთან, ინვესტიციის მიმღები სახელმწიფოს მხრიდან უცხოელი ინვესტორის უფლებების პატივისცემა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან უცხოელი ინვესტორი შესაძლოა სათანადოდ არ იცნობდეს უცხო ქვეყნის სამართლებრივ სისტემას და სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა ქმედებამ თუ საკანონდებლო ცვლილებამ შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს მის ინვესტიციას, რასაც ინვესტორი თავის მხრივ ვერ გაითვალისწინებდა ან ივარაუდებდა.

²⁶⁹ *Basener N.*, Investment Protection in the European Union (Considering EU Law in Investment Arbitrations Arising from Intra-EU and Extra-EU Bilateral Investment Agreements), Nomos, Baden-Baden, 2017, 372.

²⁷⁰ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2008 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Duke Energy Electroquil Partners & Electroquil S.A. v. Republic of Ecuador*, ICSID Case No. ARB/04/19, para. 340, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0256.pdf>>, [01.02.2012].

²⁷¹ *Basener N.*, Investment Protection in the European Union (Considering EU Law in Investment Arbitrations Arising from Intra-EU and Extra-EU Bilateral Investment Agreements), Nomos, Baden-Baden, 2017, 372.

4. უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი

ორმხრივი და მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები უმრავლეს შემთხვევაში შეიცავენ დათქმებს, რომლებიც ეხება უპირატესი ხელშეწყობის პრინციპს. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ მიმღებმა სახელმწიფომ ნაკლებად ხელსაყრელი პირობები არ უნდა გაავრცელოს საინვესტიციო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს ინვესტორსა და ინვესტიციაზე, ვიდრე ის ავრცელებს საკუთარ და მესამე სახელმწიფოს ინვესტორებზე.

უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი მიეკუთვნება არადისკრიმინაციული ნორმების კატეგორიას. განსახილველი პრინციპი არ მოითხოვს სახელმწიფოებისგან (რომლებიც აღიარებენ უპირატესი ხელშეწყობის პრინციპს) ზუსტად იმავე მოპყრობის გავრცელებას, რაც არსებობს მესამე სახელმწიფოში. ბენეფიციარი სახელმწიფო უფლებამოსილია უცხოელ ინვესტორებზე უფრო ხელსაყრელი პირობები გაავრცელოს.

უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი, მაგალითად, გარანტირებულია NAFTA-თი. აღნიშნული დოკუმენტით მოცემული პრინციპის შინაარსი სტანდარტულია სხვა ხელშეკრულებების მსგავსად. აღსანიშნია ის გარემოება, რომ საინვესტიციო საარბიტრაჟო დავები, რომლებიც დაკავშირებულია უპირატესი ხელშეწყობის პრინციპთან, უმრავლესი ნაწილი წარმოშობილია NAFTA-ს საფუძველზე. დავათა მცირე რაოდენობა არსებობს, რომლებიც უპირატესი ხელშეწყობის პრინციპს ეხება და გამომდინარეობს სხვა საინვესტიციო ხელშეკრულებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ გავლენიანი საარბიტრაჟო ტრიბუნალები უპირატესი ხელშეწყობის პრინციპს აიგივებენ თანაბარ მოპყრობასთან. აღნიშნული კი ხელს უშლის უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის შინაარსის აშკარად გამოხატვას. ამასთან, ტრიბუნალების გამოწვევას წარმოადგენს განმარტების საკითხი, როდესაც პრინციპი არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით ან არ არის დაკონკრეტებული რა ფარგლებს მოიცავს ნორმა.

ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს იმის რისკი, საარბიტრაჟო ტრიბუნალები ნორმის განმარტებისას აჭარბებენ თუ არა ხელშეკრულების მონაწილეთა სახელმწიფოების განზრახვას.²⁷²

მართალია, უცხოელ ინვესტორთა მიმართ არადისკრიმინაციული მოპყრობის მოთხოვნები ისტორიულად არაწინააღმდეგობრივია, მაგრამ პრინციპის ზუსტი ფარგლების დადგენამ დიდი დავა წარმოშვა (ხელშეკრულებების მსგავსი სტრუქტურის მიუხედავად, მოპყრობის სტანდარტების შინაარსი და მოქმედების არეალი ხშირად განსხვავებულია). საკითხი ეხება იმას, ინვესტორს უნდა ჰქონდეს თუ არა იმის უფლებამოსილება, რომ მოიხმოს უფრო მეტად ხელსაყრელი ნორმა, რასაც მასპინძელი სახელმწიფოს მიერ დადებული სხვა საინვესტიციო ხელშეკრულება შეიცავს.²⁷³

კერძოდ, ერთი ნორმა შესაძლოა ჩანაცვლდეს სხვა ნაკლებად მკაცრი შინაარსის ნორმით. ეს შესაძლოა განხორციელდეს მაშინ, როდესაც გამოსაყენებელი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით მოცემული უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის დათქმა განიმარტება, როგორც „ნაკლებად ხელსაყრელი“.²⁷⁴

მსგავსი შემთხვევა გამოვლინდა საქმეზე *CMS v. Argentina*, რომელიც გადაწყდა არგენტინასა და აშშ-ს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების საფუძველზე. ინვესტორმა უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის თანახმად, საფუძვლად მოიხმო არგენტინის მიერ გაფორმებული სხვა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, სადაც მსგავსი დათქმა არ იყო მოცემული. ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ არგენტინის მიერ გაფორმებულ სხვა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით მსგავსი ნორმის გაუთვალისწინებლობა არ ნიშნავს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ინვესტორის მიერ წარდგენილი პოზიცია დაკმაყოფილდეს. თუმცა, ტრიბუნალმა სრულად არ უარყო აღნიშნული მიდგომა. ტრიბუნალის პოზიციით, მესამე სახელმწიფოსთან გაფორმებულ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში მოცემულმა უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის

²⁷² Ziegler A., *Asif Q.*, International Economic Law, 3rd Edition, Thomson Reuters, London, 2011, 507.

²⁷³ Ziegler A., *Asif Q.*, International Economic Law, 3rd Edition, Thomson Reuters, London, 2011, 507.

²⁷⁴ Nikièma H.S., *The Most-Favoured Nation Clause in Investment Treaties*, IISD Best Practices Series, International Institute for Sustainable Development, Ottawa, 2017, 12.

დათქმამ შესაძლოა დავის გადაწყვეტაზე გავლენა მოახდინოს. აღნიშნული შესაძლებელია, თუ მესამე სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება შეიცავს უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის მეტად ხელსაყრელ შინაარსს.²⁷⁵

ამასთან, საინტერესოა თუ როგორ მიემართება სამართლის არჩევის საკითხი განსახილველ სტანდარტს. ხელშეკრულების სამართლის არჩევასთან დაკავშირებული ნორმის განმარტების მთავარ პრინციპს წარმოადგენს შემდეგი: 1. მითითება განხორციელებული უნდა იყოს ეროვნულ და არა მუნიციპალურ სამართალზე; 2. არ უნდა განხორციელდეს იმის განმარტება, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს; 3. არ უნდა იქნას გადახვეული ენის ჩვეულებრივი მნიშვნელობიდან, თუ არ არსებობს ამისთვის მნიშვნელოვანი მიზეზი. მატერიალური სამართალი, რომელიც ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების შესაბამისად ვრცელდება უცხოელ ინვესტორზე, შესაძლოა ანიჭებდეს ამ უკანასკნელს უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის სარგებლობით შესაძლებლობას. აღნიშნული კი ანაცვლებს მხარეთა შორის გამოსაყენებელი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნაკლებად ხელსაყრელ მოპყრობის სტანდარტს.²⁷⁶

მაგალითად საქართველოსა და მოლდოვას შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია, რომ „თუ საკითხი ერთდროულად რეგულირდება ამ შეთანხმებით და სხვა საერთაშორისო შეთანხმებით, რომლის მონაწილეც არის ორივე მხარე, ამ შეთანხმებაში არაფერი არ შეუშლის ხელს მხარეებს ამ ნებისმიერ ინვესტორებს, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციებს მეორე მხარის ტერიტორიაზე, ისარგებლონ იმ წესების უპირატესობით, რომლებიც უფრო ხელსაყრელნი არიან მათ საქმიანობასთან დაკავშირებით“.²⁷⁷ ე.ი. ამ შემთხვევაში ინვესტორისა და

²⁷⁵ *Nikièma H.S.*, *The Most-Favoured Nation Clause in Investment Treaties*, IISD Best Practices Series, International Institute for Sustainable Development, Ottawa, 2017, 12.

²⁷⁶ *Ziegler A., Asif, Q.*, *International Economic Law*, 3rd Edition, Thomson Reuters, London, 2011, 507.

²⁷⁷ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 28/11/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 25/02/1999, საქართველო საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 11(1).

ინვესტიციების მიმართ მატერიალური სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით შესაძლებელია უპირატესად იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმების გამოყენება (თუ მოწერილება უფრო ხელსაყრელია ინვესტორისთვის, ვიდრე მიმღებ სახელმწიფოსა და უცხოელი ინვესტორს შორის გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმებით), რომელთა წევრებიც თანადროულად ხელშემკვრელი სახელმწიფოები არიან. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ შესაძლოა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნორმების გამოყენება, რომლის წევრებიც არიან უშუალოდ ერთსა და იმავე დროს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეები.²⁷⁸ ამასთან, ამავე მუხლის მეორე პუნქტით შემოთავაზებულია შემდეგი ფორმულირება: „თუ რეჟიმი, რომელიც უნდა მიანიჭოს ერთმა მხარემ მეორე მხარის ინვესტორებს მისი კანონებისა და წესების ან სხვა კონტრაქტების სპეციალური დებულებების შესაბამისად, არის უფრო ხელსაყრელი, ვიდრე ის, რომელიც ენიჭება ამ შეთანხმებით, იქნება მინიჭებული უფრო ხელსაყრელი რეჟიმი“.²⁷⁹ ²⁸⁰ წინამდებარე შემთხვევაში ტრიბუნალს აქვს იმის უფლებამოსილება, რომ საქართველოს ან მისი ინვესტორის მონაწილეობით არსებულ დავაში იხელმძვანელოს ხელშემკვრელი მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობითაც. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ განხილვის ფარგლებში ექცევა ის საინვესტიციო კონტრაქტიც, რომელიც უშუალოდ უცხოელ

²⁷⁸ იხ. ასევე, შეთანხმება საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ორმხრივი დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 29/08/2009, ძალაში შესვლის თარიღი: 13/03/2011, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 10; შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 08/03/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 10/03/1996, მუხლი 11(1).

²⁷⁹ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 28/11/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 25/02/1999, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 11(1).

²⁸⁰ იხ. ასევე შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 22/04/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 28/10/1997, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 11.

ინვესტორსა და მიმღებ სახელმწიფოს შორის არის გაფორმებული. შესაბამისად, ტრიბუნალს ნორმის განსამარტად მოქმედების საკმაოდ ფართო არეალი გააჩნია.

დასახელებული მოწესრიგებისგან განსხვავებით უფრო ზოგადი დათქმა არის გათვალისწინებული საქართველოსა და რუმინეთს შორის გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით. კერძოდ ამ უკანასკნელით გათვალისწინებულია, რომ „თუ ორივე ხელშემკვერელი მხარის კანონმდებლობა მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორების ინვესტიციებს ანიჭებს უფრო ხელსაყრელ რეჟიმს, ვიდრე ამ შეთანხმებით არის გათვალისწინებული, მაშინ ამგვარი კანონმდებლობა, იმის გათვალისწინებით, რომ იგი უფრო ხელსაყრელია, პრევალირებს აღნიშნულ შეთანხმებაზე“.^{281 282}

წინამდებარე შემთხვევაში ხელშემკვერელი მხარის კანონმდებლობაში უნდა მოიაზრობოდა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობა. თუმცა, საქართველოსა და მოლდოვას შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებისგან განსხვავებით, არ არის მითითება საინვესტიციო კონტრაქტზე. შესაბამისად, აღნიშნული კვლავ ტრიბუნალის განმარტების საგანს წარმოადგენს. აღნიშნული კი თავის მხრივ მხარეებს ტოვებს ნორმის არაპროგნოზირებად განმარტებასთან. შესაბამისად, ამგვარ შემთხვევებში ნორმის განმარტებისას ტრიბუნალის როლი უფრო ფართოა, ვიდრე სახელმწიფოსი, რადგან ამ უკანასკნელის მიერ ნორმის განსამარტად სამართლებრივი მოწესრიგების ფართო არეალია განსაზღვრული.

²⁸¹ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუმინეთის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 11/12/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/1998, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 7(1).

²⁸² იხ. ასევე, შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 09/11/1994, ძალაში შესვლის თარიღი: 03/08/1996, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი (კარი) 10; შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს შორის ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 23/06/1993, ძალაში შესვლის თარიღი: 23/06/1993, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 8.

თუმცა, კიდევ უფრო რთული გარემოებაა, როდესაც საინვესტიციო ხელშეკრულებით არაფერი არ არის გათვალისწინებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით სარგებლობისას რა პრინციპები უნდა იქნას გამოყენებული გამოსაყენებელი სამართლის თვალსაზრისით. მაგალითად, საქართველოსა და ესტონეთს შორის არსებული საინვესტიციო ხელშეკრულებით²⁸³ არ არის მოცემული, თუ რა პრინციპებს აღიარებენ ხელშემკვრელი სახელმწიფოები ინვესტორისთვის უფრო ხელსაყრელი მოპყრობის გავრცელებისას (მაგალითად, მხოლოდ იმ ხელშეკრულებებს, რომლის მონაწილეებიც ხელშემკვრელი სახელმწიფოები არიან თანადროულად, თუ ნებისმიერ მესამე სახელმწიფოსთან დადებულ ხელშეკრულებას). შესაბამისად, ამგვარ შემთხვევაში ტრიბუნალმა შესაძლოა იხელმძღვანელოს იმ ნებისმიერი საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლის მონაწილეც არის მასპინძელი სახელმწიფო (იმ შემთხვევაში თუ მოსაწესრიგებელი საკითხი რეგულირდება მესამე სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებით).

ამას გარდა, საინტერესოა, ინვესტორს შეუძლია თუ არა მატერიალური უფლებების გარდა მოითხოვოს ასევე პროცესუალურ უფლებებთან დაკავშირებული უფრო ხელსაყრელი მოპყრობა. ²⁸⁴ ამ საკითხთან მიმართებით ცნობილი გადაწყვეტილებაა საქმეზე *Emilio Agustín Maffezini v. The Kingdom of Spain*.²⁸⁵

წინამდებარე საქმეზე მოსარჩელეს წარმოადგენდა არგენტინელი ინვესტორი, რომელმაც ინვესტიცია განახორციელა კორპორაციაში სახელწოდებით EAMSA იმ მიზნით, რომ ქიმიური პროდუქტის საწარმოებლად აეშენებინა შენობა გალისიაში, ესპანეთში. პროექტი ხორციელდებოდა კერძო კომპანია SODIGA-სთან ერთად,

²⁸³ შეთანხმება საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 24/11/2009, ძალაში შესვლის თარიღი: 21/11/2016, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

²⁸⁴ *Nikièma H.S.*, *The Most-Favoured Nation Clause in Investment Treaties*, IISD Best Practices Series, International Institute for Sustainable Development, Ottawa, 2017, 10.

²⁸⁵ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2000 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Emilio Agustín Maffezini v. The Kingdom of Spain*, ICSID Case No. ARB/97/7, paras. 4-5, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0481.pdf>>, [02.02.2021].

რომელიც უცხოელ ინვესტორს კონსულტაციას უწევდა ფინანსურ საკითხებში. თუმცა, ინვესტიცია ვერ განხორციელდა. ინვესტორი დავობდა, რომ ინვესტიცია ვერ განხორციელა, რადგან SODIGA-მ სათანადო კონსულტაცია არ გასცა პროექტის ღირებულებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსარჩელის პოზიციით, SODIGA-მ პროექტის ხარჯები სათანადოდ ვერ შეაფასა. აღნიშნულის საფუძველზე ინვეტორმა წარადგინა სარჩელი არგენტინასა და ესპანეთს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების შესაბამისად.²⁸⁶

წინამდებარე დავაზე მთავარ კითხვას წარმოადგენდა, უნდა მოეცადა თუ არა არგენტინელ ინვესტორს მანამ, სანამ ის უფლებამოსილი იქნებოდა მიემართა არბიტრაჟისთვის (როგორც იყო პირდაპირ გათვალისწინებული ესპანეთ-არგენტინის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით), თუ არ უნდა დამორჩილებოდა მოსაცდელ პერიოდს (როგორც გათვალისწინებული იყო სხვა მრავალი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით, რომლებიც დადებულია ესპანეთის მიერ სხვა სახელმწიფოებთან).²⁸⁷ ამ საქმეზე პირველად მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, უფრო მეტად ხელსაყრელი მოპყრობის ინკორპორირება დაადგინა არბიტრაჟმა, არგენტინის მიერ დადებული სხვა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების შესაბამისად.²⁸⁸

დავის გადაწყვეტის მეთოდთან დაკავშირებით საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გაითვალისწინა როგორც დავის მონაწილე, ისე არამონაწილე სახელმწიფოების პრეცედენტი და მიდგომები. კერძოდ, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გამოიყენა ჩილესა და ესპანეთს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, რომელიც უფრო ფართოდ არეგულირებდა უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტს. აღნიშნული ითვალისწინებს, რომ უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტი მიემართება ყველა საკითხს. შესაბამისად, დავის განმხილველმა ტრიბუნალმა სათანადოდ მიიჩნია

²⁸⁶ ISDS Case Summary: *Maffezini v. Spain*, Stockholm Chamber of Commerce, 2015 <<http://isdblog.com/2015/11/12/isds-case-summary-maffezini-v-spain/>>, [02.02.2021].

²⁸⁷ *Ziegler A., Asif, Q.*, International Economic Law, 3rd Edition, Thomson Reuters, London, 2011, 508.

²⁸⁸ *Nikièma H.S.*, The Most-Favoured Nation Clause in Investment Treaties, IISD Best Practices Series, International Institute for Sustainable Development, Ottawa, 2017, 14.

ამ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით მოცემული დავის გადაწყვეტის პროცედურის გამოყენება.

ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ გამოსაყენებელი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება არ უთითებს დავის გადაწყვეტის მეთოდზე იმგვარად, როგორც ეს გათვალისწინებულია უმრავლესი საინვესტიციო ხელშეკრულებით. ამიტომ, განსახილველ დავაზე უნდა გავრცელდეს სხვა საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დავის გადაწყვეტის შესახებ დათქმა. ტრიბუნალის მითითებით, ეს განპირობებულია იმით, რომ დავის გადაწყვეტის მექანიზმები მიმართულია ინვესტორთა უფლებების დასაცავად. ეს აწესრიგებს არა მხოლოდ პროცედურულ საკითხებს, არამედ უზრუნველყოფს ბიზნესმენტთა ინტერესების უკეთ დაცვას საზღვარგარეთ.

აგრეთვე, ტრიბუნალის მიდგომით, იმ შემთხვევაშიც თუ ინვესტორის ინტერესების დამცავი უპირატესად ხელსაყრელი მექანიზმები ხელშეკრულების საინვესტიციო პოლიტიკის მთავარ განმსაზღვრელ ასპექტს არ წარმოადგენს, ისინი მაინც უმთავრესად მიიჩნევა ინვესტორთა უფლებების დაცვის საგარანტიოდ. ეს პოზიცია უარყოფილ იქნა მრავალი ტრიბუნალისა და სპეციალისტის მიერ. მათი მოსაზრებით, დასახელებული მიდგომა დააკნინებს თითოეული ხელშეკრულების განსაკუთრებულობას, რადგან დათქმა ვრცელდება მხოლოდ ინვესტორის მიმართ გამოსაყენებელ მოპყრობაზე და არა სხვა ნორმებზე (მაგალითად, სხვა შეთანხმებით გათვალისწინებული დათქმები დავის გადაწყვეტის თაობაზე). ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ ზოგიერთ სახელმწიფოს უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის ვიწრო ფარგლები აქვს გათვალისწინებული, ზოგს კი პირიქით.²⁸⁹

განსახილველ თემასთან დაკავშირებით ყურადსაღები მიდგომაა გამოხატული კიდევ საქმეზე *Plama Consortium Limited v. Republic of Bulgaria*.²⁹⁰ საქმის განმხილველი საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ დაეყრდნო უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტს

²⁸⁹ Ziegler A., *Asif, Q.*, International Economic Law, 3rd Edition, Thomson Reuters, London, 2011, 508.

²⁹⁰ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე *Plama Consortium Limited v. Republic of Bulgaria*, ICSID Case No. ARB/03/24, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0669.pdf>>, [02.02.2021].

იურისდიქციის განსასაზღვრად. ტრიბუნალმა სამაგალითოდ გამოიყენა გაერთიანებული სამეფოს მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება. განმხილველმა ტრიბუნალმა დაასკვნა, რომ დავის გადაწყვეტის მექანიზმების გათვალისწინების შესახებ უნდა არსებობდეს აშკარად გამოხატული ნება. მაშინაც კი, როდესაც უპირატესი ხელშეწყობის სტანდარტის მარეგულირებელი ნორმით მოცემულია, რომ პრინციპი ვრცელდება „ნებისმიერ საკითხთან მიმართებით“, ეს უცილობლად არ გულისხმობს, რომ აღნიშნული მიემართება დავის გადაწყვეტას.

საქმეზე *Gas Natural S.D.G., S.A. v. Argentina Republic*²⁹¹ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი შესაძლოა გავრცელდეს დავის გადაწყვეტის მექანიზმის შესახებ დათქმაზე. მაგრამ, აღნიშნული არ უნდა იქნას გამოყენებული, სანამ აშკარად არ გაირკვევა, რომ გამოსაყენებელ ხელშეკრულებაში მოცემული დათქმა მხარეთა ნებას არ შეესაბამება.

საქმეზე *Vladimir Berschader & Moise Berschader v. the Russian Federation*²⁹² საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განსახილველ პრინციპთან მიმართებით განსხვავებული მიდგომა განავითარა. ტრიბუნალის შეხედულებით, უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი გამოყენებულ უნდა იქნას საარბიტრაჟო დათქმასთან დაკავშირებით, სხვა ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებაზე მითითებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის გამოსაყენებელი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით სახელმწიფოთა განზრახვა ნათელია.²⁹³

რაც შეეხება, საქართველოს ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებს პროცედურული ნორმების თვალსაზრისით, ეს უკანასკნელი ნაკლოვანია. ეს

²⁹¹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე *Gas Natural SDG, S.A. v. The Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/03/10, paras. 31, 41-49, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0354.pdf>>, [02.02.2021].

²⁹² სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტის 2006 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Vladimir Berschader and Moise Berschader v. The Russian Federation*, SCC Case No. 080/2004, paras. 159-208, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0079_0.pdf>, [02.02.2021].

²⁹³ *Ziegler A., Asif, Q.*, International Economic Law, 3rd Edition, Thomson Reuters, London, 2011, 507.

გამოწვეულია იმით, რომ მრავალ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული იმის შესახებ, რომ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არ ვრცელდება დავის გადაწყვეტის მექანიზმებზე.²⁹⁴ საქართველოს ზოგიერთი საინვესტიციო ხელშეკრულებით კი პირდაპირ არის გათვალისწინებული, რომ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არ ვრცელდება დავის გადაწყვეტის რეჟიმზე. მაგალითად, საქართველოსა და შვეიცარიას შორის არსებული ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არ ვრცელდება საინვესტიციო დავების მოგვარების მექანიზმებზე, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ან ამ ხელშეკრულებით მხარის მიერ გაფორმებულ სხვა საერთაშორისო შეთანხმებაში“.²⁹⁵

როგორც ჩანს, საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიდგომა უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით მრავალგვარია. ეს სტანდარტი უცხოელ ინვესტორს თავდაცვის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ანიჭებს რადგან შეუძლია მიუთითოს მესამე სახელმწიფოსთან დადებულ ხელშეკრულების იმ ნორმაზე, რომელიც უპირატესად არეგულირებს მოპყრობის სტანდარტს. მაგრამ, ამ შემთხვევაში ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს გამოსაყენებელი ხელშეკრულების

²⁹⁴ იხ. მაგალითად, საქართველოს მთავრობასა და ქუვეითის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმება, მიღების თარიღი: 13/10/2009, ძალაში შესვლის თარიღი: 30/05/2013, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ, მიღების თარიღი: 03/06/1993; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1995, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

²⁹⁵ შეთანხმება საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 03/06/2014, ძალაში შესვლის თარიღი: 17/04/2015, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 4(5); იხ. ასევე, მაგალითად, შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 17/07/2017, ძალაში შესვლის თარიღი: 08/04/2018, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 4(2).

მიზანი და ასევე ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მონაწილეთა სახელმწიფოების საჯარო წესრიგი და ძირითადი პრინციპები.²⁹⁶

5. ეროვნული მოპყრობის პრინციპი

ეროვნული მოპყრობის პრინციპი შედარებითი სტანდარტია. აღნიშნული მოითხოვს უცხოელი ინვესტორის მიმართ განხორციელებულ მოპყრობას ადგილობრივი ინვესტორის მსგავსად. საერთაშორისო ტრიბუნალები სტანდარტის დარღვევის შესაფასებლად ყურადღებას ამახვილებენ სამ მთავარ საკითხზე: 1. ადგილობრივი ინვესტორების რომელი ჯგუფი უნდა შეეძაროს უცხოელ ინვესტორებს; 2. უცხოელი ინვესტორის მიმართ განხორციელებული მოპყრობა იყო თუ არა ნაკლებად სამართლიანი სხვასთან შედარებით; და 3. განსხვავებული მოპყრობა გამართლებულია თუ არა გონივრული და სამართლიანი პოლიტიკის მიხედვით.

პირველ საკითხთან მიმართებით, ზოგადად მიღებულია, რომ უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების მოპყრობას შორის შედარება უნდა განხორციელდეს მხოლოდ „მსგავსი“ ან „ანალოგიური“ გარემოებების არსებობისას. აღნიშნული მოითხოვს უცხოელი ინვესტორის ადგილობრივი ინვესტორების უფლებათა ფარგლებში განხილვას.²⁹⁷ ინვესტორთა შორის შეიძლება დისკრიმინაციის არსებობა

²⁹⁶ *Douglas Z.*, The MFN Clause in Investment Arbitration: Treaty Interpretation Off the Rails, *Journal of International Dispute Settlement*, Vol. 2, No. 1, Oxford University Press, Oxford, 2011, 97.

²⁹⁷ *Sacco S., Fernández-Fonseca C.M.*, National Treatment in Investment Arbitration, in: *Huerta-Goldman A.J., Romanetti A., Stirinmann X.F.* (Editors), *WTO Litigation, Investment Arbitration and Commercial Arbitration*, Global Trade Law Series, Vol. 43, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2013, 246 -247.

დადასტურდეს, თუ უცხოელი ინვესტორისა ან მისი ინვესტიციის მიმართ ნაკლები სტანდარტით განხორციელდა მოპყრობა.²⁹⁸

მეორე საკითხი (უცხოელი ინვესტორის მიმართ განხორციელებული მოპყრობა იყო თუ არა ნაკლებად სამართლიანი სხვასთან შედარებით) მოითხოვს იმის განსაზღვრას, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედება კვალიფიცირდება თუ არა, როგორც სტანდარტი და იყო თუ არა განსხვავებული მოპყრობა.

ამასთან, განსახილველია, სტანდარტის დარღვევა უნდა გულისხმობდეს თუ არა მასპინძელი სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციული განზრახვის არსებობას. თუ სტანდარტის დარღვევულად მიჩნევსათვის საკმარისია მხოლოდ განსხვავებული მიდგომის არსებობა (დასახელებული დამატებითი საკითხები განიხილება მეორე კითხვის ფარგლებში ან როგორც შემოწმების დამოუკიდებელი ელემენტი). საარბიტრაჟო ტრიბუნალთა უმეტესობა ქმედების დისკრიმინაციად მიჩნევსას ასკვნის, რომ თავად დისკრიმინაცია შეიძლება იყოს *de jure* ან *de facto*. ამგვარად, ტრიბუნალი აფასებს მასპინძელი სახელმწიფოს განხორციელებულ მოპყრობას არა მხოლოდ საკანონმდებლო მოწესრიგების შესაბამისად, არამედ ასევე ინვესტორის მიმართ იყო თუ არა ფაქტობრივად დისკრიმინაციული მოპყრობა.²⁹⁹

მესამე ეტაპზე კი ასევე ფასდება გონივრული პოლიტიკის არსებობა (მესამე საკითხი - განსხვავებული მოპყრობა გამართლებულია თუ არა გონივრული და სამართლიანი პოლიტიკის მიხედვით), რაც ტრიბუნალების მიერ ხორციელდება მგავსი გარემოებების განსაზღვრისას. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, ინვესტორის მოთხოვნა სამართლიანია თუ არა განსახილველი პრინციპის დარღვევულად მიჩნევსათვის.³⁰⁰

²⁹⁸ *Galea I., Biris B.*, National Treatment in International Trade and Investment Law, Acta Juridica Hungarica, No. 2, Academia Kiado, Budapest, 2014, 179.

²⁹⁹ *Salacuse W.J.*, The Law of Investment Treaties, Oxford University Press, 2nd Edition, New York, 2015, 279.

³⁰⁰ *Sacco S., Fernández-Fonseca C.M.*, National Treatment in Investment Arbitration, in: *Huerta-Goldman A.J., Romanetti A., Stirinmann X.F.* (Editors), WTO Litigation, Investment Arbitration and Commercial Arbitration, Global Trade Law Series, Vol. 43, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2013, 247.

იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩნდეს ზემოთ დასახელებული ტექსტის ეტაპები საილუსტრაციოდ განვიხილოთ თითოეული მათგანი საარბიტრაჟო საინვესტიციო დავების მაგალითზე. ყველა საარბიტრაჟო ტრიბუნალი თანხმდება იმის თაობაზე, რომ პირველ ეტაპზე უნდა შემოწმდეს უცხოელ ინვესტორს მოეპყრნენ თუ არა ნაკლები სტანდარტით ადგილობრივ ინვესტორთან შედარებით „მსგავს“ ან „ანალოგიურ“ გარემოებებში. ზოგიერთი ხელშეკრულებით პირდაპირ არის მოცემული, რომ ინვესტორებისადმი და ინვესტიციისადმი მოპყრობის შედარება უნდა განხორციელდეს „მსგავს“ ან „ანალოგიურ“ გარემოებებში. სხვა ხელშეკრულებები ითვალისწინებენ მხოლოდ იმას, რომ უცხოელი ინვესტორების მიმართ არ უნდა გაავრცელონ ნაკლები მოპყრობის სტანდარტი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ადგილობრივი ინვესტორების მიმართ, ე.ი. ამ უკანასკნელებთან შედარების გარეშე. მიუხედავად ამისა, საარბიტრაჟო ტრიბუნალები და სპეციალისტები თანხმდებიან, რომ ეროვნული მოპყრობის სტანდარტი დარღვეულად, რომ ჩაითვალოს, ინვესტორები შედარებულ უნდა იქნან მსგავსი გარემოებების არსებობისას.

საქმეზე *Pope & Talbot v. Canada*³⁰¹ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განმარტა, რომ ტერმინის მნიშვნელობა იცვლება ყოველი საქმის გარემოებების მიხედვით. თავისი ბუნებით „გარემოებების“ შინაარსი წინასწარ ვერ იქნება დადგენილი, რადგან მისი მოცემულობა ყველა შემთხვევაში ცვალებადია. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, „მსგავსი გარემოებების“ სტანდარტის გამოყენება მოითხოვს საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების შემოწმებას. ამ შემთხვევაში კი, დასადგენია სტანდარტის გამოყენების ფარგლები და მისი წარმოშობის საფუძვლები.

ტრიბუნალმა განავითარეს განსხვავებული მიდგომები იმის შესაფასებლად, ინვესტორები ან ინვესტიციები იმყოფებიან თუ არა მსგავს გარემოებებში. შედარების ერთ-ერთი საფუძველია ის გარემოებები, სადაც ადგილობრივ ინვესტორზე უკეთესი მოპყრობა გავრცელდა უცხოელ ინვესტორთან შედარებით, მიეკუთვნება თუ არა ერთსა და იმავე ბიზნეს და ეკონომიკურ სექტორს. ეს მიდგომა გამოიყენება იმის

³⁰¹ *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2001 წლის 10 აპრილის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქმეზე *Pope & Talbot Inc. v. The Government of Canada*, paras. 33-104, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0678.pdf>>, [04.02.2021].

დასადგენად, ინვესტორები ერთმანეთის კონკურენტებს წარმოადგენენ თუ არა მსგავსი საქონლისა და მომსახურების მიწოდების სფეროში.³⁰²

საქმეზე *Pope & Talbot v. Canada* ტრიბუნალმა დაადგინა, რომ PCB Remediation³⁰³ პროექტის (პროექტი, რომელსაც ხის ინდუსტრიაში მოღვაწე ამერიკული კომპანია Pope & Talbot ახორციელებდა კანადაში) განსახორციელებლად არსებული გეგმა გათვლილი იყო ერთსა და იმავე მომხმარებელზე. ასევე, დაკმაყოფილდა „მსგავსი გარემოებების“ ტესტი იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ეწეოდნენ საპარკინგო ავტოფარეხების საინჟინრო და სამენეჯმენტო საქმიანობას ერთი და იმავე პროექტისთვის იგივე ეკონომიკურ და ბიზნეს სექტორში.³⁰⁴

როგორც აღინიშნა, ეროვნული მოპყრობის სტანდარტის დარღვევის შემოწმების მეორე ელემენტს წარმოადგენს უცხოელი ინვესტორის მიმართ განსხვავებული მოპყრობა. ყველაზე ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, განსახილველი პრინციპი დარღვეულად, რომ იქნას მიჩნეული მოპყრობა უნდა იყოს ნაკლებად ხელსაყრელი სამიზნე ადგილობრივ ინვესტორთა წრესთან შედარებით.³⁰⁵ ნაკლებად ხელსაყრელი მოპყრობა გულისხმობს რამდენიმე საკითხის გათვალისწინებას. იმისთვის, რომ განისაზღვროს ინვესტორის მიმართ

³⁰² *Sacco S., Fernández-Fonseca C.M., National Treatment in Investment Arbitration, in: Huerta-Goldman A.J., Romanetti A., Stirinmann X.F. (Editors), WTO Litigation, Investment Arbitration and Commercial Arbitration, Global Trade Law Series, Vol. 43, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2013, 248.*

³⁰³ სამშენებლო ინვესტიცია, რომელიც უმეტესწილად ორიენტირებულია ჯანსაღი და ჯანმრთელი გარემოს შესაქმნელად საგანმანათლებლო, სამუშაო და საცხოვრებელი მიზნებისთვის

³⁰⁴ *Sacco S., Fernández-Fonseca C.M., National Treatment in Investment Arbitration, in: Huerta-Goldman A.J., Romanetti A., Stirinmann X.F. (Editors), WTO Litigation, Investment Arbitration and Commercial Arbitration, Global Trade Law Series, Vol. 43, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2013, 249.*

³⁰⁵ *Sacco S., Fernández-Fonseca C.M., National Treatment in Investment Arbitration, in: Huerta-Goldman A.J., Romanetti A., Stirinmann X.F. (Editors), WTO Litigation, Investment Arbitration and Commercial Arbitration, Global Trade Law Series, Vol. 43, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2013, 256.*

განხორციელდა თუ არა განსხვავებული მოპყრობა, უნდა დადგინდეს ინვესტორსა ან ინვესტიციებზე იყო თუ არა რაიმე ზეგავლენა.

უპირველესად, უნდა განისაზღვროს, მოპასუხე სახელმწიფომ უცხოელი ინვესტორის მიმართ სათანადოდ განახორციელა თუ არა შესასრულებელი ქმედებები. საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა დაადგინეს, რომ ზომები რაც მიემართება მესამე მხარის ინვესტორებს კვალიფიცირდება, როგორც „მოპყრობა” (უარყოფითი შინაარსით) მაშინ, როდესაც მიღებული ზომა ინვესტორზე ახდენს საფუძვლიან გავლენას.

ტესტის მეორე ეტაპზე ასევე მოწმდება, ეროვნული მოპყრობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი სარჩელი ეფუძნება თუ არა უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორს შორის „მსგავს გარემოებებში” უთანასწორო მოპყრობას. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე *Corn Products International, Inc. v. United Mexican States*³⁰⁶ გაითვალისწინა აღნიშნული სამ-საფეხურიან ტესტში.

ხსენებულ საქმეზე მოსარჩელე ამერიკული კომპანია აწარმოებდა გამაგრილებელ სასმელებს, რომელთათვის იყენებდა დამატკობებელ საშუალებას HFCS. აღნიშნულის ღირებულება შაქარზე უფრო იაფი იყო და ამასთან უფრო მარტივად გამოყენებადი პროდუქციის წარმოებისას. Corn Products International (CPI) და მის მიერ სრულად კონტროლირებადი მექსიკური კომპანია Corn Products Ingredients (CPIng) 1990-იან წლებში წარმოადგენდა HFCS-ის მთავარ მწარმოებელსა და მიმწოდებელს მსუბუქი სასმელებისთვის კანადასა და აშშ-ში. NAFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ კომპანიამ Corn Products International გააფართოვა ოპერირება და დაიწყო HFCS-ის მიწოდება მექსიკური მსუბუქი სასმელების ინდუსტრიისთვის Corn Products Ingredients-ის მეშვეობით. მექსიკამ დააწესა 20%-იანი გადასახადი იმ იმპორტირებულ სასმელზე, რომელიც შეიცავდა HFCS-ს. შესაბამისად, ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ მექსიკამ დაარღვია ეროვნული მოპყრობის პრინციპი. დაწესებული გადასახადი უცხოელ ინვესტორს აკისრებდა ვალდებულებას (გადასახადს), რაც მექსიკელი მწარმოებლებისთვის მსგავს გარემოებაში არ იყო გათვალისწინებული.

³⁰⁶ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2009 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Corn Products International, Inc. v. United Mexican States*, ICSID Case No. ARB (AF)/04/1, paras. 95-143, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0244.pdf>>, [02.04.2021].

კერძოდ, ის მექსიკელი მწარმოებლები, რომლებიც იმ ბაზარზე ოპერირებდნენ, სადაც ხსენებული დამატკობლით დამზადებული მსუბუქი სასმელები იყიდებოდა.³⁰⁷ იმის გათვალისწინებით, რომ განხორციელებული ქმედება ერთნაირად არ ვრცელდებოდა ერთიდაიგივე ჯგუფის ყველა წევრზე, შესაბამისად, ტრიბუნალმა დაადგინა განსხვავებული მოპყრობა. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ამერიკული კომპანიის მიერ მექსიკაში ოპერირებაზე, რადგან იმპორტის გადასახადის დაწესების გამო შეწყდა HFCS-ის მიწოდება, რამაც გამოიწვია მექსიკაში მსუბუქი სასმელების წარმოებისთვის ხსენებული დამატკობლის შაქრით ჩანაცვლება (შაქარი HFCS-ზე უფრო ძვირადღირებულია და პროდუქტის დასამზადებლად უფრო რთული გამოსაყენებელი, რადგან მყარი სუბსტანცია აქვს, ხოლო HFCS-ს - თხევადი).

აგრეთვე, ტექსტის მეორე ეტაპის ფარგლებში „არანაკლებად ხელსაყრელ“ მოპყრობად მიჩნევასთან დაკავშირებით საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განავითარა მოსაზრება საქმეზე *Pope & Talbot v. Canada*. ტრიბუნალის პოზიციის მიხედვით, ტერმინი „არახელსაყრელი მოპყრობა“ ნიშნავს „თანაბარი, არც მეტი და არც ნაკლები, მოპყრობის გავრცელებას სამიზნე ჯგუფის წევრებთან“. აღსანიშნია ის გარემოება, რომ დასახელებული შეხედულება გაიზიარეს სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალებმაც.³⁰⁸ მაგალითად, საქმეზე *United Parcel Service of America Inc. v. Government of Canada*.³⁰⁹

შეფასების სტანდარტის ბოლო ეტაპს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, განსხვავებული მოპყრობა განპირობებული იყო თუ არა მნიშვნელოვანი მარეგულირებელი მიზნით. თუ დადგინდა ერთი შემთხვევაც, რომ „მსგავს

³⁰⁷ *Whitsitt E.*, Tribunal Rejects the Defense of Countermeasures in Recently Published Corn Products International Inc. v. The United Mexican States Award, Investment Treaty News, International Institute for Sustainable Development, <<https://bit.ly/30HIg3C>>, [04.02.2021].

³⁰⁸ *Sacco S.*, Fernández-Fonseca C.M., National Treatment in Investment Arbitration, in: *Huerta-Goldman A.J., Romanetti A., Stirinmann X.F.* (Editors), WTO Litigation, Investment Arbitration and Commercial Arbitration, Global Trade Law Series, Vol. 43, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2013, 259.

³⁰⁹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *United Parcel Service of America Inc. v. Government of Canada*, ICSID Case No. UNCT/02/1, paras. 49-63, 89-133, 173-181, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0885.pdf>>, [04.02.2021].

გარემოებებში” ინვესტორების მიმართ განხორციელდა განსხვავებული მოპყრობა გონივრული პოლიტიკის ფარგლებში, მაშინ განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციად არ მიიჩნევა. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ გონივრული პოლიტიკის არსებობა ამართლებდეს განსხვავებულ მოპყრობას. ამ შეხედულებაზე საარბიტრაჟო ტრიბუნალების უმრავლესობა თანხმდება. აღსანიშნია ისიც, რომ ხსენებული მიზანშეწონილი ქმედება დაკავშირებული არ უნდა იყოს ინვესტიციის ან ინვესტორის ნაციონალობასთან იმ შემთხვევაშიც, თუ ზომის გამოყენება არის აუცილებელი. ე.ი. როგორც ეროვნული მოპყრობის პრინციპი ითვალისწინებს, ეროვნულობის საფუძველზე დისკრიმინაციისგან დაცვა, მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმია.³¹⁰

რაც შეეხება საქართველოს, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია ეროვნული მოპყრობის შესახებ რეგულირება. საყურადღებოა, რომ რამდენიმე ხელშეკრულებაში დაკონკრეტებულია თუ რას მიემართება ეროვნული მოპყრობის რეჟიმი. მაგალითად, საქართველოსა და ლატვიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ „თითოეული ხელშეკრული მხარე მეორე ხელშეკრული მხარის ინვესტორებს მიანიჭებს არანაკლებ ხელშემწყობ რეჟიმს, ვიდრე იგი ანიჭებს თავის ინვესტორებს ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის ინვესტორებს ინვესტიციების გაზრდის, მართვის, შენარჩუნების, გამოყენების, სარგებლობისა და გაყიდვის ან განკარგვის სხვა სახის უფლებების თვალსაზრისით, რომელიც უფრო ხელსაყრელია”.³¹¹ ამას გარდა, რამდენიმე ხელშეკრულებით

³¹⁰ *Sacco S., Fernández-Fonseca C.M., National Treatment in Investment Arbitration, in: Huerta-Goldman A.J., Romanetti A., Stirinmann X.F. (Editors), WTO Litigation, Investment Arbitration and Commercial Arbitration, Global Trade Law Series, Vol. 43, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2013, 259.*

³¹¹ საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 05/10/2005, ძალაში შესვლის თარიღი: 05/03/2006, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 3.2; იხ. ასევე, შეთანხმება საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 18/10/2001, ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/2004, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 3(2); საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების

მოცემულია ის საგამონაკლისო შემთხვევები, თუ რა საკითხებს არ მიემართება ეროვნული მოპყრობის რეჟიმი. მაგალითად, საქართველოსა და სომხეთს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ აღნიშნული პრინციპი არ უნდა იქნას განმარტებული „როგორც ერთ-ერთი მონაწილე მხარის ვალდებულება გაავრცელოს მეორე მონაწილე მხარის ინვესტორებზე უკანასკნელი მონაწილე მხარის მიერ გავრცელებული ნებისმიერი რეჟიმის, პრეფერენციების ან პრივილეგიების სარგებლიანობა, რომელიც გამომდინარეობს: ა) ნებისმიერი საბაჟო კავშირიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონიდან ან მსგავსი საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ თანამშრომლობის საინვესტიციო რეჟიმზე ან რეგიონალური თანამშრომლობის სხვა ფორმებზე, რომელთა მონაწილეც არის, ან შეიძლება გახდეს რომელიმე მონაწილე მხარე; ბ) ნებისმიერი საერთაშორისო შეთანხმებიდან ან ხელშეკრულებიდან, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ ეხება დაბეგვრას”.³¹²

ამგვარი მითითები ტრიბუნალისთვის განმარტების პროცესში მნიშვნელოვან დამხმარე როლს ასრულებს, რადგან ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ წინასწარ გარკვეულწილად დადგენლია, თუ რა ფარგლებში უნდა იმოქმედოს ტრიბუნალმა. თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავს ტრიბუნალის მიერ ეროვნული პრიციპის სტანდარტის განმარტებას მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე ყოველ

თარიღი: 28/11/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 25/02/1999, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 4(2); შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 22/04/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 28/10/1997, მუხლი 3(2).

³¹² შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 08/03/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 10/03/1996, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 4(2); იხ. ასევე, შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 05/06/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 18/01/1999, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 4(2); შეთანხმება ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 17/09/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 24/04/1998, UNCTAD, მუხლი 4.2.

კონკრეტულ შემთხვევაში, რომლის მთავარ ნიშანს უნდა წარმოადგენდეს დისკრიმინაციული მიდგომა უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორს შორის. აქვე, მაგალითად, აღსანიშნია, რომ საქართველოსა და თურქმენეთს შორის არსებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ეროვნული მოპყრობის მარეგულირებელი დათქმა „გამორიცხავს დისკრიმინაციული ხასიათის ზომების გამოყენებას, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ინვესტორთა მიერ მართვასა და განკარგვას”.³¹³ ე.ი. ამ შემთხვევაში მუხლით პირდაპირ არის გათვალისწინებული, რომ უცხოელი ინვესტორი არ უნდა სარგებლობდეს იმაზე ნაკლები შეღავათით, ვიდრე ეს ვრცელდება ადგილობრივ ინვესტორზე. აღნიშნული კი უნდა განიმარტოს, როგორც მატერიალური საფუძვლით, ისე ფაქტობრივად.

ამგვარად, ეროვნული მოპყრობის პრინციპის დარღვევად მიჩნევის საკითხი განსაკუთრებული სიფრთხილით ხასიათდება. საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ განვითარებული მიდგომებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ განსახილველი პრინციპი ნაკლები პრობლემატურობით ხასიათდება იმ თვალსაზრისით, რომ სტანდარტის დარღვევად მიჩნევისათვის ერთმანეთის მსგავსი პოზიციები არსებობს.

6. ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი

ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი წარმოადგენს დაცვის კიდევ ერთ ძირითად სტანდარტს, რომელიც მრავალი საინვესტიციო ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. აღნიშნული სტანდარტის მიხედვით მოითხოვება, რომ უცხოელი ინვესტორი უნდა იყოს დაცული მასპინძელ სახელმწიფოში მიუხედავად იმისა თუ დაცვის რა სტანდარტები მოქმედებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით. მაგალითად, აშშ-სა და იტალიას შორის

³¹³ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 20/03/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 28/07/1995, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 4(1) და 4(2).

გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით, მოითხოვება მეორე ხელშემკვრელი მხარის მეწარმე-სუბიექტის ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტით უზრუნველყოფა ინვესტიციის მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე.³¹⁴

სტანდარტის განმარტებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი. მაგალითად, ირანსა და აშშ-ს შორის გაფორმებულ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებაში მოცემულია ხელშეკრულებასა და საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს შორის ურთიერთმიმართება. კერძოდ, ხელშეკრულების არასრული ნორმის შევსება ხორციელდება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის წესებით. აღსანიშნია, რომ ამგვარად გათვალისწინებულია საქართველოსა და არაბეთს შორის არსებული ხელშეკრულებით. კერძოდ, „თითოეული ხელშემკვრელი მხარე თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს მიაჩნებს სამართლიანი და თანასწორი მოპყრობის რეჟიმს და უზრუნველყოფს სრულ დაცვასა და უსაფრთხოებას საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად“.³¹⁵

მრავალი საინვესტიციო ხელშეკრულებით უზრუნველყოფილია მასპინძელ სახელმწიფოში უცხოელთა დაცვა ჩვეულებითი სამართლის მინიმალური სტანდარტით. ამგვარ მოწესრიგებას შეიცავს მაგალითად, „მეგობრობის, ვაჭრობისა და ნავიგაციის“ ხელშეკრულებები და აშშ-ს 2004 წლის მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება. აგრეთვე, ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (Organization for Economic Cooperation and

³¹⁴ *Orakhelashvili A., Akehurt's Modern Introduction to International Law, 8th Edition, Routledge, London, New York, 2019, 350.*

³¹⁵ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 17/07/2017, ძალაში შესვლის თარიღი: 08/04/2018, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 3(2); შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 01/03/2017, ძალაში შესვლის თარიღი: 01/12/2017, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 2.1.

Development - OECD) 1995 წლის მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით მოცემულია, რომ თითოეულმა მხარემ უნდა მიიღოს მინიმუმ ისეთი დაცვისა და უსაფრთხოების გარანტიები, რომლებიც არ იქნება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ სტანდარტზე ნაკლები.³¹⁶

სტანდარტის ტრადიციული განმარტება გულისხმობს უცხოელი ინვესტორის ფიზიკურ უსაფრთხოებასა და მისი საკუთრების დაცვას. მაგრამ, ბოლოდროინდელი დოქტრინის მიხედვით გაფართოებულია სტანდარტის განმარტება და ინვესტორების ფიზიკური დაცვის გარდა, მოიაზრებს მის სამართლებრივ დაცვასაც.³¹⁷ ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ საქართველოს მიერ ნიდერლანდებთან გაფორმებული ხელშეკრულებით ხაზგასმულია ინვესტიციის ფიზიკური დაცვა და უსაფრთხოება³¹⁸ (აღნიშნული განხვავდება საქართველოს გაფორმებული სხვა საინვესტიციო ხელშეკრულებებისგან, სადაც ამგვარი დაკონკრეტება არ არის).

განსახილველი სტანდარტის განმარტების ფარგლები პრობლემატურია. უცხოელი ინვესტორები საარბიტრაჟო დავისას ხშირად მიუთითებენ ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტის დარღვევაზე ფართო განმარტების ფარგლებში. ხოლო, მასპინძელი სახელმწიფოები ყოველთვის ოპონირებენ სტანდარტის ფართოდ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. საერთაშორისო საინვესტიციო ტრიბუნალებს აღნიშნულთან დაკავშირებით გააჩნიათ სხვადასხვა პოზიცია. შესაბამისად, ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტის განმარტებასთან დაკავშირებული მიდგომები წინააღმდეგობრივია. ამ საკითხთან დაკავშირებით აკადემიურ წრეებშიც კი არ არსებობს კონსენსუსი.³¹⁹

³¹⁶ *Zeitler H.E.*, Full Protection and Security, in: *Shill W.S.* (Editor), *International Investment Law and Comparative Public Law*, Oxford University Press, Oxford, 2010, 185-187.

³¹⁷ *Banifatemi Y., von Walter A.*, Commentary on the French Model BIT, in: *Brown Ch.* (Editor), *Commentaries on Selected Model Investment Treaties*, Oxford University Press, Oxford, 2013, 271.

³¹⁸ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ნიდერლანდების სამეფოს მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 03/02/1998, ძალაში შესვლის თარიღი: 01/04/1999, UNCTAD, მუხლი 3(1).

³¹⁹ *Junngam N.*, The Full Protection and Security Standard in International Investment Law: What and Who is Investment Fully Protected and Secured from, *American University Business Law Review*, Vol. 7, No. 1, American University, Washington D.C., 2018, 5.

საინტერესოა განსახილველი სტანდარტის მიმოხილვა საფრანგეთის მაგალითზე. აღსანიშნია, რომ საფრანგეთის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები არ ითვალისწინებენ ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტის ფართო განმარტებას. ზემოთ დასახელებული საკითხი (სტანდარტის გავრცელება ინვესტორის ფიზიკურის დაცვის მიღმა) შესწავლილია საფრანგეთსა და არგენტინას შორის 1991 წელს გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მაგალითზე. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-5(1) მუხლი უზრუნველყოფს ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტის დაცვას, რომელიც გამოიყენება სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტთან ერთად. ამ შემთხვევაში დასადგენია დაცვის სტანდარტი უნდა გავრცელდეს თუ არა ინვესტიციების ფიზიკური დაცვის მიღმა, თუ უნდა შენარჩუნდეს ძველი მიდგომა, როგორც ეს არგენტინის მიერ არის მხარდაჭერილი.

საქმეზე *Companias de Aguas des Aconquca & Vivendi v. Argentina*³²⁰ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაადგინა, რომ არგენტინა-საფრანგეთის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით რეგულირებული ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი არ ვრცელდება მხოლოდ ინვესტიციების ფიზიკურ დაცვაზე. როგორც აღინიშნა, ხელშეკრულებით მოცემულია კავშირი ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების და სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტებს შორის. ამის გათვალისწინებით, ტრიბუნალმა განმარტა, რომ თავიდან უნდა იქნას აცილებული ინვესტიციების დაცვისთვის საფრთხის შემქმნელი ქმედება, რომელიც ამასთანავე მოიცავს არასამართლიან და არათანაბარ მოპყრობას.

ამგვარი მიდგომა განავითარა ასევე საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე *Total SA v. Argentina*. გადაწყვეტილებაში მოცემულია, რომ საფრანგეთ-არგენტინის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება შეესაბამება ვენის კონვენციის 31-ე მუხლს და სხვა

³²⁰ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Compañiá de Aguas del Aconquija S.A. and Vivendi Universal S.A. v. Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/97/3, paras. 7.4.13-7.4.17, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0215.pdf>>, [04.02.2021].

საარბიტრაჟო ტრიბუნალების განმარტებებს.³²¹ ე.ი. განვითარებული მიდგომის მიხედვით, სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი მოქცეულია ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების პრინციპის ფარგლებში.

შესაბამისად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ამგვარი შეხედულების მიხედვით, ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი დარღვეულად არ მიიჩნევა, თუ არ დადგინდება სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის დარღვევა. ამასთან, ისიც განისაზღვრება, რომ ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი იცავს უცხოელი ინვესტორის მიერ განხორციელებულ ინვესტიციას არამხოლოდ ფიზიკური თვალსაზრისით, არამედ ასევე სამართლებრივი ასპექტით. აღნიშნულის ფარგლებში საყურადღებოა საქართველოს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, სადაც სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი მოხსენიებულია თანაბარი მოპყრობის პრინციპთან ერთად. მაგალითად, საქართველოს და სომხეთს შორის არსებული ხელშეკრულების მიხედვით, „ნებისმიერი მხარის ინვესტორის ინვესტიციები სარგებლობენ სამართლიანი და თანასწორუფლებიანი დამოკიდებულებით, სრული დაცვითა და უსაფრთხოებით მეორე მხარის ტერიტორიაზე“.³²²

ამასთან, აღსანიშნია, რომ საქმეზე *Suez, Sociedad de Aguas de Barcelona & Vivendi v. Argentina*³²³ ტრიბუნალი მივიდა განსხვავებულ პოზიციამდე. არბიტრაჟმა

³²¹ *Banifatemi Y., von Walter A.*, Commentary on the French Model BIT, in: *Brown Ch.* (Editor), Commentaries on Selected Model Investment Treaties, Oxford University Press, Oxford, 2013, 271.

³²² შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 05/06/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 18/01/1999, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 3(2); იხ. ასევე, შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 08/03/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 10/03/1996, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 3.2.

³²³ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Suez, Sociedad General de Aguas de Barcelona S.A., and InterAguas Servicios Integrales del Agua S.A. v. The Argentine Republic*, ICSID Case No.

დაადგინა, რომ საფრანგეთ-არგენტინის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-5(1) მუხლში მოცემული ურთიერთმიმართება ორ სტანდარტს შორის მიანიშნებს, რომ სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი მოიცავს ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტს.³²⁴

აგრეთვე, მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ რა შემთხვევაში ეკისრება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, თუ ინვესტიციას მიადგება ზიანი. საქმეზე *Asian Agricultural Products Ltd (AAPL) v. Sri Lanka*³²⁵ ინვესტორი ასაბუთებდა, რომ სრული დაცვის გარანტია გულისხმობდა სახელმწიფოსთვის სრული პასუხისმგებლობის დაკისრებას. საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა ბოლო დროის განმავლობაში უარყვეს სახელმწიფოსათვის აბსოლუტური პასუხისმგებლობის სტანდარტის დაწესება. თუმცა, მიუხედავად ამგვარი მიდგომისა, უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველ სტანდარტში მაინც მოიაზრება სახელმწიფოთა მხრიდან მზრუნველობის მაღალი ხარისხი.

ხსენებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, დიდი წინააღმდეგობა არსებობდა შრი-ლანკის უსაფრთხოების ძალასა და მემბოხეებს შორის, რომელთაც დაანგრეს ინვესტორის კრევეტების ფერმა და მოკლულ იქნა 20-ზე მეტი დასაქმებული ტამილის აჯანყებისას. ვერც ინვესტორმა და ვერც მთავრობამ ვერ შეძლო იმის დამტკიცება, მემბოხეებმა თუ უსაფრთხოების ძალებმა გამოიწვიეს ზიანი.

გაერთიანებულ სამეფოსა და შრი-ლანკას შორის დადებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინვესტიციის სრული დაცვისა

ARB/03/17, paras. 117-151, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0813.pdf>>, [07.02.2021].

³²⁴ *Banifatemi Y., von Walter A.*, Commentary on the French Model BIT, in: *Brown Ch.* (Editor), Commentaries on Selected Model Investment Treaties, Oxford University Press, Oxford, 2013, 271-272.

³²⁵ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 1990 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Asian Agricultural Products Ltd. v. Republic of Sri Lanka*, ICSID Case No. ARB/87/3, paras. 38-86, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita1034.pdf>>, [04.04.2021].

და უსაფრთხოების სტანდარტის დათქმის საფუძველზე, ტრიბუნალმა დაადგინა, რომ შრი-ლანკამ დაარღვია ვალდებულება. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ შრი-ლანკამ არ განახორციელა ყველა შესაძლო ზომა მკვლევლობისა და ინვესტიციის განადგურების თავიდან ასაცილებლად. ტრიბუნალმა განმარტა, რომ შრი-ლანკას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა უსაფრთხოების ზომების მიუღებლობის გამო ინვესტიციის დასაცავად.³²⁶ თუმცა, ტრიბუნალმა ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ქმნიდეს მკაცრი პასუხისმგებლობის საფუძველს ნებისმიერ შემთხვევაში. ე.ი. შრი-ლანკას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ნებისმიერ შემთხვევაში ინვესტიციის განუხორციელებლობისთვის იმის დამტკიცების გარეშე, რომ სახელმწიფომ ან მისმა წარმომადგენლობამ სათანადოდ არ განახორციელა ერთგულების და ზრუნვის მოვალეობა.³²⁷

მიუხედავად ამისა, ტრიბუნალები ხშირად მიუთითებენ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე ყველა ზომის მისაღებად ზიანის თავიდან ასაცილებლად. ზოგიერთი ტრიბუნალი მაინც მიიჩნევს, რომ ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტის ჩვეულებრივი მნიშვნელობა გულისხმობს დაცვის მკაცრ და აბსოლუტურ გარანტიას. ასევე, ტრიბუნალები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად არ არსებობს გულგრილობისა ან არაკეთილსინდისიერი მიზნის დამტკიცების აუცილებლობა. თუმცა, როგორც ჩანს, ამგვარი შეფასებისას ტრიბუნალებმა არ გაითვალისწინეს სახელმწიფოს განვითარების დონე ან სტაბილურობა ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობის შესაფასებლად.

³²⁶ *Malik M.*, The Full Protection and Security Standard Comes of Age, Yet Another Challenge for States in Investment Treaty Arbitration, The International Institute for Sustainable Development, Winnipeg, 2011, 5, <https://www.iisd.org/pdf/2011/full_protection.pdf>, [04.02.2021].

³²⁷ *Ripinsky S., Williams K.*, Case Summary Asian Agricultural Products Ltd v. Sri Lanka, British Institute of International and Comparative Law, 2008, 3, <https://www.biicl.org/files/3937_1990_aapl_v_sri_lanka.pdf>, [04.02.2021].

მაგალითად, საქმეზე *Pantechniki S.A. Contractors & Engineers (Greece) v. The Republic of Albania* ³²⁸ არბიტრმა უარი თქვა ბერძნული სამშენებლო კომპანიის სარჩელზე იმ დანაკარგებთან დაკავშირებით, რომლებიც ალბანეთში მიმდინარე სამოქალაქო არეულობისას 1990-იანი წლის დასასრულს ინვესტორმა განიცადა. არბიტრმა არ გაიზიარა დასაბუთება, რომ ალბანეთმა არ განახორციელა სათანადო ქმედებები ინვესტორისათვის ზიანის მიყენებისათვის თავიდან ასაცილებლად, რითაც დაარღვია ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი. არბიტრმა მიუთითა, რომ ზრუნვისა და ერგულების მოვალეობის ხარისხის განსაზღვრა ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტის ფარგლებში დაკავშირებულია და დამოკიდებულია ინვესტიციის განხორციელებისას სახელმწიფოში არსებულ განვითარების დონეზე, პოლიტიკურ სიტუაციასა და სოციო-ეკონომიკურ გარემოზე. ამასთან, ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ ალბანეთის მთავრობა შესაძლებლობას იყო მოკლებული გაეკონტროლებინა სოციალური უწყესრიგობა. ³²⁹

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოსა და ლატვიას შორის არსებულ საინვესტიციო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მითითება ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით. კერძოდ, „შეთანხმების არცერთი დებულება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ ხელი შეუშალოს ხელშემკვრელ მხარეს გაატაროს ნებისმიერი ქმედება, რათა დაიცვას თავისი უსაფრთხოების ძირითადი ინტერესები ომის, შეიარაღებული კონფლიქტის ან საერთაშორისო ურთიერთობებში სხვა საგანგებო სიტუაციის დრო“. ³³⁰ მართალია, რომ ხელშემკვრელი მხარეების მიერ

³²⁸ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2009 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Pantechniki S.A. Contractors & Engineers (Greece) v. The Republic of Albania*, ICSID Case No. ARB/07/21, paras. 71-84, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0618.pdf>>, [04.02.2021].

³²⁹ *Malik M.*, *The Full Protection and Security Standard Comes of Age, Yet Another Challenge for States in Investment Treaty Arbitration*, The International Institute for Sustainable Development, Winnipeg, 2011, 7.

³³⁰ საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 05/10/2005, ძალაში შესვლის თარიღი: 05/03/2006, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 13(1).

ნორმის განსამარტად კონკრეტული მითითებაა საგანგებო გარემოებებზე, თუმცა აღნიშნული სახელმწიფოებს არ უხსნის იმის პასუხისმგებლობას, რომ უცხოელ ინვესტორს დაუსაბუთებელი ზიანი მიაყენოს.

ამას გარდა, საქართველოს საინვესტიციო ხელშეკრულებებით რეგულირებულ განსახილველი სტანდარტის მოწესრიგებაზე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადია. მაგალითად, საქართველოსა და ესტონეთს შორის არსებული ხელშეკრულების მიხედვით, განსაზღვრულია, რომ „თითოეული ხელშემკვრელი მხარე მის ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების ინვესტიციების და შემოსავლების მიმართ უზრუნველყოფს სრულ დაცვას და უსაფრთხოებას. არც ერთი ხელშემკვრელი მხარე არ შეაფერხებს, თვითნებური და დისკრიმინაციული ზომებით, ასეთი ინვესტიციების განვითარებას, მართვას, შენარჩუნებას, გამოყენებას, გაზრდას, გაყიდვას და, საჭიროების შემთხვევაში, ლიკვიდაციას”.³³¹

ამგვარი ფართო მოწესრიგება კი, თავის მხრივ ტრიბუნალის განმარტების საგნად რჩება დავის წარმოშობის შემთხვევაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს უმრავლესი ხელშეკრულებით ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი მოხსენიებულია სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის პრინციპთან ერთად. აღნიშნული მიანიშნებს იმაზე, რომ ამ უკანასკნელის გარეშე ვერ განიმარტება ინვესტიციის დაცვის სტანდარტი. მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტი დამოუკიდებლად არ არის მოხსენიებული, აღნიშნული შესაძლოა არ მიიჩნეოდეს უარყოფით გარემოებად რადგან, მისი განხილვა სამართლიან და თანაბარ მოპყრობასთან ერთად ამაღლებს ინვესტორის დაცვის სტანდარტს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი უცხოელი ინვესტორის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტის განმარტებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებები არსებობს, ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფოს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია უცხოელი ინვესტორის ინვესტიციის

³³¹ შეთანხმება საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 24/11/2009, ძალაში შესვლის თარიღი: 21/11/2016, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 3(1).

დასაცავად. ქვეყნის მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შემთხვევაშიც კი ვერ გამართლდება სახელმწიფო, თუ მისმა ორგანოებმა ქმედითი ღონისძიებები არ განახორციელეს ინვესტიციის გადასარჩენად.

7. მართლმსაჯულების განხორციელების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმა

დღესდღეისობით უცხოელ ინვესტორებს გააჩნიათ დაცვის ახალი და ძლიერი მექანიზმი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის პრინციპის თვალსაზრისით. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების მიხედვით, პირს არ უნდა ეთქვას უარი სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე. საინვესტიციო ხელშეკრულებების კიდევ ერთ ძლიერ მექანიზმს წარმოადგენს ის, რომ ინვესტორები არიან უფლებამოსილი დაიწყონ საარბიტრაჟო წარმოება მიმღები სახელწიფოს წინააღმდეგ.³³²

აღნიშნული პრინციპი შეესაბამება ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი დოკუმენტებით განმტკიცებულ უფლებას მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის³³³ მე-10 მუხლის მიხედვით, „ყოველ ადამიანს მის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის დასადგენად აქვს, სრული თანასწორობის საფუძველზე, იმის უფლება, რომ მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“. მსგავსად აწესრიგებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის³³⁴ მე-6 მუხლი, რომლის თანახმად, „ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან

³³² *Alford L.P.*, Ancillary Discovery to Prove Denial of Justice, Virginia Journal of International Law Digest, Vol. 53, No. 1, Virginia Journal of International Law Association, Charlottesville, 2012, 127.

³³³ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღების და ძალაში შესვლის თარიღი: 10/12/1948, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 10.

³³⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მიღების თარიღი: 04/11/1950, ძალაში შესვლის თარიღი: 03/09/1953, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 6.

მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ”.

საერთაშორისო სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უცხოელთა უფლებათა დაცვის კანონიერად განხორციელებას ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში. მართლმსაჯულების განხორციელების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის შესახებ განმარტების თანამედროვე შინაარსი საკმაოდ ვრცელია. აღნიშნულში იგულისხმება, როგორც სამართალწარმოების მიღმა არსებული გარემოებები, ისე მის ფარგლებში დარღვეული უფლებები. ამასთან, მრავალი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება ითვალისწინებს *lex specialis*, რაც ინვესტორის უფლებათა დასაცავად უფრო დიდ გარანტიას წარმოადგენს საპროცესო უფლებების დაცვის თვალსაზრისით. მაგალითად, აშშ-სა და ეკვადორს შორის არსებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-11(7) მუხლის მიხედვით, „თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დავის საშუალებების ეფექტური წარმოება საინვესტიციო უფლებებისა და საინვესტიციო კონტრაქტების აღსრულების მიზნით”.³³⁵ განსახილველ პრინციპთან დაკავშირებით აღნიშვნის ღირსია საქართველოსა და ესტონეთს შორის არსებული ხელშეკრულება, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ არბიტრაჟის შესახებ შეთანხმება „გულისხმობს იმ მოთხოვნის უარყოფას, რომ პირველადი ადმინისტრაციული ან სასამართლო პროცედურები უნდა იყოს ამოწურული”.³³⁶

³³⁵ *Alford L.P.*, Ancillary Discovery to Prove Denial of Justice, *Virginia Journal of International Law Digest*, Vol. 53, No. 1, Virginia Journal of International Law Association, Charlottesville, 2012, 131.

³³⁶ შეთანხმება საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 24/11/2009, ძალაში შესვლის თარიღი: 21/11/2016, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 9(2)(b); იხ. ასევე, შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს შორის ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 23/06/1993, ძალაში შესვლის თარიღი: 23/06/1993, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 10(2).

უცხოელთა დაცვა არასამართლიანი მართლმსაჯულებისგან დიდი ხანია განხილვის საგანს წარმოადგენს. არსებობს სხვადასხვაგვარი მიდგომა მართლმსაჯულების განხორციელების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის პრინციპის განმარტებასთან დაკავშირებით. ფართო განმარტების მხარდამჭერთა მოსაზრებით, სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი კანონდარღვევა მიჩნეულ უნდა იქნას, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმა. ამ მიდგომის მიხედვით, მასპინძელი სახელმწიფოები არიან უფლებამოსილი ჩაერიონ უფლებადარღვეული პირების დაცვის პროცესში, მიუხედავად იმისა ადგილობრივი მექანიზმები ამგვარ საშუალებას ითვალისწინებენ თუ არა.

განსახილველი პრინციპის ვიწრო განმარტების თანახმად, აღნიშნული გულისხმობს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის შეზღუდვას. ვიწრო განმარტების მომხრეები აღნიშნავენ, რომ ამ პრინციპის დარღვევად უნდა მიიჩნეოდეს მხოლოდ შეზღუდული საკითხები. სხვა შემთხვევაში, ნებისმიერი საერთაშორისოდ დასჯადი ქმედება ამ სტანდარტის ფარგლებში მოექცევა და ამასთან გამოთქმა დაკარგავს თავის ღირებულებას ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, ზოგიერთი სახელმწიფო კიდევ უფრო შეზღუდულ განმარტებას გვთავაზობს. ამ უკანასკნელის თანახმად, სარჩელის საფუძვლები შეზღუდული არის სახელმწიფოში მუდმივად მაცხოვრებელი მოქალაქეებისთვის.³³⁷

განსახილველი სტანდარტი დარღვეულად მიიჩნევა სახელმწიფო დონეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.³³⁸ ზოგიერთი სპეციალისტის მიერ გაკრიტიკებულია მიდგომა, რომლის მიხედვითაც მოითხოვება ადგილობრივი მექანიზმების ამოწურვა საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების საფუძველზე მართლმსაჯულების განხორციელების ხელმისაწვდომობის დარღვევის გასასაჩივრებლად. მათი მოსაზრებით, ამგვარი შეხედულება არღვევს საინვესტიციო

³³⁷ *Sattorova M.*, Denial of Justice Disguised? Investment Arbitration and the Protection of Foreign Investors from Judicial Misconduct, in: *Redgwell C., McCorquadole R., Evans M., Fawcett J., Giliker P., Gray Ch.* (Editors), *International and Comparative Law Quarterly*, Vol. 61, Issue 1, Bell and Bain, Glasgow, 2012, 225.

³³⁸ *Sornarajah M.*, *The International Law on Foreign Investment*, Cambridge University Press, New York, 2017, 424.

არბიტრაჟის მდგრადობასა და თანმიმდევრულობას. საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მართლმსაჯულების განხორციელების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმა იმგვარად არის განმარტებული, რომ თითქმის ადგილობრივი მექანიზმების ამოწურვა წარმოადგენს უცილობელ პირობას, რათა ინვესტორის მიერ წარდგენილი სარჩელი იქნას დასაშვები საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე.³³⁹

განსახილველ თემასთან დაკავშირებით წარმოიშვება კიდევ ერთი საკითხი - სასამართლო მექანიზმების ამოწურვა რატომ იგულისხმება მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის განხილვის წინაპირობად, როდესაც სახელმწიფოს მარეგულირებელ სისტემაში ასევე მოიაზრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (მაგალითად, მარეგულირებელი სააგენტოს გადაწყვეტილება ბაზარზე ოპერირების შეწყვეტის თაობაზე)? ამ საკითხთან დაკავშირებით, პროფესორმა ანდრეა ბიორკლუნდმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური პერსპექტივიდან რთულია განსხვავების დადგენა, თუ რომელი უმაღლესი ორგანოდან უნდა იქნას მოთხოვნილი საბოლოო გადაწყვეტილების წარდგენა, სასამართლო თუ ადმინისტრაციული სისტემიდან. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ დაბალი რანგის თანამდებობის პირი ნებართვაზე უარს გასცემს, მაშინ უნდა მოითხოვებოდეს, რომ განმცხადებელმა მიმართოს ზემდგომ ორგანოს გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად.³⁴⁰ მაგრამ, ამ საკითხის განსაზღვრისას ყურადსაღებია ის გარემოება, თუ რამდენად არის შესაძლებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოდ ჩაითვალოს, როდესაც ეს უკანასკნელი გასაჩივრებას ექვემდებარება ეროვნული სასამართლო სისტემის ფარგლებში. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ეროვნულ სასამართლოში საჩივრდება, თავის მხრივ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება საბოლოოდ ვერ მიიჩნევა (ე.ი. შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების ამოწურვად ვერ ჩაითვლება). იმ შემთხვევაში,

³³⁹ *Newcombe A., Paradell L., Law and Practice of Investment Treaties, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2009, 242.*

³⁴⁰ *Newcombe A., Paradell L., Law and Practice of Investment Treaties, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2009, 243.*

თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადგილობრივი სამართლებრივი მოწესრიგების თანახმად, მაშინ ეს შემთხვევა უნდა ჩაითვალოს სამართლებრივი მექანიზმების ამოწურვად (თუმცა, ცალკე განხილვის საგანია რამდენად სამართლიანია იმგავრი მიდგომა, რომლის თანახმად ადმინისტრაციული გადაწყვეტილება სასამართლოში გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მაგრამ აღნიშნული წინამდებარე ნაშრომის მიზნებს სცდება და ამიტომ ამ თემაზე არ შევჩერდები). აქედან გამომდინარე, ლოგიკურია და გამართლებულია, რომ სასამართლო სისტემის ფარგლებში ინსტანციების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება მიიჩნეოდეს შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების ამოწურვად.

აგრეთვე, საინტერესოა მართლმსაჯულების განხორციელების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის სტანდარტის მიმართება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალთან. განსახილველი პრინციპი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მინიმალური სტანდარტის ცენტრალურ ცნებას წარმოადგენს.³⁴¹ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ჩვეულებითი სამართალი აღიარებს ეროვნული სასამართლოების მიერ სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. სახელმწიფოს შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ გადააჭარბებს თავისი სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებს ან იმას, რაც ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, სახელმწიფოს შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა თავისივე სასამართლოს ორგანოს მეშვეობით.

საქმეზე *Elettronica Sicula S.p.A. (ELSI) (United States of America v. Italy)*³⁴² მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის გადასაწყვეტად მითითებული ნორმა არასწორად კი არ იქნა გამოყენებული, არამედ ეს

³⁴¹ *Sornarajah M.*, *The International Law on Foreign Investment*, Cambridge University Press, New York, 2017, 424.

³⁴² მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 1989 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Elettronica Sicula S.p.A. (ELSI) (United States of America v. Italy)*, No. 76, <<https://www.international-arbitration-attorney.com/wp-content/uploads/2019/05/Elettronica-Sicula-S.p.A.-ELSI.pdf>>, [04.02.2021].

წარმოადგენდა სამართლებრივი ნორმის დარღვევას, რაც იწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას.³⁴³ მაგრამ, სირთულეს წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობის ფარგლებში როგორ უნდა წარმოიშვას ადმინისტრაციული დარღვევა თუ ეროვნული სასამართლო საბოლოოდ არ უარყოფს სამართლებრივი დაცვის საშუალებას. აღნიშნული პრობლემის გამოხატულებას წარმოადგენს საქმე *Glamis Gold, Ltd. v. The United States of America*.³⁴⁴ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს, თუ არ არსებობს საკითხის აშკარა მოწესრიგება და თუ ეს საკითხი მიიჩნევა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში.³⁴⁵ ამგვარი მიდგომა გარკვეულწილად პრინციპის ვიწრო განმარტებას შეესაბამება. ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს უფლება-მოვალეობათა ფარგლები იზღუდება და ამასთან უცხოელი ინვესტორის გარანტიაც მართლმსაჯულების განსახორციელებლად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. იმის გათვალისწინებით, რომ ინვესტიციის მიმღები სახელმწიფო საერთაშორისო სახელშეკრულებო ურთიერთობას ამყარებს მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოსთან, ეს თავისთავად მოიაზრებს, რომ აღიარებს საერთაშორისოდ აღიარებული მინიმალური სტანდარტების გავრცელებას მხარეთა შორის ურთიერთობებზე. შესაბამისად, უცხოელი ინვესტორის უფლების შეზღუდვა გადაწყვეტილებაში მოცემული შეხედულების საფუძველზე ლახავს მის საყოველთაოდ აღიარებულ ფუნდამენტურ უფლებას.

ამ საკითხთან დაკავშირებული საქმე განხილულია ქვემოთ, რომელიც ასევე ეხება განსახილველი სტანდარტის და სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის

³⁴³ *Sattorova M.*, Denial of Justice Disguised? Investment Arbitration and the Protection of Foreign Investors from Judicial Misconduct, in: *Redgwell C., McCorquodale R., Evans M., Fawcett J., Giliker P., Gray Ch.* (Editors), *International and Comparative Law Quarterly*, Vol. 61, Issue 1, Bell and Bain, Glasgow, 2012, 225.

³⁴⁴ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2009 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Glamis Gold, Ltd. v. The United States of America*, paras. 619-829, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0378.pdf>>, [04.02.2021].

³⁴⁵ *Sornarajah M.*, *The International Law on Foreign Investment*, Cambridge University Press, New York, 2017, 424.

პრინციპის ურთიერთმიმართებას. ისევე როგორც სხვა პრინციპებთან, სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის პრინციპის კავშირი მჭიდროა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმასთან. ინვესტორის სასარგებლოდ ამ პრინციპის დარღვევის აღიარება საკმაოდ მაღალ სტანდარტს წარმოადგენს. ამიტომაც, მანამდე ხელსაყრელია სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის დარღვევის საფუძველზე მოთხოვნის წარდგენა.³⁴⁶ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების თანახმად, სავალდებულოა სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის დაცვა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად.³⁴⁷ განსახილველ საკითხს ყურადღება დაეთმო რამდენიმე საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ. საქმე *Loewen Group, Inc. and Raymond L. Loewen v. United States of America*³⁴⁸ წარმოადგენს ყველაზე ნათელ მაგალითს, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საქმის განხილვის საფუძველს წარმოადგენდა მართლმსაჯულების განხორციელების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმა.³⁴⁹

აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელე კომპანია Loewen Group International-ის მთავარმა სუბსიდიარმა კომპანიამ Loewen Group-მა აშშ-ში სარჩელი წარადგინა მისისიპის სასამართლოში კონკურენტი კომპანიების წინააღმდეგ, რომელთაც მართავდა O'Keefe-ის ოჯახი. დავის მხარეები ფლობდნენ დამკრძლავ ბიუროებს და მასთან დაკავშირებულ სადაზღვევო კომპანიებს. მხარეთა შორის დავა წარმოიშვა მათ შორის არსებული კომერციული კონტრაქტებიდან. მისისიპის სასამართლოს

³⁴⁶ *Sornarajah M.*, The International Law on Foreign Investment, Cambridge University Press, New York, 2017, 424.

³⁴⁷ *Alford L.P.*, Ancillary Discovery to Prove Denial of Justice, Virginia Journal of International Law Digest, Vol. 53, No. 1, Virginia Journal of International Law Association, Charlottesville, 2012, 127.

³⁴⁸ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2003 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Loewen Group, Inc. and Raymond L. Loewen v. United States of America*, ICSID Case No. ARB(AF)/98/3, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0470.pdf>>, [04.02.2021].

³⁴⁹ *Sattorova M.*, Denial of Justice Disguised? Investment Arbitration and the Protection of Foreign Investors from Judicial Misconduct, in: *Redgwell C., McCorquodale R., Evans M., Fawcett J., Giliker P., Gray Ch.* (Editors), International and Comparative Law Quarterly, Vol. 61, Issue 1, Bell and Bain, Glasgow, 2012, 228.

გადაწყვეტილებით კანადელ ინვესტორს დაკისრებული ჰქონდა 500 მილიონი დოლარის გადახდის ვალდებულება.

Loewen Group ცდილობდა \$500-მილიონიანი განაჩენის გასაჩივრებას, მაგრამ მისისიპის კანონის მიხედვით გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად აუცილებელი იყო გარანტიის სახით დაკისრებული თანხის 125%-ის დაფარვა (წინამდებარე საქმეზე თანხა შეადგენდა 625\$ მილიონს). ამასთან, კანონით არსებობდა თანხის შემცირების შესაძლებლობა სათანადო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეს მსგავსი საფუძველი ჰქონდა, მისისიპის უზენაესმა სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. სასამართლომ მოითხოვა 7 დღის განმავლობაში აღნიშნული თანხის წარდგენა, რათა არ დაწყებულიყო დაუყოვნებლივი აღსრულება. მოსარჩელე დააშინეს ქონების დაუყოვნებლივი ჩამორთმევით. იმის გათვალისწინებით, რომ ინვესტორს თანხის სრულად დაფარვის რესურსი არ გააჩნდა, სასარჩელო მოთხოვნაზე შეთანხმება შედგა 170\$ მილიონის გადახდის თაობაზე.³⁵⁰

ინვესტორის პოზიციის მიხედვით, მისისიპის სასამართლოს ქმედებით დაირღვა მართლმსაჯულების განხორციელების ხელმისაწვდომობის პრინციპი. ამასთან, სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის და ექსპროპრიაციის სტანდარტები NAFTA-ს მიხედვით. მოსარჩელე აცხადებდა, რომ ინვესტორისთვის დაკისრებული ფულადი ოდენობა სადამსჯელო ზიანის ანაზღაურების პრინციპის საფუძველზე უთანაბრდება ექსპროპრიაციას. ამასთან, ინვესტორის მოსაზრების თანახმად, ზიანის ოდენობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება არღვევდა NAFTA-თი გათვალისწინებულ მოპყრობის სტანდარტებს. ტრიბუნალმა გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სამართალწარმოებისას გამოკვეთილი იყო ადგილობრივი ფავორიტიზმი (მაგალითად, მოსამართლემ პროცესის მიმდინარეობისას O’Keefe-ის წარმომადგენელს არ აუკრძალა გადაჭარბებული ქსენოფობიური და რასისტული კომენტარებისგან თავის შეკავება), რის გამოც უცხოელ ინვესტორს არ მიეცა უფლების დაცვის შესაძლებლობა. ტრიბუნალმა

³⁵⁰ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2001 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე Loewen Group, Inc. and Raymond L. Loewen v. United States of America, ICSID Case No. ARB(AF)/98/3, <<https://bit.ly/2UY2sKU>>, [04.02.2021].

დაასკვნა, რომ სასამართლო პროცესი და მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სამართლის მინიმალურ სტანდარტსა და სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის პრინციპს.

მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნალი ამგვარ დასკვნამდე მივიდა, კითხვის ნიშანი მაინც დაისვა. ტრიბუნალის მოსაზრებით, დასადგენი იყო სამართალწარმოების პროცესი და მიღებული გადაწყვეტილება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად თუ ერთად, დამდგარი შედეგის მიხედვით, შეადგენდა თუ არა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულების დარღვევას. აშშ-ს მიერ გამოითქვა პოზიცია, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სასამართლოს ქმედების გამო მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ სახელმწიფოს სასამართლო სისტემის საბოლოო ქმედება კანონსაწინააღმდეგოა. ტრიბუნალმა განმარტა: NAFTA-ს 1121-ე მუხლი აშკარად არ გამოხატავს შინაარსს, რომ ადგილობრივ დონეზე განსახილველი პრინციპი დარღვეულად რომ მიიჩნიონ, საერთაშორისო სამართლის მიხედვით არ გულისხმობს, რომ უფლების დარღვევა უცილობლად განხორციელებული უნდა იყოს ნაციონალური სამართლებრივი სისტემის ბოლო ინსტანციის მიერ. განხილულ საქმეზე ტრიბუნალმა მიიღო პრეცედენტული გადაწყვეტილება იმ თვალსაზრისით, რომ შეცვალა NAFTA-ს და ვაშინგტონის კონვენციების განმარტებები.³⁵¹

განსახილველი სტანდარტის საილუსტრაციოდ ქვემოთ შემოთავაზებულია კიდევ ერთი საარბიტრაჟო საქმე *Iranian Society NIOC v. Israel*.³⁵² აღნიშნული საქმე წარმოაჩენს მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილების დაცვის შესაძლებლობას მაღალი სტანდარტით. ხსენებულ საქმეზე მხარეთა შორის დავა როდესაც წარმოიშვა, ისრაელის სახელმწიფომ უარი განაცხადა არბიტრის დანიშვნაზე საქმის მოსასმენად (აღნიშნული არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო

³⁵¹ *Sattorova M.*, Denial of Justice Disguised? Investment Arbitration and the Protectio of Foreign Investors from Judicial Misconduct, in: *Redgwell C., McCorquodole R., Evans M., Fawcett J., Giliker P, Gray Ch.* (Editors), *International and Comparative Law Quarterly*, Vol. 61, Issue 1, Bell and Bain, Glasgow, 2012, 228.

³⁵² საქმეზე *Iranian Society NIOC v. Israel* დოკუმენტები შეზღუდულად არის ხელმისაწვდომი. იხ. საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტები: <<https://www.italaw.com/cases/4411>>, [06.02.2021].

შეთანხმებით) და შესაბამისად ინვესტორს ხელი შეეშალა ჰქონოდა ხელმისაწვდომობა საარბიტრაჟო მართლმსაჯულებაზე. Manbar-ის საქმის³⁵³ შემდეგ, NIOC-ს სრულად შეეზღუდა შესაძლებლობა ნებისმიერი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე: ირანის, ისრაელის და ასევე საერთაშორისო დონეზე.

საარბიტრაჟო დათქმა ითვალისწინებდა, რომ მხარეთა მიერ არჩეულ არბიტრებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მესამე არბიტრი აირჩეოდა პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტის მიერ. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა NIOC-ს თავისი უფლებების დაცვის შესაძლებლობას ანიჭებდა, ამ მიზნით მიმართა საფრანგეთის საგარეო სასამართლოს იურისდიქციას.³⁵⁴

NIOC-ის საქმეზე პარიზის სააპელაციო სასამართლომ³⁵⁵ დაადგინა, რომ NIOC Society-ის შეზღუდული ჰქონდა ყველანაირი ხელმისაწვდომობა სასამართლო

³⁵³ NIOC-მა და ისრაელმა დაიწყეს მოლაპარაკების პროცესი საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობასთან დაკავშირებით. თუმცა, აღნიშნული პროცესი ჩაიშალა ისრაელის სასამართლოს მიერ წარმოებული სრულიად დამოუკიდებელი სისხლის სამართლის საქმის გამო. Manbar-ის საქმის (ებრაელი ბიზნესმენი Nahum Manbar, რომელმაც მოწამლული გაზი მიჰყიდა ირანს) საფუძველზე, ირანი მიიჩნევს ისრაელის მოწინააღმდეგედ სისხლის სამართლის მიზნებისთვის. შესაბამისად, ისრაელის სამართლის მიხედვით, ისრაელსა და ირანულ მეწარმე-სუბიექტს შორის არსებული კონტრაქტი აღსრულებას ვეღარ დაექვემდებარებოდა, მათ შორის, საარბიტრაჟო შეთანხმება.

³⁵⁴ *Hecker Padilla C.A., Denial of Justice to Foreign Lawyers, Cuadernos de Derecho Transnacional, Vol. 3, No. 1, Carlos III University of Madrid, Madrid, 2011, 297.*

³⁵⁵ საფრანგეთის სასამართლოები მაქსიმალურად მხარს უჭერენ საარბიტრაჟო პოლიტიკას. საფრანგეთის სასამართლოებს გააჩნიათ არბიტრის დანიშვნის უფლებამოსილება, თუ ამ პროცესთან დაკავშირებული სირთულეები არსებობს. მაგრამ, აღნიშნულის განხორციელება მხოლოდ შეზღუდული შემთხვევებისას შეუძლიათ: 1. საარბიტრაჟო პროცესის განხილვის ადგილი საფრანგეთია; 2. მხარეებს პროცედურულ გამოსაყენებელ სამართლად საფრანგეთის კანონმდებლობა აქვთ არჩეული. საფრანგეთის სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საფრანგეთის სასამართლოები არიან უფლებამოსილი არბიტრის დასანიშნად, როდესაც საფრანგეთთან კავშირის დადგენა ბუნდოვანია, მაგრამ არსებობს რეალური რისკი იმისა, რომ ხელშეკრულებით შეთანხმებული საარბიტრაჟო პროცესი არ გაიმართოს. წყარო:

სისტემისადმი. აღნიშნული მიდგომა ასევე გაიზიარა საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ. პარიზის სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ინვესტორის სასარგებლოდ და ისრაელს განუსაზღვრა 1-თვიანი ვადა არბიტრის დასანიშნად.³⁵⁶ ეს საქმე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ თვალსაზრისით, რომ მოსარჩელემ თავისი უფლების რეალიზება განახორციელა მესამე სახელმწიფოს დახმარებით მაშინ, როცა უშუალოდ ინვესტორის ნაციონალობის სახელმწიფო (ირანი) და მოპასუხეს (აშშ) შორის არსებული ურთიერთობის ეზღუდებოდა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა.

განსახილველი პრინციპის კიდევ ერთ საილუსტრაციო მაგალითად შესაძლოა დასახელდეს საქმე *Dan Cake v. Hungary*³⁵⁷. Dan Cake წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს ტკბილეულის მწარმოებელ კომპანიას. ამ უკანასკნელმა ინვესტიცია განახორციელა უნგრეთში ამავე ქვეყნის კომპანიის წილების შესყიდვის მეშვეობით (რომელსაც შემდეგ ეწოდა Denesita). Dan Cake-ს დაგეგმილი ჰქონდა თავისი ბიზნესის გავრცელება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, მაგრამ მისი გეგმა ვერ განხორციელდა, რადგან რამდენიმე წელიწადში კომპანია გაკოტრდა და თავისი აქციები გაყიდა. მოვალე კომპანიის ლიკვიდაციის პროცესი გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით წარიმართა.

Denesita დარეგისტრირდა უნგრეთის კანონმდებლობის შესაბამისად. Denesita-ს წილების მაჟორიტარი მფლობელი იყო Dan Cake. 2006 წელს Denesita რამდენიმე კომპანიის მოვალე გახდა. ამის შესაბამისად, რამდენიმე კრედიტორმა დაიწყო ლიკვიდაციის პროცესის წარმოება. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიამ ვალდებულებები დროულად ვერ დაფარა, ბუდაპეშტის სასამართლომ კომპანია

<<https://www.internationallawoffice.com/Newsletters/Arbitration-ADR/France/Herbert-Smith-LLP/Supreme-Court-Rules-on-French-Courts-Jurisdiction-to-Appoint-Arbitrators>>, [04.02.2021].

³⁵⁶ *Hecker Padilla C.A.*, Denial of Justice to Foreign Lawyers, Cuadernos de Derecho Transnacional, Vol. 3, No. 1, Carlos III University of Madrid, Madrid, 2011, 297.

³⁵⁷ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2015 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Dan Cake S.A. v. Hungary*, ICSID Case No. ARB/12/9, paras. 143-154, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw4457.pdf>>, [04.02.2021].

გამოაცხადა გაკოტრებულად მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ მოგვიანებით გადაიხადა ვალი და გაასაჩივრა სასამართლოს ბრძანება, რომელიც ძალაში შევიდა 2007 წლის 18 იანვარს. აღნიშნული თარიღი მნიშვნელოვანია, რადგან უნგრეთის გადახდისუუნარობის კანონის შესაბამისად, ლიკვიდატორის ვალდებულებას წარმოადგენს, კომპანიის ქონების რეალიზაცია განახორციელოს ბრძანების ძალაში შესვლის თარიღიდან 120 დღის განმავლობაში.

ლიკვიდატორის მიერ ქონების გაყიდვამდე, Denesita-ს მხოლოდ ერთი არჩევანი გააჩნდა თავის ინვესტიციების დასაცავად. მას შეეძლო მოეთხოვა უნგრეთის სასამართლოსგან საქმეზე ერთობლივი სხდომის გამართვა ქონების გაყიდვის ვადის გადავადების მიზნით. ამით შესაძლებელი იქნებოდა კომპანიას მოლაპარაკება ეწამოებინა მომავალში ვალის დაფარვის თაობაზე. შესაბამისად, Denesita-მ სასამართლოში წარადგინა აღნიშნული მოთხოვნა. სასამართლომ სხდომის ჩასანიშნად Dan Cake-ს მოსთხოვა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა, რაც კომპანიამ არ განახორციელა. სასამართლომ სხდომის ჩანიშვნის თაობაზე მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და გამოსცა კიდევ ერთი ბრძანება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ 2008 წლის 22 აპრილს. ამით კომპანიას მოესპო საშუალება რომ შეთანხმება მიეღწია კრედიტორებთან და თავისთავად ქონების გაყიდვის შემდეგ ამის განხორციელებაც შეუძლებელი იყო. შესაბამისად, ლიკვიდატორმა გაყიდა ქონება, რაც Dan Cake-ის ინვესტიციის დასასრული აღმოჩნდა.

Dan Cake-მა უნგრეთის სასამართლოში გააპროტესტა *inter alia*, რომ უნგრეთმა დაარღვია პორტუგალიასა და უნგრეთს შორის 1992 წელს გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი. შესაბამისად, მხარეებმა დავის განსახილველად მიმართეს ICSID არბიტრაჟს. საქმეზე მთავარ საკითხს წარმოადგენდა უნგრეთის სასამართლომ დაარღვია თუ არა პორტუგალიასა და უნგრეთს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება.

ICSID საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაადგინა, რომ უნგრეთმა დაარღვია (და არა ლიკვიდატორმა) უნგრეთსა და პორტუგალიას შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-3(1) მუხლი. ეს უკანასკნელი არეგულირებს სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტს, რაც დაირღვა მართლმსაჯულების განხორციელების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის ფორმით.

ასევე, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-3(2) მუხლში მოცემულია, რომ ინვესტიციებისთვის ხელის შეშლა არ შეიძლება უსამართლო და დისკრიმინაციული საშუალებების გამოყენებით.

სასამართლოს დასაბუთებით, სხდომის გამართვაზე უარი ეთქვა კომპანიას იმ საფუძველით, რომ სხდომის წარმატებით გასამართად აუცილებელი იყო ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის არსებობა, რაც იმ დროისთვის არ იყო უზრუნველყოფილი. უნგრეთის სასამართლოს მითითებით, სწორედ ამ საფუძველით მოითხოვა მხარის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განმარტა, რომ (1) მოვალის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო მისი სავარაუდო წარმატების მიუხედავად; (2) იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ მხარისგან მოითხოვა დამატებითი დოკუმენტების წარდგენა, ეს გამორიცხავდა სხდომის გამართვას ლიკვიდაციის პროცესისთვის განსაღვრული 120 დღის ფარგლებში დარჩენილი დროის განმავლობაში; (3) მიუხედავად იმისა, რომ სხდომაზე დამატებითი დოკუმენტების წარდგენის მოლოდინი გამართლებულია, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ გონივრულია მისი წინასწარ წარდგენის მოთხოვნა; (4) მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნის შესახებ, განსახილველ საქმეზე აღნიშნული არ წარმოადგენდა აუცილებლობას.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სასამართლოს მიერ გაცემულ ბრძანებაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ ქონება ლიკვიდატორს უნდა გაეყიდა 120 დღის განმავლობაში. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ რთული იყო იმის დადგენა, სასამართლოს განზრახვას წარმოადგენდა თუ არა ლიკვიდატორისთვის ძალის დატანება ქონებების გაყიდვის თაობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში ფაქტია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ანუ სხდომის არჩანიშვნით, ლიკვიდატორს მიეცა შესაძლებლობა გაეყიდა ქონება 120 დღის განმავლობაში.

წინამდებარე საქმეზე უნგრეთი აპელირებდა, რომ ლიკვიდატორის ქმედებები არ შეადგენდა უნგრეთის პასუხისმგებლობას. მიუხედავად ამისა, ტრიბუნალმა დაადგინა, რომ უნგრეთმა და არა ლიკვიდატორმა დაარღვია პორტუგალიასა და უნგრეთს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, კითხვა იმის თაობაზე, ლიკვიდატორი მოქმედებდა თუ არა

სახელმწიფოს სახელით (სახელმწიფოს წარმომადგენელი) წინამდებარე საქმეზე, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

Denesita-ს მოესპო ყველა ადგილობრივი მექანიზმით უფლების დაცვა. განხილული საქმე მნიშვნელოვანია, რადგან ICSID-ის პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათია ინვესტორის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის პრინციპის დარღვევის საფუძველით. იმის გათვალისწინებით, რომ ეს საერთაშორისო სტანდარტია, საკმაოდ რთულია ამის დამტკიცება უცხოელი ინვესტორის მიერ.³⁵⁸ ამას გარდა, მოცემული საქმის მიხედვით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა განსახილველი პრინციპისა და სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის ურთიერთმიმართება. აგრეთვე, ისიც აღსანიშნია, რომ წინამდებარე შემთხვევაში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმა სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის ფარგლებში განიხილება. ე.ი. სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი დაირღვა მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის თვალსაზრისით.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მართლმსაჯულებაზე უარის თქმა მხარეს უსპობს უფლების დაცვის შესაძლებლობას. ამასთან, განსახილველი პრინციპის ფარგლებში სახელმწიფოს ძალა განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოჩინდება, რადგან მასპინძელი სახელმწიფო უცხოელ ინვესტორს სავარაუდოდ დარღვეული უფლების დაცვის განხილვის შესაძლებლობასაც არ ანიჭებს მართლმსაჯულების განხორციელების საშუალებით.

³⁵⁸ *Kökényesi G.*, “Denial of Justice” as a Basis for the ICSID Ruling against Hungary, Kluwer Arbitration Blog, 2016, <<http://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2016/03/01/denial-of-justice-as-a-basis-for-the-icsid-ruling-against-hungary/>>, [04.02.2021].

8. ქოლგა კლაუზულა

საინვესტიციო ხელშეკრულებების ზრდამ გამოიწვია ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების არაერთგვაროვანი მოწესრიგება. ზოგიერთი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მიხედვით, პრეტენზია განხილვას ექვემდებარება მხოლოდ იმ ვალდებულებების საფუძველზე, რაც ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებაშია მოცემული. სახელმწიფოს მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ინვესტორის მიერ მასპინძელი სახელმწიფოს წინააღმდეგ წარსადგენი პრეტენზია შესაძლოა ეფუძნებოდეს საინვესტიციო ხელშეკრულებას ან საინვესტიციო კონტრაქტს. საინვესტიციო ხელშეკრულებების შემთხვევაში დავის განხილვის საგანი უფრო ფართოა ტრიბუნალის წინაშე, რადგან საინვესტიციო კონტრაქტით როგორც წესი უფრო დეტალურად არის მოწესრიგებული სახელმწიფოს ვალდებულებები.³⁵⁹

ზოგიერთი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით იურისდიქცია ფართოა და ვრცელდება „ინვესტიციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავაზე“. მაგალითად, ინვესტიციის მიმღები სახელმწიფოს ვალდებულებები შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „ნებისმიერი ნაკისრი ვალდებულების დაცვა“, „ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მუდმივი მეთვალყურეობა“. სწორედ ამგვარ დათქმებს ეწოდება ქოლგა კლაუზულა.³⁶⁰ ე.ი. ქოლგა კლაუზულის ფარგლებში მოიაზრება ისეთი დათქმა, რომლის შინაარსი ფართოა და სწორედ ამგვარი მოწესრიგებაში იგულისხმება სახელმწიფოს მიერ უცხოელი ინვესტორისადმი ნაკისრი ვალდებულება.

³⁵⁹ *Yannaca-Small K.*, Interpretation of the Umbrella Clause in Investment Agreements, OECD Working Papers on International Investment, Organization for Economic Co-operation and Development, Paris, 2006, 3, <https://www.oecd.org/daf/inv/investment-policy/WP-2006_3.pdf>, [06.02.2021].

³⁶⁰ ქოლგა კლაუზულას ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიით კიდევ უწოდებენ შემდეგნაირად: “mirror effect”, “elevator”, “parallel effect”, “sanctity of contract”, “respect clause”, “pacta sunt servanda”.

ასეთი დათქმები საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინვესტორის დამატებითი დაცვა.³⁶¹ ინვესტორი მასპინძელ სახელმწიფოში ინვესტიციის განხორციელების შემდეგ ექცევა ეროვნული მოწესრიგების ფარგლებში და შესაბამისად ამ შემთხვევაში სახელმწიფო გარკვეული უპირატესობით სარგებლობს. ქოლგა კლაუზულის არსი სწორედ ისაა, რომ სახელმწიფომ გააცნობიეროს უცხოელი ინვესტორის წინაშე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, რომელთა უგულებელყოფა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების დარღვევად მიიჩნევა. ქოლგა კლაუზულა სახელმწიფოს მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებისგან თავის შეკავების ერთგვარ მექანიზმს წარმოადგენს.³⁶²

მიუხედავად იმისა, რომ ქოლგა კლაუზულა ცნობილია 1950 წლიდან და მისი გავლენა ლიტერატურასა და დოქტრინაში განხილვის საგანს წარმოადგენდა, პირველად 1997 წელს მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში გვხვდება საქმეზე *Fedax N.V. v. The Republic of Venezuela*. ქოლგა კლაუზულა, როგორც ინვესტიციების დამცავი დათქმა, სათავეს იღებს 1956-1959 წლებში Abs უცხოეთის სახელმწიფოებში საკუთრების დაცვის თაობაზე ერთობლივი დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დრაფტში.³⁶³ დათქმა პირველად გამოჩნდა 1959 წელს გერმანიასა და პაკისტანს შორის გაფორმებულ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებაში.

³⁶¹ *Yannaca-Small K.*, Interpretation of the Umbrella Clause in Investment Agreements, OECD Working Papers on International Investment, Organisation for Economic Co-operation and Development, Paris, 2006, 3, <https://www.oecd.org/daf/inv/investment-policy/WP-2006_3.pdf>, [06.02.2021].

³⁶² *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 122.

³⁶³ Abs უცხოეთის სახელმწიფოებში საკუთრების დაცვის თაობაზე ერთობლივი დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დრაფტი (Draft Convention on Investments Abroad, Abs-Showcross Draft Convention) 1957-1959 წლებში შემუშავდა Deutsche Bank-ის თავმჯდომარის ჰერმან აბსის ინიციატივით. დოკუმენტის ტექსტი უნდა განეხილა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას, მაგრამ დოკუმენტი საბოლოოდ არ მიღებულა ოფიციალურად. იხ. დოკუმენტის დრაფტი ინგლისურ ენაზე: <<https://www.international-arbitration-attorney.com/wp-content/uploads/137-volume-5.pdf>>, [06.02.2021].

აღნიშნული შეთანხმების მე-7 მუხლში მოცემულია, რომ „თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი ვალდებულების დაცვა, რაც ხელშეკრულების მეორე მხარის მოქალაქის საკუთრებასთან არის დაკავშირებული”.³⁶⁴

ქოლგა კლაუზულის განმარტების ერთიანი მეთოდი ICSID-ის პრაქტიკის მიხედვით არ არის განვითარებული. ზოგიერთი საარბიტრაჟო ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ ნორმის ზუსტი განსაზღვრების დადგენა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ხარისხს ინვესტორის წინაშე ასუსტებს. სხვა ტრიბუნალების მიერ უარყოფილია ამგვარი მიდგომა და მიჩნეულია, რომ ქოლგა კლაუზულის შინაარსი უნდა დადგინდეს. ამგვარი ვიწრო განმარტების მიზანს წარმოადგენს საინვესტიციო არბიტრაჟის მიერ საინვესტიციო კონტრაქტებზე დაფუძნებული სარჩელების განხილვის სტიმულირება.

ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალები ხშირად განიხილავენ საკითხს იმის თაობაზე, საინვესტიციო კონტრაქტის დარღვევამ შესაძლოა შეადგინოს თუ არა საინვესტიციო ხელშეკრულების დარღვევა ქოლგა კლაუზულის არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში. საკონტრაქტო ვალდებულები დაკავშირებული არის ინვესტიციებთან და შესაბამისად ამ ვალდებულებების სერიოზულად დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს ექსპროპრიაცია. არსებობს მოსაზრება, რომ საკონტრაქტო ვალდებულების დარღვევა შესაძლოა ჩაითვალოს საინვესტიციო სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად, ქოლგა კლაუზულის არარსებობის შემთხვევაშიც. მაგალითად, საკონტრაქტო ვალდებულების დარღვევამ შესაძლებელია შეადგინოს სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის დარღვევა, რადგან ეს არყევს ინვესტორის ლეგიტიმურ მოლოდინს. თუმცა, არსებობს ამის საპირისპირო შეხედულებაც. აღნიშნული განსხვავებული მიდგომების საილუსტრაციოდ ქვემოთ

³⁶⁴ *Yannaca-Small K.*, Interpretation of the Umbrella Clause in Investment Agreements, OECD Working Papers on International Investment, Organization for Economic Co-operation and Development, Paris, 2006, 4, <https://www.oecd.org/daf/inv/investment-policy/WP-2006_3.pdf>, [06.02.2021].

მოცემულია საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ განავითარებული შეხედულებები სხვადასხვა საქმის საფუძველზე.³⁶⁵

ნეგატიური განმარტების შინაარსი მოცემულია საქმეზე *SGS Société Générale de Surveillance S.A. v. Islamic Republic of Pakistan*.³⁶⁶ 1994 წელს შვეიცარიულმა კომპანიამ SGS გააფორმა კონტრაქტი პაკისტანთან [ტვირთის გადაზიდვამდე] საინსპექციო მომსახურების გაწევის შესახებ. კონტრაქტი ითვალისწინებდა საარბიტრაჟო განხილვის წარმოებას ე. ისლამაბადში პაკისტანის სამართლის შესაბამისად. პაკისტანმა კონტრაქტი შეწყვიტა 1996 წელს, რის საფუძველზეც მხარეთა შორის წარმოიშვა დავა, რადგან კომპანია აპელირებდა პაკისტანის მიერ კონტრაქტის არაკანონიერად შეწყვეტასთან დაკავშირებით. საარბიტრაჟო დავისას მოსარჩელემ განაცხადა, რომ ტრიბუნალს გააჩნდა უფლებამოსილება მხოლოდ საკონტრაქტო საფუძველით წარდგენილი სარჩელის განსახილველად შვეიცარია-პაკისტანის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-11 მუხლში მოცემული ქოლგა კლაუზულის შესაბამისად (მუხლი 11: თითოეული ხელშემკვერელი მხარე ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას მეორე ხელშემკვერელი მხარის ინვესტორების ინვესტიციების მიმართ).

SGS-ის პოზიციის მიხედვით, ქოლგა კლაუზულა ფარავდა ნებისმიერ სახელშეკრულებო ურთიერთობას, რომლის განხილვაც ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებას უნდა დაეფუძნოს. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ გაიზიარა SGS-ის მოსაზრება და აღნიშნა, რომ სარჩელი წარმატებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მე-11 მუხლის ფორმულირება ფართო განმარტების შესაძლებლობას შექმნიდა. ტრიბუნალის მოსაზრებით, რადგან ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-11

³⁶⁵ *Sasson M.*, Substantive Law in Investment Treaty Arbitration – The Unsettled Relationship between International and Municipal Law, 2nd Edition, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2017, 225.

³⁶⁶ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2003 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *SGS Société Générale de Surveillance S.A. v. Islamic Republic of Pakistan*, ICSID Case No. ARB/01/13, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0779.pdf>>, paras. 156-174, [06.02.2021].

მუხლის შინაარსი არ მიუთითებს სახელმწიფოსთან გაფორმებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაზე, ამიტომ მხარეთა შორის დადებული კონტრაქტი ავტომატურად ვერ მიიჩნევა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე განხილვის საგანად.³⁶⁷ ე.ი. წინამდებარე შემთხვევაში ქოლგა კლაუზულას ნეგატიური განმარტება გულისხმობს იმას, რომ ინვესტიციის მიმღებ სახელმწიფოსა და უცხოელი ინვესტორის სახელმწიფოს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება ვერ გავრცელდება იმ საინვესტიციო კონტრაქტზე, რომელიც უშუალოდ გაფორმებულია უცხოელ ინვესტორსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის. კერძოდ, თუ მხარეთა შორის დავა მიმდინარეობს სახელმწიფოთა შორის არსებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავის მექანიზმის საფუძველზე, ეს გულისხმობს (დასახელებული საქმის მაგალითის მიხედვით), რომ საქმეზე ვერ გამოიყენება საინვესტიციო კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები საქმის გადაწყვეტის ერთ-ერთ საფუძველად.

ქოლგა კლაუზულის განმარტების კიდევ ერთ მიდგომას წარმოადგენს ე.წ. ავტომატური განმარტება. აღნიშნული გულისხმობს ზემოთ განხილული განმარტების საპირისპირო მეთოდს. ე.ი. საინვესტიციო კონტრაქტში მოცემული ქოლგა კლაუზულა ავტომატურად გადაიზრდება საერთაშორისო ვალდებულებაში.³⁶⁸ საქმეზე *Fedax N.V. v. The Republic of Venezuela*³⁶⁹ მოცემულია ქოლგა კლაუზულის განმარტება. ინვესტორმა სარჩელი წარადგინა ვენესუელას წინააღმდეგ იმ საფუძველით, რომ სახელმწიფომ პატივი არ სცა მის სავალო ვალდებულებებს. ტრიბუნალმა ვენესუელა-ნიდერლანდების ორმხრივი საინვესტიციო

³⁶⁷ *Sasson M.*, Substantive Law in Investment Treaty Arbitration – The Unsettled Relationship between International and Municipal Law, 2nd Edition, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2017, 225

³⁶⁸ *Sasson M.*, Substantive Law in Investment Treaty Arbitration – The Unsettled Relationship between International and Municipal Law, 2nd Edition, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2017, 225.

³⁶⁹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 1998 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Fedax N.V. v. The Republic of Venezuela*, ICSID Case No. ARB/96/3, para. 29, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0316_0.pdf>, [06.02.2021].

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქოლგა კლაუზულის საფუძველზე დაადგინა: ვენესუელა ვალდებულია პატივი სცეს ზედმიწევნით იმ უფლებებსა და ვალდებულებებს, რაც ვრცელდება ამგვარ ინვესტიციაზე და პატივი სცეს იმ განსაზღვრულ გადასახადებს, რაც გათვალისწინებულია სავალო ვალდებულებით (თამასუქით). ტრიბუნალმა ყოველგვარი დაწვრილებითი განმარტების გარეშე კონტრაქტის დარღვევა მიიჩნია საინვესტიციო ხელშეკრულების დარღვევად.³⁷⁰ ე.ი. წინამდებარე საქმეზე ტრიბუნალმა საინვესტიციო კონტრაქტი პირდაპირ მიაკუთვნა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მოწესრიგების ფარგლებს.

ასევე, მსგავსი მიდგომაა განვითარებული საქმეზე *CMS Gas Transmission Company v. Argentina*.³⁷¹ წინამდებარე შემთხვევაში, არგენტინის ვალდებულებას წარმოადგენდა, რომ არ გაეყინა ფასები ან დაეწესებინა ფასებზე კონტროლი და არ შეეცვალა ლიცენზიის მარეგულირებელი ნორმები თანხმობის გარეშე. ტრიბუნალმა დაადგინა, რომ ინვესტიციებთან დაკავშირებული სამართლებრივი და საკონტრაქტო ვალდებულებების დარღვევა იწვევს საინვესტიციო ხელშეკრულების დარღვევას.

ქოლგა კლაუზულის განმარტების კიდევ ერთი მეთოდი არის ასევე შემოთავაზებული დოქტრინასა და საარბიტრაჟო პრაქტიკაში. განსახილველი მიდგომის თანახმად, საინვესტიციო ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია გაავრცელოს საინვესტიციო ხელშეკრულებაში მოცემული ქოლგა კლაუზულა ისეთ კონტრაქტებზე, სადაც მხარეებმა წარმოგვიდგებიან ინვესტორი და სახელმწიფო, როგორც სუვერენი.³⁷² საინტერესოა იმის განხილვა, თუ რა შემთხვევაში ვრცელდება საინვესტიციო

³⁷⁰ *Sasson M.*, *Substantive Law in Investment Treaty Arbitration – The Unsettled Relationship Between International and Municipal Law*, Second Edition, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2017, 226.

³⁷¹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *CMS Gas Transmission Company v. The Republic of Argentina*, ICSID Case No. ARB/01/8, paras. 296-303, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0184.pdf>>, [06.02.2021].

³⁷² *Sasson M.*, *Substantive Law in Investment Treaty Arbitration – The Unsettled Relationship between International and Municipal Law*, 2nd Edition, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2017, 226.

კონტრაქტზე ქოლგა კლაუზულა იმ საფუძველით, თუ ვინ არიან კონტრაქტის მხარეები.

საქმეზე *Azurix Corp. v. The Argentine Republic*³⁷³ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაასკვნა, რომ ბუენოს აირესის ოლქის მიერ დადებულ საინვესტიციო კონტრაქტზე ვერ გავრცელდებოდა ქოლგა კლაუზულა.³⁷⁴ ე.ი. ამ მიდგომის მიხედვით, საინვესტიციო კონტრაქტზე, რომ გავრცელდეს ქოლგა კლაუზულა, კონტრაქტის მხარედ სახელმწიფო წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც უმაღლესი ხელისუფლების მატარებელი. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე საქმეზე არგენტინა არ არის წარმოდგენილი, როგორც უმაღლესი ხელისუფალი (არგენტინის პროვინცია ბუენოს აირესთან არის გაფორმებული კონტრაქტი), ამიტომ ტრიბუნალმა განავითარა აღნიშნული მოსაზრება.

განსახილველი თემის ფარგლებში ყურადსაღებია, ასევე, თუ როგორ განმარტავს ტრიბუნალი იმ შემთხვევას, როდესაც კონტრაქტის მხარეა სახელმწიფოს მიერ სრულად კონტროლირებადი იურიდიული პირი. საქმეზე *Impregilo S.p.A. v. Islamic Republic of Pakistan*³⁷⁵ ტრიბუნალმა დაადგინა, რომ ქოლგა კლაუზულა ვერ გავრცელდებოდა უცხოელ ინვესტორსა და იურიდიულ პირს შორის დადებულ კონტრაქტზე.³⁷⁶

³⁷³ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2006 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Azurix Corp. v. The Argentine Republic*, para. 383, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0061.pdf>>, ICSID Case No. ARB/01/12, [06.02.2021].

³⁷⁴ *Sasson M.*, *Substantive Law in Investment Treaty Arbitration – The Unsettled Relationship between International and Municipal Law*, 2nd Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2017, 225.

³⁷⁵ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე *Impregilo S.p.A. v. Islamic Republic of Pakistan*, ICSID Case No. ARB/03/3, para. 96, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0422.pdf>>, [06.02.2021].

³⁷⁶ *Kryvoi Y.*, *International Center for Settlement of Investment Disputes*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 75.

მიუხედავად ამისა, საქმეზე *Noble Ventures v. Romania*³⁷⁷ მიჩნეულია, რომ სახელმწიფო იურიდიული პირის საქმიანობა თავსდება სუვერენი სახელმწიფოს სტატუსის ფარგლებში, რის საფუძველზეც დადგინდა ქოლგა კლაუზულის დარღვევა. წინამდებარე საქმეზე მოსარჩელეს წარმოადგენდა ამერიკული ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია ფოლადის სფეროში და რუმინეთის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ფონდი (Romanian State Ownership Fund). ICSID-ის პრაქტიკის ძირითადი მიდგომის თანახმად, საინვესტიციო კონტრაქტის დარღვევა მიიჩნევა საინვესტიციო ხელშეკრულების დარღვევად იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო საკონტრაქტო ურთიერთობისას მოქმედებდა, როგორც სუვერენი და არა როგორც კონტრაქტის ჩვეულებრივი მხარე.³⁷⁸

აგრეთვე, აღსანიშნია, განმარტების იმგვარი მიდგომა, რომლის მიხედვით, საინვესტიციო კონტრაქტი კი არ წარმოგვიდგება, როგორც ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების ფარგლებში მოქცეული სამართლებრივი დოკუმენტი, არამედ როგორც მისი თანაბარი ძალის მქონე შეთანხმება. საქმეებზე *Pan American Energy LLC and BP Argentina Exploration Company v. The Argentine Republic*³⁷⁹ და *El Paso Energy International Company v. The Argentine Republic*³⁸⁰ დავის გადაწყვეტა დაეფუძნა ერთსა

³⁷⁷ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Noble Ventures, Inc. v. Romania*, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0565.pdf>>, paras. 42-62, ICSID Case No. ARB/01/11, [06.02.2021].

³⁷⁸ *Kryvoi Y.*, International Center for Settlement of Investment Disputes, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2010, 75-76.

³⁷⁹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2006 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება პირველადი პრეტენზიის შესახებ საქმეზე *Pan American Energy LLC and BP Argentina Exploration Company v. The Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/03/13, paras. 71-116, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0616.pdf>>, [06.02.2021].

³⁸⁰ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *El Paso Energy International Company v. The Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/03/15, paras. 526-538, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0270.pdf>>, [06.02.2021].

და იმავე ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებას, სადაც გამოყენებულ იქნა ქოლგა კლაუზულა. ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების დაბალანსებული განმარტება აუცილებლობას წარმოადგენდა სახელმწიფოს ინტერესებისა, ინვესტორის უფლებებისა და თანმდევი შედეგების გათვალისწინებით. ამგვარი მიდგომა გულისხმობდა საინვესტიციო კონტრაქტის საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან გათანაბრებას. დასახელებულ ორივე საქმეზე საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განმარტა, რომ ქოლგა კლაუზულა ვერ გავრცელდება ჩვეულებრივ კომერციულ დავებზე, რომლის მონაწილეს არის სახელმწიფო ან სახელმწიფოს კუთვნილი საწარმო. მაგრამ, ქოლგა კლაუზულა გავრცელდება ისეთ დავებზე, რომელიც ეხება ინვესტიციის დაცვას და სადაც სახელმწიფო მოქმედებს, როგორც სუვერენი.³⁸¹

ქოლგა კლაუზულის გამოყენებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ასევე ე.წ. აღსრულების მიდგომა. ამ უკანასკნელს განვიხილავთ *SGS Société Générale de Surveillance S.A. v. Republic of the Philippines* საქმის მაგალითზე. აღნიშნული საქმე განიხილა საარბიტრაჟო ტრიბუნალმა *SGS Société Générale de Surveillance S.A. v. Islamic Republic of Pakistan* საქმის შემდეგ. მართალია, რომ SGS-ის დასაბუთება საინვესტიციო კონტრაქტზე ქოლგა კლაუზულის გავრცელების თაობაზე კვლავ წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ წინამდებარე შემთხვევაში ტრიბუნალმა სიღრმისეულად გამოიკვლია და დაასაბუთა ქოლგა კლაუზულის გამოყენების შინაარსი.

1991 წელს SGS-მა კონტრაქტი გააფორმა ფილიპინებთან, ხოლო 1997 წელს ძალაში შევიდა შევიცარიასა და ფილიპინებს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით. 2002 წელს SGS-მა სარჩელი წარადგინა იმ საფუძვლით, რომ ფილიპინებთან 1991 წელს გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა არ იქნა გადახდილი. SGS ამ შემთხვევაშიც ისევ ამტკიცებდა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილი იყო გაეგრძელებინა საკონტრაქტო დავებზე საინვესტიციო ხელშეკრულების მოწესრიგება.

³⁸¹ *Sasson M.*, Substantive Law in Investment Treaty Arbitration – The Unsettled Relationship between International and Municipal Law, 2nd Edition, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2017, 228-229.

SGS-ის საქმეზე პაკისტანის წინააღმდეგ, ტრიბუნალმა დაადგინა, რომ არ არსებობდა პრეცედენტის დოქტრინა საერთაშორისო სამართალში. მაგრამ, ფილიპინების წინააღმდეგ წარმართულ საქმეზე ტრიბუნალმა სხვაგვარად იმსჯელა: 1. ქოლგა კლაუზულას ფორმულირება მიუთითებს სავალდებულოდ შესასრულებელ ქმედებაზე; 2. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენს ქოლგა კლაუზულას ეფექტური განმარტება. შესაბამისად, ლეგიტიმურია ბუნდოვანი საკითხების განმარტება ინვესტიციების დასაცავად; 3. კონკრეტული ინვესტიციების მიმართ განსაზღვრული ვალდებულებები გამოსაყენებელი სამართლის შესაბამისად ექცევა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მოწესრიგების ფარგლებში და სრულიად შეესაბამება მისი მოქმედების მიზანს; 4. პაკისტანის წინააღმდეგ საქმეზე ტრიბუნალმა არ განსაზღვრა გარკვევით ქოლგა კლაუზულას მნიშვნელობა. ამასთან, შვეიცარია-პაკისტანის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით მოცემული ქოლგა კლაუზულა უფრო ბუნდოვანია და მკაცრად მოწესრიგებული, ვიდრე ეს შემოთავაზებულია შვეიცარია-ფილიპინების ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით. ტრიბუნალმა ასევე გააკრიტიკა პაკისტანის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომ ქოლგა კლაუზულა განიმარტა ფართოდ და გავრცელდა საკონტრაქტო ურთიერთობაზე; 5. ტრიბუნალმა ასევე უარყო მიდგომა, რომლის მიხედვითაც საკონტრაქტო ურთიერთობაზე არ შეიძლება გავრცელდეს საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმები. ამასთან, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების გამოყენება არ გულისხმობს მხარეთა შორის არსებული შეთანხმების უგულებელყოფას. ე.ი. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება არ ანაცვლებს კონტრაქტს.³⁸²

რაც შეეხება, საქართველოს მიერ გაფორმებულ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებს, სამწუხაროდ, უმრავლესი ნაწილით განსაზღვრულია ზოგადი მოწესრიგება დავის იურისდიქციასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოს უმრავლესი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომ ინვესტიციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა შესაძლოა დაექვემდებაროს

³⁸² *Sasson M.*, *Substantive Law in Investment Treaty Arbitration – The Unsettled Relationship between International and Municipal Law*, 2nd Edition, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2017, 229-230.

არბიტრაჟს. მაგალითად, საქართველოსა და ლიტვას შორის არსებული ხელშეკრულებით მოცემულია, რომ „დავა, ერთი ხელშემკვრელი მხარესა და მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორს შორის, ზემოაღნიშნული მხარის ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებულ ინვესტიციასთან დაკავშირებით“³⁸³ ექვემდებარება საარბიტრაჟო ტრიბუნალის წინაშე განხილვას. ფორმულირება „ინვესტიციასთან დაკავშირებული“ გულისხმობს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფართო იურისდიქციას. ე.ი. შესაძლოა, რომ ინვესტიციასთან დაკავშირებული დავა მოიცავდეს არა მხოლოდ გამოსაყენებელი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებიდან წარმოშობილ დავას, არამედ ასევე უცხოელ ინვესტორსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის არსებულ ნებისმიერ ურთიერთობიდან, რომელიც გარკვეულწილად არის დაკავშირებული ინვესტიციასთან. მსგავსი ზოგადი ფორმულირება კი ტრიბუნალის განმარტების საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ტრიბუნალი, როგორც წესი, იყენებს გამოსაყენებელი სამართლით მოცემული ინვესტიციის ცნების შინაარსს.

თუმცა, ამ ეტაპზე კიდევ ახალი სირთულე წარმოჩინდება, რადგან ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები, იშვიათად უთითებენ, მათ შორის საქართველოს მიერ გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებებიც, დავაზე გასავრცელებელ გამოსაყენებელ სამართალზე. ამგვარ შემთხვევებში, როგორც წესი, დგინდება გამოსაყენებელ სამართლად მხარეთა შორის არსებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება.³⁸⁴ შებამისად, არბიტრაჟი განსაზღვრავს ინვესტიციის ცნებას

³⁸³ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 09/11/2005, ძალაში შესვლის თარიღი: 01/11/2006, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 8(1); იხ. ასევე, საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 05/10/2005, ძალაში შესვლის თარიღი: 05/03/2006, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 9(1); შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 24/11/2006; ძალაში შესვლის თარიღი: 30/12/2007, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 9.1.

³⁸⁴ *ტაკაშვილი ს.*, უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო

გამოსაყენებელ ხელშეკრულებაში მოცემული ინვესტიციის შინაარსის შესაბამისად. ამ შემთხვევაში კი ტრიბუნალის მოქმედების არეალი ფართოა. ამიტომ, სასურველია სახელმწიფოებმა ხელშეკრულების დადებისას გაითვალისწინონ კონკრეტული ფარგლები საინვესტიციო დავისთვის. აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებული საინვესტიციო ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია თუ რას მოიცავს საინვესტიციო დავა. კერძოდ, საინვესტიციო დავა ფარავს ინვესტიციის დაწყებასთან დაკავშირებულ საკითხებს, საინვესტიციო შეთანხმებას, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებს.³⁸⁵

ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, რომ ქოლგა კლაუზულა კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს უცხოელი ინვესტორის უფლებების დასაცავად. ქოლგა კლაუზულის განსაკუთრებული ხასიათი იმაში ვლინდება, რომ ეს სახელმწიფოსთვის გარკვეულწილად შემაკავებელ მექანიზმს წარმოადგენს ინვესტორის უფლების დარღვევის თვალსაზრისით. ამასთან, ინვესტორისთვის ქოლგა კლაუზულა მნიშვნელოვანი საფუძველია სავარაუდოდ დარღვეული უფლების დასაბუთებისთვის, რადგან ქოლგა კლაუზულა ნორმის ინტერპრეტირების ფართო ასპარეზს გვთავაზობს, რაც რათქმაუნდა საბოლოოდ არბიტრთა მიდგომასა და დავის ფაქტობრივ გარემოებებზეა დამოკიდებული.

რეჟიმთან, იურისტების სამყარო, თბილისი, 2020, 88; იხ. ვრცლად ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო დავის მიმართ გამოსაყენებელი მატერიალური სამართლის შესახებ: *ტაკაშვილი ს.*, უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან, იურისტების სამყარო, თბილისი, 2020, 88-94.

³⁸⁵ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აშშ-ს მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 07/03/1994, ძალაში შესვლის თარიღი: 10/08/1999, UNCTAD, მუხლი 9.

9. ექსპროპრიაცია

საინვესტიციო სამართლის ისტორიაში ექსპროპრიაცია იკავებს ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს. ექსპროპრიაცია ყველაზე მეტი ყურადღების და განხილვის საგანს წარმოადგენს სასამართლოს, არბიტრების და ექსპერტების მიერ.³⁸⁶ ექსპროპრიაციის საერთაშორისო რეგულირება იკავებს შუალედურ რგოლს საერთაშორისო სამართლის ორ ზოგად პრინციპს შორის: ა) სახელმწიფოების სუვერენიტეტი საკუთარ ტერიტორიებსა და ბუნებრივ რესურსებზე; და ბ) სახელმწიფოთა მიერ უცხოელთა უფლებებისადმი პატივისცემა. მუდმივი სუვერენიტეტი გულისხმობს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას. გარკვეული ვალდებულებების არსებობისას, სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან დაარეგულირონ საკუთრება, დააწესონ გადასახადები და განახორციელონ ექსპროპრიაცია. ექსპროპრიაციის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართალი ზოგადად მიუთითებს უცხოელის საკუთრებაში არსებული ქონების ჩამორთმევის ოთხ მთავარ პირობაზე. ექსპროპრიაცია უნდა ემსახურობდეს საზოგადოებრივ მიზანს, უნდა წარიმართოს სათანადო სამართლებრივი პროცედურის შესაბამისად, არ უნდა არსებობდეს დისკრიმინაციის ნიშნები და გათვალისწინებული უნდა იყოს კომპენსაცია.³⁸⁷

მაგალითად, ნორვეგიის მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-12 მუხლი მოცემულია სათაურით „რეგულირების უფლებამოსილება“ (სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების ფარგლები). აღნიშნული მუხლის მიხედვით, არაფერი არ შეიძლება განიმარტოს ამ ხელშეკრულებაში ისე, რაც ხელს შეუშლის ინვესტორს მიიღოს, შეინარჩუნოს ან განახორციელოს ნებისმიერი ღონისძიება. შეთანხმების მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები, რაც ხორციელდება იმის საგარანტიოდ, რომ საინვესტიციო საქმიანობა ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და

³⁸⁶ *Nadakavukaren Schefer K.*, International Investment Law – Text, Cases and Materils, 2nd Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2016, 191.

³⁸⁷ *Newcombe A., Paradell L.*, Law and Practice of Investment Treaties, Kluwer Law International, Alpen aan den Rijn, 2009, 321.

გარემოს დაცვის სტანდარტებს შეესაბამება. აღნიშნული მუხლი ეხება ყველა მუხლის განმარტებას, მათ შორის ექსპროპრიაციას. ასევე, კანადის მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება გვთავაზობს მსგავს ფორმულირების ნორმას, მაგრამ აღნიშნული ნორმა მიემართება მხოლოდ ექსპროპრიაციის განმარტებას.

მეოცე საუკუნიდან არსებობს შეუთანხმებლობა იმპორტიორ და ექსპორტიორ ქვეყნებს შორის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მინიმალური სტანდარტის არსებობის თაობაზე და მათ შორის ექსპროპრიაციის მიმართ გამოსაყენებელ წესებზე. ექსპროპრიაციის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართალი განსაკუთრებით საკამათოა. პირველი, რა ეკონომიკური ინტერესი უნდა არსებობდეს ექსპროპრიაციის განსახორციელებლად. მეორე, სახელმწიფომ როდის უნდა განახორციელოს ექსპროპრიაცია. მესამე, რა არის ექსპროპრიაციის შემთხვევაში საკომპენსაციო სტანდარტი. ამ საკითხების თაობაზე საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებებში არ არის ზუსტი განსაზღვრებები მოცემული.³⁸⁸

ძალიან ცოტა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება ითვალისწინებს ჩამორთმეული ქონების საკომპენსაციო თანხის გამოთვლის მეთოდს საბაზრო ღირებულების შესაბამისად. იმ შემთხვევაშიც, თუ გამოანგარიშების მეთოდი მითითებულია, აღნიშნული დიდ გავლენას არ ახდენს საარბიტრაჟო ტრიბუნალის დისკრეციაზე. სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები ექვემდებარება თუ არა კომპენსაციას დიდი ხანია განხილვის საგანს წარმოადგენს.³⁸⁹ მაგალითად, საქართველოს მიერ გაფორმებულ საინვესტიციო ხელშეკრულებებში მითითებულია, კომპენსაციის გამოთვლის სტანდარტი. ყველაზე სრულყოფილ მოწესრიგებას ითვალისწინებს, მაგალითად, საქართველოსა და ბელარუს შორის არსებული ხელშეკრულება. აღნიშნულის თანახმად, „კომპენსაცია უნდა შეადგენდეს ექვივალენტს ექსპროპრირებული ინვესტიციის იმ საბაზრო ღირებულებისა, რომელიც არსებობდა ექსპროპრიაციის მომენტისთვის ან მოსალოდნელი ექსპროპრიაციის შესახებ საჯაროდ გამოცხადებამდე, რომელიც უფრო ადრე მოხდება,

³⁸⁸ *Newcombe A., Paradell L., Law and Practice of Investment Treaties, Kluwer Law International, Alpen aan den Rijn, 2009, 323.*

³⁸⁹ *Schmied M., Switzerland, in: Brown Ch. (Editor), Commentaries on Selected Model Investment Treaties, Oxford University Press, Oxford, 2013, 677.*

და თანხის გადახდის გაჭიანურების შემთხვევაში უნდა მოიცავდეს ექსპროპრიაციის დღიდან სრულად გადახდის დღემდე ბაზარზე არსებული კომერციული კურსით დარიცხულ პროცენტს, რომელიც არ უნდა იყოს LIBOR-ის (ლონდონის ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსი) მიერ წარმოდგენილ საპროცენტო განაკვეთზე ნაკლები, იმ ვალუტასთან მიმართებით, რომელშიც განხორციელდა ინვესტიცია”.³⁹⁰

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სახელმწიფომ კოპენსაცია უნდა გადაუხადოს უცხოეთის მოქალაქეს საკუთრების ჩამორთმევისთვის. საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში არსებობს ორი ძირითადი განსხვავება ექსპროპრიაციას შორის: 1. ექსპროპრიაციის პირდაპირი ფორმა, როდესაც სახელმწიფო ღიად და განზრახულად ახორციელებს ქონების ჩამორთმევას ან/და თავად სახელმწიფოს გადაეცემა საკუთრება ან სახელმწიფოს მიერ მართულ მესამე პირს; 2. არაპირდაპირი ექსპროპრიაცია გულისხმობს სახელმწიფოს მიერ არა უშუალოდ ქონების ჩამორთმევას, არამედ უცხოელი ინვესტორისთვის საკუთრებით სარგებლობას ან მისგან მოგების მისაღებად ხელის შეშლას.³⁹¹

პირდაპირი ექსპროპრიაცია გულისხმობს ქონების პირდაპირ გადაცემას სახელმწიფოს საკუთრებაში და იშვიათად წარმოადგენს საინვესტიციო დავების განხილვის საგანს. სადავო არაპირდაპირი ექსპროპრიაცია კი ბოლო დროის განმავლობაში ხშირად განიხილება საინვესტიციო ტრიბუნალების მიერ. არაპირდაპირი ექსპროპრიაციისას ეცემა ინვესტიციის ღირებულება ან ინვესტორს ეზღუდება შესაძლებლობა სრულყოფილად განახორციელოს თავის უფლებამოსილება. ყველა მნიშვნელოვანი ჩარევა არ შეადგენს არაპირდაპირ ექსპროპრიაციას. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი ნებას რთავს სახელმწიფოებს ისეთი რეგულაციების მიღებასა და ქმედებების განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც არ ექვემდებარება პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი ინტერესის გამო. მიუხედავად ამისა, საინვესტიციო ხელშეკრულებები არ

³⁹⁰ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 01/03/2017, ძალაში შესვლის თარიღი: 01/12/2017, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 4(2).

³⁹¹ *Newcombe A., Paradell L., Law and Practice of Investment Treaties*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn 2009, 323.

ითვალისწინებენ მითითებებს იმის თაობაზე, თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული არაპირდაპირ ექსპროპრიაციად ან საჯარო ძალის გამოყენებად. საქართველოს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებითაც არსებული პრობლემაა. კერძოდ, ხელშეკრულებებში, სადაც მოხსენიებულია არაპირდაპირი ექსპროპრიაცია, არ არის განმარტებული ამ უკანასკნელის განსაზღვრება,³⁹² რისი განმარტებაც დავის არსებობისას ტრიბუნალის მიერ უნდა განხორციელდეს.

ზოგიერთი არბიტრის მიერ ქმედების არაპირდაპირ ექსპროპრიაციად მიჩნევისათვის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ის, თუ რა გავლენა მოახდინა ინვესტიციებზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა ქმედებამ და არა ის მიზეზები, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფომ ექსპროპრიაცია განახორციელა. საქმეზე *Metalclad Corporation v. The United Mexican States*³⁹³ სახელმწიფომ მეორედ აღარ მიაჩნია ინვესტორს ოპერირების ნებართვა (მშენებლობის ნებართვა), რადგან საქმიანობის შედეგად მიღებული სამრეწველო ნარჩენები დიდ საფრთხეს წარმოადგენდა გარემოსთვის. სახელმწიფომ ასევე გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით საინვესტიციო ზონა დაცული ტერიტორიების კატეგორიას მიაკუთვნა. ტრიბუნალმა სახელმწიფოს მიერ მიღებული ორივე ზომა ექსპროპრიაციად მიიჩნია. სახელმწიფომ გადაწყვეტილება მიიღო ეროვნული კანონმდებლობის მიღმა,³⁹⁴ რადგან გადაწყვეტილება მიიღეს მუნიციპალური და არა ფედერალური სამართლის საფუძველზე მაშინ, როცა მექსიკის კანონმდებლობა ითვალისწინებს ექსპროპრიაციის

³⁹² იხ. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 30/10/2008; ძალაში შესვლის თარიღი: 01/04/2001, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 4(1); შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 26/09/1995; ძალაში შესვლის თარიღი: 22/06/2005, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 5(1).

³⁹³ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2000 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Metalclad Corporation v. The United Mexican States*, ICSID Case No. ARB(AF)/97/1, paras. 102-112, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0510.pdf>>, [06.02.2021].

³⁹⁴ *Henckels C.*, Proportionality and Deference in Investor-State Arbitration, Balancing Investment Protection and Regulatory Autonomy, Cambridge University Press, Cambridge, 2015, 78.

განხორციელებას ფედერალურ დონეზე. ამასთან, ტრიბუნალმა განმარტა, რომ თავდაპირველად ინვესტიციის განხორციელების შესახებ პროექტი დამტკიცდა ფედერალური მთავრობის მიერ. რაც მთავარია, ინვესტორს ინვესტიციის დაწყებისას არც ჰქონია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მცირედი მოლოდინი ან ეჭვი მაინც. შესაბამისად, ტრიბუნალმა NAFTA-ს საფუძველზე განმარტა: ექსპროპრიაციას შეადგენს არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მიღებული წინასწარგანზრახული და წინასწარგანჭვრეტადი ქმედებები, არამედ ასევე შეფარული და გაუთვალისწინებელი ჩარევა, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ინვესტორის საკუთრების უფლებას და ამასთან არ არსებობს მასპინძელი სახელმწიფოს აშკარა თუ არაპირდაპირი სარგებელი.³⁹⁵

არაპირდაპირი ექსპროპრიაციის განსაზღვრისათვის გავრცელებულია არბიტრთა კიდევ ერთი მიდგომა. აღნიშნულის მიხედვით, ექსპროპრიაციის მიზნით უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი დისკრიმინაციული ზომა საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის. ამას გარდა, კიდევ ერთი საფრთხილო მიდგომის მიხედვით, საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა უნდა გაითვალისწინონ, როგორც სახელმწიფოს, ისე ინვესტორის ინტერესები. მრავალი ახლად გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება აღნიშნულ მიდგომას მიჰყვება. ხელშეკრულებები ავალდებულებს, რომ შეფასებულ უნდა იქნას სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები და გავლენა.³⁹⁶

განსახილველ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე *MTD Equity Sdn Bhd and Anor v. Republic of Chile*.³⁹⁷ წინამდებარე საქმეზე მალაიზიური კომპანიის ჩილეში მოქმედ შვილობილ კომპანიას უნდა განეხორციელებინა ინვესტიცია ჩილეს ერთ-

³⁹⁵ *Bernasconi-Osterwalder N., Johson L., Metaclad Corp. v. United Mexican States*, International Investment Law and Sustainable Development, Key Cases from 2000-2010, International Institute for Sustainable Development, Winnipeg, 2010, 77.

³⁹⁶ *Henckels C.*, Proportionality and Deference in Investor-State Arbitration, Balancing Investment Protection and Regulatory Autonomy, Cambridge University Press, Cambridge, 2015, 78-80.

³⁹⁷ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2004 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *MTD Equity Sdn. Bhd. and MTD Chile S.A. v. Republic of Chile*, ICSID Case No. ARB/01/7, paras. 207-214, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0544.pdf>>, [06.02.2021].

ერთი ქალაქის (პირვეს მუნიციპალიტეტში) სხვა ზონაში გადასაყვანად. ჩილეს მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ მის მიერვე საინვესტიო პროექტი გაუქმდა იმ მიზეზით, რომ ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ურბანულ პოლიტიკას. ეს ქმედება შეფასებულ იქნა, როგორც ჩილე-მალაიზიის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის დარღვევა. აღნიშნული ქმედება ექვემდებარება კომპენსაციას და შესაბამისად საარბიტრაჟო ტრიბუნალს უნდა დაედგინა განსხვავება ჩილეს მიერ დარღვეული ვალდებულებით გამოწვეულ ზიანსა და მოსარჩელის ქმედებების საფუძველზე დამდგარ შედეგს შორის. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება არ წარმოადგენს ბიზნეს-რისკის დაზღვევის საშუალებას და ამიტომ ბიზნესმენსაც ეკისრება პასუხისმგებლობა თავის მიერვე განხორციელებული ქმედებებისთვის.³⁹⁸

ტრიბუნალის პოზიციით, ინვესტორის პასუხისმგებლობა იმაში გამოიხატებოდა, რომ შეცდომა დაუშვა და წინდახედულობა არ გამოიჩინა ტერიტორიის შექმნისას.³⁹⁹ ბიზნეს პარტნიორის არჩევის რისკი და მომავალში განსახორციელებელ ქმედებებზე პასუხისმგებლობის კისრება ყოველგვარი სახელშეკრულებო დაზღვევის გარეშე, ჩილეს ქმედებებისგან დამოუკიდებელია. შესაბამისად, მოსარჩელეს თავის თავზე უნდა აელო დამდგარი ზიანი 50%-ის ოდენობით.⁴⁰⁰

³⁹⁸ *McLachan C., Shore L., Weiniger M.*, International Investment Arbitration – Substantive Principles, *Mistelis L.* (Series Editor), Oxford International Arbitration Series, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2007, 338.

³⁹⁹ *Ripinsky S., Williams K.*, Case Summary MTD Equity Sdn. Bhd. and MTD Chile S.A. v. Republic of Chile, British Institute of International and Comparative Law, London, 2008, 2, <https://www.biicl.org/files/3915_2004_mtd_v_chile.pdf>, [07.02.2021].

⁴⁰⁰ *McLachan C., Shore L., Weiniger M.*, International Investment Arbitration – Substantive Principles, *Mistelis L.* (Series Editor), Oxford International Arbitration Series, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2007, 338.

მრავალი კომენტატორი აღნიშნავს, რომ აუცილებელია პროპორციული, ანუ დაბალანსებული მიდგომის არსებობა ექსპროპრიაციის დასადგენად.⁴⁰¹ საინტერესოა საფრანგეთის მაგალითის განხილვა. საფრანგეთის თითქმის ყველა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება შეიცავს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად დადგენილ სტანდარტებს ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ექსპროპრიაცია უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ინტერესის საფუძველზე, დისკრიმინაციის გარეშე და სათანადო კომპენსაციით. ექსპროპრიაციის შემთხვევაში საფრანგეთის უმრავლესი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დაუყოვნებლივი და სათანადო კომპენსაცია, რომელიც შესაბამისი იქნება რეალურ ღირებულებასთან.

საქმეზე *Compañía de Aguas del Aconquija S.A. and Vivendi Universal S.A. v. Argentine Republic*⁴⁰² საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გამოიკვლია საინვესტიციო კონტრაქტით დაცული იყო თუ არა ინვესტორის უფლებები ექსპროპრიაციის საწინააღმდეგოდ, რაც გარანტირებულია საფრანგეთ-არგენტინის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-5(2) მუხლით. ტრიბუნალმა სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები შეაფასა, როგორც სუვერენის მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც ოფიციალური ქმედების საფარველის ქვეშ იყო მოქცეული. აღნიშნულ საქმეზე ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ ექსპროპრიაცია განხორციელდა მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს კომპანიისთვის საკუთრება ფაქტობრივად არ ჩამოერთმევა.

სხვა ტრიბუნალებმა კი ფრანგულ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში მოცემულ ფორმულირებაზე, „საკუთრების ჩამორთმევაზე“ (dispossession) უფრო მეტი

⁴⁰¹ *Bücheler G.*, Proportionality in Investor-State Arbitration, Oxford University Press, Oxford, 2012, 122.

⁴⁰² ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Compañía de Aguas del Aconquija S.A. and Vivendi Universal S.A. v. Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/97/3, paras. 7.4.1-7.6.2, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0215.pdf>>, [07.02.2021].

ყურადღება გაამახვილეს ექსპროპრიაციის ნორმის უფრო ვიწროდ განსამარტად.⁴⁰³ მაგალითად, საქმეზე *Suez, Sociedad General de Aguas de Barcelona, S.A. and Vivendi Universal, S.A. v. Argentine Republic*⁴⁰⁴ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაადგინა, რომ საფრანგეთ-არგენტინის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მიხედვით, გარემოების ექსპროპრიაციად მიჩნევისათვის უნდა არსებულიყო საკუთრების ჩამორთმევა. ე.ი. სახეზე უნდა ყოფილიყო არსებითი დანაკარგი.⁴⁰⁵ საქმეზე *Total S.A. v. The Argentine Republic*⁴⁰⁶ ტრიბუნალმა უფრო დეტალურად განმარტა საკუთრების ჩამორთმევის შინაარსი. ტრიბუნალის შეფასებით, საკუთრების ჩამორთმევის შედეგად ინვესტიციას მატერიალური დანაკარგი უნდა მიაღგეს.⁴⁰⁷

საინტერესოა, რომ ყველა შვეიცარიული საარბიტრაჟო საინვესტიციო დავის საგანს სხვა საკითხებთან ერთად წარმოადგენდა ექსპროპრიაცია შვეიცარიის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების საფუძველზე. მიუხედავად ამისა, საქმეზე *SGS v. Philippines*⁴⁰⁸ ტრიბუნალმა საკითხი არ განიხილა სიღრმისეულად. ტრიბუნალმა

⁴⁰³ *Banifatem Y., von Walter A., France*, in: *Brown Ch.* (Editor), *Commentaries on Selected Model Investment Treaties*, Oxford University Press, Oxford, 2013, 269.

⁴⁰⁴ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Suez, Sociedad General de Aguas de Barcelona S.A., and InterAguas Servicios Integrales del Agua S.A. v. The Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/03/17, paras. 117-151, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0813.pdf>>, [07.02.2021].

⁴⁰⁵ *Banifatem Y., von Walter A., France*, in: *Brown Ch.* (Editor), *Commentaries on Selected Model Investment Treaties*, Oxford University Press, Oxford, 2013, 269.

⁴⁰⁶ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Total S.A. v. The Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/04/01, paras. 191-198, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0868.pdf>>, [07.02.2021].

⁴⁰⁷ *Banifatem Y., von Walter A., France*, in: *Brown Ch.* (Editor), *Commentaries on Selected Model Investment Treaties*, Oxford University Press, Oxford, 2013, 269.

⁴⁰⁸ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2004 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე *SGS Société Générale*

მიუთითა, რომ არ არსებობდა ფილიპინების კანონი ან გამოცემული ბრძანება ექსპროპრიაციის მცდელობის თაობაზე, რომლის მიხედვითაც გაუქმდებოდა SGS-ისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის მომსახურების შესახებ კონტრაქტის საფუძველზე გადასახდელი ვალი. სასესხო ვალდებულების გადახდის უბრალო უარყოფა არ წარმოადგენს ექსპროპრიაციას მაშინ, როდესაც სულ მცირე არსებობს დამცავი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა. ე.ი. გადახდაზე უარის თქმა არ გულისხმობს ექსპროპრიაციას, როდესაც დავა არ არის დასრულებული გადასახდელ თანხასთან დაკავშირებით.⁴⁰⁹

ქმედების ექსპროპრიაციად მიჩნევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის შიდა კანონმდებლობას. საქმეზე *Waguïh Elie George Siag and Clorinda Vecchi v. The Arab Republic of Egypt*⁴¹⁰ დავის მონაწილეები თანხმდებოდნენ იმაზე, რომ განხორციელდა პირდაპირი ექსპროპრიაცია და რომ გადაწყვეტილება ფოკუსირებული იყო მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებზე. აღნიშნულზე მიუთითებდა გამოსაყენებელი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება. კერძოდ, ექსპროპრიაცია უნდა განხორციელებულიყო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად. საარბიტრაჟო ტრიბუნალის პოზიციით, ეგვიპტის მიერ ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული ქმედებები შეესაბამებოდა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით დადგენილ აღნიშნულ მოთხოვნებს. ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული ბრძანება ტექნიკური თვალსაზრისით კანონის შებამისად იყო მიღებული, როგორც ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით არის მოთხოვნილი. მიუხედავად ამისა, ბრძანება მოგვიანებით გაუქმდა ეროვნული სასამართლოს მიერ. ამასთან

de Surveillance S.A. v. Republic of the Philippines, ICSID Case No. ARB/02/6, para. 161, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0782.pdf>>, [06.02.2021].

⁴⁰⁹ *Schmied M.*, Switzerland, in: *Brown Ch.* (Editor), Commentaries on Selected Model Investment Treaties, Oxford University Press, Oxford, 2013, 677.

⁴¹⁰ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2009 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Waguïh Elie George Siag and Clorinda Vecchi v. The Arab Republic of Egypt*, ICSID Case No. ARB/02/6, paras. 427-448, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0786_0.pdf>, [06.02.2021].

დაკავშირებით, ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ ამ ქმედების საფუძველზე ქონება დაბრუნებას ექვემდებარებოდა. რესტიტუცია არ შესრულდა და შესაბამისად, ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ ქონების ჩამორთმევა არ განხორციელდა კანონის შესაბამისად. ტრიბუნალს არ შეეძლო რომ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით მიღებული არაკანონიერი გადაწყვეტილებები მიეჩნია კანონიერ ქმედებებად. შედეგად, ექსპროპრიაცია მიჩნეულ იქნა უკანონოდ.⁴¹¹

საქმეზე *ADC Affiliate Limited and ADC & ADMC Management Limited v. The Republic of Hungary*⁴¹² საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება ექსპროპრიაციის სამართლიან პროცედურასთან დაკავშირებით. მოსარჩელის პრეტენზია ეფუძნებოდა კვიპროსი-უნგრეთის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მე-4 მუხლს, რომელიც არეგულირებს ექსპროპრიაციას. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ექსპროპრიაციის ფარგლებში სამართლიანი პროცედურა გულისხმობს ინვესტორის შესაძლებლობას აწარმოოს სამართლებრივი პროცედურები კანონის შესაბამისად დარღვეული უფლებების აღსადგენად.⁴¹³

როგორც ზემოთ აღინიშნა ექსპროპრიაციის საზოგადოებრივი მიზნის საილუსტრაციოდ განვიხილავთ საქმეს *Amoco International Finance Corp. v. Iran*.⁴¹⁴ მოსარჩელე კომპანია წარმოადგენს ამერიკულ ორგანიზაციას. მოპასუხე ირანი წარმოადგენდა მთავრობის მიერ სრული წილების მფლობელ კომპანიებს National Petroleum Company (NPC) და National Iranian Oil Company (NIOC) (NPC-ის დედა კომპანია). 1958 წელს NIOC-მა და Amoco-სთან აფილირებულმა კომპანიამ, Panintoil-

⁴¹¹ *Hepburn J.*, *Domestic Law in International Investment Arbitration*, Oxford University Press, Oxford, 2017, 49.

⁴¹² ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2006 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *ADC Affiliate Limited and ADC & ADMC Management Limited v. The Republic of Hungary*, ICSID Case No. ARB/03/16, paras. 365-378, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0006.pdf>>, [06.02.2021].

⁴¹³ *Nadakavukaren Schefer K.*, *International Investment Law – Text, Cases and Materials*, 2nd Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2016, 204.

⁴¹⁴ *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 1987 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Amoco International Finance Corp. v. Iran*, <https://www.trans-lex.org/231900/_iran-us-claims-tribunal-amoco-int-l-finance-corp-v-iran-15-iran-us-ctr-at-189-et-seq/>, [06.02.2021]

მა, შეთანხმება გააფორმეს ოფშორულ ზონაში ნავთობის მოპოვებისა და მისი წარმოების შესახებ. დაუმუშავებელი ნავთობის მოპოვებამ გამოიწვია ბუნებრივი გაზის დიდი ოდენობით ამოწურვა. ამიტომ, 1966 წელს Amoco-მ და NPC-მ გააფორმეს მრავალი კონტრაქტი გაზის წარმოებისა და ქიმიური ნივთიერებების გაყიდვის თაობაზე, ერთობლივად მართული კომპანია Khemco-ს მეშვეობით. 1970 წლიდან თავად ამ კომპანიამ დაიწყო აღნიშნული საქმიანობის განხორციელება. 1978 წელს ირანში დაიწყო სამოქალაქო არეულობა Khemco-ს წარმოებაზე გავლენის მოსახდენად. გაფიცვების შედეგად კომპანიის წარმოება შეწყდა იმ დროისთვის და შემდეგ პროტესტი ისე გამძაფრდა, რომ Amoco-ს თანამშრომლებმა დატოვეს ქვეყანა. ეს უკანასკნელნი კი თავიანთ საქმიანობას დუბაიდან აგრძელებდნენ. 1980 წელს ირანის სამთავრობო საბჭომ მიიღო ერთ-მუხლიანი აქტი ირანის ნავთობის ინდუსტრიის ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. აღნიშნულის საფუძველზე გაუქმდა ნავთობისა და გაზის ყველა სამრეწველო შეთანხმება, რომლის მხარეებიც იყვნენ უცხო ქვეყნის პირები.

1980 წლის 11 აგვისტოს, Amoco-მ წარადგინა საარბიტრაჟო სარჩელი. კომპანიის მოსაზრებით, ირანის მიერ მიღებული ზომები წარმოადგენდა უკანონო ექსპრორიაციას ირანსა და აშშ-ს შორის ურთიერთთანამეგობრობის შესახებ შეთანხმების IV(2) მუხლის საფუძველზე. დასახელებული ნორმის მიხედვით, ქონებისა და მასთან დაკავშირებული ინტერესების დაცვა უნდა უზრუნველყოს ხელშემკვრელმა სახელმწიფომ არანაკლებ საერთაშორისო სამართლის სტანდარტებზე. ქონება ჩამორთმევას არ ექვემდებარება, გარდა საჯარო ინტერესისა, რაც არ უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივი სათანადო კომპენსაციის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ირანმა აღიარა ექსპროპრიაციის განხორციელება, დავობდა, რომ აღნიშნული კანონშესაბამისი იყო. ტრიბუნალი დაეყრდნო შეთანხმებას და აღნიშნა, რომ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობისას *lex specialis* ანაცვლებს *lex generalis*, კერძოდ საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს. ეს არ გულისხმობს იმას, რომ ამ შემთხვევაში ჩვეულებითი სამართალი მცირე მნიშვნელობას იკავებს. პირიქით, მან შესაძლოა შეავსოს ხელშეკრულების არასრული მოწესრიგება და განმარტოს ხელშეკრულების ბუნდოვანი ნორმა. სახელმწიფოს არ გააჩნია ქონების ჩამორთმევის უფლებამოსილება მხოლოდ ფინანსური მიზნით. ბოლო დროის გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს, განსაკუთრებით ნავთობთან დაკავშირებულ დავებზე,

ექსპროპრიაციის განხორციელება ბუნებრივი რესურსების უფრო ფართოდ გამოყენებისა და მიღებული მოგების ფართო წრეზე გადანაწილების მიზნით.⁴¹⁵

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, საარბიტრაჟო ტრიბუნალს სახელმწიფოს მიერ ქმედების ექსპროპრიაციად მიჩნევსათვის დიდი სიფრთხილე მართებს. წინამდებარე შემთხვევაში ტრიბუნალის მთავარ გამოწვევას, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს საზოგადოებრივად საკეთილდღეო მიზნის აუცილებლობა, რათა ექსპროპრიაცია მიჩნეულ იქნას გამართლებულად. ხოლო, მეორე ეტაპზე შესაფასებელია სახელმწიფოს მიერ ინვესტორისადმი განხორციელებული სათანადო მოპყრობა, რაც გათვალისწინებულია ექსპროპრიაციისას. ამას გარდა, ტრიბუნალი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგეს ექსპროპრიაციის განმარტებას, რათა არ უგულებელჰყოს არც სახელმწიფოს საჯარო ინტერესები და არც უცხოელი ინვესტორის სახელმწიფოსთან ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები.

⁴¹⁵ *Nadakavukaren Schefer K.*, International Investment Law – Text, Cases and Materials, 2nd Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2016, 195-197.

V. სახელმწიფოს ჩარევის ჰიპოთეტური ფარგლები საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებისას

სახელმწიფოს ეჭვგარეშე გააჩნია ძალაუფლება, რაც გამოიხატება თავისუფალი ეკონომიკის განვითარებაში. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ერთადერთ გზას წარმატების მისაღწევად, რაც ასევე გაზიარებულ იქნა კაპიტალის ექსპორტიორი სახელმწიფოების მიერ. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოები საზღვრებს უღებენ ნებისმიერი სახის ვაჭრობასა და ინვესტიციას, მიუხედავად მათი გავლენისა ეკონომიკურ აქტორებზე.⁴¹⁶ აღნიშნულს კი სახელმწიფოები არეგულირებენ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე. სახელმწიფოები მიიჩნევიან საერთაშორისო ხელშეკრულებების მამოძრავებელ ძალად. ისინი თანადროულად წარმოადგენენ, როგორც კანონშემოქმედებს, ისე საერთაშორისო წესების ადრესატებს. შესაბამისად, მათ აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ ცვლილება, დაამატონ, განავრცონ და შეწყვიტონ (ცალმხრივად ან ერთობლივად) ნებისმიერი ხელშეკრულება. მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ ნებისმიერ დროს განმარტებასთან დაკავშირებით, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეს სავალდებულო ძალა საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.⁴¹⁷

დღესდღეობით საინვესტიციო ხელშეკრულებიდან წარმოშობული საარბიტრაჟო დავა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის წარმოადგენს სახელმწიფოს ჩარევის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებას.⁴¹⁸ სახელმწიფოები საარბიტრაჟო ტრიბუნალებთან ერთად ინაწილებენ საინვესტიციო ხელშეკრულების განსამარტად საკითხებსა და პასუხისმგებლობას. საარბიტრაჟო

⁴¹⁶ *Scheiderman D.*, The Paranoid Style of Investment Lawyers and Arbitrators: Investment Law Norm Entrepreneurs and Their Critics, in: *Lim C.L.* (Editor), *Alternative Visions of the International Law on Foreign Investment*, Cambridge University Press, Cambridge, 2016, 147.

⁴¹⁷ *Gazzini T.*, *Interpretation of International Investment Treaties*, Hart Publishing, Oxford, Portland, Oregon, 2016, 329-330.

⁴¹⁸ *Schreider E.M.*, The Role of the State in Investor-State Arbitration, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 6.

ტრიბუნალებმა პატივი უნდა სცენ საარბიტრაჟო დავის მხარეთა ინტერესებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში. მაგრამ, ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტრიბუნალებმა უნდა განმარტონ ხელშეკრულების პირობების მნიშვნელობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის არასრულია ან/და ბუნდოვანი. ამ შეთხვევაში ხელსაყრელია კონსტრუქციული დიალოგი საარბიტრაჟო ტრიბუნალებსა და ხელშეკრულების მხარეებს შორის, რაც ხელს შეუწყობს საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმათა ევოლუციურ და მდგრად განმარტებას.

საერთაშორისო დონეზე საერთაშორისო ტრიბუნალებს არ გააჩნიათ საინვესტიციო ხელშეკრულებების საბოლოო სახით განმარტების უფლებამოსილება. ამიტომ, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რომელთაც მიიჩნევენ საჭიროდ ცალმხრივი ან ერთობლივი ნების გამოვლენით, რათა უზრუნველყონ ხელშეკრულების სწორი განმარტება.⁴¹⁹ საქმეზე *Methanex Corporation v. United States of America*⁴²⁰ დაადგინა, რომ „თუ კანონმდებელი მიიჩნევს, რომ მის მიერ შემუშავებული კანონი მოსამართლის მიერ არასათანადოდაა განმარტებული, მაშინ კანონმდებელმა უნდა განმარტოს თუ რა წარმოადგენდა მის მიზანს. დემოკრატიულ და წარმომადგენლობით სისტემაში, სადაც კანონმდებელი გამოხატავს ხალხის ნებას, საკანონმდებლო განმარტება ამგვარ შემთხვევაში აღიქმება სავალდებულოდ. ტრიბუნალის მოსაზრებით, იგივე მიდგომა უნდა იქნას გამოყენებული საერთაშორისო სამართალში“.

საერთაშორისო ხელშეკრულებების ამგვარად განმარტებასთან დაკავშირებით მსგავსი მიდგომა აქვთ სახელმწიფოებსაც. საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმის შინაარსის დაზუსტების საჭიროება იმის თაობაზე, რომ ის ნამდვილად შეესაბამება ხელშეკრულების მხარეთა მიერ გამოხატულ ნებას, საინვესტიციო არბიტრაჟის *Ad hoc* ბუნებიდან და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპიდან

⁴¹⁹ *Gazzini T.*, Interpretation of International Investment Treaties, Hart Publishing, Oxford, Portland, Oregon, 2016, 329.

⁴²⁰ *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2005 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Methanex Corporation v. United States of America*, para. 22, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0529.pdf>>, [07.02.2021].

გამომდინარეობს. აღნიშნულის მიზანია წინააღმდეგობებისა და ერთმანეთთან შეუსაბამობების თავიდან აცილება.

საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები ხასიათდება განსაკუთრებულობით იმ თვალსაზრისით, რომ ისინი დადებულია სახელმწიფოებს შორის და მათზე ვრცელდება საერთაშორისო სამართლის ნორმები, მაგრამ მათ ბენეფიციარებს წარმოადგენენ ინვესტორები. როგორც წესი, დავის მხარეებს წარმოადგენენ სახელმწიფო და უცხოელი ინვესტორი. ამ შემთხვევაში ნორმის განმარტების პროცესი უფრო კომპლექსურია და საფრთხილო იმ დავასთან შედარებით, რომლის მხარეებსაც თავად ხელშეკრულების მხარეები - სახელმწიფოები წარმოადგენენ. სახელმწიფოთა შორის დავისას მხარეებს შეუძლიათ, რომ კვლავ განიხილონ და ხელახლა განმარტონ ხელშეკრულების ნორმა, განსაკუთრებით ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებაში.⁴²¹

სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოები წარმოადგენენ ხელშეკრულების შემოქმედს და მათი როლი მნიშვნელოვანია განმარტების პროცესში, ამიტომ სირთულესთან არის დაკავშირებული იმ ოქროს შუალედის დაცვა, თუ როგორ უნდა დაბალანსდეს სახელმწიფოსა და საარბიტრაჟო ტრიბუნალის როლი ნორმის განმარტებისას, როდესაც დავის მეორე მხარე უცხოელი ინვესტორია. ამასთან, ტრიბუნალმა უნდა უზრუნველყოს, რომ სახელმწიფო არ წარმოჩნდეს უპირატეს მდგომარეობაში უცხოელ ინვესტორთან შედარებით და ამ უკანასკნელის უფლებები არ იქნას უგულებელყოფილი ან/და ნორმა არ განიმარტოს მინიმალური სტანდარტის მიღმა.

⁴²¹ *Gazzini T.*, Interpretation of International Investment Treaties, Hart Publishing, Oxford, Portland, Oregon, 2016, 330.

1. სახელმწიფო - საინვესტიციო ხელშეკრულების მხარე და მოპასუხე საარბიტრაჟო დავისას

საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟის განვითარება წარმოადგენს ფენომენს საერთაშორისო სამართალში. სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის არსებული საინვესტიციო საარბიტრაჟო დავის სისტემის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო, ერთი მხრივ, წარმოადგენს საარბიტრაჟო დავის მხარეს - მოპასუხეს - და, მეორე მხრივ, საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეს, რომლის საფუძველზეც უნდა იქნას განხილული დავა. მოსამართლე ჰერმ ლაუტერპრახტი ჯერ კიდევ 1970 წელს აღნიშნავდა, რომ „საერთაშორისო სამართალი სათანადოდ გაგებული იქნება მაშინ, როდესაც ის მიჩნეული იქნება როგორც სახელმწიფოს უფლებებისა და ვალდებულებების მარეგულირებელი საერთაშორისო სფეროში არამხოლოდ სახელმწიფოებთან, არამედ ასევე იურიდიულ პირებთან, საერთაშორისო ჩვეულებისა და ხელშეკრულების საშუალებით“.⁴²² შესაბამისად, ნათელია, რომ სახელმწიფოსა და კერძო პირის ურთიერთობის სათანადოდ მოწესრიგება მნიშვნელოვანია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის სათანადოდ რეგულირებისთვის, ისე თავისუფალი ეკონომიკური ზონის გაფართოებისთვის.

ბოლო დროის განმავლობაში სახელმწიფოები უმეტესწილად აღიქმებიან არა როგორც უფლებათა მფლობელი, არამედ როგორც ვალდებულებათა მქონე სუბიექტი. სახელმწიფო პრეტენზიის ადრესატია არა მხოლოდ სხვა სახელმწიფოების მხრიდან, არამედ ფიზიკური პირებისა და კერძო იურიდიული პირებისგან. საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი დაფუძნებულია იმ იდეაზე, რომ ინვესტორი რომელიც ითხოვს განსაკუთრებულ დაცვას სახელმწიფოსგან წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სფეროს, სადაც სახელმწიფო გვევლინება თავდაცვით პოზიციაში.⁴²³

⁴²² *Gomula J.*, The State as a Respondent in Central and Eastern European Investment Arbitration, *International Community Law Review*, Vol 13, N1-2, Martinus Nijhoff Publisher, Leiden, 2011, 93.

⁴²³ *Gomula J.*, The State as a Respondent in Central and Eastern European Investment Arbitration, *International Community Law Review*, Vol 13, N1-2, Martinus Nijhoff Publisher, Leiden, 2011, 93.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მოპასუხე სახელმწიფოებისთვის ხშირად დიდ სირთულეს წარმოადგენს სათანადო თავდაცვითი სტრატეგიის მომზადება. მთავრობათა ხშირი ცვალებადობა და პოლიტიკური ცვლილებები დაბრკოლებას ქმნის საინვესტიციო საარბიტრაჟო პროცესში სახელმწიფოს ინტერესების დაცვის მიზნით სათანადოდ მოსამზადებლად.⁴²⁴ სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს, რომ წარდგენილი სამართლებრივი არგუმენტები შეესაბამება ქვეყნის ფართო საჯარო ინტერესებს.⁴²⁵ საარბიტრაჟო დავისას ახლად არჩეული მთავრობა არ უზრუნველყოფს სათანადო წარმომადგენლობას წინამორბედი მთავრობის შემდეგ. აღნიშნული კი გავლენას ახდენს არამხოლოდ წარმომადგენლობის ხარისხზე, არამედ მტკიცებულებათა წარდგენაზე.

პოლიტიკური მიზეზების გამო, სახელმწიფო ხშირად თავს იკავებს საქმისათვის დამხმარე მტკიცებულებების წარდგენისგან. მაგალითად, მოქმედი მთავრობა მოწმედ ცდილობს არ გამოიძახოს წინამორბედი მთავრობის პრემიერ-მინისტრი ან სხვა ოფიციალურ პირი, რომელსაც გააჩნია განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება. ან პირიქით, ოფიციალურ პირს შესაძლოა ინტერესი არ გააჩნდეს იმ გარემოებათა დასადასტურებლად, რომელთა თაობაზე მისგან განსხვავებული პოლიტიკის მქონე მოქმედ მთავრობას აქვს. აქედან გამომდინარე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები არასრულფასოვნად არიან წარმოდგენილი მხარეებად საინვესტიციო დავაში.⁴²⁶ ე.ი. სახელმწიფო, როგორც მხარე შესაძლოა, რომ საარბიტრაჟო დავისას არ იყოს სათანადოდ წარმოდგენილი. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან სახელმწიფოები წარმოდგენილი უნდა იყვნენ კომპეტენტური პირების მიერ, რათა ნორმის ინტერპრეტებისას ჩართულობა განხორციელდეს სრულყოფილად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს აისახება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შედეგზე. ე.ი. აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს წინააღმდეგ გადაწყვეტილების

⁴²⁴ *Gomula J.*, The State as a Respondent in Central and Eastern European Investment Arbitration, *International Community Law Review*, Vol 13, N1-2, Martinus Nijhoff Publisher, Leiden, 2011, 97.

⁴²⁵ *Sharpe K.J.*, *Litigating International Investment Disputes*, Brill/Nijhoff, Leiden, 2014, 42.

⁴²⁶ *Gomula J.*, The State as a Respondent in Central and Eastern European Investment Arbitration, *International Community Law Review*, Vol 13, N1-2, Martinus Nijhoff Publisher, Leiden, 2011, 97.

მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ მხარის ინტერესები ვერ იქნება სათანადოდ დაცული, ეს თავისთავად გაზრდის რისკს უცხოელი ინვესტორის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მისაღებად.

სახელმწიფო, როგორც მოპასუხე საარბიტრაჟო დავისას, წარმოგვიდგება მოდავე მხარის თანასწორად. მხარეთა თანაბარი საპროცესო უფლებებიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორუფლებიანობა საარბიტრაჟო დავისას. აღნიშნული მნიშვნელოვანია არამხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ მხარეთა საპროცესო უფლებებით სათანადოდ იყოს დაცული, არამედ ასევე იმისთვის, რომ სახელმწიფომ, როგორც ძალაუფლების მატარებელმა, რომლის სამართლის შესაბამისად განხორციელდა ინვესტორისადმი მოპყრობა, ეს უკანასკნელი არ წარმოჩნდეს საარბიტრაჟო დავისას სუსტ პოზიციასში.

2. სახელმწიფოს სუვერენიტეტის გავლენა საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილებაზე

წლების განმავლობაში ტრიბუნალები იღებენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, როგორც ინვესტორთა, ისე სახელმწიფოების სასარგებლოდ. საინვესტიციო დავებში სადაც ერთმანეთის საპირწონედ ფიგურირებს, როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესები საკმაოდ რთულია ლეგიტიმურობასა და პროტექციონალისტურ რეგულირებას შორის ბალანსის შენარჩუნება, თუ საინვესტიციო ხელშეკრულებები განიმარტება მხოლოდ ინვესტიციების პერსპექტივიდან. საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებისას თუ ყურადღება გამახვილდება მხოლოდ ინვესტორის მოგებასა და დანაკარგზე და ყურადღების მიღმა იქნება სახელმწიფოს ფასეულობები, მაშინ ეს თავისთავად გამოიწვევს ინვესტორის

უფლებების დომინირებას.⁴²⁷ სახელმწიფომ სურვენიტეტის ბუნებისა და ფარგლების მიხედვით უნდა განსაზღვროს, თუ როგორ იმოქმედოს ინვესტორთან გარიგებებში, რაც უნდა გაითვალისწინონ დავის გადაწყვეტისას და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მიზნით.⁴²⁸

სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის საარბიტრაჟო პროცესის წარმოებასთან დაკავშირებული რეგულირება ყველაზე მეტად წინააღმდეგობრივია საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმებს შორის. თუ სახელმწიფო დაარღვევს ხელშეკრულების ნორმას, უცხოელი ინვესტორი უფლებამოსილია წარადგინოს სარჩელი მიმღები სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამგვარად, საარბიტრაჟო წარმოების ნორმები წარმოადგენს არამხოლოდ საერთაშორისო საჯარო სამართლის ინსტრუმენტს, არამედ ასევე მიზნად ისახავს კერძო სამართლებრივი უფლებების აღსრულებას.

ორმაგი მიზანი წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტის ალბათობას. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ იმგვარი ნორმები, რომლებიც იცავს მათ სუვერენულ და მარეგულირებელ ძალაუფლებას და ამასთან თავიანთი ინვესტორების უფლებებს საზღვარგარეთ. შესაბამისად, მთავარი კითხვა არსებობს იმის თაობაზე, თუ რა ფარგლებით უნდა გადაეცეს ტრიბუნალს უფლებამოსილება, რათა დაიცვას ორივე აღნიშნული ინტერესი.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, თუ როგორ უნდა უზრუნველყონ სახელმწიფოებმა ლეგიტიმურობის დაცვა იმგვარად, რომ არ გადაკვეთოს სუვერენიტეტი. ლეგიტიმურობა და სუვერენიტეტი თითქოს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ წარმოგვიდგება. ლეგიტიმურობის გასაუმჯობესებლად

⁴²⁷ *Thaliath J.*, *Bilateral Investment Treaties and Sovereignty: An Analysis with Respect to International Investment Law*, *Christ University Law Journal*, Issue 5, No. 2, National Law University, Jodhpur, 2016, 4.

⁴²⁸ *Nasser M.A.*, *The Limitation of State Sovereignty in Hosting Foreign Investments and the Role of Investor-State Arbitration to Rebalance the Investment Relationship*, A Ph.D. Thesis Submitted to the University of Manchester School of Law, 2014, 184, <https://www.research.manchester.ac.uk/portal/files/54553070/FULL_TEXT.PDF>, [07.02.2021].

განხორციელებული ქმედებები საბოლოოდ მაინც ართულებს სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვას. შესაბამისად, არსებული სისტემა მოწყობილია იმგვარად, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვა შესაძლებელია ლეგიტიმურობის უფლებელყოფით. აღნიშნული კი გულისხმობს ტრიბუნალისთვის ძალაუფლების შეზღუდულ ფარგლებში მინიჭებას.

საინვესტიციო არბიტრაჟის არსებულ სისტემას გააჩნია მრავალი მახასიათებელი, რაც დაკავშირებულია ლეგიტიმურობასა და სუვერენიტეტთან. ლეგიტიმურობა გულისხმობს მრავალ კომპონენტს: წინასწარგანჭვრეტადობა, ანგარიშვალდებულება, სამართლიანობა, ტრიბუნალის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, დავის მონაწილეთა სურვილი, რომ დაემორჩილონ სისტემის წესებს.⁴²⁹

სახელმწიფოებისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს ისეთი მოწესრიგების მიღება, რომლითაც დაბალანსებული იქნება, როგორც ლეგიტიმური რეგულირება, ისე ინვესტორისთვის ასანაზღაურებელი კომპენსაცია ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. მაგალითად, OECD 1998 წლის მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებაზე მუშაობისას სწორედ ამგვარი გამოწვევის წინაშე იყო. აგრეთვე, 2007 წელს ნორვეგიის მიერ მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მიღებისას მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული სახელმწიფოს საკანონმდებლო ლეგიტიმური უფლებამოსილების დაცვა. ეჭვგარეშეა, რომ სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების განსაზღვრა უმნიშვნელოვანესია რადგან არასისტემურობა იწვევს არათანმიმდევრულ და არამდგრად შედეგებს.⁴³⁰

ინვესტორები აღნიშნავენ, რომ ისინი დაუცველი არიან კანონმდებლობის წინაშე, რადგან მათ მიმართ ვრცელდება მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობა,

⁴²⁹ Hueckel J., Rebalancing Legitimacy and Sovereignty in International Investment Agreements, Emory Law Journal, Vol. 61, Issue 3, Emory University School of Law, Atlanta, 2012, 603.

⁴³⁰ Hodgson M., Investment Protection and Public Regulation: The Critical Balancing Act of Investment Treaty Arbitration, in: Laird I.A., Sabahi B., Sourgens F.G., Weiler T.J. (Editors), Investment Treaty Arbitration and International Law, Vol. 6, JurisNet, New York, 2013, 255.

რომლის შექმნის პროცესში ან არჩევნებში არ იღებენ მონაწილეობას.⁴³¹ მაგალითად, საქართველოს მიერ გაფორმებული ზოგიერთი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია, რომ საქართველო თავის ტერიტორიაზე სუვერენულ უფლებებს ახორციელებს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. აღნიშნულ შემთხვევებში არ არის მითითება ეროვნულ კანონმდებლობაზე, მაშინ როდესაც ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მეორე მხარის სუვერენული უფლებების განსაზღვრისას აღნიშნულია, რომ მეორე მხარე თავის ტერიტორიაზე სუვერენულ უფლებებს ახორციელებს ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.⁴³² საქართველოს მიერ გათვალისწინებული მითითება საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებით ინვესტორის უფლებების დასაცავად მნიშვნელოვანი გარანტიის არსებობას გულისხმობს, რადგან სახელმწიფო ვერ დააფუძნებს თავის ქმედებას იმგვარ ეროვნულ კანონმდებლობას, რომელმაც შესაძლოა შელახოს უცხოელი ინვესტორის უფლებები. თუმცა, აღნიშნული შესაძლოა წარმოადგენდეს საკანონმდებლო ჩანაწერის ხარვეზს, რაც საქართველოს ტოვებს ტრიბუნალის მოქმედების ფართო არეალის წინაშე. მაგალითად, საქართველოსა და სომხეთს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ ხელშეკრულების ორივე მხარე „ახორციელებს ან განახორციელებს სუვერენულ უფლებებს და იურისდიქციას ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო

⁴³¹ *Thaliath J.*, *Bilateral Investment Treaties and Sovereignty: An Analysis with Respect to International Investment Law*, *Christ University Law Journal*, Issue 5, No. 2, National Law University, Jodhpur, 2016, 4.

⁴³² იხ. მაგალითად, შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 01/03/2017, ძალაში შესვლის თარიღი: 01/12/2017, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 1(4); შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 17/07/2017, ძალაში შესვლის თარიღი: 08/04/2018, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 1(4); შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 24/11/2006; ძალაში შესვლის თარიღი: 30/12/2007, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 1(4).

სამართლის პრინციპების შესაბამისად”.⁴³³ ე.ი. წინამდებარე შემთხვევაში პირდაპირ განსაზღვრულია, რომ საქართველოს შეუძლია სუვერენული უფლებები განახორციელოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა, აღნიშნული არ გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უფლებელყოს საერთაშორისო სამართლის პრინციპები და შელახოს უცხოელი ინვესტორის უფლებები ეროვნული კანონმდებლობის საფუძვლით.

ყურადსაღებია, რომ სახელმწიფო საკანონმდებლო პროცედურების საშუალებით ახორციელებს კონტრაქტის პირობების მცირედ ცვლილებებს. ტრიბუნალების მიერ განვითარებული მიდგომის თანახმად, ამგვარი მოსაზრება სამართლიანია. შესაბამისად, ეს მიიჩნევა საკმარის საფუძვლად არაპირდაპირი ექსპროპრიაციისთვის, რაც ითვალისწინებს კომპენსაციას. მაგრამ, აღნიშნული აბრკოლებს ინვესტორს, რომ მიიღოს სრული კომპენსაცია თავდაპირველი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. არსებობს მიდგომა, რომლის მიხედვითაც, არ უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება მას შემდეგ, რაც ინვესტორი დაიწყებს ინვესტიციის განხორციელებას.⁴³⁴

ამგვარი მიდგომა არ გაიზიარა ტრიბუნალმა საქმეზე *Enron Corporation and Ponderosa Assets, L.P. v. Argentine Republic*.⁴³⁵ წინამდებარე საქმეზე არგენტინის საწინააღმდეგოდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რადგან ფინანსური კრიზისისას არგენტინამ განახორციელა ექსპროპრიაცია სასწრაფო მექანიზმებით ეკონომიკური საჭიროების გარეშე. ეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუქმდა, რადგან ამგვარი მიდგომით შესუსტებული იყო სახელმწიფოს ფასეულობა. ფინანსური კრიზისის

⁴³³ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 05/06/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 18/01/1999, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 1(4).

⁴³⁴ *Thaliath J.*, *Bilateral Investment Treaties and Sovereignty: An Analysis with Respect to International Investment Law*, *Christ University Law Journal*, Issue 5, No. 2, National Law University, Jodhpur, 2016, 4.

⁴³⁵ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Enron Corporation and Ponderosa Assets, L.P. v. Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/01/3, paras. 347-317, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0299.pdf>>, [07.02.2021].

ზღვარზე მყოფი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სახელმწიფოს, ვიდრე კორპორაციის დროებით ფინანსურ დანაკარგს. იმპერატიულად მიიჩნება პრინციპი, რომ მთავრობა არის ინიციატორი ამგვარი ზომების, რადგან ეს გამომდინარეობს საჭიროებიდან და საჯარო ინტერესიდან.⁴³⁶

მიუხედავად ამისა, საწინააღმდეგო მიდგომა არის განვითარებული საქმეზე *Saluka Investments B.V. v. The Czech Republic*.⁴³⁷ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ უცხოური ინვესტიციების დაცვა არ წარმოადგენს საინვესტიციო ხელშეკრულების ერთადერთ მიზანს. ტრიბუნალის განმარტებით, აუცილებელია დაბალანსებული მიდგომა ორივე მხარის მიმართ. სახელმწიფოს გააჩნია ლეგიტიმური უფლება დაარეგულიროს შიდასაკანონმდებლო საკითხები საჯარო ინტერესების გათვალისწინებით.⁴³⁸

უდავოა ის გარემოება, რომ საინვესტიციო არბიტრაჟის განვითარებასთან ერთად დიდ ყურადღებას იმსახურებს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოსდაცვითი საკითხები. მათი დაცვის ვალდებულება უზრუნველყოფილია მრავალი ხელშეკრულებით.⁴³⁹ მაგალითად, გენერალური შეთანხმების ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 (The General Agreement on Tariffs and Trade 1994 – GATT 1994)⁴⁴⁰

⁴³⁶ *Thaliath J.*, *Bilateral Investment Treaties and Sovereignty: An Analysis with Respect to International Investment Law*, *Christ University Law Journal*, Issue 5, No. 2, National Law University, Jodhpur, 2016, 4.

⁴³⁷ ჰააგის მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს 2006 წლის 17 მარტის ნაწილობრივი გადაწყვეტილება საქმეზე *Saluka Investments B.V. v. The Czech Republic*, para. 305, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0740.pdf>>, [07.02.2021].

⁴³⁸ *Thaliath J.*, *Bilateral Investment Treaties and Sovereignty: An Analysis with Respect to International Investment Law*, *Christ University Law Journal*, Issue 5, No. 2, National Law University, Jodhpur, 2016, 5.

⁴³⁹ *Hodgson M.*, *Investment Protection and Public Regulation: The Critical Balancing Act of Investment Treaty Arbitration*, in: *Laird I.A., Sabahi B., Sourgens F.G., Weiler T.J.* (Editors), *Investment Treaty Arbitration and International Law*, Vol. 6, JurisNet, New York, 2013, 251.

⁴⁴⁰ გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 (General Agreement on Tariffs and Trade 1994) იწოდება, როგორც “GATT 1994” (შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში მოხსენიებული იქნება, როგორც GATT 1994) აღნიშნული დოკუმენტი დაფუძნებულია

⁴⁴¹ XX მუხლით. კერძოდ, აღნიშნული მუხლით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს ენიჭებათ უფლებამოსილება მიიღონ *inter alia* იმგვარი ზომა, რომელიც აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, მიუხედავად იმისა ეს შეესაბამება თუ არა ამავე შეთანხმების დანაწესებს.⁴⁴² შეიძლება ითქვას, რომ ეს წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციების გამოძახილს, რომლებიც აქტიურად მოღვაწეობენ ამ სფეროში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი მიზნის გათვალისწინება საინვესტიციო ხელშეკრულებით ძალიან რთულია, რადგან დროის მსვლელობასთან ერთად იცვლება პრიორიტეტები. მაგალითად, ბოლო დროის განმავლობაში ჯანდაცვის და გარემოსდაცვით საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ახალ ფენომენს წარმოადგენს. ადრეული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული იყო სახელმწიფოს ფარგლები მარეგულირებელი ზომების მიღებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1(1)-ლი მუხლის მიხედვით, „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს უფლება, მშვიდობიანად

თავდაპირველი 1947 წლის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმების - „გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ” - ტექსტზე. წყარო: The Legal Texts, The Results of the Uruguay Round of Multilateral Trade Negotiations, World Trade Organization, WTO Secretariat, Geneva, 2002, I, <[NEGOTIATIONShttps://docs.wto.org/gtd/WTOlegaltexts/Legal_texts_e.pdf](https://docs.wto.org/gtd/WTOlegaltexts/Legal_texts_e.pdf)>, [15.02.2021].

⁴⁴¹ GATT 1994 წარმოადგენს მრავალმხრივ შეთანხმებას, რომელიც მიერთებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებას 1995 წლიდან. GATT 1994 არის სავალდებულო ძალის საერთაშორისო შეთანხმება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისთვის (საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია 2000 წლის 14 ივნისიდან და შესაბამისად მასზე ვრცელდება წინამდებარე შეთანხმება). GATT 1994 ვრცელდება მხოლოდ საქონლით ვაჭრობაზე. GATT 1994 მიზნად ისახავს საქონლით ვაჭრობისას ტარიფების შემცირებასა და სხვა მადისკრიმინირებელი ბარიერების აღმოფხვრას. წყარო: Dispute Settlement, World Trade Organization GATT 1994, United Nations, New York, Geneva, 2003, 4, <https://unctad.org/system/files/official-document/edmmisc232add33_en.pdf>, [11.02.2021].

⁴⁴² Dispute Settlement, World Trade Organization GATT 1994, United Nations, New York, Geneva, 2003, 59, <https://unctad.org/system/files/official-document/edmmisc232add33_en.pdf>, [11.02.2021].

ისარგებლოს საკუთრებით. არ შეიძლება, ვინმეს ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერესისათვის და კანონითა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებისა. თუმცა, ზემოხსენებული დებულებები არანაირად არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, განახორციელოს ისეთი კანონები, რომელთაც იგი საჭიროდ თვლის, რათა გააკონტროლოს საკუთრების გამოყენება საერთო ინტერესების შესაბამისად ან უზრუნველყოს გადასახადების, შენატანების ან ჯარიმების გადახდის მოკრება”.⁴⁴³

საარბიტრაჟო დავისას სახელმწიფომ ტრიბუნალს შესაძლოა გადასცეს სრული დისკრეცია გადაწყვეტილების მისაღებად. ამ შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალს სახელმწიფოებისგან ფართო დისკრეცია ენიჭება. ამ შემთხვევაში არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ტრიბუნალმა მიიღოს სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. ამიტომ, იმისათვის რომ სახელმწიფოს ჰქონდეს გარანტია, თუ რა ფარგლებში მიიღება გადაწყვეტილება ტრიბუნალის მიერ, სახელმწიფოების მიერ უნდა იყოს დადგენილი თუ რა ფარგლებში შეუძლია ტრიბუნალს გადაწყვეტილების მიღება.

სახელმწიფოს მიერ მიღებული მარეგულირებელი ზომები ყველაზე მეტად იმ ინვესტიციებს ეხება, რომელთა განხორციელებაც ინვესტორის მიერ დიდი ხნის წინ არის დაწყებული. მაგრამ, სახელმწიფოებს გააჩნიათ ლეგიტიმური უფლებამოსილება და აკისრიათ იმის ვალდებულება, რომ მიიღონ სათანადო რეგულაციები საჯარო ინტერესის დასაცავად. თუ აღნიშნულს იმგვარად მივუდგებით, რომ რეგულაციამ შესაძლოა შეამციროს ინვესტიციის ღირებულება, რაც კომპენსაციას მოითხოვს ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინ ეს საერთოდ გამორიცხავს ნებისმიერი ცვლილების განხორციელებას. ამ საკითხებს მივყავართ კონფლიქტურ გარემოებებამდე საინვესტიციო არბიტრაჟში. სახელმწიფოთათვის თავისუფლების მინიჭება მარეგულირებელი ზომების მისაღებად და ინვესტიციებში ზედმეტი ჩაურევლობის განხორციელება წარმოშობს სირთულეს დავის განხილვისას. საინვესტიციო

⁴⁴³ *Hodgson M.*, Investment Protection and Public Regulation: The Critical Balancing Act of Investment Treaty Arbitration, in: *Laird I.A., Sabahi B., Sourgens F.G., Weiler T.J.* (Editors), Investment Treaty Arbitration and International Law, Vol. 6, JurisNet, New York, 2013, 251.

ტრიბუნალის ფუნქციას კი სწორედ ამგვარი კომპრომისის ანალიზი და სათანადო სამართლებრივი დაცვის სტანდარტის გამოყენება ევალუა.⁴⁴⁴

სამეცნიერო ლიტერატურაში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განვითარებულია საინტერესო მიდგომა საინვესტიციო არბიტრაჟის მექანიზმთან დაკავშირებით. სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ტრიბუნალების *ex ante* კონტროლი და გაუწიონ მონიტორინგი ტრიბუნალისთვის დელეგირებულ ვიწრო უფლებამოსილებას დამატებით დაწესებული *ex ante* კონტროლის მეშვეობით. *Ex ante* და *ex post* კონტროლის მექანიზმების საშუალებით, სახელმწიფოებს ექნებათ შესაძლებლობა გაუძღვნენ ტრიბუნალის სამართალწარმოებას.

Ex ante კონტროლს გააჩნია ორი ფორმა. პირველი, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ შეიმუშავებენ წესებს, რომლის მიხედვით უნდა იხელმძღვანელონ არბიტრებმა გადაწყვეტილების მიღებისას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს გაუძნელდებათ შეთანხმება რაიმე საკითხზე, მაშინ მათ უნდა შეადგინონ განმარტებითი მითითებები ტრიბუნალებისთვის, რათა გამოიყენონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. *Ex post* კონტროლი გულისხმობს გადასინჯვის ფორმას, რომელიც უნდა განახორციელოს სათანადო ორგანომ. აღნიშნული შეითავსებს სააპელაციო ორგანოს თვისებებს და ასევე განმარტებითი ორგანოს, როგორცაა მაგალითად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი თავისუფალი ვაჭრობის კომისია. ამ სისტემის ფუნქციონირებისთვის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.⁴⁴⁵

ამგვარი სისტემის არსებობა ზოგადად უარყოფილია, რადგან აღნიშნული მოითხოვს დიდ ძალისხმევას სახელმწიფოებისგან იმ თვალსაზრისით, რომ არსებული ხელშეკრულების ნორმებთან დაკავშირებით კვლავ უნდა აწარმოონ მოლაპარაკება. დროის მსვლელობასთან ერთად საინვესტიციო ხელშეკრულებები მოითხოვს გადასინჯვას. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების რაოდენობის ზრდასთან

⁴⁴⁴ *Hodgson M.*, Investment Protection and Public Regulation: The Critical Balancing Act of Investment Treaty Arbitration, in: *Laird I.A., Sabahi B., Sourgens F.G., Weiler T.J.* (Editors), Investment Treaty Arbitration and International Law, Vol. 6, JurisNet, New York, 2013, 254.

⁴⁴⁵ *Hueckel J.*, Rebalancing Legitimacy and Sovereignty in International Investment Agreements, *Emory Law Journal*, Vol. 61, Issue 3, Emory University School of Law, Atlanta, 2012. 602.

ერთად სახელმწიფოებს გააჩნიათ უფრო მეტი რესურსი ნორმების შესამუშავებლად. ხელშეკრულების მხარეებს შესაძლებლობა გააჩნიათ იხელმძღვანელონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებით განვითარებული პრაქტიკით. სახელმწიფოების მიერ ნორმების მნიშვნელობის ზუსტად განსაზღვრა მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საინვესტიციო არბიტრაჟის თვალსაზრისით, რადგან აღნიშნული უზრუნველყოფს, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტს, ისე ტრიბუნალის ფარგლების დადგენას. ხელშეკრულების ნორმების დეტალური მოწესრიგების შემთხვევაში ტრიბუნალები იზღუდებიან სახელმწიფოების მიერ დაწესებული ნორმებით.

წესების გამოყენება, ფართო სტანდარტების ნაცვლად, საინვესტიციო არბიტრაჟში კრიტიკის საგანს წარმოადგენს. წესებს ასევე ამარტივებს *ex post* კონტროლი. მხარეებს აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ დაარსონ მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც გადასინჯავს ტრიბუნალის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. აღნიშნული ორგანოს შეზღუდული უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საკითხების შემოწმების ფარგლები და უნდა ემსახურებოდეს სამ მთავარ მიზანს. პირველი, ორგანოს უნდა გააჩნდეს გადაწყვეტილების შეცვლის უფლებამოსილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება მიღებულია საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეგულირების საწინააღმდეგოდ. მეორე, შეთანხმების შედეგად შესაძლებელია ზოგიერთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისთვის პრეცედენტის ძალის მინიჭება. მესამე, გადაწყვეტილების შეცვლა დასაშვები იქნება, თუ სამართლის ნორმა ტრიბუნალმა არასწორად გამოიყენა.⁴⁴⁶

როგორც აღინიშნა, საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში მთავარ აქტორებს წარმოადგენენ სახელმწიფოები, თუმცა ეს არ ნიშნავს მათ მარგინალიზაციას საინვესტიციო არბიტრაჟში. აღსანიშნია, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ ექსკლუზიური უფლებამოსილება ხელშეკრულების ნორმების შესადგენად, რაც წარმოადგენს საფუძველს საინვესტიციო არბიტრაჟის პროცესის საწარმოებლად. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ნაციონალური სასამართლო. ამ შემთხვევაში

⁴⁴⁶ *Hueckel J.*, *Rebalancing Legitimacy and Sovereignty in International Investment Agreements*, *Emory Law Journal*, Vol. 61, Issue 3, Emory University School of Law, Atlanta, 2012, 602.

სუვერენიტეტი გაზიარებულად წარმოგვიდგება სახელმწიფოსა და საარბიტრაჟო ტრიბუნალს შორის.⁴⁴⁷

როგორც ჩანს, სახელმწიფოსა და საინვესტიციო არბიტრაჟის ურთიერთმიმართება ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს საინვესტიციო არბიტრაჟში. საკითხის კომპლექსურობა განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავისას წარმოადგვიდგება, როგორც საინვესტიციო დავის მხარე და როგორც იმ წესების ერთ-ერთი შემოქმედი, რომლის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს დავა. ამასთან, მნიშვნელოვანია, საარბიტრაჟო ტრიბუნალის დამოუკიდებლობის ხარისხი, რომელმაც მიუკერძოებლად და ყოველგვარი გავლენის გარეშე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო გვევლინება, როგორც დავის გადაწყვეტის ფარგლების დამდგენი. აღნიშნული კი თავის მხრივ, მეორე მხარეს, უცხოელ ინვესტორს, აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში, რომლის საფუძველზეც ირღვევა მხარეთა საპროცესო თანასწორუფლებიანობა. ამიტომ, არბიტრაჟს ეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა იმის განსასზღვრად, თუ რა ფარგლებში უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფოს სუვერენიტეტი იმ თვალსაზრისით, რომ არ დაირღვეს არც მიმღები სახელმწიფოს და არც უცხოელი ინვესტორის უფლებები.

3. საინვესტიციო საარბიტრაჟო დავის მხარეებს შორის კოოპერაციის ფარგლები

საარბიტრაჟო ტრიბუნალები და ხელშემკვრელი სახელმწიფოები სხვადასხვა როლს ასრულებენ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების განსამარტად, ისინი ინაწილებენ ნორმის განმარტების უფლებამოსილების ფარგლებს. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების ნორმების განმარტება არ უნდა იქნას აღქმული, როგორც მხოლოდ საარბიტრაჟო ტრიბუნალის დამოუკიდებელი მიდგომა. აღნიშნული წარმოადგენს კონსტრუქციულ დიალოგს საარბიტრაჟო ტრიბუნალებსა

⁴⁴⁷ *Tienhaara K.*, *Once BITen, Twice Shy? – The Uncertain Future of “Shared Sovereignty” in Investment Treaty Arbitration, Policy and Society*, Vol. 30, Issue 3, Routledge, London, 2011, 185.

და ხელშეკრულების მხარეებს შორის. მიუხედავად ამისა, აქამდე სახელმწიფოები უფლებელჰყოფდნენ თავიანთ როლს ნორმის განსამარტად. ამის მაგივრად, სახელმწიფოებმა სრულად მიანიჭეს უფლებამოსილება ტრიბუნალებს ნორმის შინაარსის დასადგენად. ამჟამად, არსებობს უფრო მეტი ინტერესი სახელმწიფოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან არბიტრების გადაჭარბებულ დისკრეციასთან დაკავშირებით ნორმის განმარტების თაობაზე, რომელსაც თან ახლავს საინვესტიციო ხელშეკრულების ფართო და არაზუსტი მოწესრიგება.⁴⁴⁸

არბიტრები გადაწყვეტილების მიღებისას უპირველესად ხელმძღვანელობენ გამოსაყენებელი საინვესტიციო ხელშეკრულების მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოებს სურთ გავლენა მოახდინონ ნორმის განმარტებაზე, ამიტომ იღებენ ერთობლივ განმარტებებს.⁴⁴⁹ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებმა საარბიტრაჟო ტრიბუნალს გადასცეს განმარტების უფლებამოსილება, ისინი მაინც ინარჩუნებენ გარკვეულ ძალაუფლებას.⁴⁵⁰ როგორც წესი, რასაც მოპასუხე სახელმწიფო ასაბუთებს, სავალდებულოდ გასათვალისწინებელი არ არის. ამასთან, ტრიბუნალებს აქვთ შესაძლებლობა, რომ სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ მიღებული განმარტებები გაიზიარონ, თუმცა ისინი არ არიან შეზღუდული პრეცედენტით.⁴⁵¹ მიუხედავად იმისა, რომ მიღებულ გადაწყვეტილებებს პრეცედენტული ძალა არ

⁴⁴⁸ Interpretation of IIAs: What States Can Do, United Nations Conference on Trade and Development, United Nations, No. 3, New York, 2011, 3, <https://unctad.org/en/Docs/webdiaeia2011d10_en.pdf>, [07.02.2021].

⁴⁴⁹ Primer: International Investment Treaties and Investor-State Dispute Settlement, Columbia Center for Sustainable Development, Columbia University, New York, 2019, 4, <<http://ccsi.columbia.edu/files/2019/06/Primer-International-Investment-Treaties-and-Investor-State-Dispute-Settlement.pdf>>, [07.02.2021].

⁴⁵⁰ Interpretation of IIAs: What States Can Do, United Nations Conference on Trade and Development, United Nations, No. 3, New York, 2011, 3, <https://unctad.org/en/Docs/webdiaeia2011d10_en.pdf>, [07.02.2021].

⁴⁵¹ Primer: International Investment Treaties and Investor-State Dispute Settlement, Columbia Center for Sustainable Development, Columbia University, New York, 2019, 4, <<http://ccsi.columbia.edu/files/2019/06/Primer-International-Investment-Treaties-and-Investor-State-Dispute-Settlement.pdf>>, [07.02.2021].

გააჩნია, ისინი მაინც ხშირად მიეთითება დავის მხარეებისა თუ არბიტრების მიერ სხვა საარბიტრაჟო დავებში.⁴⁵²

საარბიტრაჟო ტრიბუნალს ენიჭება იმის დისკრეცია, რომ განმარტოს ხელშეკრულების სტანდარტები. თუმცა, ტრიბუნალს არ გააჩნია სრული ავტორიტეტი. ის შეზღუდულია ხელშეკრულების განმარტების პრინციპებითა და ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ. საერთაშორისო საჯარო სამართლის საშუალებით, სახელმწიფოებს გააჩნიათ უფლებამოსილება, რომ განმარტონ ხელშეკრულების პირობების თავდაპირველი მიზანი და მიიღონ სავალდებულოდ გასათვალისწინებელი განმარტებები.⁴⁵³ ტრიბუნალებმა შესაძლოა მიიღონ იმგვარი განმარტება, რომელიც ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მხარეთა მიზანს. იმის გათვალისწინებით, რომ არბიტრაჟში არ არსებობს სააპელაციო მექანიზმი, მხარეები მიმართავენ სხვა საშუალებებს, რომ გამოასწორონ არასწორი განმარტებები და მიაღწიონ ერთგვაროვნებას. ამის განხორციელება კი შესაძლებელია მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევით და პრაქტიკის ჩამოყალიბებით. ზოგიერთ შემთხვევაში, მხარეები ითვალისწინებენ იმგვარ მოწესრიგებას, რომლის მიხედვით მათ მიერ მიღებული განმარტებები სავალდებულოდ გასათვალისწინებელია არბიტრაჟისთვის. ამგვარი დათქმის არარსებობის შემთხვევაში, განმარტების ასეთი მეთოდი გამომდინარეობს ვენის კონვენციიდან, თუ მხარეების მიერ არ არის გამორიცხული მისი გამოყენება.⁴⁵⁴

საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლოს მიდგომის მიხედვით, ავტორიტეტული უფლებამოსილების მინიჭება ნორმის

⁴⁵² *Roberth A.*, State-to-State Investment Treaty Arbitration: A Hybrid Theory of Interdependent Rights and Shared Interpretive Authority, Harvard Law Journal, Vol. 55, No. 1, The Harvard Law Review Association, Cambridge, 2014. 52.

⁴⁵³ Interpretation of IIAs: What States Can Do, United Nations Conference on Trade and Development, United Nations, No. 3, New York, 2011, 3, <https://unctad.org/en/Docs/webdiaeia2011d10_en.pdf>, [07.02.2021].

⁴⁵⁴ *Roberth A.*, State-to-State Investment Treaty Arbitration: A Hybrid Theory of Interdependent Rights and Shared Interpretive Authority, Harvard Law Journal, Vol. 55, No. 1, The Harvard Law Review Association, Cambridge, 2014. 52.

განსამარტად მიეკუთვნება მხოლოდ იმ ორგანოს და პირს, რომელსაც გააჩნია ამის ძალაუფლება ან მასზე ზეგავლენის მოხდენა. აღნიშნული ასევე გაიზიარა საერთაშორისო სამართლის კომისიამ, საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ და თავად საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაშინ როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალებს გააჩნიათ ნორმის განმარტების უფლებამოსილება, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ინარჩუნებენ იმის უფლებას, რომ განმარტონ ხელშეკრულების ნორმის მნიშვნელობა სავალდებულო ძალის მქონედ.⁴⁵⁵

დავა არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დასაშვებია, მხოლოდ მხარეთა ნებაზე იყოს დამოკიდებული განმარტების ფარგლების უფლებამოსილების დადგენა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მესამე პირის ინტერესებს ეხება საქმე. მაგალითად, NAFTA უფლებას რთავს მხარეებს, რომ მათ მიერ მიღებული განმარტებები სავალდებულოდ გასათვალისწინებელი იყოს არბიტრაჟისთვის. NAFTA-ს ზოგიერთი ტრიბუნალი აღნიშნავს, რომ გააჩნია იმის ძალაუფლება, თავად განსაზღვროს მხარეთა მიერ მიღებული განმარტებების სავალდებულობა.⁴⁵⁶

საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების უმეტესობა არ შეიცავს დათქმას ერთობლივ განმარტებასთან დაკავშირებით. შესაძლებელია გამოიყოს ოთხი ძირითადი მიმართულება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით: (1) ხელშეკრულების ნორმებით ნათლად არის გამოხატული, რომ მხარეთა მიერ მიღებული განმარტებების გათვალისწინება სავალდებულოა ტრიბუნალისთვის; (2) ხელშეკრულებები მიუთითებენ მხარეთა შორის კოოპერაციაზე ან ერთობლივ განმარტებაზე, მაგრამ არ არის განსაზღვრული მისი სავალდებულობა ტრიბუნალისთვის; (3) ნორმების განსამარტად ხელშეკრულების საფუძველზე იქმნება ორგანო, რომელიც ხელშეკრულებას განმარტავს; (4) ხელშეკრულების მიხედვით,

⁴⁵⁵ Interpretation of IIAs: What States Can Do, United Nations Conference on Trade and Development, United Nations, N3, New York, 2011, 3, <https://unctad.org/en/Docs/webdiaeia2011d10_en.pdf>, [07.02.2021].

⁴⁵⁶ *Robert A.*, State-to-State Investment Treaty Arbitration: A Hybrid Theory of Interdependent Rights and Shared Interpretive Authority, Harvard Law Journal, Vol. 55, No. 1, The Harvard Law Review Association, Cambridge, 2014. 52-54.

ტრიბუნალის ნებაზეა დამოკიდებული სახელმწიფოთა მიერ მიღებული განმარტების გათვალისწინება.

ზოგიერთი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულება ითვალისწინებს ზემოთ დასახელებული შემთხვევებიდან რამდენიმეს. მაგალითად შესაძლოა დასახელდეს კანადასა და ვენესუელას შორის არსებული 1998 წლის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, რომელიც ტრიბუნალს სავალდებულოდ უდგენს მხარეთა მიერ მიღებული განმარტების მიხედვით გადაწყვეტილების მიღებას. კერძოდ, „ტრიბუნალი, რომელიც მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დავას წყვეტს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. ხელშემკვრელი მხარეების მიერ მიღებული გადაწყვეტილება წინამდებარე ხელშეკრულების განმარტებასთან დაკავშირებით სავალდებულოა ტრიბუნალისთვის”.⁴⁵⁷ თუმცა, ყურადსაღებია, რამდენად გონივრულია არბიტრაჟისთვის მხარეების მიერ წინასწარ დადგენილი განმარტების გათვალისწინება. ამ შემთხვევაში ტრიბუნალი თავის ფუნქციას კარგავს და წარმოგვიდგება მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებ ფორმალურ ორგანოდ.⁴⁵⁸

ისიც აღსანიშნია, რომ მრავალი ხელშეკრულება მიუთითებს არა ერთობლივი განმარტებების სავალდებულოდ გამოყენებაზე, არამედ იმაზე, რომ ტრიბუნალის მიერ მიღებული განმარტება უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა ერთობლივი ინტერპრეტაციის შინაარსს.⁴⁵⁹ მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ტრიბუნალის უფლებამოსილება უფრო ფართოა, არბიტრაჟის ბუნება, როგორც დავის

⁴⁵⁷ *Sherard J., Quah N., Jingtong Zh.*, Joint Interpretation of Investment Treaties: A Study of Existing Practice, Legal Character and Strategies for Implementation, Center for International Law National University of Singapore, Singapore, 2020, 2, <https://935c5e62-e407-4ddc-a888-204e4f049dc1.filesusr.com/ugd/50061c_b24b0f2b90364a639da2d265ef34d22c.pdf>, [07.02.2021].

⁴⁵⁸ *Robert A.*, State-to-State Investment Treaty Arbitration: A Hybrid Theory of Interdependent Rights and Shared Interpretive Authority, Harvard Law Journal, Vol. 55, No. 1, The Harvard Law Review Association, Cambridge, 2014. 52-54.

⁴⁵⁹ *Sherard J., Quah N., Jingtong Zh.*, Joint Interpretation of Investment Treaties: A Study of Existing Practice, Legal Character and Strategies for Implementation, Center for International Law National University of Singapore, Singapore, 2020, 3, <https://935c5e62-e407-4ddc-a888-204e4f049dc1.filesusr.com/ugd/50061c_b24b0f2b90364a639da2d265ef34d22c.pdf>, [07.02.2021].

გადაწყვეტილების მიმდების ფარგლები მაინც იზღუდება. მართალია, რომ სახელმწიფოების მიერ ზუსტად განსაზღვრული განმარტების გათვალისწინების ვალდებულება არ გააჩნიათ, თუმცა უნდა იხელმძღვანელონ იმ ჩარჩოების ფარგლებში, რაც მხარეების მიერ არის განსაზღვრული. წინამდებარე შემთხვევაშიც საარბიტრაჟო ტრიბუნალს ეზღუდება ობიექტური შეფასების შესაძლებლობა.

ასევე, არსებობს რამდენიმე ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, რომლებიც ითვალისწინებენ ერთობლივი განმარტების მიღებას, თუმცა სდუმან მათ იურიდიულ შედეგებზე. აღნიშნულის ილუსტრაციას წარმოადგენს ინდოეთსა და კორეას შორის არსებული 2010 წლის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება. ამ უკანასკნელის მიხედვით, „მხარეები მიისწრაფიან შეთანხმდნენ ინტერპრეტაციაზე და მიღწეული შეთანხმების გამოყენებაზე, და განახორციელებენ ყველა მცდელობას, რათა კოოპერაციისა და კონსულტაციების საფუძველზე მივიდნენ ხელსაყრელ შედეგამდე”.

ამგვარი ნორმები, როგორც წესი, აღიარებს განმარტებასთან დაკავშირებით მეგობრულ შეთანხმებას სახელმწიფოთა კონსულტაციების საფუძველზე. მიუხედავად ამისა, ეს ნორმები არ გამოხატავენ აშკარად მისი სავალდებულოობის ხასიათს.⁴⁶⁰ ამასთან, ხელშეკრულების ნორმებით შესაძლოა დაწესებული იყოს გარკვეული ვადა ხელშემკვრელ სახელმწიფოებისთვის, რომლის განმავლობაშიც მხარეებმა ტრიბუნალის მიერ მოთხოვნილ რეკომენდაციას უნდა უპასუხოთ ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით.⁴⁶¹

ზოგიერთი საინვესტიციო ხელშეკრულების მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებს გააჩნიათ უფლებამოსილება განმარტონ ხელშეკრულების ნორმები

⁴⁶⁰ *Sherard J., Quah N., Jingtong Zh.*, Joint Interpretation of Investment Treaties: A Study of Existing Practice, Legal Character and Strategies for Implementation, Center for International Law National University of Singapore, Singapore, 2020, 4, <https://935c5e62-e407-4ddc-a888-204e4f049dc1.filesusr.com/ugd/50061c_b24b0f2b90364a639da2d265ef34d22c.pdf>, [07.02.2021].

⁴⁶¹ *Sherard J., Quah N., Jingtong Zh.*, Joint Interpretation of Investment Treaties: A Study of Existing Practice, Legal Character and Strategies for Implementation, Center for International Law National University of Singapore, Singapore, 2020, 5, <https://935c5e62-e407-4ddc-a888-204e4f049dc1.filesusr.com/ugd/50061c_b24b0f2b90364a639da2d265ef34d22c.pdf>, [07.02.2021].

ერთობლივი კონსულტაციების საფუძველზე. აღნიშნული უმეტესწილად დაკავშირებულია ინვესტიციის ან ინვესტორის ცნების, კომპანიის ან ინვესტიციის კონტროლის, ინვესტორის მოქალაქეობასთან, ან ნებისმიერი მესამე სახელმწიფოს ინვესტორთა ინვესტიციებზე ხელსაყრელი პირობების გავრცელების შეზღუდვასთან დაკავშირებული საკითხების განმარტებასთან.

თუმცა, საინვესტიციო ხელშეკრულებათა უმეტესობა არ შეიცავს დათქმას, რომლის მიხედვით განისაზღვრება მხარეთა მიერ ამგვარი მექანიზმი. საგამონაკლისო შემთხვევებს წარმოადგენს მხოლოდ ავსტრალია, კანადა და აშშ, რომლებიც ამ საშუალებას მიმართავენ სხვადასხვა თემის ფარგლებში. მაგალითად, კანადა ერთ-ერთ ხელშეკრულებაში არეგულირებს ინვესტორის მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხს. კერძოდ, „ინვესტორის მოქალაქეობასთან დაკავშირებით უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, კონსულტაციები გაიმართება ხელშემკვრელ მხარეებს შორის“. აშშ-მ ასეთი პირობა გაითვალისწინა მხოლოდ რამდენიმე საინვესტიციო ხელშეკრულებაში, მესამე სახელმწიფოს ინვესტორებისთვის სარგებლის მიღებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.

აღსანიშნია, რომ არც ერთი ხელშეკრულებით არ არის მოცემული კონსულტაციის პროცედურის შესახებ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სერიოზული შედეგის მომტანი შესაძლოა იყოს. აგრეთვე, არ არის განსაზღვრული შედეგები შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში. ამგვარი მიდგომა განსახვავდება იმ საკითხებზე ერთობლივი კონსულტაციებისგან, რომლებიც ეხება საგადასახადო და რისკების თავიდან ასაცილებელ რეგულაციებს. აღნიშნულ თემებზე ნორმებს სპეციალური ორგანოები განსაზღვრავენ, აწესებენ აშკარა ვადებს და შეუთანხმებლობის შედეგად დამდგარ შედეგებს. ასევე, ისიც ხაზგასასმელია, რომ ხელშეკრულებები რომლებიც შეიცავენ ამგვარ დათქმებს შედარებით ძველია და ის სახელმწიფოები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ასეთ ნორმებს, ახალ ხელშეკრულებებში აღარ განსაზღვრავენ მსგავსად.⁴⁶²

⁴⁶² *Gordon. K., Pohl J., Investment Treaties over Time - Treaty Practice and Interpretation in a Changing World, OECD Working Papers on International Investment, 2015/02, OECD Publishing, Paris, 2015, 31, <<https://www.oecd-ilibrary.org/docserver/5js7rhd8sq7h->*

VI. საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებისას გამოსაყენებელი სამართლის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობა

საინვესტიციო სამართალი წარმოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართლის ნაწილს. საერთაშორისო სამართლის სამართლებრივ სისტემაში კი საინვესტიციო სამართალი მოქმედებს საინვესტიციო ხელშეკრულებების საშუალებით. შესაბამისად, საინვესტიციო ხელშეკრულებები არ უნდა განიმარტოს განცალკევებით.

ამასთან, ადამიანის საერთაშორისო უფლებებს, რაც საერთაშორისო სამართლის ნაწილს შეადგენს, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების სამართლებრივი ნორმების განმარტებისას.⁴⁶³

შესაბამისად, ყურადსაღებია, თუ რა როლს ასრულებს საერთაშორისო სამართლის პრინციპები საინვესტიციო ნორმებთან მიმართებით უშუალოდ სტანდარტების განმარტებისას. აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებები ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობის ღერძია და არც საინვესტიციო ურთიერთობებია გამონაკლისი, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მათი განხილვა. აქედან გამომდინარე, ქვემოთ განხილული იქნება საერთაშორისო საჯარო სამართლის მიმართება საინვესტიციო ნორმებთან და ადამიანის უფლებების, როგორც საერთაშორისო სამართლის ნაწილის, განსაკუთრებული მნიშვნელობა საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებისას.

[en.pdf?expires=1612811340&id=id&accname=guest&checksum=5639D7488F773925C527F6849FCCFC80](https://www.ohchr.org/en/pdf?expires=1612811340&id=id&accname=guest&checksum=5639D7488F773925C527F6849FCCFC80), [07.02.2021].

⁴⁶³ *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, *International Studies in Human Rights*, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 149.

1. საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპებთან შესაბამისობა

საინვესტიციო ხელშეკრულებები შეიცავენ თვითრეგულირებად ნორმებს. მათი ფუნქციური მნიშვნელობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან პრინციპებს. სიახლეს არ წარმოადგენს, რომ სახელმწიფოებმა საინვესტიციო ხელშეკრულებების გაფორმებისას არ უნდა უგულებელჰყონ საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები. ამასთან, ნორმის განმარტებისას არ უნდა იქნას უგულებელყოფილი ხელშეკრულების ხასიათი, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შინაარსით:

- 1) *პოზიტიური* შინაარსით, მხარეები მიმართავენ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის აშკარად გამომხატული ხელშეკრულების ნორმებით.
- 2) *ნეგატიური* შინაარსით, მხარეები ხელშეკრულების გაფორმებისას არ ისახავენ მიზნად საერთაშორისო სამართლის ზოგადად აღიარებული პრინციპების ან მესამე სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების გათვალისწინებას.

აღნიშნული მიდგომა ICSID-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიიღო, როგორც საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტების ზოგადი მეთოდი, ვაშინგტონის კონვენციის პირველად განმარტებისას⁴⁶⁴ საქმეზე *Asian Agricultural Products Ltd v. Sri Lanka*.⁴⁶⁵ ე.ი. ამგვარი შემთხვევებისას ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო სამართლის მნიშვნელობა.

⁴⁶⁴ *McLachan C., Shore L., Weiniger M.*, International Investment Arbitration – Substantive Principles, *Mistelis L.* (Series Editor), Oxford International Arbitration Series, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 18.

⁴⁶⁵ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 1990 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Asian Agricultural Products Ltd. v. Republic of Sri Lanka*, ICSID Case No. ARB/87/3, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita1034.pdf>>, [08.02.2021].

თუმცა, ზოგიერთი ხელშეკრულება პირდაპირ უთითებს საერთაშორისო სამართლის პრინციპების გამოყენებასთან დაკავშირებით. NAFTA-ს 1105-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ „თითოეული მხარე ინვესტიციის განხორციელებისას მეორე მხარესთან შეთანხმებისას უნდა მოქმედებდნენ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მათ შორის, სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის პრინციპის გათვალისწინებით“.

აგრეთვე, საფრანგეთის მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ „სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს“. ასევე, აშშ-ის მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება კიდევ უფრო კონკრეტულია განსახილველ საკითხთან მიმართებით. აღნიშნული მოდელური ხელშეკრულებით მოცემულია, რომ უცხოელთა მოპყრობის დაცვის სტანდარტები განხილულ უნდა იქნას საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში. ასევე, მითითებულია, რომ ექსპროპრიაციისა და კომპენსაციის შესახებ დათქმები უნდა ასახავდეს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის პრინციპებს. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მოდელი გვთავაზობს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის განმარტებას, რომლის მიხედვით აღნიშნული წარმოადგენს სახელმწიფოთა ზოგად და თანმიმდევრულ პრაქტიკას, რასაც სახელმწიფოები ითვალისწინებენ სამართლებრივი ვალდებულების ფარგლებში“.⁴⁶⁶

პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს საინვესტიციო არბიტრაჟში ვენის კონვენციის გამოყენების სათანადოობას. საქმეზე *Azurix Corp. v. The Argentine Republic* ⁴⁶⁷ ტრიბუნალმა ნათლად გამოხატა, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას და უნდა განიმარტოს

⁴⁶⁶ *McLachan C., Shore L., Weiniger M.*, International Investment Arbitration – Substantive Principles, Mistelis L. (Series Editor), Oxford International Arbitration Series, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 18.

⁴⁶⁷ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2006 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Azurix Corp, v. The Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/01/12, para. 307, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0061.pdf>>, [08.02.2021].

ვენის კონვენციით მოცემული განმარტებითი წესების შესაბამისად. აღნიშნულია, რომ ვენის კონვენცია მაინც გამოიყენება ნორმის განმარტებისას მიუხედავად იმისა სახელმწიფო არის თუ არა ხელშემკვრელი. ეს განპირობებულია იმით, რომ კონვენციის რეგულირება განმარტების შესახებ მიემართება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს.⁴⁶⁸

ნორმის განმარტების პროცესი თავის მხრივ კომპლექსურ პროცესს წარმოადგენს და მისი შედარებითი სირთულე დამოკიდებულია ხელშეკრულების მხარეებს, თუ როგორი წინდახედულობით აქვთ ნორმები მოცემული საინვესტიციო ხელშეკრულებაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების ნორმების ჩამოყალიბებისას კანონმდებლები არ უნდა გასცდნენ იმ ვალდებულებებს, რაც სახელმწიფოს ნაკისრი აქვთ საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს მეტწილად უფლებების დაცვის ხელშეწყობა, ვიდრე უფლებათა არეალის გაფართოება.⁴⁶⁹

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ აღიარებულია და განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლის პრინციპების მნიშვნელობა, როგორც მატერიალური მოწესრიგების, ისე პრაქტიკული დატვირთვის თვალსაზრისით. შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო სამართლის პრინციპები საინვესტიციო სტანდარტების განმარტებისას, მიუხედავად იმისა ეს მოცემულია თუ არა გამოსაყენებელ ხელშეკრულებაში. მაგრამ, ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ არბიტრაჟი არ უნდა გასცდეს იმ საერთაშორისო სამართლის იმ ფარგლებს, რაც აღიარებულია ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიერ. აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც არბიტრთა მოქმედების ფარგლების განსაზღვრას, ისე სახელმწიფოთა მიზნების პატივისცემას.

⁴⁶⁸ *Balcerzak F.*, *Investor – State Arbitration and Human Rights*, *International Studies in Human Rights*, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 153.

⁴⁶⁹ *McLachan C., Shore L., Weiniger M.*, *International Investment Arbitration – Substantive Principles*, *Mistelis L.* (Series Editor), *Oxford International Arbitration Series*, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 17

2. ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებთან შესაბამისობა

საერთაშორისო სამართლის პერსპექტივიდან იკვეთება რამდენიმე სამართლებრივი საკითხი სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის ურთიერთობისას: (1) ინვესტორის პასუხისმგებლობა საინვესტიციო სამართლის ფარგლებში ადამიანის უფლებების დარღვევისას; (2) ინვესტორის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა თავისი ინვესტორის მიმართ გამოჩენილი გულგრილობის გამო (მაგ. სახელმწიფომ არ უზრუნველყო თავისი ინვესტორის დარღვეული უფლების დაცვა); (3) მასპინძელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა თავისი ვალდებულებების დარღვევის გამო საინვესტიციო ან ადამიანის უფლებების სამართლის ფარგლებში.⁴⁷⁰

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს აკისრია იმის ვალდებულება, რომ არამხოლოდ თავად დაიცვან ადამიანის უფლებები, არამედ მაქსიმალურად აღკვეთოს სხვების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები. სახელმწიფო თუ არ იცავს თავისი მოქალაქეების უფლებებს, ეს შეიძლება გახდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველი.⁴⁷¹ მიმღები სახელმწიფოები ეყრდნობიან ადამიანის უფლებების მარეგულირებელ ნორმებს, რათა გაამართლონ ინვესტიციებისთვის მიყენებული ზიანი. სახელმწიფოები ასაბუთებენ, რომ მათ მიერ ინვესტორის მიმართ განხორციელებული მოპყრობა გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებიდან.⁴⁷²

სწორედ განხილვის საგანს წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვისას რა ფარგლებით უნდა იყოს ადამიანის უფლებები გათვალისწინებული საინვესტიციო

⁴⁷⁰ *Radi Y.*, Realizing Human Rights in Investment Treaty Arbitration: A Perspective from Within the International Investment Law Toolbox, Vol. 37, No. 4, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, University of North Carolina School of Law, Chapel Hill, 2012, 1110.

⁴⁷¹ *Reiner C., Schreuer Ch.*, Human Rights and International Investment Arbitration, in: *Dupuy P.M., Francioni F., Petersmann E.U.* (Editors), *Jackson H.J.* (General Editor), Human Rights in Investment Law and Arbitration, The Oxford University Press, Oxford, 2010, 83.

⁴⁷² *Reiner C., Schreuer Ch.*, Human Rights and International Investment Arbitration, in: *Dupuy P.M., Francioni F., Petersmann E.U.* (Editors), *Jackson H.J.* (General Editor), Human Rights in Investment Law and Arbitration, The Oxford University Press, Oxford, 2010, 88.

პრინციპების განმარტებისას. შესაბამისად, ქვემოთ შემოთავაზებული იქნება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მიდგომები და საარბიტრაჟო პრაქტიკის მიმოხილვა.

2.1. ადამიანის უფლებების ვიწრო ფარგლებით გამოყენება

საინვესტიციო საარბიტრაჟო სისტემის მიხედვით, ინვესტორი და სახელმწიფო თანაბრად მიიჩნევა, დიპლომატიური დაცვის საშუალებების ჩათვლით. აღნიშნული სრულიად მიუღებლად ჟღერს საერთაშორისო სამართლის ფართო გაგების თვალსაზრისით. საარბიტრაჟო პრაქტიკის განვითარებასთან ერთად დადგინდა, რომ ტრიბუნალს იურისდიქცია გააჩნია მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ამგვარად, არსებობს პრაქტიკა, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი ადგენს იურისდიქციას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, თუ ამის შესახებ პირდაპირ არის გათვალისწინებული მხარეთა მიერ. შესაბამისად, საინვესტიციო ხელშეკრულებაში ან კონტრაქტში მოცემულ საარბიტრაჟო დათქმის ფორმულირებაზეა დამოკიდებული საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციის განსაზღვრა.⁴⁷³

აღსანიშნია ის გარემოება, რომ გარკვეული გამონაკლისების გარდა, არცერთი საინვესტიციო ხელშეკრულება არ შეიცავს მითითებას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. დასახელებულ გამონაკლისთა შორისაა, მაგალითად: ევროკავშირსა და სინგაპურს შორის არსებული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, კანადასა და კოლუმბიას შორის გაფორმებული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ან ნორვეგიის მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება. ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებათა მცირე რაოდენობა არსებობს, რომლებიც არეგულირებენ არასაინვესტიციო საკითხებს. ეს ნორმები არ უწყობენ უცხოელ ინვესტორებს რაიმე ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა, შრომით ან

⁴⁷³ *Reiner C., Schreuer Ch., Human Rights and International Investment Arbitration, in: Dupuy P.M., Francioni F., Petersmann E.U. (Editors), Jackson H.J. (General Editor), Human Rights in Investment Law and Arbitration, The Oxford University Press, Oxford, 2010, 88.*

გარესმოსდაცვით უფლებებთან დაკავშირებით. აღსანიშნია, მაგალითად, ინდოეთის მიერ შემუშავებული უახლესი მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, რომელიც აშკარად უდგენს ინვესტორებს ვალდებულებას, დაემორჩილონ ადგილობრივ სამართალს ადამიანის უფლებებთან მიმართებით.⁴⁷⁴

როგორც ჩანს, მხარეები იშვიათად უთითებენ ადამიანის უფლებებზე საინვესტიციო არბიტრაჟში. აღნიშნული შესაძლებელია იმით არის განპირობებული, რომ უმრავლეს საინვესტიციო საარბიტრაჟო დავაში ინვესტორები არიან არა ფიზიკური, არამედ იურიდიული პირები. ისიც აღსანიშნია, რომ იურიდიული პირების საკუთრებას იცავს მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. განსახილველი საკითხის კიდევ ერთ მიზეზად შესაძლებელია დასახელდეს ის, რომ ადამიანის უფლებათა სტანდარტებით დაცვის შესაძლებლობა ამ შემთხვევაში უფრო დაბალია, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საინვესტიციო ხელშეკრულებებითა და კონტრაქტებით. იმ საქმეებშიც კი, სადაც ინვესტორის უფლებები მნიშვნელოვანი იყო, საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა არ გამოიყენეს ადამიანის უფლებათა მომწესრიგებელი ნორმები.⁴⁷⁵ მაგალითად, საქმეში *Biloune v. Ghana*⁴⁷⁶ ტრიბუნალმა განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი იურისდიქცია ადამიანის უფლებების დარღვევის გამოსაკვლევად.⁴⁷⁷

ერთ-ერთ საარბიტრაჟო საქმეზე არგენტიანა ასაბუთებდა, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა გამოწვეული იყო ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური

⁴⁷⁴ *Balcerzak F.*, *Investor – State Arbitration and Human Rights*, *International Studies in Human Rights*, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 155.

⁴⁷⁵ *Reiner C., Schreuer Ch.*, *Human Rights and International Investment Arbitration*, in: *Dupuy P.M., Francioni F., Petersmann E.U.* (Editors), *Jackson H.J.* (General Editor), *Human Rights in Investment Law and Arbitration*, The Oxford University Press, Oxford, 2010, 88.

⁴⁷⁶ *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 1989 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Biloune v. Ghana*, para. 61, <<https://jsumundi.com/en/document/decision/en-biloune-and-marine-drive-complex-ltd-v-ghana-investments-centre-and-the-government-of-ghana-award-on-jurisdiction-and-liability-friday-27th-october-1989>>, [08.02.2021].

⁴⁷⁷ *Reiner C., Schreuer Ch.*, *Human Rights and International Investment Arbitration*, in: *Dupuy P.M., Francioni F., Petersmann E.U.* (Editors), *Jackson H.J.* (General Editor), *Human Rights in Investment Law and Arbitration*, The Oxford University Press, Oxford, 2010, 88.

კრიზისის გამო. ამასთან, არგენტინის პოზიციის მიხედვით, საინვესტიციო ხელშეკრულება ვერ გავრცელდება, როდესაც დარღვეულია კონსტიტუციით აღიარებული უფლება. ამასთან დაკავშირებით საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განაცხადა, რომ საკითხი როდესაც ეხება მხარეთა შორის არსებულ დავას „განხილვის საგანს არ წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა“.⁴⁷⁸

მიუხედავად აღნიშნული მიდგომისა, ყურადსაღებია, რომ ადამიანის უფლებები ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. შესაბამისად, ნორმის განმარტებისას ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური უფლებების გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა ძირეული გავლენა მოახდინოს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებასა და ინვესტორის უფლებების სათანადოდ დაცვაზე.

2.2. ადამიანის უფლებების ფართო ფარგლებით გამოყენება

საქმეზე *Tecmed v. Mexico*⁴⁷⁹ ტრიბუნალმა გამოხატა მოსაზრება, რომლის მიხედვით, ნორმის ინტერპრეტაცია უნდა განხორციელდეს ადამიანის უფლებების სასარგებლოდ. ეს უკანასკნელი ფართო განხილვის საგანს წარმოადგენს.⁴⁸⁰ მისი პოზიციის მიხედვით, „გამოსაყენებელი სამართლის ნორმები არ უნდა განიმარტოს შეზღუდულ ფარგლებში და განცალკევებით არ უნდა განიხილებოდეს საერთაშორისო სამართლისგან“. ამასთან, „საარბიტრაჟო ტრიბუნალებს ხშირად

⁴⁷⁸ *Reiner C. Schreuer Ch.*, Human Rights and International Investment Arbitration, in: *Dupuy P.M., Francioni F., Petersmann E.U.* (Editors), *Jackson H.J.* (General Editor), Human Rights in Investment Law and Arbitration, The Oxford University Press, Oxford, 2010, 83.

⁴⁷⁹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2003 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Técnicas Medioambientales Tecmed, S.A. v. The United Mexican States*, ICSID Case No. ARB (AF)/00/2, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0854.pdf>>, [08.02.2021].

⁴⁸⁰ *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, International Studies in Human Rights, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 149.

სურთ, რომ საინვესტიციო ხელშეკრულებების ნორმების განმარტებისას იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით”. ე.ი. საარბიტრაჟო ტრიბუნალები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ის ხელშეკრულება, რომელიც მასპინძელი სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული”. პროფესორი ვან ააკენი „განმარტების თავისუფლებას” უწოდებს გარემოებას, როდესაც შესაძლებელია ადამიანის უფლებათა გათვალისწინება ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ფართოდ მოწესრიგებული ნორმების განმარტებისას.⁴⁸¹

ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო ტრიბუნალს აკისრია ვალდებულება ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებისას გამოიყენოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმები. აღნიშნულის განსახორციელებლად არც საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ განმარტების უფლებამოსილების შეზღუდული ფარგლები და არც გამოსაყენებელი სამართლის წესები არ უნდა წარმოადგენდეს დამაბრკოლებელ გარემოებას.⁴⁸²

საქმეზე *Tulip Real Estate and Development Netherlands v. Turkey*⁴⁸³ გამოიხატა მოსაზრება, რომ ადამიანის უფლებების აქტიური ინტეგრირება საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ამგვარი მიდგომა იქიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი სხვადასხვა საერთაშორისო ვალდებულება უნდა განიმარტოს ისე, რომ მათ შორის არ დაირღვეს თანმიმდევრულობა. ამ შეხედულების გათვალისწინება საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში აუცილებელია, როდესაც გადაწყვეტილება მისაღებია კერძო ინვესტორის ინტერესების, ადამიანის უფლებათა ან გარემოსდაცვითი

⁴⁸¹ *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, International Studies in Human Rights, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 150.

⁴⁸² *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, International Studies in Human Rights, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 152.

⁴⁸³ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2015 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Tulip Real Estate and Development Netherlands B.V. v. Republic of Turkey*, ICSID Case No. ARB/11/28, paras. 86-92, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw7037.pdf>>, [08.02.2021].

უფლებების დასაცავად. თუმცა, ამ მიდგომის შესრულება რთულია, რადგან არბიტრების კომპეტენციას წარმოადგენს ბალანსის დაცვა და შენარჩუნება ადამიანის უფლებათა სპეციალური სასამართლოებისა ან საერთაშორისო ორგანოებისგან დამოუკიდებლად.

აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საერთაშორისო სამართლის ერთიანობის შენარჩუნებით და არა მისი განცალკევებით.⁴⁸⁴ როგორც აღინიშნა, საინვესტიციო არბიტრაჟში ნორმების განმარტებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი.⁴⁸⁵

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები, რომლებიც ექცევა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში და არ ავალდებულებს სახელმწიფოებს საინვესტიციო ხელშეკრულებებით ადამიანის უფლებათა საკითხებს გააჩნდეს *ius cogens* ბუნება, ინარჩუნებენ მნიშვნელობას ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებისას. აღნიშნული ასახვას ჰპოვებს პრეცედენტულ სამართალში.⁴⁸⁶ საქმეზე *EDF International, SAUR International and Léon Participaciones Argentinas v. Argentina*⁴⁸⁷ ტრიბუნალმა ექვევემ არ დააყენა ადამიანის უფლებების კავშირის მნიშვნელობა საერთაშორისო სამართალთან მიმართებით.⁴⁸⁸ საქმეზე *Ioan Micula et al. v. Romania*⁴⁸⁹ ტრიბუნალმა აშკარად მიუთითა ვენის კონვენციაზე.

⁴⁸⁴ *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, International Studies in Human Rights, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 152.

⁴⁸⁵ *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, International Studies in Human Rights, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 153.

⁴⁸⁶ *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, International Studies in Human Rights, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 157.

⁴⁸⁷ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2012 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *EDF International, SAUR International and Léon Participaciones Argentinas v. Argentina*, paras. 909-914, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita1069.pdf>>, [08.02.2021].

⁴⁸⁸ *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, International Studies in Human Rights, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 157.

⁴⁸⁹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2008 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე *Ioan Micula, Viorel*

ტრიბუნალის პოზიციის მიხედვით, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების განსამარტად ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის გამოყენებულ უნდა იქნას ვენის კონვენცია. ამასთან, საარბიტრაჟო ტრიბუნალის შეხედულებით, სასარგებლო იქნებოდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლის გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც, „ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება და არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავის მოქალაქეობის შეცვლისა“.⁴⁹⁰

ასევე, საქმეზე *Urbaser S.A. and Consorcio de Aguas Bilbao Bizkaia, Bilbao Biskaia Ur Partzuergoa v. The Argentine Republic*⁴⁹¹ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გამოიყენა ვენის კონვენციის მუხლი 31 (3)(c). ამ უკანასკნელთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ გამოსაყენებელი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება უნდა განიმარტოს საერთაშორისო სამართლის წესებით, მათ შორის, მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების გათვალისწინებით.

საქმეზე *Tulip Real Estate and Development Netherlands BV v. Turkey* საარბიტრაჟო ტრიბუნალმა იხელმძღვანელა ვენის კონვენციის 31(3)(c)-ე მუხლით და დაასკვნა, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ნორმა ეხებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას. აღნიშნული თავის მხრივ მნიშვნელოვანი იყო საქმისთვის და სასამართლო პრაქტიკისთვის იმ ძირითადი უფლების განსამარტად, რასაც არეგულირებს ვაშინგტონის კონვენციის მუხლი 52(1)(დ). ამ უკანასკნელის მიხედვით, „გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი წერილობითი განაცხადით ორივე მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება, თუ

Micula, S.C. European Food S.A, S.C. Starmill S.R.L. and S.C. Multipack S.R.L. v. Romania, ICSID Case No. ARB/05/20, paras. 87-88, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0530.pdf>>, [08.02.2021].

⁴⁹⁰ *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, International Studies in Human Rights, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 157.

⁴⁹¹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Urbaser S.A. and Consorcio de Aguas Bilbao Bizkaia, Bilbao Biskaia Ur Partzuergoa v. The Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/07/26, paras. 1193-2010, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw8136_1.pdf>, [08.02.2021].

გამოვლინდა მნიშვნელოვანი გადახვევა პროცედურის ფუნდამენტური წესიდან”. ტრიბუნალის მოდგომა არ წარმოადგენს ვაშინგტონის კონვენციის მიღმა არსებულ ვალდებულებას. პირიქით, ადამიანის უფლებათა ჭრილში ხელშეკრულების განმარტება წარმოადგენს ლეგიტიმურ მეთოდს.⁴⁹²

იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებები მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ისეთ პრინციპებთან როგორცაა: სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის და სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები, პირდაპირი ან არაპირდაპირ ექსპროპრიაცია - ნაკლებად გამართლებულია ტრიბუნალმა თავიდან აირიდოს მათი განმარტებისას ადამიანის უფლებების გათვალისწინება. ადამიანის უფლებები გამოიყენება ყველა დაცვითი სტანდარტის განხილვისას.⁴⁹³

საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის გამოწვევას წარმოადგენს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმის შესაბამისობის დადგენა გამოსაყენებელ სამართალთან. მაგალითად, ადამიანის უფლებათა პრინციპები იმ ფარგლებში მოქმედებენ სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტზე ან სახელმწიფოს ვალდებულებაზე, რამდენადაც ეს აუცილებელია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მინიმალური სტანდარტის დასაცავად უცხოელთა მოპყრობის მიმართ. ვან ააკენის მოსაზრებით, „საარბიტრაჟო ტრიბუნალებს გაცნობიერებული აქვთ, რომ განმარტებისას გააჩნიათ თავისუფლება, რათა გაითვალისწინონ მასპინძელი სახელმწიფოს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებები, როდესაც განმარტავენ არაპირდაპირ ექსპროპრიაციას ან სამართლიან და თანაბარ მოპყრობას”.⁴⁹⁴

ამასთან, საერთაშორისო საინვესტიციო სამართლებრივ ურთიერთობებში გამორიცხულია ადამიანის უფლებების გაუთვალისწინებლობა ისეთი ფართო მოწესრიგების პრინციპის განმარტებისას, როგორცაა, მაგალითად, ლეგიტიმური

⁴⁹² *Balcerzak F.*, *Investor – State Arbitration and Human Rights*, *International Studies in Human Rights*, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 158.

⁴⁹³ *Balcerzak F.*, *Investor – State Arbitration and Human Rights*, *International Studies in Human Rights*, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 173.

⁴⁹⁴ *Balcerzak F.*, *Investor – State Arbitration and Human Rights*, *International Studies in Human Rights*, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 150.

მოლოდინი. ინვესტორის ლეგიტიმური მოლოდინი უნდა მოიცავდეს მასპინძელი სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების პატივისცემას, დაცვასა და შესრულებას. აღნიშნული გამართლებულია ლეგიტიმურ მოლოდინთან მიმართებით, რადგან ეს ეფუძნება სამართლებრივი მოწესრიგების სტაბილურობასა და სახელმწიფოს უმთავრეს ვალდებულებებს.

ამასთან დაკავშირებით, პროფესორმა ურსულა კრიზაუმის მიერ გამოითქვა მოსაზრება: საინვესტიციო სამართალში ადამიანის უფლებები გამოიყენება ზოგიერთი ფართოდ გავრცელებული პრინციპის განმარტებისას, მაგალითად, როგორცაა ლეგიტიმური მოლოდინი. შეუძლებელია არსებობდეს ლეგიტიმური მოლოდინი იქ, სადაც რაიმე ხორციელდება ადამიანის უფლებათა საწინააღმდეგოდ. მოსამართლე ბრუნო სიმამ გამოხატა მსგავსი პოზიცია. მისი მოსაზრებით, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ლეგიტიმური მოლოდინი უნდა განმარტოს მასპინძელი სახელმწიფოს ვალდებულებების საფუძველზე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. ინვესტორს ყოველთვის უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი, რომ სახელმწიფო პატივს სცემს თავის ვალდებულებებს ადამიანის უფლებებთან მიმართებით.⁴⁹⁵

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების პერსპექტივიდან სახელმწიფო ორმაგ საერთაშორისო ვალდებულებას ატარებს. ამიტომ, სახელმწიფოს ვალდებულებები გათვალისწინებულ უნდა იქნას ორივე სფეროსთან მიმართებით. ვენის კონვენციის 31 (3)(c)-ე მუხლის შესაბამისად, სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი უნდა განიმარტოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ლეგიტიმური ინტერესი უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებებს, რათა სახელმწიფოებმა შეასრულონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებები. ასევე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის განმარტება შესაძლოა პრობლემატური შეიქმნას, თუ ინვესტორის მოლოდინები ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს. ამგვარი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად

⁴⁹⁵ *Balcerzak F.*, *Investor – State Arbitration and Human Rights*, *International Studies in Human Rights*, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 173.

აუცილებელია განმარტება, თუ რას გულისხმობს ლეგიტიმური მოლოდინი იმის გათვალისწინებით, რაც მოთხოვნილია სახელმწიფოებისთვის ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებით.⁴⁹⁶

საინტერესოა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი საქმეზე *Hasham T.M. Al-Waraq v. Indonesia*⁴⁹⁷ კიდევ უფრო შორს წავიდა სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის განმარტებისას. დასახელებულ საქმეზე მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ერთი ნაწილი სრულად მიძღვნილია ადამიანის უფლებათა მნიშვნელობას⁴⁹⁸ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლთან⁴⁹⁹ (სასამართლოს წინაშე საქმის სამართლიანად განხილვის უფლება) მიმართებით. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მიუთითა, რომ მოსარჩელეზე არ გავრცელებულა სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტი, რაც განმტკიცებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.⁵⁰⁰

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან, ნათელია, თუ რამდენად დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის უფლებებს საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმის განმარტებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი დოკუმენტები და საინვესტიციო ხელშეკრულებები ერთმანეთის დამოუკიდებლად მოქმედებენ, აღნიშნული არ გამორიცხავს იმას, რომ ერთი მეორეზე გავლენას ახდენდეს. იქიდან გამომდინარე, რომ საინვესტიციო უფლებათა სტანდარტები პირდაპირ კავშირშია ადამიანის უფლებებთან, ამიტომ გამორიცხულია ადამიანის

⁴⁹⁶ *Balcerzak F.*, *Investor – State Arbitration and Human Rights*, *International Studies in Human Rights*, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 176.

⁴⁹⁷ *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Hesham T. M. Al Warraq v. Republic of Indonesia*, para. 521, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw4164.pdf>>, [08.02.2021].

⁴⁹⁸ *Balcerzak F.*, *Investor – State Arbitration and Human Rights*, *International Studies in Human Rights*, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 158.

⁴⁹⁹ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მიღების თარიღი: 16/12/1966, ძალაში შესვლის თარიღი: 23/03/1976, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

⁵⁰⁰ *Balcerzak F.*, *Investor – State Arbitration and Human Rights*, *International Studies in Human Rights*, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 158.

უფლებათა უგულებელყოფა. თუმცა, განსახილველ შემთხვევაშიც არბიტრებზეა დამოკიდებული უზრუნველყოს ისეთი ბალანსის შენარჩუნება, რომლის თანახმად, არც ზედმეტად განხორციელდება ადამიანის უფლებათა დოკუმენტების გათვალისწინება და არც ასევე მათი უარყოფა. ამასთან, მნიშვნელოვანია, არბიტრაჟმა გაითვალისწინოს, საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეები არიან თუ არა გამოსაყენებელი ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი შეთანხმების ხელშემკვრელი სახელმწიფოები. აღნიშნული ყურადსაღებია, რათა არბიტრებმა არ გადააჭარბონ თავიანთი მოქმედების ფარგლებს და ნორმა არ განმარტონ იმ პრინციპების შესაბამისად, რასაც სახელმწიფოები ერთხმად არ აღიარებენ.

VII. საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტების ძირითადი მეთოდები

1959 წელს უცხოური ინვესტიციების ხელშეკრულებით ექსკლუზიურად დარეგულირების შემდეგ 50 წლის განმავლობაში ხელშეკრულებები უმეტეს შემთხვევაში წარმოგვიდგებოდა დაახლოებით ათი ბუნდოვანი ნორმისგან. მაგრამ, ამასთან ერთად არსებობს თანამედროვე საინვესტიციო ხელშეკრულებები, რომლებიც შეიცავს უფრო ვრცელ, დეტალურ და დახვეწილ რეგულირებებს. ბოლო პერიოდის ხელშეკრულებათა უმეტესობა კვლავ მისდევს ხელშეკრულებათა თავდაპირველ მოდელს, მაგრამ ზოგიერთმა სახელმწიფომ შეიმუშავა ახალი მოდელები ნორმების განმარტებებთან დაკავშირებული სირთულეების თავიდან ასაცილებლად. 1990-იანი წლების შემდეგ საინვესტიციო ხელშეკრულებებმა მრავალი „რეალური ტესტი“ გაიარა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული დავის განმხილველი საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ. მრავალი ხელშეკრულება სრულად ან ხელშეკრულების რამდენიმე ნორმა უარყოფილ იქნა თავად სახელმწიფოების მიერ ან საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ, აგრეთვე, კრიტიკის საგანი გამხდარა პრაქტიკოსებისგან და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.⁵⁰¹

მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ საინვესტიციო ხელშეკრულებები განიმარტება მაღალჩინოსნებისა და ინვესტორების მიერ, აღნიშნული უნდა განიმარტებოდეს მთავრობის ოფიციალური პირების, იურისტების, კორპორაციების მმართველებისა და არბიტრების მიერ. მთავრობის მაღალჩინოსნებმა უნდა განმარტონ საინვესტიციო ხელშეკრულებები, რადგან მათ უნდა გადაწყვიტონ მათ მიერ გატარებული პოლიტიკა და განხორციელებული ქმედებები შეესაბამება თუ არა საინვესტიციო ხელშეკრულებებით ინვესტორებისთვის განსაზღვრულ ვალდებულებებს. კორპორაციების მმართველები და საბჭოს წევრები განმარტავენ საინვესტიციო ხელშეკრულებებს საინვესტიციო პროექტების დაგეგმვისას და მასპინძელ სახელმწიფოსთან ერთად წარსულ და სამომავლო საინვესტიციო რეჟიმის

⁵⁰¹ *Hai Yen T.*, *The Interpretation of Investment Treaties*, Vol. 7, Brill Nijhof, Leiden, Boston, 2014, 8.

განხილვისას. ხოლო, არბიტრები მათ განმარტავენ ინვესტორებსა და სახელმწიფოებს შორის დავის გადასაწყვეტად.⁵⁰²

საერთაშორისო ხელშეკრულების ბუნდოვანი ნორმების განმარტება ხშირად მოითხოვს დიდ ძალისხმევას. საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალებისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს პროგნოზირებადი განმარტებების შემოთავაზება. პროგნოზირებადობა ზრდის ნდობას. განსახილველ შემთხვევაში პროგნოზირებადობა გულისხმობას არა იმას, რომ მიღებული გადაწყვეტილება დავის მხარეთა მოლოდინებს შეესაბამება თუ არა, არამედ იმას თუ რამდენად სათანადოდ არის დასაბუთებული განმარტების საფუძვლები.⁵⁰³ ნებისმიერი ნორმის განმარტება მოითხოვს შემოქმედებით მიდგომას. ზოგიერთი წესი მოითხოვს განსაკუთრებულ დამუშავებას გამოსაყენებელი სამართლის შესაბამისად განსამარტად, ზოგიერთი კი - მარტივად განიმარტება. განმარტების გართულებული პროცესი განპირობებულია გადაწყვეტილების მიმღები ტრიბუნალის წევრთა განსხვავებული შეხედულებების გამო. მაგრამ, რაც მთავარია, ნორმის ყოველი განმარტება უნდა ეფუძნებოდეს სწორ და ადეკვატურ აღქმას.⁵⁰⁴

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტების მნიშვნელობა ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა. აღნიშნული ცოცხალი პროცესია, რომელიც დაუსრულებლად გრძელდება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განხვავებულ შინაარსს იძენს. უმეტეს შემთხვევაში სამართლებრივი საკითხები ლაკონურად არის დარეგულირებული.⁵⁰⁵ საინვესტიციო ხელშეკრულებები

⁵⁰² *Rubins N., Kinsella S.*, International Investment, Political Risk and Dispute Resolution, A Practitioner's Guide, Oceana Publications - A Division of Oxford University Press, New York, 2005, 405.

⁵⁰³ *Clasmier M.*, Arbitral Awards as Investments – Treaty Interpretation and the Dynamics of International Investment Law, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2017, 18.

⁵⁰⁴ *Medina C.*, The Role of International Tribunals: Law-Making or Creative Interpretation, in: *Shelton D.* (Editor), The Oxford Handbook of International Human Rights Law, Oxford University Press, Oxford, 2013, 650.

⁵⁰⁵ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 54.

იშვიათად შეიცავენ განმარტებით მითითებებს.⁵⁰⁶ ამიტომ, საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმების განმარტებისთვის უნდა არსებობდეს კრიტერიუმები და სტანდარტები. რაც უფრო აბსტრაქტულია ნორმა, მით უფრო მაღალია დავის გადამწყვეტი პირის მოქმედების თავისუფლების ხარისხი და შესაბამისად პასუხისმგებლობაც. ამიტომ, საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტების მეთოდების არსებობა უზრუნველყოფს ნორმის განმარტების გარკვეულ ფარგლებში მოქცევას.⁵⁰⁷

1. მოსამზადებელი სამუშაოები

საინვესტიციო ხელშეკრულების ბუნდოვანი ნორმების განმარტების პროცესში შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების გაფორმებამდე მხარეთა შორის წარმოებული მოლაპარაკებისას შედგენილმა მასალებმა. აღნიშნულს მოიხსენიებენ, როგორც *Travaux Préparatoires*, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს მოსამზადებელ სამუშაოებს. ეს უკანასკნელი როგორც განმარტების მეთოდი, გათვალისწინებულია ვენის კონვენციის 32-ე მუხლით. ეს ნორმა მოიაზრებს იმ მასალებს, რომელთა მეშვეობით პოტენციურად შესაძლებელია ხელშეკრულების მხარეთა მიზნების განსაზღვრა და შესაბამისად ხელშეკრულების ფარგლების დადგენა მხარეთა მიერ.⁵⁰⁸

⁵⁰⁶ *Gordon. K., Pohl J.*, Investment Treaties over Time - Treaty Practice and Interpretation in a Changing World, OECD Working Papers on International Investment, 2015/02, OECD Publishing, Paris, 2015, 23, <<https://www.oecd-ilibrary.org/docserver/5js7rhd8sq7h-en.pdf?expires=1612820463&id=id&accname=guest&checksum=25F1004FD4BCD9C28B3A655C9D6C2DB4>>, [09.02.2021].

⁵⁰⁷ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 55.

⁵⁰⁸ *Waibel M., Shirlow E.*, Using Travaux to Interpret Treaties: A Proposed Sliding Scale (May 4, 2020), British Yearbook of International Law, Forthcoming, Oxford University Press, Oxford, 2, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3537598>, [09.02.2021].

აღნიშნული ემსახურება ნორმის მნიშვნელობის განსაზღვრას, როდესაც ვენის კონვენციის 31-ე მუხლით განმარტება ორაზროვანს და გაურკვეველს ტოვებს მის მნიშვნელობას ან იწვევს აშკარა აბსურდულ ან არაგონივრულ შედეგებს. ე.ი. ვენის კონვენციის 32-ე მუხლით მოცემულია განმარტების დამატებითი საშუალებების გამოყენების შეზღუდული პირობები.⁵⁰⁹ სხვაგვარად რომ აღინიშნოს, იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პირველადი მეთოდების გამოყენებით ბუნდოვანი და აშკარად შეუსაბამო შედეგები იქნება მიღებული, რაც საჭიროებს დადასტურებას, მაშინ ნორმის განმარტებისას უნდა მიმართონ ვენის კონვენციის 32-ე მუხლს.⁵¹⁰ ამ უკანასკნელით კი შემოთავაზებულია განმარტების დამატებითი საშუალებები. მათ შორის, ხელშეკრულების მოსამზადებელი მასალები, როდესაც ხელშეკრულების ნორმები ბუნდოვანი და გაურკვეველია.⁵¹¹

მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებელი სამუშაოები წარმოადგენს განმარტების დამატებით საშუალებას, არ უნდა იქნას დაკნინებული მისი დამხმარე როლი განმარტების პროცესში. მათი საშუალებით შესაძლოა კონფლიქტური შინაარსის ზუსტი განმარტების განსაზღვრა.⁵¹² საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ ვენის კონვენციის განხილვისას, მოსამართლე ჰერმ ლაუტერპრახტმა აღნიშნა, რომ მხარეთა ნების განსაზღვრის გარეშე ნორმის განმარტება არასასურველი შედეგის მომტანი იქნება. მისი მოსაზრებით, ნორმის ჩვეულებრივი მნიშვნელობა შეიძლება საცილო გახდეს ნორმის შინაარსის, მიზნის და საგნის გათვალისწინების მიუხედავად.

⁵⁰⁹ *Clasmier M.*, *Arbitral Awards as Investments – Treaty Interpretation and the Dynamics of International Investment Law*, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2017, 16.

⁵¹⁰ *Kaufmann-Kohler G.*, *Interpretation of Treaties: How Do Arbitral Tribunals Interpret Dispute Settlement Provisions Embodied in Investment Treaties*, in: *Mistelis L., Lew J.* (Editors), *Pervasive Problems in International Arbitration*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2006, 258.

⁵¹¹ *Venzke I.*, *Sources in Interpretation Theories – The International Law-Making Process*, in: *Besson S., d’Aspremont J., Knuchel S.* (Editors), *The Oxford Handbook on the Sources of International Law*, Oxford University Press, Oxford, 2017, 412.

⁵¹² *Clasmier M.*, *Arbitral Awards as Investments – Treaty Interpretation and the Dynamics of International Investment Law*, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2017, 16.

მისი შეხედულებით, განმარტებისას უფრო მეტი ყურადღება შესაძლებელია დაეთმოს მოსამზადებელი სამუშაოების მასალებს.⁵¹³

განსახილველი მეთოდის გამოყენების პრობლემას წარმოადგენს იერარქიის დაცვა ვენის კონვენციის 31-ე და 32-ე მუხლებს შორის. კონვენციის 31-ე მუხლი მოიაზრებს განმარტების ზოგად მეთოდს, ხოლო 32-ე მუხლი - დამატებით საშუალებებს. პრაქტიკის თანახმად, ნორმის განმარტება უნდა დაიწყოს ზოგადი წესის საფუძველზე. ეს გულისხმობს ნორმის ტექსტუალურ, შინაარსობრივ და ტელეოლოგიურ განმარტებას.

განმარტების დამატებითი საშუალებების გამოყენება, რომელიც მოიაზრებს ხელშეკრულების მოსამზადებელ მასალებსაც, დაშვებულია მხოლოდ შეზღუდული წინაპირობების არსებობისას. დამატებითი საშუალებების გამოყენება ყოველთვის ნებადართულია, თუ განმარტების ზოგადი წესი ორაზროვანს და გაურკვეველს ტოვებს მის მნიშვნელობას, ან იწვევს აშკარა აბსურდულ ან არაგონივრულ შედეგებს. მაგრამ, აღნიშნული ტრადიციული მიდგომა მრავალმა ავტორმა გააკრიტიკა. მათი შეხედულებით, ვენის კონვენცია მკაცრად არ განსაზღვრავს იერარქიას განმარტების ზოგად წესსა და განმარტების დამატებით საშუალებებს შორის.

დავის საგანს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც განმარტების ზოგადი წესის შედეგად ნორმის შინაარსი მკაფიოდ განისაზღვრება, მაგრამ დამატებითი საშუალებების გამოყენებას სხვა განსხვავებულ შედეგამდე მივყავართ. ამ შემთხვევაში დასადგენია, რომელი მიდგომაა უმჯობესი. წინამდებარე შემთხვევაში, ტრადიციული მიდგომის მხარდამჭერები ამჯობინებენ, რომ არბიტრაჟმა არ გამოიყენოს დამატებითი საშუალებები, ხოლო ოპონენტები - პირიქით.

იერარქიული მიდგომის ნორმატიული საფუძველი განპირობებულია ორი მთავარი საკითხით. პირველი პრობლემა დაკავშირებულია მოსამზადებელი სამუშაოების გამოყენების სანდოობასთან ხელშეკრულების მხარეთა მიზნების

⁵¹³ *Venzke I.*, Sources in Interpretation Theories – The International Law-Making Process, in: *Besson S., d'Aspremont J., Knuchel S.* (Editors), *The Oxford Handbook on the Sources of International Law*, Oxford University Press, Oxford, 2017, 413.

დასადგენად.⁵¹⁴ საინვესტიციო ტრიბუნალები აწყდებიან ორ სირთულეს მოსამზადებელი სამუშაოების გამოყენებისას. კერძოდ, მოსამზადებელი მასალების მოკვლევა და მისი გამოყენების რეგულირება საარბიტრაჟო წარმოებისას. აგრეთვე, საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა შესაძლოა შეცდომა დაუშვან მოსამზადებელი მასალების ანალიზის საფუძველზე.⁵¹⁵ მეორე საკითხია ხელშეკრულების მიზნის განსაზღვრა. შესაბამისად, ტრადიციული მიდგომის მომხრეები აღნიშნავენ, რომ დამატებითი საშუალებების გამოყენება წარმოშობს ეჭვს მაშინ, როცა მოწინააღმდეგეების შეხედულებით, მოსამზადებელი მასალები მტკიცებით როლს ასრულებს. ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომ მხარეთა მიზნების დადგენა შესაძლოა არც წარმოადგენდეს ხელშეკრულების განმარტების მიზანს. მაგალითად, თუ საკითხი ეხება ადამიანის უფლებებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მოსამზადებელ სამუშაოებს მნიშვნელოვანი როლი არ ენიჭება.⁵¹⁶

მიუხედავად არსებული მიდგომებისა, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ პრაქტიკაში მოსამზადებელი მასალების გამოყენება შესაძლებელია მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. მაგალითად, ვაშინგტონის კონვენციის შექმნის ისტორია დაწვრილებით არის დოკუმენტირებული, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია. შესაბამისად, ვაშინგტონის საინვესტიციო დავების განმხილველი ცენტრის არბიტრაჟი ხშირად იყენებს კონვენციის მოსამზადებელ მასალებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დასახელებულ პროცესს საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ფარგლებში ვერ იყენებენ,⁵¹⁷ ობიექტური გარემოებების

⁵¹⁴ *Noah T., Shereshevsky Y.*, Does Exposure to Preparatory Work Affect Treaty Interpretation? An Experimental Study on International Law Students and Experts, *The European Journal of International Law*, Vol. 28, No. 4, Oxford University Press, Oxford, 2018, 1289.

⁵¹⁵ *Waibel M., Shirlow E.*, Using Travaux to Interpret Treaties: A Proposed Sliding Scale (May 4, 2020), *British Yearbook of International Law*, Forthcoming, Oxford University Press, Oxford, 4, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3537598>, [09.02.2021].

⁵¹⁶ *Noah T., Shereshevsky Y.*, Does Exposure to Preparatory Work Affect Treaty Interpretation? An Experimental Study on International Law Students and Experts, *The European Journal of International Law*, Vol. 28, No. 4, Oxford University Press, Oxford, 2018, 1289.

⁵¹⁷ *Clasmier M.*, *Arbitral Awards as Investments – Treaty Interpretation and the Dynamics of International Investment Law*, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2017, 16.

გამო. მაგალითად, საქმეზე *Aguas del Tunari, S.A. v. Republic of Bolivia*⁵¹⁸ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განმარტა, რომ დოკუმენტების ნაკლებობა ართულებს ნორმის განმარტების პროცესს.⁵¹⁹ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული მოლაპარაკების პროცესი, ან საერთოდ არ არის წერილობით დოკუმენტირებული, ან მხოლოდ მცირედი მასალა არის ხელმისაწვდომი. აქედან გამომდინარე, საარბიტრაჟო ტრიბუნალებს ჩვეულებრივ არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ დაეყრდნონ მოსამზადებელ მასალებს ნორმის განმარტებისას.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება იკავებს განსხვავებულ პოზიციას. მრავალი წლის განმავლობაში მოლაპარაკების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია არ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი. აღნიშნული უკმაყოფილებას იწვევდა დავის მონაწილეთა არათანაბარი მდგომარეობის გამო. ეს იმით იყო განპირობებული, რომ მოპასუხე სახელმწიფოს გააჩნდა ხელმისაწვდომობა აღნიშნულ მასალებთან, ხოლო მოსარჩელე ინვესტორი მოკლებული იყო ამ შესაძლებლობას. 2004 წლის ივლისში NAFTA-ს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ კომისიამ გამოაცხადა, რომ ხელმისაწვდომია შეთანხმების მე-11 თავის ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე მოლაპარაკების ისტორია.

საარბიტრაჟო ტრიბუნალმა საქმეზე *Methanex v. United States*⁵²⁰ ყურადღება გაამახვილა NAFTA-ს გაფორმების შესახებ მოლაპარაკებების წარმოებაზე ვენის კონვენციის 32-ე მუხლის ჭრილში: „32-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნულ მუხლს დამატებითი დამხმარე ფუნქცია შესაძლებელია გააჩნდეს მხოლოდ შეზღუდულ

⁵¹⁸ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე *Aguas del Tunari, S.A. v. Republic of Bolivia*, ICSID Case No. ARB/02/3, paras. 260-263, <https://arbitrationlaw.com/sites/default/files/free_pdfs/Aguas%20del%20Tunari%20-Objections%20to%20Jurisdiction.pdf>, [09.02.2021].

⁵¹⁹ *Clasmier M.*, *Arbitral Awards as Investments – Treaty Interpretation and the Dynamics of International Investment Law*, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2017, 17.

⁵²⁰ *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2005 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Methanex Corporation v. United States of America*, para. 22, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0529.pdf>>, [09.02.2021].

განსაზღვრულ შემთხვევებში. ვენის კონვენციის თანახმად, ყოველთვის უწინარესია მხარეთა თავდაპირველი განზრახვა და მისი განმარტება, ვიდრე მხარეთა სავარაუდო განზრახვების ფართო სპექტრის ძიება”.⁵²¹ ე.ი. ტრიბუნალის შეხედულებით, ხელშეკრულების მოსამზადებელი მასალები ყველა შემთხვევაში არ უნდა წარმოადგენდეს განმარტების პროცესის შემადგენელ ნაწილს, რადგან აღნიშნულის გამოყენებამ შესაძლოა უფრო ქაოტურ მდგომარეობამდე მიიყვანოს განმარტების პროცესი.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ არბიტრები როდესაც ცდილობენ ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოების განზრახვის დადგენას, მოსამზადებელმა სამუშაომ შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საკითხის უკეთ შესასწავლად.⁵²² თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ნორმის განმარტების პროცესი მაქსიმალურად უნდა იყოს დაბალანსებული, ამიტომ პრაქტიკული და ობიექტური შეფასების საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ იერარქიული მიდგომა მეტ მხარდაჭერას იმსახურებს. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილების ფარგლები ხშირად წარმოადგენს განხილვის საგანს. მათ მიერ 32-ე მუხლით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენება ნებისმიერი გარემოებისას კი, კიდევ უფრო გაზრდის ტრიბუნალის მიერ ნორმის ფართოდ განმარტების რისკს და პროცესს უფრო გაართულებს.

ტრიბუნალის მიერ ნორმის განმარტებისას ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ბალანსის შენარჩუნება - ერთი მხრივ, სახელწიფოს დისკრეციაში ზედმეტად ჩაურევლობასა და, მეორე მხრივ, უცხოელი ინვესტორის ინტერესების სამართლიან დაცვას შორის. აგრეთვე, არბიტრაჟის ანაციონალური ბუნებიდან გამომდინარე არ არსებობს პრეცედენტულობა ან ნორმის განმარტების საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტები, რაც არბიტრაჟს ფართო დისკრეციის საშუალებას არ მისცემდა და გადაწყვეტილებათა თანმიმდევრულობას მისცემდა დასაბამს.

⁵²¹ *Dolzer R., Schreuer Ch., Principles of International Investment Law, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2012, 31.*

⁵²² *Clasmier M., Arbitral Awards as Investments – Treaty Interpretation and the Dynamics of International Investment Law, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2017, 17.*

შესაბამისად, ტრიბუნალის მიერ შეზღუდული და თანმიმდევრული განმარტების პროცესი დასახელებულ რისკს თავიდან ააცილებს დავის მხარეებს.

2. პრეცედენტული სამართლის გავლენა საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებაზე

უმრავლესი საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების საჯაროობის (კომერციულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით) შედეგია ის, რომ პრეცედენტი საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტების ერთ-ერთ მეთოდად გვევლინება. ადვილად შესამჩნევია ის ფაქტი, რომ საინვესტიციო დავის განმხილველი ტრიბუნალები ხშირად ეყრდნობიან სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ მოცემულ დასაბუთებებს საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებისას.

როგორც საერთაშორისო სამართლის დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმებისას არ გამოიყენება პრეცედენტული სამართალი, ისე საინვესტიციო საარბიტრაჟო დავაშიც ოფიციალურად არ არის აღიარებული და დადგენილი პრეცედენტის სავალდებულოდ გამოყენება. მიუხედავად აღნიშნულისა, საინვესტიციო საარბიტრაჟო ტრიბუნალები ხშირად მიჰყვებიან მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების პრაქტიკას. ამის შედეგად კი იქმნება დე ფაქტო პრეცედენტული სამართალი ან სხვაგვარად რომ ვუწოდოთ *jurisprudence constante*.

აქედან გამომდინარე, საინვესტიციო ტრიბუნალები ხშირად აღნიშნავენ, რომ არ აკისრიათ პრეცედენტის გათვალისწინების ვალდებულება. მიუხედავად ამისა, გამოხატავენ სურვილს გაითვალისწინონ საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.⁵²³ მაგალითად, საქმეზე *Amco Asia Corporation and*

⁵²³ *Reinisch A.*, The Interpretation of International Investment Agreements, in: *Bungeberg M., Griebel J., Hobe S., Reinisch A.* (Editors), *International Investment Law*, C.H.Beck/Hart/Nomos, London, 2015, 408.

others v. Republic of Indonesia,⁵²⁴ *Ad hoc* ტრიბუნალმა აღნიშნა: „ICSID-ის საარბიტრაჟო სისტემაში პრეცედენტის გამოყენების შესახებ შესაბამისი ნორმის არარსებობა საქმის განმხილველ *Ad hoc* ტრიბუნალს არ უშლის ხელს გაიზიაროს⁵²⁵ საქმეზე *Klöckner Industrie-Anlagen GmbH and others v. United Republic of Cameroon and Société Camerounaise des Engrais*⁵²⁶ მიღებულ გადაწყვეტილებაში მოცემული განმარტება“. კერძოდ, გაზიარებულია პოზიცია, რომ ვაშინგტონის კონვენციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით (რომლის მიხედვით შესაძლებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა), მიღებული გადაწყვეტილების სისწორე კი არ უნდა შეფასდეს, არამედ უნდა დადგინდეს, ვლინდება თუ არა ტრიბუნალის მიერ ძალაუფლების გადაჭარბება.

აღნიშნულის მსგავსად, სხვა ტრიბუნალებმაც აღნიშნეს პრეცედენტის მნიშვნელობა, მაგრამ როგორც დამხმარე საშუალება ნორმის განმარტებისთვის. საინვესტიციო საარბიტრაჟო ტრიბუნალები ხშირად ხსნიან პრეცედენტის გამოყენებას იმით, რომ აღნიშნული უზრუნველყოფს საინვესტიციო არბიტრაჟში პროგნოზირებადობასა და დამაჯერებლობას.⁵²⁷

განსახილველი საკითხის გამოხატულება ნათლად ჩანს საქმეში *Suez, Sociedad General de Aguas de Barcelona S.A. and InterAgua Servicios Integrales del Agua S.A. v.*

⁵²⁴ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 1992 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Amco Asia Corporation and others v. Republic of Indonesia*, ICSID Case No. ARB/81/1, para. 9.01-9.04, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw8887.pdf>>, [10.02.2021].

⁵²⁵ *Reinisch A.*, The Interpretation of International Investment Agreements, in: *Bungeberg M., Griebel J., Hobe S., Reinisch A.* (Editors), *International Investment Law*, C.H.Beck/Hart/Nomos, 2015, 408.

⁵²⁶ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 1983 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Klöckner Industrie-Anlagen GmbH and others v. United Republic of Cameroon and Société Camerounaise des Engrais*, ICSID Case No. ARB/81/2, paras. 4-54, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw11161.pdf>>, [10.02.2021].

⁵²⁷ *Reinisch A.*, The Interpretation of International Investment Agreements, in: *Bungeberg M., Griebel J., Hobe S., Reinisch A.* (Editors), *International Investment Law*, C.H.Beck/Hart/Nomos, London, 2015, 408.

Argentina.⁵²⁸ აღნიშნულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში პრეცედენტი გამოყენებულია ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის პრინციპის განსამართლად. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საინვესტიციო სამართლის პრეცედენტი წარმოადგენს განმარტების დამატებით საშუალებას საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს სტატუტის 38 (1) (d)-ე მუხლის შესაბამისად.⁵²⁹ ამ უკანასკნელის თანახმად, სასამართლო რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ არის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი სხვა სასამართლო ტრიბუნალის მიერ.⁵³⁰

სადავო საკითხია, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგნოზირებადი და ფართოდ აღიარებული საინვესტიციო პრინციპები მაშინ, როდესაც არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების პრეცედენტულობის არაფორმალური რეჟიმი. საინვესტიციო არბიტრაჟში ვერ გამოიყენება ოფიციალურად აღიარებული პრეცედენტული სისტემა რამდენიმე მიზეზის გამო.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნია, რომ საინვესტიციო ხელშეკრულებები გარკვეულ შემთხვევებში მსგავსია და ზოგჯერ - იდენტურიც, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ამგვარად არ არის წარმოდგენილი. საინვესტიციო ხელშეკრულებების სხვადასხვა მიზანსა და ტექსტების მრავალგვარ ფორმულირებას მივყავართ განსხვავებულ შედეგამდე. ამგვარი მოცემულობის გათვალისწინებით, შესაძლებელია მხოლოდ ე.წ. „მინი-სისტემის შექმნა“, რომელიც იქნება სახელმძღვანელო პრინციპები ინდივიდუალური კონტრაქტების დასადებად. მაგალითად, მრავალმა საარბიტრაჟო

⁵²⁸ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Suez, Sociedad General de Aguas de Barcelona S.A., and InterAguas Servicios Integrales del Agua S.A. v. The Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/03/17, para. 178, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0813.pdf>>, [10.02.2021].

⁵²⁹ *Reinisch A.*, The Interpretation of International Investment Agreements, in: *Bungeberg M., Griebel J., Hobe S., Reinisch A.* (Editors), *International Investment Law*, C.H.Beck/Hart/Nomos, London, 2015, 409.

⁵³⁰ Statute of the International Court of Justice, მიღების თარიღი: 23/07/1963, ძალაში შესვლის თარიღი: 31/08/1965, <<https://www.icj-cij.org/en/statute>>, [10.02.2021].

ტრიბუნალმა დავის გადაწყვეტისას გამოიყენა NAFTA-ს მე-11 თავი (ინვესტიციების მარეგულირებელი თავი), რომლის თანახმად, დავის მხარეებზე იგივე უფლებები ვრცელდება.⁵³¹

განსახილველი პრობლემატიკის კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს საარბიტრაჟო ტრიბუნალთა გარკვეული იერარქია.⁵³² *Ad hoc* ტრიბუნალი როდესაც განიხილავს დავას, რთულია პრეცედენტის ჩამოყალიბება, ვიდრე ეს შესაძლებელია, მაგალითად, საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემთხვევაში.⁵³³ ამასთან, საინვესტიციო საარბიტრაჟო სააპელაციო ორგანოს ფუნქციონირებაც კი არ იქნება ეფექტური შედეგის მომტანი. მართლაც, პრეცედენტული სისტემის შესაქმნელად დეცენტრალიზებული საინვესტიციო საარბიტრაჟო ორგანოს დაფუძნება არ არის გამართლებული. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს საარბიტრაჟო სამართალში აღიარებული საკანონმდებლო იერარქია. ამასთან, საინვესტიო ხელშეკრულებების ტექსტი და ვალდებულებები სხვადასხვაგვარად არის მოცემული.

⁵³¹ *Bjorklind K.A.*, Investment Treaty Arbitral Decisions as Jurisprudence Constante, in: *Picker B.C., Bunn D.I., Arner W.D.* (Editors), International Economic Law, Hart Publishing, London, 2008, 270.

⁵³² იმ სახელმწიფოთა სისტემაში, სადაც აღიარებულია გადაწყვეტილებათა პრეცედენტულობა, იქ არსებობს ოფიციალურად დადგენილი წესები ან მიდგომები, თუ რომელი გადაწყვეტილებაა სავალდებულოდ გასათვალისწინებელი და რომელი უფრო ნაკლებად (რომლებიც ნაკლებად სარწმუნოა). მაგალითად, აშშ-ს ფედერალური ოლქის მოსამართლე ვალდებულია, რომ გაითვალისწინოს თავისივე ოლქის სააპელაციო სასამართლოსა და აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. აშშ-ს ფედერალური ოლქების სხვა სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი და მათ გააჩნიათ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი და ფედერალური სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებიც კი ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს. წყარო: *Bjorklind K.A.*, Investment Treaty Arbitral Decisions as Jurisprudence Constante, in: *Picker B.C., Bunn D.I., Arner W.D.* (Editors), International Economic Law, Hart Publishing, London, 2008, 270.

⁵³³ *Dolzer R., Schreuer Ch.*, Principles of International Investment Law, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2012, 33-34.

მიუხედავად ამისა, არსებობს შემთხვევები, როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებში შესწორებები განხორციელებულა. მაგალითად, არბიტრაჟები, რომლებიც მოქმედებენ ვაშინგტონის კონვენციის შესაბამისად, შესაძლებელია მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმება (მაგალითად, საარბიტრაჟო პროცესები, რომლებიც ვაშინგტონის კონვენციის მიხედვით წარიმართა და წარმოშვა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები). თუმცა, გადაწყვეტილებების გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ შეზღუდული საფუძვლებით. ICSID ტრიბუნალს არ გააჩნია იმის უფლებამოსილება, რომ დავის თავდაპირველად განმხილველი ტრიბუნალის მიერ გამოკვლეული საქმის გარემოებები გადასინჯოს. შესაბამისად, არბიტრებს არ გააჩნიათ იმის შესაძლებლობა, შეცვალონ გამოსაყენებელი სამართალი ან გამოყენებული ნორმების შინაარსი.⁵³⁴

ნორმის განმარტებისთვის პრეცედენტის როლის გასაზრდელად საერთაშორისო საზოგადოებაში რამდენიმე გარემოებაა გასათვალისწინებელი. აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის უმთავრესი წინაპირობაა, რომ საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავებში განუწყვეტლივ გრძელდებოდეს ნორმის გამჭვირვალობის განვითარება. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება არ იქნება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი, მაშინ მისი გავლენაც ვერ იქნება სათანადო. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საჯაროობა კიდევ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს არბიტრებისათვის საშუალებას, რათა გაიზიარონ სხვა ტრიბუნალების მიერ გამოხატული განმარტებები ან განასხვავონ ისინი ერთმანეთისგან. ამას გარდა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საჯაროობის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ისინი გამოიყენონ საერთაშორისო საჯარო სამართლის სპეციალისტებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავიანთი საკანონმდებლო პროექტების ჰარმონიზაციისთვის. არბიტრები და საერთაშორისო საჯარო სამართლის სპეციალისტები უნდა შეთანხმდნენ საჭიროების შემთხვევაში, რომელი გადაწყვეტილება იქნება ღირებული გამოსაყენებლად (როგორც პრეცედენტი).

⁵³⁴ *Bjorklind K.A.*, Investment Treaty Arbitral Decisions as Jurisprudence Constante, in: *Pickier B.C., Bunn D.I., Arner W.D.* (Editors), International Economic Law, Hart Publishing, London, 2008, 270-271.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საჯარო ხელმისაწვდომობა წარმოადგენს მთავარ გასაღებს პრეცედენტული სისტემის განვითარებისთვის. ინვესტორების ინტერესის სფეროს წარმოადგენს: რა მასშტაბით განიმარტება საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მათი დაცვის მექანიზმები; ეფექტურია თუ არა აღნიშნული ნორმები ინვესტორების ინტერესებისა და უფლებებების დასაცავად.

მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საჯაროობას მრავალი დადებითი მახასიათებელი გააჩნია, განსახილველ შემთხვევაში წარმოიშობა რამდენიმე პრობლემა.⁵³⁵ უპირველეს ყოვლისა, ვერ უგულებელვყოფთ არბიტრაჟის ერთ-ერთ მთავარ დადებით მახასიათებელს - კონფიდენციალურობას. აღნიშნული მხარეებისთვის მიმზიდველია, რადგან მათ შორის განხილული დავა არ არის საჯარო განხილვის საგანი და სახელმწიფოსთვის საერთაშორისო არენაზე რეპუტაციის დაცვის ხელსაყრელი საშუალებაა. შესაბამისად, მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, ნაკლებსავარაუდოა რომ მათთვის სასურველი იყოს გადაწყვეტილების საჯაროობა.

ამას გარდა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ გადაწყვეტილების საჯაროობისას ტრიბუნალებმა ნებისმიერ სადავო საკითხთან დაკავშირებით უნდა შეისწავლონ მრავალი საქმე და გაანალიზონ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები. ამ უკანასკნელის გამო კი, არბიტრები იძულებული არიან დაწერონ საკმაოდ მოცულობითი გადაწყვეტილებები. მიუხედავად ამისა, არბიტრებისთვის უნდა არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ არ გაითვალისწინონ არასიღრმისეული შეფასების შედეგად მიღებული და ნაკლებად კვალიფიციური გადაწყვეტილებები. ამ შემთხვევაში სირთულეს წარმოადგენს რა უნდა განისაზღვროს სამაგალითოდ სამართლებრივი სისტემისთვის, როგორც სანდო პრეცედენტი. მაგალითად, საქმეზე *Methanex Corp. (Can) v. United States* დაეყრდნო UNCITRAL-ის წესებს, მაგრამ ასევე იხელმძღვანელა ირანსა და აშშ-ს შორის არსებულ დავებზე მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკით და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სააპელაციო ორგანოს პრაქტიკით.⁵³⁶

⁵³⁵ *Bjorklind K.A.*, Investment Treaty Arbitral Decisions as Jurisprudence Constante, in: *Picker B.C., Bunn D.I., Arner W.D.* (Editors), International Economic Law, Hart Publishing, London, 2008, 275.

⁵³⁶ *Bjorklind K.A.*, Investment Treaty Arbitral Decisions as Jurisprudence Constante, in: *Picker B.C., Bunn D.I., Arner W.D.* (Editors), International Economic Law, Hart Publishing, London, 2008, 275.

არსებობს საინვესტიციო საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ მიღებული რამდენიმე უახლესი გადაწყვეტილება, რომლებზეც უთითებენ სხვა ტრიბუნალები. აღნიშნული გადაწყვეტილებები ჩამოყალიბდა სტანდარტად, რომელიც უნდა გაიზიარონ სხვა ტრიბუნალებმა.⁵³⁷ მაგალითად შესაძლებელია დასახელდეს საქმე *Mondev International Ltd. v. United States of America*,⁵³⁸ სადაც საარბიტრაჟო ტრიბუნალმა განახლებული განმარტება განავითარა მართლმსაჯულებაზე უარის თქმის შესახებ, როგორც საერთაშორისო მინიმალური მოპყრობის სტანდარტის შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული მრავალი საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ იქნა გაზიარებული.⁵³⁹ ასევე, საქმეზე *Técnicas Medioambientales Tecmed, SA (Spain) v Mexico*⁵⁴⁰ მიღებული გადაწყვეტილება, სადაც განმარტებულია ექსპროპრიაციის განხორციელების პროცედურული რეგულირება, გაზიარებულია მრავალი სხვა ტრიბუნალის მიერ.

პროცედურული განმარტების თვალსაზრისით,⁵⁴¹ საინტერესო საქმეა *Methanex Corp. (Can) v. United States*.⁵⁴² მიღებულ გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ

⁵³⁷ *Bjorklind K.A.*, Investment Treaty Arbitral Decisions as Jurisprudence Constante, in: *Picker B.C., Bunn D.I., Arner W.D.* (Editors), International Economic Law, Hart Publishing, London, 2008, 274.

⁵³⁸ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2002 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Mondev International Ltd. v. United States of America*, ICSID Case No. ARB(AF)/99/2, paras. 126-127, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita1076.pdf>>, [10.02.2021].

⁵³⁹ *Bjorklind K.A.*, Investment Treaty Arbitral Decisions as Jurisprudence Constante, in: *Picker B.C., Bunn D.I., Arner W.D.* (Editors), International Economic Law, Hart Publishing, London, 2008, 274.

⁵⁴⁰ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2003 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *Técnicas Medioambientales Tecmed, S.A. v. The United Mexican States*, Case No. ARB (AF)/00/2, paras. 95-151, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0854.pdf>>, [10.02.2021].

⁵⁴¹ *Bjorklind K.A.*, Investment Treaty Arbitral Decisions as Jurisprudence Constante, in: *Picker B.C., Bunn D.I., Arner W.D.* (Editors), International Economic Law, Hart Publishing, London, 2008, 274.

⁵⁴² *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2005 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Methanex Corporation v. United States of America*, paras. 26-30, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0529.pdf>>, [10.02.2021].

ტრიბუნალს გააჩნია უფლებამოსილება, ნება დართოს დაინტერესებულ მხარეებს მონაწილეობა მიიღონ, როგორც *amici curiae*.⁵⁴³ ეს უკანასკნელი მიდგომა გაზიარებულია *United Parcel Svc of Am Inc (US) v. Canada*⁵⁴⁴ და *Suez, Sociedad General de Aguas de Barcelona S.A., and InterAguas Servicios Integrales del Agua S.A. v. The Argentine Republic*⁵⁴⁵ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში.

მიუხედავად იმისა, რომ ტრიბუნალები ითვალისწინებენ პრეცედენტს, ყოველთვის აღნიშნავენ, რომ ისინი არ არიან შეზღუდული პრეცედენტით.⁵⁴⁶ საქმეზე *AES v. Argentina*⁵⁴⁷ ტრიბუნალმა განიხილა ვრცლად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების პრეცედენტულობის მნიშვნელობა. აღნიშნა, რომ ICSID-ის მიერ საარბიტრაჟო განხილვისას სავალდებულო გადაწყვეტილებას წარმოადგენს მხოლოდ მხარეთა შორის არსებულ დავაზე მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება. აქამდე არ არსებობს საერთაშორისო სამართალში და არც ICSID-ის სისტემაში პრეცედენტთან დაკავშირებული რაიმე დამკვიდრებული წესი. მაგრამ, ამასთან, ტრიბუნალმა ხაზი გაუსვა მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინების მნიშვნელობას. ტრიბუნალის განმარტებით, მიუხედავად საარბიტრაჟო ტრიბუნალების

⁵⁴³ *Bjorklind K.A.*, Investment Treaty Arbitral Decisions as Jurisprudence Constante, in: *Picker B.C., Bunn D.I., Arner W.D.* (Editors), International Economic Law, Hart Publishing, London, 2008, 274.

⁵⁴⁴ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *United Parcel Service of America Inc. v. Government of Canada*, ICSID Case No. UNCT/02/1, para. 3, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0885.pdf>>, [10.02.2021].

⁵⁴⁵ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2006 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე, ICSID Case No. ARB/03/17, para. 14, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0807.pdf>>, [10.02.2021].

⁵⁴⁶ *Dolzer R., Schreuer Ch.*, Principles of International Investment Law, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2012, 34.

⁵⁴⁷ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ, საქმეზე *AES Corporation v. The Argentine Republic*, ICSID Case No. ARB/02/17, paras. 17-33, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0011.pdf>>, [10.02.2021].

თავისუფლებისა, ერთსა და იმავე სამართლებრივ სისტემაში მიღებული გადაწყვეტილება მსგავს საკითხთან დაკავშირებით სულ მცირე უნდა განიხილებოდეს გადაწყვეტილების მიღებისას. მაგალითად, არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, სადაც აღნიშნულია, რომ მათ საორიენტაციოდ მიმართეს ადრინდელ გადაწყვეტილებებს, თუმცა არ იზიარებენ მათ განმარტებებს.⁵⁴⁸

ყურადსაღები მიდგომა განავითარა არბიტრაჟმა საქმეზე *Saipem S.p.A. v. The People's Republic of Bangladesh*.⁵⁴⁹ ტრიბუნალმა თავის ვალდებულებად მიიჩნია ჰარმონიული სამართლებრივი სისტემის განვითარება. განიმარტა, რომ მიუხედავად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების პრეცედენტულობის არასავალდებულოობისა, ტრიბუნალებმა უნდა გაითვალისწინონ საერთაშორისო არბიტრაჟის პრაქტიკა. აღნიშნულია, რომ საინვესტიციო დავებზე ტრიბუნალებს გააჩნიათ ვალდებულება განავითარონ ჰარმონიული პრეცედენტული სამართალი, რათა გამართლდეს სახელმწიფოთა და ინვესტორთა ლეგიტიმური მოლოდინი.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული გადაწყვეტილებების გაზიარება წარმოადგენს ჩვეულ პროცესს თანმიმდევრული პრაქტიკის არსებობისთვის. გამოცდილების გაზიარება ასრულებს მნიშვნელოვან როლს ერთიანი და სტაბილური სამართლებრივი სისტემის ჩამოსაყალიბებლად. თანმიმდევრული სამართლებრივი სისტემა აძლიერებს გადაწყვეტილებათა პროგნოზირებადობასა და ავტორიტეტს.⁵⁵⁰ როგორც ჩანს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პრეცედენტულობას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია თანმიმდევრული და კარგი პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პროცესს ხელს უწყობს საინვესტიციო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების საჯაროობა, განმარტების

⁵⁴⁸ *Dolzer R., Schreuer Ch., Principles of International Investment Law, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2012, 34.*

⁵⁴⁹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Saipem S.p.A. v. The People's Republic of Bangladesh*, ICSID Case No. ARB/05/07, para. 90, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0734.pdf>>, [10.02.2021].

⁵⁵⁰ *Dolzer R., Schreuer Ch., Principles of International Investment Law, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2012, 33-34.*

პროცესში მისი როლის ზრდისთვის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს არბიტრაჟის ანაციონალური ბუნება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პრეცედენტულობის არასავალდებულოობა და მხარეთა ინტერესი საარბიტრაჟო პროცესის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით.

3. საარბიტრაჟო დავის არამონაწილე სახელმწიფოს გავლენა საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებაზე

უცხოური ინვესტიციების შესახებ რეგულირება, საერთაშორისო სამართლის სხვა სფეროებისგან განსხვავებით, უმეტესწილად არ არის თავმოყრილი მრავალმხრივ ხელშეკრულებებში.⁵⁵¹ შესაბამისად, ტრიბუნალებს უწევთ მრავალი ხელშეკრულების იმ ნორმის განმარტება, რომელიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს დავის არამონაწილე მხარეზე.⁵⁵² საინვესტიციო საარბიტრაჟო დავის მახასიათებელია ის გარემოება, რომ საინვესტიციო ხელშეკრულების ხელშემკვრელი რომელიმე სახელმწიფო არ წარმოადგენს დავის მხარეს.⁵⁵³ (იმ იშვიათი შემთხვევების გარდა, როდესაც დავა მიმდინარეობს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის). დავის არამონაწილე მხარის ჩართულობის მნიშვნელობა განსაკუთრებით

⁵⁵¹ *Mitchell D.A., Munro J., Someone Else's Deal: Interpreting International Investment Agreements in the Light of Third-Party Agreements, The European Journal of International Law, Vol. 28, No. 3, Oxford University Press, Oxford, 2017, 672.*

⁵⁵² ამ შემთხვევაში იგულისხმება ძირითადად გარემოება, როდესაც დავის მონაწილე ინვესტორის სახელმწიფოს მიერ ხორციელდება პოზიციის წარდგენა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების საფუძველზე. ან მრავალმხრივი ხელშეკრულებებისას შესაძლოა, რომ ინვესტორის სახელმწიფოს გარდა, პოზიცია ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით წარადგინოს ხელშეკრულების სხვა მონაწილე სახელმწიფომაც.

⁵⁵³ *Sureda A.R., Investment Treaty Arbitration – Judging under Uncertainty, Cambridge University Press, Cambridge, 2012, 36.*

მაშინ იკვეთება, როდესაც საინვესტიციო სარჩელები მიმართულია საჯარო წესრიგის წინააღმდეგ.⁵⁵⁴

სახელმწიფოთა გამოწვევას წარმოადგენს საინვესტიციო ხელშეკრულების დადებისას ბალანსის შენარჩუნება იმ თვალსაზრისით, რომ დავის არამონაწილე მხარეს ან მხარეებს ჰქონდეთ თავიანთი პოზიციის ზეპირად ან წერილობით წარდგენის შესაძლებლობა ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით. ამგვარი დათქმები ჩრდილოეთ ამერიკის ტრადიციისთვის არის დამახასიათებელი და მსგავსი შინაარსის რეგულურება მოიძებნება NAFTA-ს მოწესრიგებაში.⁵⁵⁵ NAFTA უზრუნველყოფს ინსტიტუციურ მექანიზმებს დავის არამონაწილე სახელმწიფოს მიერ ნორმის განმარტად.⁵⁵⁶ ასევე, აშშ-სა და კანადის მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით.⁵⁵⁷

დღესდღეობით ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების უმრავლესობა არ ითვალისწინებს დავის არამონაწილე მხარის ჩართულობას საარბიტრაჟო პროცესის მიმდინარეობისას. მაგალითად, დავის არამონაწილე მხარის მიერ წარდგენილი პოზიცია ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით შესაძლოა გამიზნული იყოს რომელიმე მხარის სასარგებლოდ ან დავის პოლიტიზირებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო ტრიბუნალი დავის არამონაწილე სახელმწიფოს იშვიათად სთხოვს დახმარებას.⁵⁵⁸

⁵⁵⁴ *Mitchell D.A., Munro J.*, Someone Else's Deal: Interpreting International Investment Agreements in the Light of Third-Party Agreements, *The European Journal of International Law*, Vol. 28, No. 3, Oxford University Press, Oxford, 2017, 672.

⁵⁵⁵ *Gazzini T.*, States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 41.

⁵⁵⁶ *Sureda A.R.*, *Investment Treaty Arbitration – Judging under Uncertainty*, Cambridge University Press, Cambridge, 2012, 36.

⁵⁵⁷ *Gazzini T.*, States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 41.

⁵⁵⁸ *Sureda A.R.*, *Investment Treaty Arbitration – Judging under Uncertainty*, Cambridge University Press, Cambridge, 2012, 37.

მაგალითად, საქმეზე *Agua del Tunari v. Republic of Bolivia*⁵⁵⁹ საარბიტრაჟო ტრიბუნალი ეცადა დახმარება მიეღო ნიდერლანდების მთავრობისგან. მოპასუხე სახელმწიფო ასაბუთებდა, რომ დავაზე არ ვრცელდებოდა ნიდერლანდებსა და ბოლივიას შორის ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება. ნიდერლანდების პოზიცია დაფუძნებული იყო მათი პარლამენტის წევრების მიერ დასმულ კითხვებზე მიღებულ პასუხებზე, რომლებიც გაცემულ იქნა მთავრობის წევრების მიერ. ნიდერლანდების მთავრობის პოზიციამ დამხმარე როლი ვერ შეუსრულა საარბიტრაჟო ტრიბუნალს. ამ უკანასკნელის მოსაზრებით, მთავრობამ არ უზრუნველყო განსახილველ საკითხზე განმარტების სათანადოდ წარდგენა.⁵⁶⁰

ამის მსგავსად, საქმეზე *Philippe Gruslin v. Malaysia*⁵⁶¹ საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეთა პოზიცია საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის უფრო დამაბნეველი შეიქმნა, ვიდრე დამხმარე საშუალება ნორმის განსამარტად.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტების პროცესში, როგორც წესი, ითვალისწინებს მხოლოდ დავის მონაწილე მხარისა და ინვესტორის მიერ წარდგენილ პოზიციებს ნორმის ინტერპრეტირებასთან დაკავშირებით. დავის მონაწილე ორივე მხარეს შეუძლია წარადგინოს სამართლებრივი პოზიცია ნორმის განმარტების თაობაზე, რომელიც შედგენილია ხელშეკრულების დადებისას ნაგულისხმევი მიზნების დასამტკიცებლად.⁵⁶²

⁵⁵⁹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე *Agua del Tunari, S.A. v. Republic of Bolivia*, ICSID Case No. ARB/02/3, paras. 45-49, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw10957_0.pdf>, [21.02.2021].

⁵⁶⁰ *Sureda A.R.*, *Investment Treaty Arbitration – Judging under Uncertainty*, Cambridge University Press, Cambridge, 2012, 37.

⁵⁶¹ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2000 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Philippe Gruslin v. Malaysia*, ICSID Case No. ARB/99/3, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0385.pdf>>, [10.02.2021].

⁵⁶² *Sureda A.R.*, *Investment Treaty Arbitration – Judging under Uncertainty*, Cambridge University Press, Cambridge, 2012, 38.

აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სახელწიფოები, როგორც ჩანს, არ გამოხატავენ სრულ მზადყოფნას პროცესში ჩართულობისთვის (მიუხედავად იმისა, რომ მათი ქვეყნის ინვესტორი შესაძლოა იყოს დავის მონაწილე). ისიც აღსანიშნია, რომ ზოგადად საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ გააჩნია ხელმისაწვდომობა მონაწილე სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ იმ მოდელურ დოკუმენტთან, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საინვესტიციო ხელშეკრულება.⁵⁶³ შესაბამისად, დავის არამონაწილე მხარის ჩართულობა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ტრიბუნალის მიერ ნორმის განმარტების პროცესი უფრო სრულყოფილი იყოს. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორის სახელმწიფოს მთავრობა სრული პასუხისმგებლობით მიიღებს მონაწილეობას განსახილველ საკითხში, აღნიშნული ხელს შეუწყობს კიდევ უფრო კვალიფიციური გადაწყვეტილების მიღებას. ეს კი თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში არამონაწილე სახელმწიფოს მონაწილეობა შეამცირებს რისკებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ეტაპზე უარის თქმასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ყველა ასპექტი იქნება გათვალისწინებული, ნაკლები რისკი იარსებებს იმისა, რომ რაიმე საფუძველი არსებობდეს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის სათქმელად.

4. საინვესტიციო სამართალში მოქმედი პირებისა და ორგანიზაციების გავლენა საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტებაზე

საერთაშორისო ინვესტიციების ზრდამ გამოიწვია მისი ინტეგრაცია გლობალურ კომერციულ ურთიერთობებში. კომერციული ორგანიზაციების დახვეწასთან ერთად ვითარდება მათ შორის ურთიერთთანამშრომლობა. აღნიშნულის შედეგად საერთაშორისო კომერციული სამართლის პრობლემატური

⁵⁶³ *Sureda A.R.*, Investment Treaty Arbitration – Judging under Uncertainty, Cambridge University Press, Cambridge, 2012, 37.

საკითხები წესრიგდება, რაც საბოლოოდ ქმნის საერთაშორისო კომერციულ სამართალს. ეს უკანასკნელი კი მოიცავს საერთაშორისო საჯარო სამართალს, რაც გამოხატულია ორმხრივი და მრავალმხრივი სავაჭრო და საინვესტიციო ხელშეკრულებებით.⁵⁶⁴

საინვესტიციო სამართლის წესრიგის არსებობა შეუძლებელია ენთუზიასტი და გავლენიანი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ხელშეწყობის გარეშე. ამის საილუსტრაციოდ აღსანიშნია 2014 წელს დაფუძნებული ორგანიზაცია - საინვესტიციო სამართლისა და არბიტრაჟის ევროპის ფედერაცია (European Federation for Investment Law and Arbitration - EFILA), რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ინვესტორთა უფლებების დაცვა. დასახელებული ასოციაცია წარმოადგენს ლობისტურ ორგანიზაციას, რომელიც დაფინანსებულია მსოფლიოს წამყვანი საინვესტიციო საარბიტრაჟო ინსტიტუტებისა და კლიენტების მიერ, რომლებისთვისაც ხელსაყრელია საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არბიტრაჟი (აღნიშნული არ გულისხმობს, რომ საინვესტიციო სამართლის იურისტები, არბიტრები და მათი ლობისტური ჯგუფები მოტივირებული არიან მხოლოდ ფინანსური მოგების მიღებაზე).⁵⁶⁵ მათი მამოძრავებელი მიზანია საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის განვითარებაში წვლილის შეტანა.⁵⁶⁶

საინვესტიციო ნორმის განმარტების თვალაზრისით თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. აღნიშნული ორგანიზაციის შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ხელშეკრულების ნორმების განმარტებას, გამოიყენება ინვესტორსა და სახელმწიფოს

⁵⁶⁴ *Tereposky G., Nielsen L.*, Coordinated Actions in International Economic Law as Illustrated by Investment Treaty Arbitration and World Trade Organization Disputes, in: *Jemielniak J., Nielsen L., Palmer Olsen H.* (Editors), *Establishing Judicial Authority in International Economic Law*, Cambridge University Press, Cambridge, 2016, 119.

⁵⁶⁵ *Scheiderman D.*, The Paranoid Style of Investment Lawyers and Arbitrators: Investment Law Norm Entrepreneurs and Their Critics, in: *Lim C.L.* (Editor), *Alternative Visions of the International Law on Foreign Investment*, Cambridge University Press, Cambridge, 2016, 149.

⁵⁶⁶ Aims of European Federation for Investment Law and Arbitration, <<https://efila.org/about-efia/>>, [13.02.2021].

შორის არსებული საარბიტრაჟო დავისას. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამართლებრივი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ვენის კონვენციის რეგულირება დეტალურად არის გაზიარებული და გაანალიზებული.⁵⁶⁷

აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს გამოწვევა, თუ როგორი ურთიერთმიმართება არსებობს ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ მიღებულ განმარტებებსა და საინვესტიციო დავების განმხილველ ტრიბუნალებს შორის. დასახელებული შემთხვევა შეგვიძლია განვიხილოთ კვლავ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მაგალითზე.

არსებული პრაქტიკის თანახმად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასა და საინვესტიციო საარბიტრაჟო ტრიბუნალებს შორის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი კონკურენცია იურისდიქციის თვალსაზრისით.⁵⁶⁸ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ და საინვესტიციო ტრიბუნალებმა შესაძლოა მიიღონ სამართლებრივი განმარტებები და გამოიყენონ სამართლებრივი ნორმა სხვადასხვაგვარად. აღნიშნული არ წარმოადგენს პრობლემას იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი სამართლებრივი პრინციპები და ნორმები ერთმანეთისგან ძირეულად განსხვავდება. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებებისა და საინვესტიციო ხელშეკრულებების სტანდარტები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, მაშინ დასახელებული პრობლემა იარსებებს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებებითა და საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მრავალი ნორმა წოდებულია, როგორც

⁵⁶⁷ *Tereposky G., Nielsen L., Coordinated Actions in International Economic Law as Illustrated by Investment Treaty Arbitration and World Trade Organization Disputes*, in: *Jemielniak J., Nielsen L., Palmer Olsen H.* (Editors), *Establishing Judicial Authority in International Economic Law*, Cambridge University Press, Cambridge, 2016, 132.

⁵⁶⁸ *Allen E.B., Soave T., Jurisdictional Overlap in WTO Dispute Settlement and Investment Arbitration*, in: *Huerta-Goldman A.J., Romanetti A., Stirinmann X.F.* (Editors), *WTO Litigation, Investment Arbitration and Commercial Arbitration*, Global Trade Law Series, Vol. 43, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2013, 59.

“Multi-Sourced Equivalent Norms” (MSEN).⁵⁶⁹ აღნიშნული გულისხმობს სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტში მოცემულ მსგავსი შინაარსის ნორმებს.⁵⁷⁰

MSEN ნორმები განმარტებულია, როგორც 1. სავალდებულოდ გასათვალისწინებელი იმ შემთხვევაში, თუ მათ გააჩნიათ ერთიდაიგივე საერთაშორისო სამართლებრივი საგანი; 2. აქვთ მსგავსი ან იდენტური შინაარსი; და 3. დამკვიდრებულია სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის, ან საკანონმდებლო პროცედურის საშუალებით, ან გამოიყენება სხვადასხვა მატერიალურ სამართალში.

MSEN ნორმები არასდროს არ არის სრულიად ერთნაირი, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმები შესაძლებელია მხოლოდ მცირედით განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. არსებული განსხვავებები უფრო ნათელია, როდესაც ისინი მიმართულია კონკრეტულ ფაქტებზე. აღნიშნულმა განსხვავებებმა კი შესაძლოა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ორგანოები და საარბიტრაჟო ტრიბუნალები იძულებული გახადოს, რომ განახორციელონ სხვადასხვა სამართლებრივი ანალიზი.

ეროვნული მოპყრობის პრინციპი წარმოადგენს MSEN ნორმის ნათელ მაგალითს.⁵⁷¹ აღნიშნული რეგულირებულია GATT 1994-ის მე-3 მუხლში, რაც ასახულია ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში. GATT 1994-ის მიხედვით, წევრმა სახემწიფოებმა არ უნდა გაავრცელონ ნაკლებად ხელსაყრელი მოპყრობა იმპორტირებულ საქონელზე იმ უცხოურ საქონელთან შედარებით, რომლებიც წარმოადგენენ მსგავს საქონელს. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით

⁵⁶⁹ *Allen E.B., Soave T., Jurisdictional Overlap in WTO Dispute Settlement and Investment Arbitration*, in: *Huerta-Goldman A.J., Romanetti A., Stirinmann X.F.* (Editors), *WTO Litigation, Investment Arbitration and Commercial Arbitration*, Global Trade Law Series, Vol. 43, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2013, 61.

⁵⁷⁰ შემდეგ მოხსენიებული იქნება, როგორც MSEN ნორმები.

⁵⁷¹ *Allen E.B., Soave T., Jurisdictional Overlap in WTO Dispute Settlement and Investment Arbitration*, in: *Huerta-Goldman A.J., Romanetti A., Stirinmann X.F.* (Editors), *WTO Litigation, Investment Arbitration and Commercial Arbitration*, Global Trade Law Series, Vol. 43, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2013, 61.

მსგავსი მიდგომაა განვითარებული ეროვნული მოპყრობის პრინციპის შესახებ, ოღონდ ინვესტიციებისა და ინვესტორების მიმართებით. ამას გარდა, საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები ზოგადად შემოფარგლულია მხოლოდ უცხოური ინვესტიციებითა ან ინვესტორებით, რომლებიც იმყოფებიან „მსგავს გარემოებებში“ თავიანთ მოწინააღმდეგეებთან - და არა „მსგავსი საქონლის“ თვალსაზრისით.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ გავრცელებული მიდგომის მიხედვით, „მსგავსება“ უმეტესწილად ფოკუსირებულია მჭიდრო კონკურენტული ურთიერთობის არსებობაზე ორ ან მეტ საქონელს შორის. იმ შემთხვევაში, თუ საქონელზე გავრცელდება ნაკლებად ხელსაყრელი მოპყრობა, აღნიშნული არ მიანიშნებს მარეგულირებლის დისკრიმინაციულ მიდგომაზე. ეს არც გავლენას ახდენს იმპორტზე, მაგრამ ის მოქმედებს კონკურენტულ გარემოზე იმპორტირებულ და ექსპორტირებულ საქონელს შორის.

ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებულ საარბიტრაჟო დავაში არსებობს განსხვავებული მიდგომა. მათ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით მოცემული „მსგავსი გარემოებების“ ცნება განმარტეს, რომლებიც არ არის დაფუძნებული კონკურენტულ ურთიერთობაზე უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციას შორის. ზოგიერთ შემთხვევაში ტრიბუნალების მიერ განვითარებულია ისეთი მიდგომა, რომ უცხოური და ეროვნული ინვესტიცია მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნას შედარებული, თუ ისინი საჯარო წესრიგის მსგავს საკითხებს წამოჭრის.⁵⁷² მოცემული მაგალითი ნათელს ხდის, რომ ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ განმარტებებს გარკვეულ შემთხვევებში ტრიბუნალი არ იზიარებს. თუმცა, აღსანიშნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეები წარმოადგენენ რომელიმე გავლენიანი ორგანიზაციის წევრებს, რომეთაც შემუშავებული აქვთ განმარტებები, სასურველია რომ ტრიბუნალმა სრულად არ უგულებელყვოს მათი მიდგომა. ამგვარად უმჯობესი იქნება

⁵⁷² *Allen E.B., Soave T., Jurisdictional Overlap in WTO Dispute Settlement and Investment Arbitration*, in: *Huerta-Goldman A.J., Romanetti A., Stirinmann X.F.* (Editors), *WTO Litigation, Investment Arbitration and Commercial Arbitration*, Global Trade Law Series, Vol. 43, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2013, 61.

გადაწყვეტილების მიღება, რადგან გავლენიან ორგანიზაციებს სახელმწიფოთა მჭიდრო ურთიერთობის შედეგად გააჩნიათ ფასეული გამოცდილება გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად კი, შემუშავებული აქვთ კომპეტენტური მიდგომები.

საინვესტიციო სამართლის ნორმებს ასევე განმარტავენ, როგორც აკადემიკოსები და პრაქტიკოსი იურისტები, ისე პროფესიონალი არბიტრები და მთავრობაში მოღვაწე იურისტებიც კი. საინვესტიციო სამართლის იურისტები საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებენ საჯარო სფეროში მიმდინარე განხილვებში საინვესტიციო სამართალთან მიმართებით. მაგალითად, კანადაში მიმდინარეობდა განხილვა იმის თაობაზე, უნდა განხორციელებულიყო თუ არა კანადასა და ჩინეთს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების რატიფიკაცია. აღნიშნულ პროცესში ჩართულნი იყვნენ იურისტებიც, რომლებიც მოქმედებდნენ მოლაპარაკებების წარმოების სასარგებლოდ. სამართლის ექსპერტები კი წარმოადგენდნენ იმ იურისტებს, რომელთა კომპანიებსაც გააჩნდათ ფინანსური ინტერესი თავიანთი საქმიანობის სამოქმედო ბაზრის გასაფართოებლად.⁵⁷³

აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს სტატუტის 38-ე მუხლი. ამ უკანასკნელის თანახმად, განმარტების ერთ-ერთ ინსტრუმენტად გათვალისწინებულია ავტორიტეტული კომენტარები. კერძოდ, სტატუტის 38(1)(დ)-ე მუხლის მიხედვით, ყველაზე მაღალკვალიფიციური პუბლიცისტების შეხედულებები შესაძლებელია ლეგიტიმურად იქნას გამოყენებული საერთაშორისო სამართლის შინაარსის დადგენის წყაროდ.

ტრიბუნალები არ არიან ვალდებული, რომ იმოქმედონ საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს სტატუტის 38-ე მუხლის შეზღუდული ფარგლებით. თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ ტრიბუნალებმა სრულად უგულებელყვონ დასახელებული მუხლის დანაწესები. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი არ არის სავალდებულო საინვესტიციო საარბიტრაჟო

⁵⁷³ *Scheiderman D.*, *The Paranoid Style of Investment Lawyers and Arbitrators: Investment Law Norm Entrepreneurs and Their Critics*, in: *Lim C.L.* (Editor), *Alternative Visions of the International Law on Foreign Investment*, Cambridge University Press, Cambridge, 2016, 149.

ტრიბუნალებისთვის, აღნიშნულმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.⁵⁷⁴

მაგალითად, საქმეზე *SGS v. Pakistan*⁵⁷⁵ დავის მონაწილე უცხოელი ინვესტორის სახელმწიფომ წარადგინა პრეტენზია იმის თაობაზე, რომ არბიტრაჟმა არ გაითვალისწინა ექსპერტების შეხედულებები. კერძოდ, არბიტრაჟმა უარყო იურისდიქცია დავის განსახილველად. მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იურისდიქციაზე უარის თქმის შესახებ, შვეიცარიის მთავრობამ (უცხოელი ინვესტორის სახელმწიფო) გაუგზავნა წერილი ICSID-ის გენერალური მდივნის მოადგილეს. შვეიცარიის მთავრობის პოზიციის მიხედვით, ტრიბუნალმა ვიწროდ განმარტა ქოლგა კლაუზულა. მათი აზრით, არბიტრებმა მცირედიტაც არ გაიზიარეს სხვა სახელმწიფოებისა და აკადემიკოსების მიერ შემოთავაზებული განმარტებები ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მსგავსი მუხლების მნიშვნელობასთან დაკავშირებით.⁵⁷⁶

ავტორიტეტული კომენტარებისა და ექსპერტული დასკვნების გაზიარება ტრიბუნალის მიერ განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ საკითხთან მიმართებით, რაშიც თავად კვალიფიკაცია არ გააჩნიათ. თუმცა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საკითხი: ტრიბუნალებმა უნდა გამოიყენონ თუ არა უპირატესად იმ პირთა კომენტარები, რომელთაც არანაირი როლი არ უთამაშიათ საერთაშორისო სამართლის შექმნაში, საერთაშორისო სამართლის შემქმნელი სუბიექტების მიერ შემუშავებულ არასავალდებულო ინსტრუმენტებთან შედარებით (მაგალითად, საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს სტატუტის 38-ე სტატუტით განმარტების ერთ-ერთ მეთოდად გათვალისწინებულია სახელმწიფოთა მიერ შემუშავებული ე.წ.

⁵⁷⁴ *Cole T.*, *The Structure of Investment Arbitration*, Routledge Tony & Francis Group, London, New York, 2013, 49-50.

⁵⁷⁵ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2003 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *SGS Société Générale de Surveillance S.A. v. Islamic Republic of Pakistan*, ICSID Case No. ARB/01/13, paras. 146-181, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0779.pdf>>, [10.02.2021].

⁵⁷⁶ *Sureda A.R.*, *Investment Treaty Arbitration – Judging under Uncertainty*, Cambridge University Press, Cambridge, 2012, 38.

„რბილი სამართალი“). უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ტრიბუნალი უმჯობესია დაეყრდნოს სახელმწიფოების ჩართულობით მიღებულ განმარტებებს, რადგან საერთაშორისო სამართლის მოქმედი შინაარსის შესახებ სახელმწიფოები ფლობენ საიმედო ცოდნას.⁵⁷⁷

როგორც ჩანს, საინვესტიციო სამართალში მოღვაწე პირები და ოროგანიზაციები არც თუ ისე მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ ნორმის განმარტების თვალსაზრისით. მათი მონაწილეობა და გარკვეული ხარისხით გავლენა საინვესტიციო ნორმის განმარტებაზე დადებით ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ, რადგან ეს ტრიბუნალს საშუალებას უქმნის უფრო სიღრმისეულად წარმართოს ნორმის განმარტების პროცესი. აღნიშნულმა კი თავის მხრივ შესაძლოა საბოლოო გადაწყვეტილებაზე იქონიოს გავლენა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი არ უნდა იყოს სავალდებულოდ გასათვალისწინებელი, რადგან ამ შემთხვევაში იზღუდება ტრიბუნალის უფლებამოსილება და შეიძლება ითქვას, რომ ტრიბუნალის, როგორც დავის გადამწყვეტის როლი უფერულდება.

5. განმარტება დროში

იურისდიქციასთან და მატერიალურ სამართალთან დაკავშირებული საკითხები ხშირად წარმოადგენს განმარტების საგანს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავის გადაწყვეტის შესახებ დათქმა შესაძლოა გავრცელდეს ისეთ დავებზე, რომლებიც საინვესტიციო ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე წარმოიშვა. აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ ამ დავების მიმართ საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმები გამოიყენება.⁵⁷⁸

⁵⁷⁷ *Cole T.*, *The Structure of Investment Arbitration*, Routledge Tony & Francis Group, London, New York, 2013, 50.

⁵⁷⁸ *Dolzer R., Schreuer Ch.*, *Principles of International Investment Law*, Oxford University Press, Oxford, 2008, 39.

მაგალითად, საქართველოს რამდენიმე ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით პირდაპირ არის გათვალისწინებული, რომ „შეთანხმება არ ვრცელდება მის ძალაში შესვლამდე წარმოშობილ ნებისმიერ საინვესტიციო დავაზე“. ⁵⁷⁹ თუმცა, ამ შემთხვევაში საყურადღებოა სიტყვა „ნებისმიერი“. ე.ი. აღნიშნული შესაძლოა განიმარტოს, რომ ხელშეკრულების ამოქმედებამდე წარმოშობილი ნებისმიერი დავა ავტომატურად არ გამოირიცხება შეთანხმების გავრცელებისგან. მაგალითად, საქართველოსა და ლიტვას შორის არსებული ხელშეკრულებით პირდაპირ ხაზგასმულია, რომ შეთანხმება „არ გავრცელდება არცერთ დავაზე ინვესტიციებთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიშვა ან ნებისმიერი სახის საჩივარზე, რომელიც გადაწყდა შეთანხმების ძალაში შესვლამდე“. ⁵⁸⁰ საქართველოს მიერ გაფორმებული რამდენიმე ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული მსგავსი დათქმები, რაც სრულად ტრიბუნალის განმარტებას ექვემდებარება. მაგალითად, საქართველოსა და ისრაელს შორის ხელშეკრულებით მოცემულია მხოლოდ, რომ „წინამდებარე შეთანხმების დებულებები გამოიყენება ორივე მონაწილე მხარის მიერ ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე ან ძალაში შესვლის შემდეგ განხორციელებულ ინვესტიციებთან მიმართებაში“.⁵⁸¹

⁵⁷⁹ იხ. მაგალითად, შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 30/10/2008; ძალაში შესვლის თარიღი: 01/04/2001, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 10; შეთანხმება საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 24/11/2009, ძალაში შესვლის თარიღი: 21/11/2016, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 10.

⁵⁸⁰ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 09/11/2005, ძალაში შესვლის თარიღი: 01/11/2006, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 12.

⁵⁸¹ შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ, მიღების თარიღი: 19/06/1995, ძალაში შესვლის თარიღი: 18/02/1997, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 12.

აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლოა მოხმოზილ იქნას საქმე *Ioannis Kardassopoulos and Ron Fuchs v. Georgia*.⁵⁸² წინამდებარე საქმეზე დადგინა სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის დარღვევა. ტრიბუნალმა აღნიშნული პრინციპი ფართოდ განმარტა. კერძოდ, ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ დაირღვა ინვესტორის გონივრული მოლოდინი.⁵⁸³ საგულისხმოა, რომ საქართველოსა და ისრაელს შორის არსებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება ძალაში შევიდა ქონების ექსპროპრიაციის შემდეგ. ტრიბუნალმა ჩათვალა, რომ საქართველოს მიერ გაცემული გარანტიები კომპენსაციის შესახებ ფუქსს უქმნიდა სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის ფარგლებში ლეგიტიმურ მოლოდინს იმის შესახებ, რომ მისი უფლებები სათანადოდ იქნებოდა დაცული.

განსახილველი საკითხის სტანდარტული რეგულირება მოცემულია ვენის კონვენციის 28-ე მუხლში, რომელიც ეხება ხელშეკრულებების უკუქცევით ძალას. კერძოდ, „თუ ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს სხვა განზრახვა ან სხვაგვარად არაა დადგენილი, ხელშეკრულების დებულებები სავალდებულო არ არის ხელშეკრულების მხარის ნებისმიერი მოქმედებისა და ფაქტის მიმართ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ მხარისათვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღამდე, ან ნებისმიერი სიტუაციის მიმართ, რომელმაც არსებობა შეწყვიტა ამ თარიღამდე“.⁵⁸⁴ მაგალითად, ხელშეკრულებით შეიძლება იყოს გათვალისწინებული, რომ მისი მიზანია ინსვესტიციების დაცვა მისი განხორციელების დროის მიუხედავად. ხელშეკრულებაში ასევე შესაძლოა მოცემული იყოს, რომ შეთანხმებით დაცულია დასრულებული ინვესტიცია.⁵⁸⁵

⁵⁸² ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Ioannis Kardassopoulos and Ron Fuchs v. Georgia*, ICSID Case No. ARB/05/18 and ARB/07/15, paras. 518-537, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0347.pdf>>, [10.02.2021].

⁵⁸³ *Dolzer R., Schreuer Ch.*, Principles of International Investment Law, Oxford University Press, Oxford, 2008, 39.

⁵⁸⁴ *Dolzer R., Schreuer Ch.*, Principles of International Investment Law, Oxford University Press, Oxford, 2008, 39.

⁵⁸⁵ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 29-30.

ისიც აღსანიშნია, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში, მატერიალური ვალდებულებებისგან განსხვავებით, სხვაგვარი მიდგომაა გავრცელებული ხელშეკრულებების გამოყენებასთან დაკავშირებულ პროცედურულ ან იურისდიქციულ საკითხებზე.⁵⁸⁶ პალმას კუნძულის ცნობილ საქმეზე⁵⁸⁷ მოსამართლე მაქს ჰუბერმა განმარტა ინტერტემპორალური სამართლის დოქტრინა შემდეგნაირად: „სამართლებრივი ქმედება უნდა შეფასდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და არა იმ კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში იყო დავის წარმოშობისას”.⁵⁸⁸

ტრიბუნალების მიერ გამოყენებულია სხვადასხვა ინტერტემპორალური წესი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იურისდიქციულ და მატერიალურ ნორმებთან დაკავშირებით.⁵⁸⁹ მაგალითად, საქმეზე *SGS v. Philippines*⁵⁹⁰ საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შვეიცარიასა და ფილიპინებს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების იურისდიქციული ნორმები განასხვავა *ratione temporis* ამავე ხელშეკრულების მატერიალური ნორმებისგან. ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ

⁵⁸⁶ *Dolzer R., Schreuer Ch., Principles of International Investment Law, Oxford University Press, Oxford, 2008, 39.*

⁵⁸⁷ საქმეზე *Island of Palmas Case (United States v. Netherlands)* გადაწყვეტილება მიიღო მუდმივმოქმედმა საარბიტრაჟო სასამართლომ 1928 წლის 4 აპრილს. დავა ეხებოდა პალმას კუნძულების დამოუკიდებლობას, რომელიც დათმო ესპანეთმა აშშ-ს სასარგებლოდ 1898 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუმცა, სარჩელი წარადგინა ნიდერლანდების სამეფომ, როგორც პალმას კუნძულზე არსებული ქონების შემქმნელმა, როდესაც ნიდერლანდები მართავდა კუნძულს 200 წელზე მეტი დროის განმავლობაში, წყარო: *Island of Palmas (or Miangas) (The Netherlands/The United States of America)* <<https://pca-cpa.org/en/cases/94/>>, [14.02.2021].

⁵⁸⁸ *Fitzmaurice M., Dynamic (Evolutive) Interpretation of Treaties, Hague Yearbook of International Law, Vol. 28, Brill Academic Publisher, Hague, 2009, 104.*

⁵⁸⁹ *Fitzmaurice M., Dynamic (Evolutive) Interpretation of Treaties, Hague Yearbook of International Law, Vol. 28, Brill Academic Publisher, Hague, 2009, 138.*

⁵⁹⁰ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2004 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე *SGS Société Générale de Surveillance S.A. v. Republic of the Philippines*, ICSID Case No. ARB/02/6, para. 161, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0782.pdf>>, [14.02.2021].

ხელშეკრულების მე-2 მუხლი, რომელიც განმარტავს ინვესტიციების ცნებას,⁵⁹¹ ვრცელდება ინვესტიციებზე მიუხედავად იმისა ეს უკანასკნელი განხორციელდა საინვესტიციო ხელშეკრულების მე-2 მუხლის ძალაში შესვლამდე თუ შემდეგ. იქვე მიუთითებს ტრიბუნალი, რომ ამგვარ მიდგომას ავითარებს მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება არ უთითებს უკუძალის ეფექტის მქონე ნორმებზე.⁵⁹² საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ გაზიარებულია ის მიდგომა, რომ სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის შეფასება შეიძლება მხოლოდ მაშინ განხორციელდეს, როდესაც კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისას დარღვეულ ნორმას სავალდებულო ძალა ჰქონდა სახელმწიფოსათვის და აღნიშნული დადასტურებულია ცალსახად.⁵⁹³

აგრეთვე, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მხარეთა განზრახვას აქვს დიდი მნიშვნელობა სასამართლოების მიერ ინტერტემპორალური პრინციპის გამოსაყენებლად. პროფესორ ბერნჰარდ ბერგერის მოსაზრებით, მხარეთა განზრახვა გათვალისწინებულ უნდა იქნას ორმხრივი ან იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც მრავალ მხარეს შორის არ არის გაფორმებული. როგორც ჩანს, აღნიშნული არ მიემართება მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

ზოგიერთი გავლენიანი პროფესორი, მაგალითად, არბიტრი გერალდ ფიცმაურისი ემხრობა იმ მიდგომას, რომ მხარეთა განზრახვა სიღრმისეულ შემოწმებას საჭიროებს ნებისმიერ შემთხვევაში. ფიცმაურისის მიხედვით, ზოგიერთი ნორმის განსამარტად მხარეთა განზრახვას რომ მიენიჭოს ძალა, აუცილებელია მოქმედი სამართლით ხელმძღვანელობა. მიუხედავად ამისა, არბიტრი კემპბელ მკლაკლანი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება არ უნდა იქნას მიღებული მხოლოდ მხარეთა

⁵⁹¹ Agreement between the Republic of the Philippines and the Swiss Confederation on the Promotion and Reciprocal Protection of Investments, მიღების თარიღი: 31/05/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 23/94/1999, <<https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements/treaty-files/2174/download>>, [15.02.2021].

⁵⁹² *Fitzmaurice M.*, Dynamic (Evolutive) Interpretation of Treaties, Hague Yearbook of International Law, Vol. 28, Brill Academic Publisher, Hague, 2009, 138.

⁵⁹³ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 29-30.

განზრახვის შესაბამისად. განმმარტებელმა მხარეთა განზრახვის საფუძვლები უნდა მოიძიოს ვენის კონვენციის 31-ე და 32-ე მუხლის საშუალებების შესაბამისად. მაგალითად, როგორცაა: ნორმის კონტექსტუალური მნიშვნელობა, ხელშეკრულების მიზანი და საჭიროების შემთხვევაში მოსამზადებელი მასალების გამოყენება.⁵⁹⁴

ზემოთ აღნიშნული მიდგომებიდან შესაძლოა აღინიშნოს, რომ ნორმის დროში განმარტების პრინციპის უპირატეს გამოსავალს წარმოადგენს ერთიანი შეფასება. თავდაპირველად უნდა შეფასდეს უშუალოდ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არის თუ არა ნორმის უკუძალა. მაგრამ, ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, ხსენებული ნორმა ეწინააღმდეგება თუ არა ცნობა-აღსრულების ქვეყნის საჯარო წესრიგს, რათა ამგვარი მოწესრიგების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების რისკი არ არსებობდეს. შესაბამისად, თუ მხარეების მიერ ამგვარი ჩანაწერი არ არის ასახული ხელშეკრულებაში, ტრიბუნალმა უნდა გაითვალისწინოს, როგორც მხარეთა მიზანი, ისე ხელშეკრულების შინაარსი, დავის სპეციფიკა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ქვეყნის სამართალი.

6. AMICUS CURIAE

საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგს თან სდევს მრავალი საჯარო საკითხი სისტემის მიმართ ნდობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით. იმის გათვალისწინებით, რომ არბიტრაჟი ძირითადად კონფიდენციალურია და კერძო პირებს შორის წყვეტს დავას, საინვესტიციო არბიტრაჟში სახელმწიფოს ჩართულობა ინვესტიციებთან მიმართებით ვრცელდება ბაზარზე მოქმედ მრავალ სუბიექტზე და არა მხოლოდ უშუალოდ დავის მონაწილე ორ მხარეზე. იქიდან გამომდინარე, რომ საინვესტიციო დავებში საჯარო საკითხების მნიშვნელობა აქტუალურია, *Amicus*

⁵⁹⁴ *Fitzmaurice M.*, Dynamic (Evolutive) Interpretation of Treaties, Hague Yearbook of International Law, Vol. 28, Brill Academic Publisher, Hague, 2009, 138.

Curiae შესანიშნავ შესაძლებლობას წარმოადგენს პროცესში მესამე მხარის ჩართულობისათვის.⁵⁹⁵ ამასთან, უნდა აღინიშნოს განსხვავება საარბიტრაჟო პროცესში მონაწილე მესამე მხარესა და *Amicus Curiae*-ს შორის. ორივე პროცედურა თავდაპირველად საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში გავრცელდა. ზოგადად, *Amicus Curiae* წარმოადგენს სასამართლოს მეგობარს და გააჩნია წერილობითი პოზიციის წარდგენის უფლებამოსილება. მესამე პირის ჩართულობა კი გულისხმობს პროცესში მესამე მხარედ მონაწილეობას.⁵⁹⁶

Amici Curiae-ს⁵⁹⁷ აქვთ შესაძლებლობა წარმოადგინონ პოზიცია ისეთ საკითხებზე, რომელთა თაობაზეც დავის არც ერთი მხარე არ ამახვილებს ყურადღებას. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უარს იტყვის სასამართლოს მეგობრის ჩართულობაზე, მაშინ ტრიბუნალს შეუძლია იმსჯელოს დამოუკიდებლად ამ საკითხთან დაკავშირებით.⁵⁹⁸ დავის მხარეები ასევე შესაძლებელია შეთანხმდნენ სასამართლო მეგობრის ჩართულობის სხვადასხვა ვარიანტზე. მაგალითად, მხარეებმა შესაძლოა განსაზღვრონ კონკრეტული *Amici* ან პოტენციური *Amici* და ამასთან დაადგინონ წერილობითი პოზიციების წარდგენის განრიგი.⁵⁹⁹

საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ UNCITRAL-ის წესები ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული საარბიტრაჟო დავის გამჭვირვალობის შესახებ (UNCITRAL Rules on Transparency in

⁵⁹⁵ *Ruthemeyer Th.*, *Der Amicus Curiae Brief im Internationalen Investitionsrecht*, Nomos Verlagsgesellschaft, Köln, 2014, 20.

⁵⁹⁶ *Gomez K.F.*, *Rethinking the Role of Amicus Curiae in International Investment Arbitration: How to Draw the Line Favorably for the Public Interest*, *Fordham International Law Journal*, Vol. 35, Issue 2, The Berkeley Electronic Press, Berkeley, 2012, 539 <<https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2429&context=ilj>>, [11.02.2021].

⁵⁹⁷ *Amici Curiae* გამოხატავს სასამართლო მეგობრის როლში მონაწილე სუბიექტთა მრავლობითობას, ხოლო *Amicus Curiae* - მხოლოდობითობას.

⁵⁹⁸ *Ruthemeyer Th.*, *Der Amicus Curiae Brief im Internationalen Investitionsrecht*, Nomos Verlagsgesellschaft, Köln, 2014, 20.

⁵⁹⁹ *Levine E.*, *Amicus Curiae in International Investment Arbitration: The Implications of an Increase in Third-Party Participation*, *Berkeley Journal of International Law*, Vol. 29, Issue 1, Berkeley Law, Berkeley, 2011, 200.

Treaty-Based Investor-State Arbitrations)⁶⁰⁰ უფლებამოსილებას ანიჭებს საარბიტრაჟო ტრიბუნალს გადაწყვიტოს მესამე პირის მიერ წერილობითი პოზიციის წარდგენის საკითხი.⁶⁰¹ აგრეთვე, აშშ-სა და კანადას შორის არსებული მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება შეიცავს დათქმებს, რომელთა მიხედვით, ტრიბუნალებს გააჩნიათ უფლებამოსილება განსაზღვრონ პროცესში მესამე მხარის მონაწილეობის საკითხი. ამასთან, ICSID-ის წესებში ცვლილებები განხორციელდა, რომელთა მიხედვით ICSID-ის ტრიბუნალს გააჩნია უფლებამოსილება, ნება დართოს დაინტერესებულ მესამე მხარეებს წერილობითი პოზიციები წარადგინონ საარბიტრაჟო პროცესში.⁶⁰²

საინვესტიციო ტრიბუნალების მიერ თავდაპირველად უარყოფილი იყო მესამე მხარის მონაწილეობა. საქმე *Agua del Tunari SA v. The Republic of Bolivia* წარიმართა ნიდერლანდებსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმების შესაბამისად.⁶⁰³ მოსარჩელემ დაიწყო საარბიტრაჟო პროცესი ბოლივიის წინააღმდეგ, რომელმაც დაარღვია ნიდერლანდებსა და ბოლივიას შორის არსებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების ზოგიერთი ნორმა. ინვესტრმა წყლის კომპანიამ ვერ განახორციელა თავისი პროექტი სრულად, რადგან ბოლივიის ქალაქ კოჩაბამბას მოსახლეობა მასიურად

⁶⁰⁰ UNCITRAL Rules on Transparency in Treaty-based Investor-State Arbitration, United Nations, New York, მიღების თარიღი: 11/07/2013, ძალაში შესვლის თარიღი: 01/04/2014, <<https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/rules-on-transparency-e.pdf>>, [11.02.2021].

⁶⁰¹ *Levine E.*, Amicus Curiae in International Investment Arbitration: The Implications of an Increase in Third-Party Participation, *Berkeley Journal of International Law*, Vol. 29, Issue 1, Berkeley Law, Berkeley, 2011, 208.

⁶⁰² *Gomez K.F.*, Rethinking the Role of Amicus Curiae in International Investment Arbitration: How to Draw the Line Favorably for the Public Interest, *Fordham International Law Journal*, Vol. 35, Issue 2, The Berkeley Electronic Press, Berkeley, 2012, 539, <<https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2429&context=ilj>>, [12.02.2021].

⁶⁰³ *Levine E.*, Amicus Curiae in International Investment Arbitration: The Implications of an Increase in Third-Party Participation, *Berkeley Journal of International Law*, Vol. 29, Issue 1, Berkeley Law, Berkeley, 2011, 208.

აპროტესტებდა წყლისა და ჩამდინარე წყლის სერვისის პრივატიზაციას. საარბიტრაჟო წარმოება როდესაც დაიწყო, ზოგიერთმა ფიზიკურმა პირმა⁶⁰⁴ და გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციამ იშუამდგომლა საარბიტრაჟო პროცესში *Amicus Curiae*-ს სტატუსის მონაწილეობის თაობაზე.⁶⁰⁵ მათი მოთხოვნა ეფუძნებოდა დავასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ინტერესს. სასამართლომ დადებითად შეაფასა ინიციატივა, მაგრამ საბოლოოდ მიიჩნია, რომ მათ აკლდათ სამართლებრივი ძალა.⁶⁰⁶ ტრიბუნალმა უარი განუცხადა მოქალაქეებსა და გარემოს დამცველ ჯგუფებს პროცესში მონაწილეობაზე, რადგან საარბიტრაჟო დავის მხარეებს არ სურდათ მესამე მხარეთა ჩართულობა პროცესში. ტრიბუნალი, რომელიც მოქმედებდა ICSID-ისა და ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების საფუძველზე, *Amicus Curiae*-ს მონაწილეობის საკითხი დავის მხარეთა გადაწყვეტილებაზე დააფუძნა. ამის გამო, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დიდი კრიტიკა დაიმსახურა. აღინიშნა, რომ ამით დაირღვა საჯარო გონივრული მოლოდინი.⁶⁰⁷ მიუხედავად აღნიშნული პირველი

⁶⁰⁴ *Gomez K.F.*, Rethinking the Role of Amicus Curiae in International Investment Arbitration: How to Draw the Line Favorably for the Public Interest, Fordham International Law Journal, Vol. 35, Issue 2, The Berkeley Electronic Press, Berkeley, 2012, 538. <<https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2429&context=ilj>>, [11.02.2021].

⁶⁰⁵ საქმეზე *Aguas del Tunari SA v. The Republic of Bolivia* არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი 2003 წლის 29 იანვრის წერილი საარბიტრაჟო დავაში *Amicus Curiae*-ს სტატუსით მონაწილეობის შესახებ: <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0019_0.pdf>, [14.02.2021].

⁶⁰⁶ *Gomez K.F.*, Rethinking the Role of Amicus Curiae in International Investment Arbitration: How to Draw the Line Favorably for the Public Interest, Fordham International Law Journal, Vol. 35, Issue 2, The Berkeley Electronic Press, Berkeley, 2012, 538. <<https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2429&context=ilj>>, [11.02.2021].

⁶⁰⁷ *Levine E.*, Amicus Curiae in International Investment Arbitration: The Implications of an Increase in Third-Party Participation, Berkeley Journal of International Law, Vol. 29, Issue 1, Berkeley Law, Berkeley, 2011, 200.

მარცხისა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააგრძელეს *Amicus*-ის წერილობითი პოზიციების წარდგენა ICSID არბიტრაჟში.⁶⁰⁸

ყურადსაღებია, რომ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული საარბიტრაჟო დავისას დიდი ყურადღება ეთმობა *Amicus Curiae*-ს ჩართულობას საარბიტრაჟო პროცესში. არბიტრებმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში გამოხატეს დიდი მისწრაფება, რომ მესამე პირებს მიენიჭოთ მცირე მანდატი საარბიტრაჟო პროცესში მონაწილეობის მისაღებად და წარადგინონ მოკლე წერილობითი პოზიცია. მრავალ ავტორიტეტულ საარბიტრაჟო პროცესში, არასამთავრობო ორგანიზაციებს მონაწილეობა მიუღიათ საჯარო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.

ბოლო დროის განმავლობაში, პოტენციურ მესამე პირთა ჩართულობის წრე გაიზარდა.⁶⁰⁹ მაგალითად, საქმეზე *AES Summit Generation Limited and AES-Tisza Erdma Kft. v. Republic of Hungary (AES)*,⁶¹⁰ რომელიც ICSID არბიტრაჟის მიერ განიხილებოდა, ევროკომისია მონაწილეობდა როგორც *Amicus Curiae*, რათა წარმოედგინა ევროპული საზოგადოების ინტერესები კონკურენციის სამართლის აღსრულებაში. მესამე მხარეთა მრავალფეროვნების გამო, *Amicus*-ის დასახელება კომპლექსურ საკითხებს წარმოშობს იმ ინტერესებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ უნდა წარმოადგინონ.

⁶⁰⁸ *Gomez K.F.*, Rethinking the Role of Amicus Curiae in International Investment Arbitration: How to Draw the Line Favorably for the Public Interest, *Fordham International Law Journal*, Vol. 35, Issue 2, The Berkeley Electronic Press, 2012, 538. <<https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2429&context=ilj>>, [12.02.2021].

⁶⁰⁹ *Levine E.*, Amicus Curiae in International Investment Arbitration: The Implications of an Increase in Third-Party Participation, *Berkeley Journal of International Law*, Vol. 29, Issue 1, Berkeley Law, Berkeley, 2011, 200.

⁶¹⁰ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *AES Summit Generation Limited and AES-Tisza Erdmü Kft v. The Republic of Hungary*, ICSID Case No. ARB/07/22, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0014_0.pdf>, [12.02.2021].

უნდა აღინიშნოს, რომ მათი მონაწილეობის დადებითი და უარყოფითი შედეგების განსაზღვრა რთულია სამომავლოდ.⁶¹¹

საქმეზე *Methanex v. United States* ტრიბუნალმა განმარტა, რომ მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტმა (International Institute for Sustainable Development - IISD) წარადგინა არგუმენტები Methanex-ის წინააღმდეგ. Methanex-ის პოზიციის მიხედვით, „სავაჭრო სამართლის მიდგომების გამოყენება შესაძლებელია საინვესტიციო სამართალში“. Methanex ამტკიცებდა, რომ ქიმიური ნივთიერების (მეთილ-ტერტ-ბუტილ-ეთერის) გამოყენების აკრძალვა არ ისახავდა მიზნად გარემოსდაცვით, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების დაცვას. მათი პოზიციით, აკრძალვა ადგილობრივი ინტერესების დაცვასა და ხელშეწყობას ემსახურებოდა პროტექციონისტული მიდგომით, ინვესტორების საწინააღმდეგოდ. ტრიბუნალმა ხაზი გაუსვა, რომ სახელწიფოს მიერ გატარებული მექანიზმები - რომლებიც ეხება საზოგადოებრივი ინტერესების განმტკიცებას, არადისკრიმინაციული და სამართლიანი მოპყრობის დაცვას - არ მიიჩნევა ექსპრორიაციად და კომპენსაციას არ ითვალისწინებს. აღნიშნული დასაბუთება შეესაბამებოდა სასამართლო მეგობრის მიერ წარდგენილ არგუმენტაციას. ტრიბუნალმა არ გაითვალისწინა Methanex-ის პოზიცია და გაიზიარა სამოქალაქო ორგანიზაციის მოსაზრება.

საქმეზე *Suez, Sociedad General de Aguas de Barcelona, S.A. and Vivendi Universal, S.A v. Argentine Republic* წყლისა და ჩასადენი მილების ზოგიერთმა ევროპულმა მეწილე კომპანიამ მიიჩნია, რომ არგენტინის მიერ განხორციელებული ქმდებები და უმოქმედობა წარმოადგენდა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების სხვადასხვა ნორმის დარღვევას.⁶¹² მათ თავიანთი გადაწყვეტილება დააფუძნეს ვაშინგტონის

⁶¹¹ *Levine E.*, Amicus Curiae in International Investment Arbitration: The Implications of an Increase in Third-Party Participation, Berkeley Journal of International Law, Vol. 29, Issue 1, Berkeley Law, Berkeley, 2011, 200-201.

⁶¹² *Gomez K.F.*, Rethinking the Role of Amicus Curiae in International Investment Arbitration: How to Draw the Line Favorably for the Public Interest, Fordham International Law Journal, Vol. 35, Issue 2, The Berkeley Electronic Press, Berkeley, 2012, 539 <<https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2429&context=ilj>>, [11.02.2021].

კონვენციის 44-ე მუხლს ⁶¹³ და დაადგინეს, რომ ტრიბუნალს გააჩნდა უფლებამოსილება დავის არამონაწილე მხარისგან მიეღო წერილობითი პოზიცია. არბიტრაჟმა თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის დაასახელა რამდენიმე საფუძველი: ა) წარდგენილი პოზიციის შესაბამისობა საქმის არსთან; ბ) არამონაწილე მხარის მონაწილეობის სათანადოობა დავაში, როგორც *Amicus*; გ) პროცედურა, რომლის მიხედვითაც *Amicus*-ის წერილობითი პოზიცია წარდგენილ იქნა.

მრავალი სპეციალისტი ეჭვქვეშ აყენებს *Amicus Curiae*-ს გავლენას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ტრიბუნალები იშვიათად ციტირებენ სასამართლო მეგობრის მიერ წარდგენილი წერილობითი პოზიციებიდან, მათი როლის მნიშვნელობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ *Amicus*-ის წერილობითი პოზიციები, განსაკუთრებით თუ ისინი საკუთარი ინიციატივით არის წარდგენილი, არ ქმნის დამატებით ფასეულობას.

Amicus Curiae გაკრიტიკებულია იმ საფუძველით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები არიან მიკერძოებული და მათი მეშვეობით ძირითადად მეორდება სახელმწიფოს არგუმენტები. ხანდახან განვითარებადი ქვეყნებიც კი, რომლებიც თეორიულად სარგებლობენ ამ ინსტიტუტით, მაინც უნდობლად არიან განწყობილნი *Amicus*-ის წერილობითი პოზიციების მიმართ. არადა, იმის გათვალისწინებით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ სათანადო რესურსები, კვალიფიციური კადრი და შესაბამისი კვალიფიკაცია, ისინი ყოველთვის ისწრაფვიან წერილობითი პოზიციების წარსადგენად. აგრეთვე, უნდობლობის მიზეზია ის, რომ მოპასუხე სახელმწიფომ და მისმა მოქალაქეებმა შეიძლება მიიჩნიონ, რომ *Amicus Curiae*

⁶¹³ ვაშინგტონის კონვენციის მუხლი 44: ნებისმიერი საარბიტრაჟო პროცესი ტარდება ამ ნაწილის დებულებების შესაბამისად, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, მხარეების მიერ არბიტრაჟზე შეთანხმების დღეს მოქმედი საარბიტრაჟო წესების მიხედვით. ტრიბუნალი თავად გადაწყვეტს ნებისმიერ წამოჭრილ პროცედურულ საკითხს, რომელსაც არ ითვალისწინებს კონვენციის ეს ნაწილი, საარბიტრაჟო წესები ან მხარეთა მიერ შეთანხმებული ნებისმიერი წესი.

სათანადოდ არ ასახავს ყველა იმ სოციალურ ნიუანსს, რაც საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟის მიღმა არსებობს.⁶¹⁴

როგორც ჩანს, *Amicus Curiae*-ს ინსტიტუტის მიმართ საინვესტიციო არბიტრაჟში უნდობლობა არსებობს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ *Amicus Curiae*-ს უგულებელყოფა (დასაშვებობის ეტაპზე)⁶¹⁵ მიზანშეწონილი არ არის იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მეგობრის პოზიცია ტრიბუნალისთვის ვალდებულებებს არ წარმოშობს. ამასთან, წარდგენილმა პოზიციამ შესაძლოა დამხმარე როლი შეასრულოს არბიტრაჟისთვის. მაგრამ, თავისთავად გასათვალისწინებელია *Amicus Curiae* როგორი რეპუტაციით სარგებლობს, რა კავშირი გააჩნია დავის მონაწილეებთან და რამდენად კომპეტენტურია საქმის გარემოებების შესაფასებლად.

⁶¹⁴ *Gomez K.F.*, Rethinking the Role of Amicus Curiae in International Investment Arbitration: How to Draw the Line Favorably for the Public Interest, *Fordham International Law Journal*, Vol. 35, Issue 2, The Berkeley Electronic Press, 2012, 538-539, <<https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2429&context=ilj>>, [11.02.2021].

⁶¹⁵ საქმეზე *Aguas Argentinas S.A., Suez, Sociedad General de Aguas de Barcelona, S.A. and Vivendi Universal, S.A. v. Argentine Republic* (ARB/03/19, Order in Response to a Petition for Transparency and Participation as Amicus curiae, 19 May 2005) ICSID ტრიბუნალმა დაადგინა შემდეგი სამი წინაპირობა *Amicus Curiae*-ს წერილობითი პოზიციის მისაღებად: ა) წარდგენილმა პოზიციამ დამხმარე როლი უნდა შეასრულოს ფაქტობრივი ან სამართლებრივი საკითხის განსასაზღვრად და დავის მონაწილე მხარეებისგან განსახვავებულ პოზიციას უნდა შეიცავდეს; ბ) წარდგენილი პოზიცია განსახილველი დავის საგნის ფარგლებში უნდა ექცეოდეს; გ) დავის არამონაწილე მხარეს მნიშვნელოვანი ინტერესი უნდა გააჩნდეს საარბიტრაჟო პროცესთან. წყარო: *Saravanan A., Subramanian S.R.*, The Participation of Amicus Curiae in Investment Treaty Arbitration, *Journal of Civil and Legal Sciences*, Vol. 5, Issue 4, OMICS International, San Francisco, 2016, 3.

7. საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეების ერთობლივი განმარტებები

სახელმწიფოებისთვის ყველაზე ეფექტურ საშუალებას სამართლებრივი არადაძაჯერებლობის გასაფანტად ხელშეკრულების ნორმების შინაარსთან მიმართებით წარმოადგენს მხარეთა მიერ ერთობლივი განმარტებების შემუშავება. აღნიშნული წარდგენილ უნდა იქნას ერთობლივი განცხადებების ფორმით, ნოტების გაცვლითა და სხვა შესაბამისი საშუალებებით. ამგვარი ერთობლივი განმარტებები შესაძლოა სავალდებულო იყოს მხარეებისთვისაც და ტრიბუნალისთვისაც.

ზოგიერთი ორხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება გამოხატულად ითვალისწინებს ერთობლივი განმარტების შესაძლებლობას. მაგრამ, რათქმაუნდა, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ ერთობლივად შეიმუშავონ ნორმის განმარტება ნებისმიერ დროს და მიუხედავად იმისა დასახელებული მექანიზმი გათვალისწინებულია თუ არა ხელშეკრულებით.⁶¹⁶ მაგალითად, ჩეხეთსა და ნიდერლანდებს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით მოცემულია სახელმწიფოთა შორის კონსულტაციის გამართვა „ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რაც ეხება ხელშეკრულების განმარტებას ან მის გამოყენებას“. აღნიშნული განხორციელდა მას შემდეგ, რაც ჩეხეთის რესპუბლიკას დაეკისრა პასუხისმგებლობა *CME v. Czech Republic*⁶¹⁷ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით. ჩეხეთისა და ნიდერლანდების მთავრობებს შორის გაიმართა მრავალი შეხვედრა, რომლის შედეგადაც მიიღეს დოკუმენტი სახელწოდებით „შეთანხმებული ოქმი“ (“Agreed Minutes”). ჩეხეთის რესპუბლიკამ თანხმობა გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ „შეთანხმებული ოქმი“ შეიცავდა სავალდებულოდ გასათვალისწინებელ დასკვნებს ხელშეკრულების მნიშვნელობისა და განმარტების

⁶¹⁶ *Gazzini T.*, States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 38.

⁶¹⁷ *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2003 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *CME v. Czech Republic*, ICSID Case No. ARB/07/22, para. 216, para. 437, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0180.pdf>>, [14.02.2021].

თაობაზე. ტრიბუნალმა აღნიშნული გამოხატულად არ გაიზიარა, მაგრამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მიუთითა დასახელებული დოკუმენტის თაობაზე.⁶¹⁸

საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეთა მცირედი ნაწილის მიერ არის მიღწეული აშკარა შეთანხმება განმარტების შესახებ. ზოგიერთი სპეციალისტის მოსაზრებით, განმარტებითი შეთანხმებები არ არის გავრცელებული, რადგან საინვესტიციო ხელშეკრულებები იშვიათად ითვალისწინებენ მექანიზმებს სავალდებულოდ გასათვალისწინებელი განმარტებების მისაღებად. მიუხედავად ამისა, არ არსებობს იმის აუცილებლობა, რომ უშუალოდ ხელშეკრულებით იყოს გათვალისწინებული ამგვარი მოწესრიგება, რადგან საერთაშორისო საჯარო სამართალი ნაგულისხმევად ნებას რთავს მხარეებს მიაღწიონ შეთანხმებას განმარტების თაობაზე. ამის თაობაზე ფორმალური მექანიზმები არ არის დადგენილი.

განსახილველი საკითხის მოწესრიგება წამახალისებელი იქნებოდა ინვესტორებისთვის, რადგან ამის მეშვეობით ინვესტორებს ექნებოდათ ზუსტი ინფორმაცია ხელშეკრულების მხარეთა განმარტებითი ძალაუფლების თაობაზე. მაგალითად, ფორმალური მექანიზმების საშუალებით შესაძლებელია იმის დადგენა, განმარტებითი შეთანხმებები სავალდებულოა თუ მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა. ზოგიერთი ტრიბუნალი უშვებს განმარტებით შეთანხმებებს, მაგრამ მნიშვნელოვნად ამცირებს მათი გათვალისწინების შესაძლებლობას პრაქტიკაში.⁶¹⁹

აგრეთვე, ხელშეკრულებები ითვალისწინებენ სავალდებულოდ შესასრულებელი განმარტების მიღებას გაერთიანებული კომიტეტის საშუალებით.⁶²⁰ ზოგიერთი ახალი ხელშეკრულება სახელმწიფოებს რთავს ნებას, რომ მიიღონ სავალდებულოდ გასათვალისწინებელი განმარტებები. აღნიშნული თავდაპირველად

⁶¹⁸ *Schmalenbach K.*, Lawmaking by Treaty: Negotiation of Agreements and Adoption of Treaty Texts, in: *Brölmann C., Raddi Y.* (Editors), *Research Handbook on the Theory and Practice of International Lawmaking*, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2016, 88.

⁶¹⁹ *Chen C.R.*, Precedent and Dialogue in Investment Treaty Arbitration, *Harvard International Law Journal*, Vol. 60, N1, Harvard Law School, Cambridge, 2019, 216-217.

⁶²⁰ *Gazzini T.*, States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 38.

დარეგულირდა NAFTA-ს 1131-ე მუხლით. ამასთან, ისიც აღნიშნია, რომ ზოგიერთი სპეციალისტის განმარტებით, აღნიშნული წარმოადგენდა ხელშეკრულების ნორმის დე ფაქტო და რეტროაქტიურ (უკუქმედების ძალის მქონე) ცვლილებას.⁶²¹

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება არ არეგულირებს მხარეთა მიერ ერთობლივი განცხადებების წარდგენის პროცესს, აღნიშნული არ აფერხებს მხარეს, რომ მეორე მხარისგან მიიღოს თანხმობა სადავო ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით. ასევე, შესაძლებელია, რომ ხელშეკრულების ერთმა მხარემ წარუდგინოს მეორე მხარეს მოსაზრება ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით. ან უფრო მარტივი პროცედურის საშუალებით, მოიწვიოს მეორე მხარე ნორმის განსამარტად. ხელშეკრულების ან ზოგადი ვალდებულებების არარსებობის შემთხვევაში, მეორე მხარე (მხარეები) სრულიად თავისუფალია ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წარდგენილი ინიციატივისგან.

განსახილველი პროცესის ფარგლებში სხვადასხვა სცენარის განვითარებაა შესაძლებელი, მათ შორის, რაიმე პოზიციის გამოხატვის უარყოფა. ამგვარი მიდგომა მარჯვედ იქნა არჩეული აშშ-ს მიერ 2010 წლის 8 ივნისის დიპლომატიურ ნოტასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულ იქნა ეკვადორის მიერ. ეს უკანასკნელი ეხებოდა აშშ-სა და ეკვადორს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების II (7) მუხლის განმარტებას, რაც ეკვადორის პოზიციის მიხედვით არასწორად იქნა ინტერპრეტირებული⁶²² საქმეზე *Chevron Corporation and Texaco Petroleum Company v. The Republic of Ecuador*.⁶²³ კერძოდ, ხსენებული მუხლის თანახმად, თითოეულმა

⁶²¹ IBA Arbitration Subcommittee on Investment Treaty Arbitration, Consistency Efficiency and Transparency in Investment Treaty Arbitration, 2018, 13, <<https://www.hoganlovells.com/en/publications/consistency-efficiency-and-transparency-in-investment-arbitration>>, [11.02.2021].

⁶²² *Gazzini T.*, States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 38.

⁶²³ ჰააგის მუდმივმოქმედი სასამართლოს 2018 წლის 30 აგვისტოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება საქმეზე *Chevron Corporation and Texaco Petroleum Corporation v. The Republic of Ecuador*, PCA Case No. 2009-23, paras. 4.96-4.101, paras. 7.11-7.22, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw9934.pdf>>, [14.02.2021].

მხარემ უნდა უზრუნველყოს ეფექტური მექანიზმები პრეტენზიების დასადასტურებლად და უფლებების აღსასრულებლად, ინვესტიციების, საინვესტიციო ხელშეკრულებებისა და ინვესტიციების ნებართვების თაობაზე.⁶²⁴

ეკვადორმა შემდგომ წარუდგინა მოთხოვნა ტრიბუნალს ხსენებული მუხლის განმარტების შესახებ. საარბიტრაჟო ტრიბუნალის უმრავლესი წევრების მიერ უარყოფილ იქნა ის გარემოება, რომ მხარეთა შორის არსებობდა სამართლებრივი დავა, რადგან აშშ არ რეაგირებდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ამ პერსპექტივიდან ეკვადორის მიერ წარდგენილი სამართლებრივი პრეტენზია არ გაიზიარა აშშ-მ. ამ შემთხვევაში ტრიბუნალისთვის მნიშვნელობას წარმოადგენდა აშშ-სგან შედავება ეკვადორის მიერ წარდგენილ განმარტებასთან დაკავშირებით.⁶²⁵

გარკვეულწილად გასაკვრია ის გარემოება, რომ სახელმწიფოები არ ცდილობენ ერთობლივი განცხადებების წარდგენას მაშინაც კი, როდესაც საინვესტიციო ხელშეკრულების განმარტება მოითხოვება. ამგვარი გაურკვეველობა უარყოფითად აისახება როგორც სახელმწიფოზე, ისევე ინვესტორზე. აღნიშნულის შემდეგ სახელმწიფოებისთვის შედარებით მარტივი იქნება ერთობლივი განცხადებების შემუშავება ან განმარტების თაობაზე ნოტების გაცვლა. მაგალითად, შესაძლოა განიმარტოს უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი მოიცავს თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცედურულ ნორმებს; ბუნდოვნად ფორმულირებული ნორმა მიჩნეულ უნდა იქნას თუ არა ქოლგა დათქმად, ან ქოლგა დათქმა უნდა იქნას თუ არა გათვალისწინებული უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის ფარგლებში; ან ქოლგა დათქმა უნდა მიამართებოდეს თუ არა ზოგიერთ ვალდებულებას.⁶²⁶

⁶²⁴ Treaty between the United States of America and the Republic of Ecuador Concerning the Encouragement and Reciprocal Protection of Investment, მიღების თარიღი: 27/08/1993, ძალაში შესვლის თარიღი: 11/05/1997, <<https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements/treaty-files/1065/download>>, [15.02.2021].

⁶²⁵ *Gazzini T.*, States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 38.

⁶²⁶ *Gazzini T.*, States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 40.

აგრეთვე, შემოთავაზებულია მიდგომა, რომლის თანახმად სახელმწიფოთა შორის კონსულტაციების შედეგად მიღებული შეთანხმებები უნდა წარმოადგენდეს სახელმძღვანელოს ერთობლივი განმარტებებისთვის. ეს უკანასკნელი ნებას რთავს მთავრობებს ხელშეკრულების განსამარტად, რაც შესაძლოა იყოს, როგორც სავალდებულოდ გასათვალისწინებელი, ისე სარეკომენდაციო ხასიათის საინვესტიციო საარბიტრაჟო ტრიბუნალებისთვის.⁶²⁷ ზოგიერთი ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კონსულტაციების წარმოებას მხარეთა შორის.⁶²⁸ მოლაპარაკებები ყოველთვის წარმოებს ორ ან მეტ მხარეს შორის საერთო მიზნის მისაღწევად. ზოგადი განმარტების მიხედვით, საერთაშორისო არენაზე მოასპარეზე მხარეებს შორის მოლაპარაკება იმისათვისაა, რათა ამ უკანასკნელმა გავლენა მოახდინოს მხარეთა სამომავლო ურთიერთობებზე.^{629 630}

⁶²⁷ *Gaukrodger D.*, State-to-State Dispute Settlement and the Interpretation of Investment Treaties, OECD Working Papers on International Investment, No. 3, Organization for Economic Development and Co-operation, Paris, 2016, 12, <<https://www.oecd-ilibrary.org/docserver/5jlr71rq1j30-en.pdf?expires=1613254562&id=id&accname=guest&checksum=F1810467975CCCE95F26E70C284C86E9>>, [11.02.2021].

⁶²⁸ *Gazzini T.*, States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), The Role of the State in Investor-State Arbitration, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 38.

⁶²⁹ *Schmalenbach K.*, Lawmaking by Treaty: Negotiation of Agreements and Adoption of Treaty Texts, in: *Brölmann C., Raddi Y.* (Editors), Research Handbook on the Theory and Practice of International Lawmaking, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2016, 88.

⁶³⁰ დასახელებული ზოგადი განმარტების მიღმა ასევე აუცილებელია დამატებითი ახსნა-განმარტება. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ორი ან მეტი მხარე ცდილობს მოლაპარაკების წარმოებას. ეს განსხვავდება იმ პროცედურებისგან, სადაც ჩართული არის მესამე მხარე, როგორცაა სასამართლო ან საარბიტრაჟო პროცედურები. მესამე პირის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მხარეთა მიერ წარდგენილი პოზიციები მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიმღებზე გავლენის მოხდენას. ტერმინი მოლაპარაკების წარმოება გულისხმობს ორ შემადგენელ კომპონენტს: პირველი, უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით და, მეორე, მხარეებს უნდა გააჩნდეთ საერთო ინტერესი. საერთაშორისო მოლაპარაკების წარმოება ზოგადად შესაძლებელია

კონსულტაციების წარმოებისას და გაერთიანებული კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მიღების ვალდებულება კეთილსინდისიერებისა და კონსერვატიულობის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, არ არსებობს მოლაპარაკების წარმოების მავალდებულებელი გარემოება და მითუმეტეს შეთანხმების მიღწევის.⁶³¹ მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკასა და ნიდერლანდებს შორის გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება შეიცავს ამგვარ დათქმას. აღნიშნულის შესაბამისად სახელმწიფოების მიერ მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება, რომელსაც არამხოლოდ ხასიათი გააჩნია.

თუმცა, სარეკომენდაციო ხასიათის განმარტებისგან განსხვავებით, ყურადსაღებია ხელშეკრულების მხარეთა მიერ მიღებული სავალდებულოდ გასათვალისწინებელი განმარტებების მიზანშეწონილობა საარბიტრაჟო პროცესში. მაგალითად, NAFTA-ს ფარგლებში შექმნილია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ კომისია, რომელიც შედგება სამი მონაწილე სახელმწიფოს წარმომადგენლებისგან და რომელთა მიერ მიღებული განმარტება სავალდებულოა. კომისიის მიერ მიღებული განმარტება 2001 წელს სამართლიან და თანაბარი მოპყრობის პრინციპთან და ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი NAFTA-ს 1105-ე მუხლთან დაკავშირებით NAFTA-ს ტრიბუნალების მიერ დადგენილია, როგორც

განისაზღვროს, როგორც ორ საერთაშორისო აქტორს შორის არსებული პროცესი, სადაც ისინი მოქმედებენ თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით. პროცესის მთავარ მიზანს კი წარმოადგენს ერთმანეთის ინტერესების გაგება და საერთო გამოსავლის პოვნა. საინვესტიციო ხელშეკრულების ფარგლებში მოლაპარაკების წარმოებისას პროცესის მხარეების მიზანს წარმოადგენს შეთანხმების მიღწევა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად მოქმედი სავალდებულო ძალის მქონე ხელშეკრულების შინაარსის თაობაზე. წყარო: *Schmalenbach K., Lawmaking by Treaty: Negotiation of Agreements and Adoption of Treaty Texts*, in: *Brölmann C., Raddi Y.* (Editors), *Research Handbook on the Theory and Practice of International Lawmaking*, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2016, 88.

⁶³¹ *Gazzini T., States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives*, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 38.

სავალდებულოდ გასათვალისწინებელი.⁶³² არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე დასახელებული ორი სტანდარტი შეესაბამება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მინიმალურ სტანდარტს თუ ისინი წარმოადგენენ საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დამოუკიდებელ სტანდარტებს. ამ საკითხთან დაკავშირებით NAFTA-ს კომისიამ დააფიქსირა შემდეგი მოსაზრება: 1. მუხლი 1105 (1) მიემართება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში არსებულ უცხოელთა მოპყრობის მინიმუმ სტანდარტს, რომელიც ინვესტიციის განხორციელებას შესაძლებელს გახდის; 2. თანაბარი და სამართლიანი მოპყრობის პრინციპი და სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი არსობრივად არ მოითხოვს დამატებით რაიმე დაცვის არსებობას, რომელიც არსებობს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში უცხოელთა დაცვის მიმართ.

NAFTA-ს უმეტესმა ტრიბუნალმა გაიზიარა ზემოთ დასახელებული დასაბუთება.⁶³³ მიუხედავად ამისა, NAFTA-ს ტრიბუნალის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საქმეზე *Pope & Talbot v. Canada*⁶³⁴ ნათელი გახადა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის ორგანოებს ფართო უფლებამოსილებები აქვთ მინიჭებული. მართლაც, კომისიის მიერ მიღებული განმარტებები პირდაპირ ეწინააღმდეგება ტრიბუნალის მიერ გამოხატულ ადრეულ მიდგომებს. კომისია ემხრობა NAFTA-ს სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის კუმულაციურ განმარტებას, რომლის მიხედვით 1105-ე მუხლი განმარტების ფარგლებს სცილდება. საქმეზე *Pope & Talbot v. Canada* მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაში საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ გაიზიარა კომისიის მიერ დაფიქსირებული განმარტება.

⁶³² *Dolzer R., Schreuer Ch., Principles of International Investment Law, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2012, 32.*

⁶³³ *Reinisch A., The Interpretation of International Investment Agreements, in: Bungeberg M., Griebel J., Hobe S., Reinisch A. (Editors), International Investment Law, C.H.Beck/Hart/Nomos, London, 2015, 405.*

⁶³⁴ *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2001 წლის 10 აპრილის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქმეზე *Pope & Talbot Inc. v. The Government of Canada*, paras. 105-128, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0678.pdf>>, [14.02.2021].

სავალდებულოდ გასათვალისწინებელი ერთობლივი განმარტებისას, ტრიბუნალს ენიჭება მცირედი როლი ნორმის განმარტებისას. ტრიბუნალს ანაცვლებს ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა წარმომადგენლებისგან შექმნილი ორგანო. ამგვარი უფლებამოსილება შეუთავსებელია ინვესტორების ინტერესებთან, რადგან განსაკუთრებით პროცესის წარმოებისას, ორგანოს ჩართულობა შესაძლოა ინვესტორთა საზიანოდ იქნას გამოყენებული.⁶³⁵

კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა არსებობს CETA-ს მაგალითზე. CETA-ს ნორმები უცხოელი ინვესტორის დაცვასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს.⁶³⁶ CETA განსაზღვრავს უცხოელ ინვესტორთა დაცვის სტანდარტებს და ასევე ტრიბუნალებს უდგენს, თუ როგორ უნდა იქნას აღნიშნული მათ მიერ გამოყენებული.⁶³⁷ თუმცა, მიუხედავად ამისა, CETA გაურკვეველს ტოვებს მრავალ საკითხს, რაც ღიად უტოვებს საარბიტრაჟო ტრიბუნალებს მსგავს დაურეგულირებელ საკითხებს განსამარტად.⁶³⁸ CETA-ს მიხედვით, ტრიბუნალმა ნორმა უნდა განმარტოს ვენის კონვენციისა და საერთაშორისო სამართლის სხვა წესებისა და პრინციპების შესაბამისად, რომლებიც მხარეთა ურთიერთობას მიემართება. ამასთან, ტრიბუნალს არ აქვს იმის უფლებამოსილება, რომ CETA-ს ნორმების დარღვევა განსაზღვროს მონაწილე მხარის

⁶³⁵ *Reinisch A.*, The Interpretation of International Investment Agreements, in: *Bungeberg M., Griebel J., Hobe S., Reinisch A.* (Editors), *International Investment Law*, C.H.Beck/Hart/Nomos, London, 2015, 406-407.

⁶³⁶ *van Harten G.*, Comments on the EU-Canada Joint Interpretive Declaration on the CETA, Osgoode Legal Studies Research Paper, No. 6, Vol. 13, Issue 2, York University, Toronto, Ontario 1-2, <http://digitalcommons.osgoode.yorku.ca/cgi/viewcontent.cgi?article=1135&context=public_writing>, [15.02.2021].

⁶³⁷ *von Walter A., Andrisani M.L.*, Resolution of Investment Disputes, in: *Moïse Mbengue M., Schacherer S.* (Editors), *Foreign Investment under the Comprehensive and Economic Trade Agreement*, Springer, Berlin, 2018, 198.

⁶³⁸ *van Harten G.*, Comments on the EU-Canada Joint Interpretive Declaration on the CETA, Osgoode Legal Studies Research Paper, No. 6, Vol. 13, Issue 2, York University, Toronto, Ontario, 4, <http://digitalcommons.osgoode.yorku.ca/cgi/viewcontent.cgi?article=1135&context=public_writing>, [15.02.2021].

შიდა კანონმდებლობის შესაბამისად. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ტრიბუნალმა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შიდაკანონმდებლობა გაითვალისწინოს, როგორც ფაქტობრივი გარემოება. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ნორმის განმარტების საჭიროება წარმოიშობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ინვესტიციაზე, მაშინ CETA-ს სერვისებისა და ინვესტიციების კომისია რეკომენდაციას გასცემს CETA-ს ერთობლივი კომიტეტისთვის. ეს ხორციელდება იმ მიზნით, რომ CETA-ს ერთობლივმა კომიტეტმა შეიმუშავოს ნორმის განმარტება. ეს უკანასკნელი კი სავალდებულო იქნება საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის.⁶³⁹

CETA-ს ერთობლივი კომიტეტის⁶⁴⁰ მიერ ევროპასთან მიმართებით განსახორციელებელი გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნას ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების საერთო თანხმობის საფუძველზე. CETA-ს ერთობლივი კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღება წამოჭრის საკითხს იმის თაობაზე, რომ კომისიის მიერ მიღებული განმარტებები სამართლებრივი ძალის თვალსაზრისით უპირატესი იქნება თუ არა ტრიბუნალების მიერ მიღებულ განმარტებებთან შედარებით. აღნიშნულის მიღწევა რთული იქნება იმის გათვალისწინებით, რომ CETA-ს ერთობლივი კომიტეტი მოითხოვს, რომ უნდა არსებობდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ერთსულოვანი თანხმობა.⁶⁴¹ ე.ი. წინამდებარე შემთხვევაში გარკვეული ბარიერი არსებობს იმისათვის, რომ კომისიის მიერ მიღებული განმარტებები სავალდებულოდ იყოს გასათვალისწინებელი.

⁶³⁹ CETA-ს მუხლი 8.31 გამოსაყენებელ სამართალსა და ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით.

⁶⁴⁰ CETA-ს ერთობლივი კომიტეტი შედგება კანადისა და ევროკავშირის წარმომადგენლებისგან. კომიტეტს თანახელმძღვანელობას გაუწევენ კანადის საერთაშორისო ვაჭრობის მინისტრი და ევროკომისიის წევრი, რომელიც პასუხისმგებელია ვაჭრობაზე (CETA-ს 26.1-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტი).

⁶⁴¹ *van Harten G.*, Comments on the EU-Canada Joint Interpretive Declaration on the CETA, Osgoode Legal Studies Research Paper, No. 6, Vol. 13, Issue 2, York University, Toronto, Ontario, 6, <http://digitalcommons.osgoode.yorku.ca/cgi/viewcontent.cgi?article=1135&context=public_writing>, [14.02.2021].

აღსანიშნია, ისიც რომ, როგორც წესი, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული ინსტიტუციური მექანიზმები ავთენტური განმარტების მისაღებად. აღნიშნულს არეგულირებს, მაგალითად, აშშ-ს 2012 წლის მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება. ამ დოკუმენტის 30(3)-ე მუხლის მიხედვით, თითოეული მხარე მოქმედებს თავის მიერ დანიშნული წარმომადგენლის მეშვეობით, რომელთა მიერ მიღებული ერთობლივი განმარტება შესაძლოა სავალდებულოდ გასათვალისწინებელი იყოს ტრიბუნალის მიერ.

დასახელებულმა მეთოდმა შესაძლოა გაამართლოს, მაგრამ პროცესუალური თვალსაზრისით გააჩნია უარყოფითი მხარეები. სახელმწიფოები შესაძლოა მიისწრაფოდნენ, რომ გამოსცენ ოფიციალური განმარტებები, რათა გავლენა მოახდინონ სამართალწარმოებაზე. ასევე, დავის მხარეს რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს სამართლის წარმოებაზე სავალდებულოდ გასათვალისწინებელი განმარტების საშუალებით, არ თავსდება სამართლიანობის ფარგლებში.⁶⁴² ამას გარდა, ინვესტორის მიერ წარდგენილ პოზიციას აზრი ეკარგება, რადგან ნორმის განმარტება სავალდებულოდ არის გათვალისწინებული. აგრეთვე, აღნიშნული ლახავს საპროცესო თანასწორუფლებიანობას, რადგან მოპასუხე სახელმწიფო უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება იმის გათვალისწინებით, რომ მისი მონაწილეობით არის მიღებული განმარტება. შესაბამისად, ასეთი მეთოდი არასასურველია.

ზოგადად საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი და წინასწარ დადგენილი განმარტებები საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიზნებისთვის გაუმართლებელია, რადგან სცილდება საარბიტრაჟო დავის ბუნებას. უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა განმარტებითმა განცხადებებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ნორმის განმარტების პროცესში და შესაბამისად მათ უნდა გააჩნდეთ არასავალდებულო ხასიათი. ამას გარდა, ერთობლივ განმარტებით პროცესში მხოლოდ უნდა მონაწილეობდნენ დავის მონაწილე მხარე და უცხოელი ინვესტორის სახელმწიფო და აღნიშნულ პროცესზე გავლენა არ უნდა ჰქონდეს მესამე სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში იგულისხმება გარემოება, როდესაც ხელშეკრულების მხარე რამდენიმე სახელმწიფოა და ყველას მონაწილეობით მიიღება

⁶⁴² *Dolzer R., Schreuer Ch., Principles of International Investment Law, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2012, 33.*

სავალდებულო განმარტება). ამასთან, უმჯობესი იქნებოდა არბიტრაჟს გააჩნდეს იმის უფლებამოსილება, რომ საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეთა მიერ ერთობლივი განმარტებითი განცხადების წარდგენა.

8. სახელმწიფოების ცალმხრივი განცხადებები

საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეები თუ ერთობლივი განცხადების წარდგენასთან დაკავშირებით არ შეთანხმდებიან, ერთ-ერთ მხარეს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ცალმხრივად წარადგინოს განცხადება. მსგავსი სახის განცხადებები მიღებული და გავრცელებულია საინვესტიციო ხელშეკრულებების პრაქტიკაში. განსახილველი განცხადებები არ იქნება სამართლებრივად სავალდებულო. თუმცა, საარბიტრაჟო ტრიბუნალებს შეუძლიათ მათი გათვალისწინება, როგორც სახელმწიფოს პრაქტიკის ნაწილი იმ მიზნით, რომ ხელშეკრულების ორივე ან ყველა მხარეს შორის იქნას ერთობლივი შეთანხმება მიღწეული რომელიმე ნორმის განმარტების თაობაზე ვენის კონვენციის 31(3)(b) მუხლის შესაბამისად.⁶⁴³

მოდავე სახელმწიფოს ცალმხრივ განცხადებებს ხელშეკრულების ნორმის შინაარსთან დაკავშირებით დავის მიმდინარეობისას არ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს ამგვარად მიიჩნევა, რადგან სახელმწიფო ნორმას განმარტავს თავის სასარგებლოდ.⁶⁴⁴ განსახილველი მექანიზმი გარდაუვლად შეიცავს იმის რისკს, რომ საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეების მიერ წარდგენილი იქნება ერთმანეთის საწინააღმდეგო განცხადებები. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, განცხადებას მაინც შეიძლება მოჰყვეს პრაქტიკული შედეგები, რადგან აღნიშნული

⁶⁴³ *Gazzini T.*, States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives, in: *Lalani Sh.*, Polanco Lazo R. (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 39.

⁶⁴⁴ *Dolzer R.*, *Schreuer Ch.*, *Principles of International Investment Law*, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2012, 31.

შესაძლოა გაითვალისწინონ საარბიტრაჟო ტრიბუნალებმა უცხოელი ინვესტორის ლეგიტიმური მოლოდინის შეფასებისას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცალმხრივი განცხადებები შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს იმ თვალსაზრისით, რომ ინვესტორები და საარბიტრაჟო ტრიბუნალები ინფორმირებული იქნებიან ხელშეკრულების მხარეთა განსხვავებული პოზიციების შესახებ. და ასევე იმ სირთულეების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ფარგლებში განსახილველ საკითხთან მიმართებით.⁶⁴⁵

ამასთან, საკვირველია, თუ რატომ ორჭოფობენ სახელმწიფოები გამოსცენ ცალმხრივი ოფიციალური განცხადებები ნორმის განმარტებისას ან მისი გამოყენების თაობაზე. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ნორმა მრავალი ერთმანეთის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების საგანი გამხდარა.⁶⁴⁶ მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საარბიტრაჟო ტრიბუნალს სურდა მოეძია ინფორმაცია ინვესტორის მასპინძელი სახელმწიფოსგან ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების ზოგიერთი ასპექტის განმარტების თაობაზე.⁶⁴⁷

როგორც ჩანს, საინვესტიციო საარბიტრაჟო პრაქტიკაში მხარეები პრიორიტეტს არ ანიჭებენ განცხადებების წარდგენას. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა ამგვარი არჩევანი შესაძლოა დადებით ასპექტად განვიხილოთ, რადგან მათ მიერ რადიკალურად განსხვავებული პოზიციების წარდგენამ შესაძლოა უფრო გაართულოს დავის საგანი და განმარტების პროცესი. შესაბამისად, სახელმწიფოთა მიერ დამოუკიდებლად წარდგენილი განცხადებები განმარტებების შესახებ ხელსაყრელი არ არის როგორც მხარეებისთვის, ისე არბიტრებისთვის.

⁶⁴⁵ *Gazzini T.*, States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 39.

⁶⁴⁶ *Gazzini T.*, States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 40.

⁶⁴⁷ *Dolzer R., Schreuer Ch.*, *Principles of International Investment Law*, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2012, 32.

VIII. ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული საარბიტრაჟო დავის მახასიათებლები

ბოლო დროის განმავლობაში განხილვის საგანს წარმოადგენს ხელსაყრელია თუ არა საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო არბიტრაჟის საშუალებით სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის დავის გადაწყვეტა. კრიტიკა განსაკუთრებით მიემართება იმ საკითხს, საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმები ეჭვქვეშ აყენებს თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიკერძოებულობას.

კრიტიკოსთა მოსაზრებით, ტრიბუნალები არიან მიკერძოებული ინვესტორის ბიზნესის ინტერესის სასარგებლოდ და შესაბამისად სახელმწიფოს რეგულაციების საწინააღმდეგოდ არიან განწყობილი. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საპირისპირო მტკიცება. კერძოდ, საარბიტრაჟო ტრიბუნალი იქმნება საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე და ტრიბუნალები თითქოს სახელმწიფოების სასარგებლოდ ზედმეტად კეთილგანწყობილი არიან.⁶⁴⁸ აღნიშნული განპირობებულია იმ გავრცელებული შეხედულებით, რომ საარბიტრაჟო პროცესის კონფიდენციალურობა გამორიცხავს პროცესის გამჭვირვალობას⁶⁴⁹ და ხსენებული ზრდის არბიტრების მიკერძოებულობის რისკს.

ამას გარდა, ინვესტორისა და სახელმწიფოს საინვესტიციო საარბიტრაჟო დავის რეჟიმი არამხოლოდ ძვირადღირებულია, არამედ მასთან დაკავშირებულია არაპროგნოზირებადი შედეგები მრავალ საკითხთან მიმართებით. ინვესტორისა და სახელმწიფოს საინვესტიციო საარბიტრაჟო დავის რეჟიმი წარმოშობს სენსიტიურ კითხვებს პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებით, როგორცაა, მაგალითად: სასარჩელო მოთხოვნების მტკიცების ეფექტური საშუალებების არსებობა და მასპინძელი სახელმწიფოს სასამართლო სისტემის მეშვეობით უფლებათა სათანადო აღსრულების უზრუნველყოფა. განსახილველი სისტემის მოწინააღმდეგეთა

⁶⁴⁸ *Sourgens G.F.*, Value and Judgement in Investment Treaty Arbitration, *Journal of Dispute Resolution*, Vol. 2018, No. 1, University of Missouri School of Law, Columbia, Missouri, 2018, 188.

⁶⁴⁹ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, *მერიდიანი, თბილისი*, 2013, 142.

თვალსაზრისით, ამ მექანიზმით სარგებლობენ მხოლოდ გავლენიანი საერთაშორისო კომპანიები, რომლებიც სრულად იყენებენ აღნიშნულის რესურსს და იღებენ მისგან სარგებელს.⁶⁵⁰ აგრეთვე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საინვესტიციო საარბიტრაჟო დავის წარმოება დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ასევე, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, სახელმწიფოებს მილიონობით დოლარის ჯარიმა ეკისრებათ უცხოელი ინვესტორისთვის გადასახდელი, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დადგინდა უფლების დარღვევა.⁶⁵¹

როგორც ჩანს, უცხოელ ინვესტორსა და მიმღებ სახელმწიფოს შორის არსებულ საინვესტიციო საარბიტრაჟო დავას სპეციფიკური მახასიათებლები გააჩნია. აღნიშნული კი თავის მხრივ გავლენას ახდენს საინვესტიციო ნორმის განმარტების პროცესზე, რომლის შესახებ მიმოხილული იქნება წინამდებარე თავში.

1. ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული საარბიტრაჟო დავის რეჟიმი და მისი წვლილი სამართლის ნორმაში

საერთაშორისო ხელშეკრულება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო სამართლის სისტემაში, თუმცა მწირია ინფორმაცია სხვადასხვა ხელშეკრულების განმარტების მეთოდებზე. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წინააღმდეგობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ სხვადასხვაგვარი განმარტებებით. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოებს განსხვავებული ხედვა აქვთ თავიანთი ხელშეკრულებების საგანთან და მიზნებთან

⁶⁵⁰ *Sourgens G.F.*, Value and Judgement in Investment Treaty Arbitration, *Journal of Dispute Resolution*, Vol. 2018, No. 1, University of Missouri School of Law, Columbia, Missouri, 2018, 188.

⁶⁵¹ *Rosert D.*, The Stakes are High: A Review of the Financial Costs of Investment Treaty Arbitration, The International Institute for Sustainable Development, Winnipeg, 2014, 1, <<https://www.iisd.org/system/files/publications/stakes-are-high-review-financial-costs-investment-treaty-arbitration.pdf>>, [12.02.2021].

მიმართებით.⁶⁵² საინვესტიციო სამართლის განვითარებამ გამოიწვია სამართლებრივი ინსტიტუტების აღმასრულებელი ძალის არსებობის ეჭვქვეშ დაყენება. საინვესტიციო ტრიბუნალებმა შეარყიეს სახელმწიფოთა ძალა იმ თვალსაზრისით, რომ მთავრობები არათუ ხშირად კარგავენ თავიანთ ავტორიტეტს, არამედ ისინი მრავალ შემთხვევაში მოპასუხეებად არიან წარმოდგენილი უცხოურ სასამართლოებში.⁶⁵³ შესაბამისად, ისინი ვერ იქნებიან ნორმის განმმარტებლები საარბიტრაჟო პროცესში, რადგან ეს გამოიწვევს მხარეთა უთანასწორობას. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა საფრთხე, რომ სახელმწიფომ თავის სასარგებლოდ განმარტოს ნორმა, რაც უცხოელი ინვესტორის უფლებებს შელახავს და შესაბამისად საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისადმი უნდობლობას გამოიწვევს.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები თავის მხრივ ხშირი განხილვის საგანია, ხელშეკრულების ნორმათა არათანმიმდევრული, ფართო ან ვიწრო განმარტებების გათვალისწინებით. ტრიბუნალები აკრიტიკებენ ერთმანეთის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ტრიბუნალები ნორმის განმარტებას ახდენენ იმ ფარგლებს გარეთ, ვიდრე ეს სურთ სახელმწიფოებს საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმების ინტერპრეტაციისას. აღნიშნულის ერთ-ერთ მთავარ დამაბრკოლებელ გარემოებად წარმოდგება ის, რომ საერთაშორისო არბიტრაჟში არ არსებობს პრეცედენტულობა და საარბიტრაჟო ტრიბუნალებს შორის იერარქია.

საინვესტიციო ხელშეკრულებები, მისი მრავალგვარობის მიუხედავად, განსაზღვრავს იდენტურ უფლებებს, რაც შესაძლებელს ხდის პრეცედენტის განვითარებას საერთაშორისო საინვესტიციო არბიტრაჟში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დათქმის ფორმულირება ერთმანეთისგან განსხვავდება, ინვესტიციების დაცვისა და მისთვის ხელშეწყობის მიზანი ყველა ხელშეკრულებას საერთო აქვს. პროფესორი შტეფან შილი აღნიშნავს, რომ არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა

⁶⁵² *Ginsburg T.*, *Objections to Treaty Reservation – A Comparative Approach to Decentralized Interpretation*, in: *Roberts A., Spephan B.P., Verdier P.H., Versteeg M.* (Editors), *Comparative International Law*, Oxford University Press, New York, 2018, 231.

⁶⁵³ *Tucker T.*, *The Concept of the State in Investor-State Arbitration – A Social Science Perspective*, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015, 138.

იყოს ერთგვაროვანი, თანმიმდევრული და არა წინააღმდეგობრივი და ფრაგმენტული.⁶⁵⁴ თუმცა, აღსანიშნია, რომ ამ მიზნის მიღწევა რთულია არბიტრაჟის ანაციონალური ბუნებიდან გამომდინარე.

მრავალნაირი და ერთმანეთის საწინააღმდეგო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიღებამ ერთი და იმავე ფაქტებთან დაკავშირებით ექსპერტთა აღშფოთება გამოიწვია. პროფესორ სუზან ფრანკის მიერ შემოთავაზებულია არათანმიმდევრული გადაწყვეტილებების სამი მიმართულებით დაყოფა:

1. საქმეები, რომელთაც გააჩნიათ ერთი და იგივე ფაქტობრივი გარემოებები, მხარეები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და აქვთ მსგავსი საინვესტიციო უფლებები; 2. საქმეები, რომლებიც შეიცავენ მსგავს კომერციულ ფაქტობრივ გარემოებებსა და ერთგვაროვან საინვესტიციო უფლებებს; 3. საქმეები, რომელშიც სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, განსხვავებულ კომერციულ ფაქტობრივ გარემოებებს შეიცავს, მაგრამ განხილვის საგანი ერთი და იგივე საინვესტიციო უფლებებია.⁶⁵⁵

საინვესტიციო არბიტრაჟში ნორმის განმარტების სტანდარტების არქონის პრობლემატურობასთან დაკავშირებით მრავალი სპეციალისტის მიერ არის აზრი გამოთქმული. კერძოდ, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტების სტანდარტების არქონა იწვევს კონფლიქტურ და წინააღმდეგობრივ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს. აღნიშნული პრობლემა კი გამოწვეულია არბიტრთა სუბიექტური დამოკიდებულებით. მაგალითად, პროფესორი სორნარაჯა აღნიშნავს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არბიტრების მიდგომა არის ორგვარი. მისი შეხედულებით, ზოგიერთი არბიტრი გადაწყვეტილების მიღებისას სუბიექტურ მიდგომას ამჯობინებს, სხვა კი - ნეიტრალურს. ნეიტრალური არბიტრი საინვესტიციო ხელშეკრულებას განმარტავს ფართოდ. სორნარაჯამ გამოკვეთა არბიტრთა მიდგომის კიდევ ერთი ტენდენცია. მისი ანალიზის თანახმად, არბიტრები ითვალისწინებენ ადვოკატების მიერ დავის წარმოებისას გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებიც დაფუძნებულია საინვესტიციო ხელშეკრულების შინაარსზე და არა - ხელშეკრულების მხარეთა განზრახვაზე.

⁶⁵⁴ *Hai Yen T.*, *The Interpretation of Investment Treaties*, Vol. 7, Brill Nijhof, Leiden, Boston, 2014, 23.

⁶⁵⁵ *Hai Yen T.*, *The Interpretation of Investment Treaties*, Vol. 7, Brill Nijhof, Leiden, Boston, 2014, 24.

ზოგიერთი სპეციალისტის მოსაზრებით, საინვესტიციო ხელშეკრულებების ნორმები განმარტებულია იმგვარად, რომ არ არის გათვალისწინებული ნორმის თავდაპირველი მიზანი. პროფესორმა სორნარაჯამ შეისწავლა სხვადასხვა ხელშეკრულების ნორმები და დაასკვნა, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალების მიერ ნორმათა განმარტება სცდება მათი ნამდვილი შინაარსის ფარგლებს. მაგალითად, მან გააკრიტიკა საარბიტრაჟო ტრიბუნალის განმარტება უპირატესი ხელშეწყობის პრინციპთან დაკავშირებით⁶⁵⁶ საქმეზე *Emilio Augustin Maffezini v. The Kingdom of Spain*.⁶⁵⁷ პროფესორმა სორნარაჯამ აღნიშნა, რომ ტრიბუნალის მიერ ნორმა ფართოდ არის განმარტებული და სცდება სახელმწიფოების მიერ განსაზღვრულ ნორმათა შინაარსის ფარგლებს. აგრეთვე, მეცნიერის შეფასებით მოცემულ საქმეში ფართოდ არის განმარტებული სტანდარტი სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის შესახებ.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სხვა სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის ვიწრო განმარტება ვერ იქნება სრულ შესაბამისობაში სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციით განმტკიცებულ მიდგომებთან ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით. მათი მოსაზრებით, ნორმის ზოგადი მნიშვნელობა წარმოადგენს სწორად განმარტების საფუძველს.⁶⁵⁸ ამ უკანასკნელით იგულისხმება, რომ საინვესტიციო საარბიტრაჟო დავისას გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას ინვესტორის ინტერესებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებიდან გამომდინარე.

არბიტრ მაიკლ რეისმანის მოსაზრებით,⁶⁵⁹ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებისას დავის მონაწილეთა ინტერესები მაქსიმალურად უნდა იქნას

⁶⁵⁶ *Hai Yen T.*, *The Interpretation of Investment Treaties*, Vol. 7, Brill Nijhof, Leiden, Boston, 2014, 24.

⁶⁵⁷ ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განხილველი ცენტრის 2000 წლის 13 ნოემბრის საქმე *Emilio Agustín Maffezini v. The Kingdom of Spain*, ICSID Case No. ARB/97/7, para. 21, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0481.pdf>>, [12.02.2021].

⁶⁵⁸ *Hai Yen T.*, *The Interpretation of Investment Treaties*, Vol. 7, Brill Nijhof, Leiden, Boston, 2014, 23-24.

⁶⁵⁹ არბიტრ მაიკლ რეისმანის მონაწილეობით განხილულია ორი საარბიტრაჟო დავა - *AG Fraport Airport Services Worldwide v. Philippines* და *GAMI Investment Inc. v. Mexico* - სადაც

გათვალისწინებული, სადაც გამოხატული უნდა იყოს სამართლებრივი სისტემის მინიმალური მართლწესრიგის ღირებულებები. სისტემამ უნდა დააბალანსოს სახელმწიფოს მოთხოვნები, რადგან ეს წარმოადგენს სამართლებრივი ნორმის ფუნქციონირების შენარჩუნების საშუალებას, რათა ეკონომიკურმა ქმედებებმა თავისუფლად გააგრძელოს მოქმედება მთელი მსოფლიოს მასშტაბით.⁶⁶⁰

ამას გარდა, პროფესორი ვან ჰარტენი არბიტრთა ინტერპრეტაციის მეთოდებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ არბიტრები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღებისას უფრო მეტად იყენებენ კომერციულ არბიტრაჟში გაბატონებულ კერძო სამართლის თეორიებს, ვიდრე საჯარო სამართლისთვის შესაბამის პრინციპებს. ამასთან, მეცნიერი აკრიტიკებს იმ მიდგომას, რომლის მიხედვით ინვესტორის დაცვა წარმოადგენს უცხოური საინვესტიციო სისტემის მთავარ მიზანს. მისი შეხედულებით, აღნიშნული ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებსა და სახელმწიფოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას.⁶⁶¹

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ნათელია, თუ რამდენად მრავალგვარად შეიძლება განიმარტოს ერთი და იგივე ნორმა, რაც საბოლოოდ დიდ გავლენას ახდენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შედეგზე. ტრიბუნალს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რადგან ნორმის სათანადოდ განსამარტად გულდასმით უნდა იქნას გამოკვლეული და გათვალისწინებული ყოველი ფაქტობრივი გარემოება, ხელშეკრულების მხარეთა სახელშეკრულებო მიზნები და სამართლებრივი სისტემა, მასპინძელ სახელმწიფოში არსებული ვითარება და გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ქვეყნის სამართალი. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ამით შესაძლოა საინვესტიციო სამართლებრივი ნორმის განმარტებაში დიდი წვლილის შეტანა, საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის რეგულირების დახვეწა და განვითარება.

სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის განმარტების ზომიერი მიდგომაა განვითარებული, იხ. წინამდებარე ნაშრომის ქვეთავი 3.2. „სამართლიანი და თანაბარი მოპყრობა“.

⁶⁶⁰ *Caron D.D.*, The Interpretation of National Foreign Investment Law as Unilateral Acts under International Law, in: *Arsanjani H. M., Cogan Katz J., Sloane D.R., Wiessner S.* (Editors), Looking to the Future, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2011, 579-581.

⁶⁶¹ *Hai Yen T.*, The Interpretation of Investment Treaties, Vol. 7, Brill Nijhof, Leiden, Boston, 2014, 25.

1.1. კონფიდენციალურობის პრინციპის გავლენა საინვესტიციო საარბიტრაჟო დავისას

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების მთავარ მიზანს კაპიტალის დაცვა და მისი თავისუფალი მიმოქცევა წარმოადგენს.⁶⁶² როგორც ცნობილია, საარბიტრაჟო მექანიზმის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევა პროცესის კონფიდენციალურობა. აღნიშნულის გათვალისწინებით არც საინვესტიციო საარბიტრაჟო დავები არ წარმოადგენს გამონაკლისს. შებამისად, საინვესტიციო დავის განხილვის პროცედურა უმეტეს შემთხვევაში კონფიდენციალურია. აღნიშნული შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, რომ პოლიტიკური გავლენებისა და სხვა გარე ხელშემშლელი ფაქტორების გარეშე მიიღონ მონაწილეობა პროცესში.⁶⁶³ თუმცა, კონფიდენციალურობა თვისობრივად არბიტრაჟის ნიშანდობლივ მახასიათებელს არ წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ კონფიდენციალურობის სტანდარტი განსხვავებულია სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში. უნივერსალურად აღიარებული მახასიათებელი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა იყოს უშუალოდ საარბიტრაჟო პროცესის კონფიდენციალურობა და არბიტრთა კონფიდენციალურობის სავალდებულოობა. აღნიშნული მიემართება არამხოლოდ საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟს, არამედ ასევე საინვესტიციო დავებსაც. საინვესტიციო საარბიტრაჟო დავებში მხარეები სარგებლობენ მაღალი სტანდარტის ავტონომიურობით, როდესაც საქმე ეხება კონფიდენციალურობასა და ინფორმაციის გამჟღავნებას.⁶⁶⁴

ხსენებული საკითხი კიდევ უფრო ღირებულია მხარეებისთვის იმის გათვალისწინებით, რომ საინვესტიციო საარბიტრაჟო დავაში ჩართული არიან უცხოური ინვესტიციის მიმღები სახელმწიფო და უცხოელი ინვესტორი. შესაბამისად, სახელმწიფოსთვის ავტორიტეტის შენარჩუნება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს

⁶⁶² *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 72.

⁶⁶³ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 142.

⁶⁶⁴ *Belohlavek J.A.*, Rights of the Host States within the System of International Investment Protection, *Czech Yearbook of International Law*, Vol. 2, Juris Publishing, New York, 2011, 23.

წარმოადგენს საერთაშორისო არენაზე კარგი რეპუტაციის შესანარჩუნებლად. შესაბამისად, სახელმწიფოსთვის ნაკლებ სახარბიელოა უცხოელი ინვესტორის მიერ წარდგენილი საჩივრის შინაარსი და სახელმწიფოს მიერ სავარაუდოდ დარღვეული უფლების განხილვა საჯაროდ.⁶⁶⁵

თუმცა, არ უნდა უარვეყოთ სათანადო საჯარო ინტერესი საინვესტიციო დავებთან მიმართებით, რადგან ინფორმაციის საჯაროობის შედეგად მიიღწევა განსაკუთრებით ინვესტიციის მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეების ინტერესების დაცვა. არსებობს ასევე მოსაზრება, რომ დავის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ იმის უფლებამოსილება, რომ მოითხოვონ გადაწყვეტილების საჯაროობა და გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფოს მოხელეებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა აღნიშნულთან.⁶⁶⁶

რაც მთავარია, არბიტრაჟის კონფიდენციალურობა არც თუ ისე დადებით ასპექტს წარმოადგენს საინვესტიციო ნორმების განმარტების თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პროცესი აფერხებს განმარტებების თანმიმდევრულობასა და ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბებას, თუნდაც ერთ სამართლებრივ სივრცეში. აგრეთვე, აღნიშნული დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს განმარტებითი პროცესის და მეთოდოლოგიების განვითარებაში, რადგან გადაწყვეტილებათა კონფიდენციალურობის გამო, არბიტრებს არ გააჩნიათ იმის შესაძლებლობა, რომ სხვა გადაწყვეტილებების ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე შეაფასონ განმარტების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეს უკანასკნელი საშუალებას მისცემდა ნეიტრალური და სანდო სტანდარტების დამკვიდრებას.

ამასთან, პროცესის კონფიდენციალურობისას უფრო მაღალია არბიტრთა სუბიექტური შეხედულებების გავლენა ნორმის განმარტებაზე. აღნიშნული გამოწვეულია იმ შეხედულებით, რომ კონფიდენციალირობა გამორიცხავს

⁶⁶⁵ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 138.

⁶⁶⁶ *Belohlavek J.A.*, Rights of the Host States within the System of International Investment Protection, Czech Yearbook of International Law, Vol. 2, Juris Publishing, New York, 2011, 23.

გამჭვირვალობას.⁶⁶⁷ შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ არბიტრები ობიექტური შეფასების კრიტერიუმებს ნაკლებ პრიორიტეტულად გამოიყენებენ. ამასთან, ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ არბიტრების დიდ ნაწილი წინასწარ უარყოფითად არის განწყობილი სახელმწიფოების მიმართ.⁶⁶⁸ აღნიშნული კი თავის მხრივ წარმოშობს არბიტრთა მიკერძოების რისკს და საფრთხის ქვეშ აყენებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების კანონიერებას, როგორც სამართლებრივი, ისე ფინანსური შედეგის თვალსაზრისით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის მთავარ საგანს წარმოადგენს უცხოელ ინვესტორსა და მიმღებ სახელმწიფოს შორის არსებულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს თუ არა საჯარო მესამე პირთა ინტერესების სასარგებლოდ თუ დავის მხარეთა ავტონომიურობა უნდა განისაზღვროს პრიორიტეტად. წინამდებარე შემთხვევაშიც დაბალანსებული მიდგომა იქნება გამოსავალი. კერძოდ, მხოლოდ საინვესტიციო დავის მხარეთა სურვილზე არ უნდა იყოს დამოკიდებული გადაწყვეტილების საჯაროობის საკითხი ან გამოსაყენებელი სამართლით პირდაპირ სავალდებულოდ დადგენილი არბიტრაჟის კონფიდენციალურობა. აღნიშნული საკითხი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო და მესამე პირთა უფლებებიდან გამომდინარე. ეს კი თავის მხრივ, დადებით გავლენას მოახდეს საინვესტიციო ნორმის განმარტებების პროცესის განვითარებასა და მთლიანად საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის დახვეწაზე.

⁶⁶⁷ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 142.

⁶⁶⁸ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 142.

1.2. საარბიტრაჟო ტრიბუნალის როლი ნორმის განმარტებაში ფინანსური შედეგის თვალსაზრისით

ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის საარბიტრაჟო დავისას ტრიბუნალის როლი განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია ფინანსური შედეგის თვალსაზრისით. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ, როგორც წესი, უცხოელ ინვესტორსა და მასპინძელ სახელმწიფოს შორის დავის ფასი კოლოსალური ოდენობის თანხას შეადგენს.⁶⁶⁹ სახელმწიფოებს მილიონობით ოდენობის ჯარიმა ეკისრებათ გადასახდელი უცხოელი ინვესტორის სასარგებლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელის მოთხოვნა დაკმაყოფილდება.⁶⁷⁰ საინვესტიციო არბიტრაჟში დარღვეული უფლებისთვის დადგენილი კომპენსაცია, როგორც წესი, ითვალსიწინებს სრულ ანაზღაურებას უცხოელი ინვესტორის სასარგებლოდ. სრულად ანაზღაურების მიზანი არ არის რომელიმე მხარისთვის მხოლოდ სადამსჯელო სანქციის დაკისრება, არამედ აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს უკანონო ქმედების ყველა შედეგის მოსპობა.⁶⁷¹ შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალის როლი და მათი მიერ გამოყენებული მიდგომები ნორმის განმარტებისას ძირეულ გავლენას ახდენს საბოლოო გადაწყვეტილების შედეგზე ფინანსური თვალსაზრისით.

მაგალითად, არბიტრაჟის მეშვეობით საინვესტიციო დავის განხილვის ერთ-ერთ რისკს წარმოადგენს ის, რომ არბიტრაჟის დისკრეციის ფარგლები არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, არსებობს იმის ალბათობა, რომ საარბიტრაჟო

⁶⁶⁹ *Friedman M., Floriane L., Damages Principles in Investment Arbitration*, in: *Trenor A.J.* (Editor), *The Guide to Damages in International Arbitration*, Global Arbitration Review, Law Business Research, London, 2016, 90.

⁶⁷⁰ *Rosert D., The Stakes are High: A Review of the Financial Costs of Investment Treaty Arbitration*, The International Institute for Sustainable Development, Winnipeg, 2014, 1, <<https://www.iisd.org/system/files/publications/stakes-are-high-review-financial-costs-investment-treaty-arbitration.pdf>>, [12.02.2021].

⁶⁷¹ *Friedman M., Floriane L., Damages Principles in Investment Arbitration*, in: *Trenor A.J.* (Editor), *The Guide to Damages in International Arbitration*, Global Arbitration Review, Law Business Research, London, 2016, 90.

ტრიბუნალი გასცდეს ზომიერების ფარგლებს და ფართოდ განმარტოს საინვესტიციო სტანდარტი. უნდა აღნიშნოს, რომ ხსენებული საკითხი მრავალი სპეციალისტის განხილვის საგანს წარმოადგენს, რადგან ხშირად სახელმწიფოები გამოხატავენ მოსაზრებას, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი ზედმეტად იჭრება სახელმწიფოების კომპეტენციაში.⁶⁷² შესაბამისად, არბიტრაჟის მიერ ნორმის მართლზომიერად განმარტება პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული დაკისრებული ჯარიმის ოდენობასთან.

სრული კომპენსაციის მისაღებად, საერთაშორისო სამართალში ერთმანეთისგან განასხვავებენ ძირითადად ზიანსა და კომპენსაციას სამართლიანი ექსპროპრიაციისთვის. კომპენსაციის სტანდარტები, როგორც წესი, გათვალისწინებულია საინვესტიციო ხელშეკრულებებით. ხოლო, გადაწყვეტილებები ზიანის ანაზღაურების შესახებ გამომდინარეობს საერთაშორის ჩვეულებითი სამართლიდან, რაც განისაზღვრება საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიერ.⁶⁷³ აღნიშნული ახდენს იმის ილუსტრირებას, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალი ზიანის ანაზღაურების გამოთვლისას ისევე თავისუფლად მოქმედებს, როგორც ეს ხორციელდება უმეტეს შემთხვევაში ნორმის განმარტებისას. აქედან გამომდინარე, არბიტრებს აკისრიათ უდიდესი პასუხისმგებლობა, რომ მაქსიმალურად დაბალანსებულად განახორციელონ ნორმის განმარტება, რათა აღნიშნულმა არ გამოიწვიოს არაპროპორციულად განსაზღვრული ზიანის ოდენობის დადგენა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ არბიტრების მიერ ნორმის სათანადოდ განმარტება ასახვას ჰპოვებს არამხოლოდ სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, არამედ აღნიშნული ასევე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

⁶⁷² *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 142.

⁶⁷³ *Friedman M., Floriane L.*, Damages Principles in Investment Arbitration, in: *Trenor A.J.* (Editor), *The Guide to Damages in International Arbitration*, Global Arbitration Review, Law Business Research, London, 2016, 90.

2. ინსტიტუციონალური საარბიტრაჟო ორგანოს და *AD HOC* არბიტრაჟის როლი საინვესტიციო სამართლებრივი ნორმის განმარტებისას

საინვესტიციო არბიტრაჟის კომპლექსურობიდან გამომდინარე მიიჩნევა, რომ ინსტიტუციონალური არბიტრაჟები თავისი ბუნებით ინვესტორებისთვის არის უფრო მეტად ხელსაყრელი ვიდრე *Ad hoc* არბიტრაჟი. *Ad hoc* ტრიბუნალებს მუდმივ საარბიტრაჟო ტრიბუნალებთან შედარებით აკრიტიკებენ ნაკლები ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და დემოკრატიული პროცესებისადმი ხელმისაწვდომობის გამო. აღნიშნული გარემოება კი არ არის სამართლიანი, დამოუკიდებელი და დაბალანსებული მეთოდი საინვესტიციო დავის გადასაწყვეტად.⁶⁷⁴ ამგვარ მოსაზრება გამოწვეულია იმით, რომ *Ad hoc* ტრიბუნალები არ არიან მოქცეული რაიმე სისტემის ფარგლებში, რაც მათი მოქმედების არეალს ქაოტურს ხდის და შესაბამისად ნორმის განმარტების პროცესშიც მათი როლი ვერ არის შედეგობრივი.

ამასთან, *Ad hoc* ტრიბუნალის არბიტრების მიმართ შესაძლოა არსებობდეს ნაკლები ნდობა მიკერძოებულების თუ კომპეტენტურობის თვალსაზირით ინსტიტუციურ არბიტრაჟთან შედარებით. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ინსტიტუციური არბიტრაჟები ორიენტირებულია დადებითი რეპუტაციის და მაღალი კვალიფიკაციის მქონე არბიტრების გათვალისწინებაზე არბიტრთა ნუსხაში (რომელთაგანაც მხარეები ირჩევენ არბიტრებს სურვილსამებრ). ხოლო, *Ad hoc* არბიტრაჟის შემთხვევაში აღნიშნული პროცესი უკონტროლოა, რადგან მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი არბიტრი, რომელთა დამოუკიდებლობის ხარისხი თუ სათანადო გამოცდილების არსებობა არ არის გარანტირებული.

სპეციალისტები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებასთან დაკავშირებით მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების პრობლემატიკის მოგვარება შესაძლებელია ახალი საერთაშორისო სასამართლოს დაფუძნებით, რომელიც განიხილავდა მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების შესრულებასთან დაკავშირებულ დავებს.

⁶⁷⁴ *Hai Yen T.*, *The Interpretation of Investment Treaties*, Vol. 7, Brill Nijhof, Leiden, Boston, 2014,

ინვესტორისა და სახელმწიფოს საინვესტიციო საარბიტრაჟო დავის სისტემის მომხრეები აღნიშნავენ, რომ მისი არსებობა აუცილებელია, რადგან ამით წარმოჩნდება სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტი გარანტია იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები ჯეროვნად შესრულდება. არსებული მექანიზმის მეშვეობით შესაძლებელია ბალანსის შენარჩუნება სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და საინვესტიციო უფლებების დაცვას შორის.⁶⁷⁵

აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ არბიტრაჟის ანაციონალური ბუნებიდან გამომდინარე, სადაც უდავოდ რთულია და ალბათ შეუძლებელიც *Ad hoc* ტრიბუნალების მიერ დავის განხილვის შემთხვევაში პრეცედენტის ჩამოყალიბება, საინვესტიციო არბიტრაჟისა და მისი როლის დახვეწასა და ჩამოყალიბებაში საინვესტიციო ნორმის განმარტების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ინსტიტუციონალური საინვესტიციო არბიტრაჟი.

⁶⁷⁵ *Hai Yen T.*, *The Interpretation of Investment Treaties*, Vol. 7, Brill Nijhof, Leiden, Boston, 2014, 23-24.

IX. საინვესტიციო დავის განმხილველი სააპელაციო მექანიზმის შექმნისა და მისი ფუნქციონირების გავლენა ნორმის განმარტების პროცეში

ხელშეკრულებების განმარტებების მნიშვნელობის ზრდამ გამოიწვია ერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღების განვითარება. განსახილველი საკითხის გადაწყვეტის საშუალებად წარმოგვიდგება სააპელაციო ორგანოს შექმნა. მაგალითად, აშშ-ს მიერ დადებული რამდენიმე ხელშეკრულება ითვალისწინებს ამგვარ საშუალებას სააპელაციო ორგანოს ან მსგავსი მექანიზმის შექმნის საშუალებით.⁶⁷⁶ აშშ-ს 2012 წლის მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების⁶⁷⁷ 28(10)-ე მუხლის მიხედვით, „თუ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი დამკვიდრდება სააპელაციო ორგანოს მიერ ინსტიტუციური ორგანიზაციის ფარგლებში, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ 34-ე მუხლის⁶⁷⁸ საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა დაექვემდებაროს თუ არა სააპელაციოს მექანიზმს.“

თუმცა, საეჭვოა, სხვადასხვა ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი სააპელაციო ორგანოები განავითარებენ თუ არა ერთგვაროვან პრაქტიკას. აღნიშნული გამართლდება იმ შემთხვევაში, თუ ჩამოყალიბდება სააპელაციო ინსტიტუციური მექანიზმი ყველა ან მრავალი ხელშეკრულების საფუძველზე. მაგალითად, განსახილველი მიდგომა მოცემულია აშშ-ს, სინგაპურსა და ჩილეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.⁶⁷⁹

განხილვის საგანს წარმოადგენს, თუ როგორ იფუნქციონირებს სააპელაციო ორგანო. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ვარიანტები. შესაძლებელია მუდმივი სააპელაციო ორგანოს დაფუძნება, როგორც აღინიშნული მოქმედებს

⁶⁷⁶ *Hai Yen T.*, *The Interpretation of Investment Treaties*, Vol. 7, Brill Nijhof, Leiden, Boston, 2014, 23.

⁶⁷⁷ U.S. Model Bilateral Investment Treaty, მიღების თარიღი: 2012, <<https://ustr.gov/sites/default/files/BIT%20text%20for%20ACIEP%20Meeting.pdf>>, [16.02.2012].

⁶⁷⁸ აშშ-ს 2012 წლის მოდელური ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების 34-ე მუხლი არეგულირებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების საკითხთა ფარგლებს.

⁶⁷⁹ *Hai Yen T.*, *The Interpretation of Investment Treaties*, Vol. 7, Brill Nijhof, Leiden, Boston, 2014, 23.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შემთხვევაში. მაგალითად, შესაძლოა განხილულ იქნას ICSID-ის *Ad hoc* სააპელაციო ორგანო გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთ სააპელაციო საარბიტრაჟო ტრიბუნალს გააჩნია არამხოლოდ გადაწყვეტილების გაუქმების, არამედ მისი შეცვლის უფლებამოსილება.

პირველი შემთავაზება გულისხმობს ახალი მრავალმხრივი ინსტიტუტის დაფუძნებას ან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავის გადაწყვეტის სისტემის ფარგლებში ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული დავის განხილვას. არც ერთ იდეას არ გააჩნია საკმარისი პოლიტიკური მხარდაჭერა და შესაბამისად არარეალურია მისი განხორციელება. მიუხედავად ამისა, მუდმივმოქმედი სასამართლოს დაფუძნება შესაძლებელია ორმხრივ ან რეგიონალურ დონეზე.

მეორე შემთავაზების მიხედვით, სააპელაციო ორგანო შეიქმნება ყოველი კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე. მაგრამ, მუდმივმოქმედი სააპელაციო ორგანოს მუდმივი წევრი არბიტრებისგან განსხვავებით, *Ad hoc* ტრიბუნალი სხვადასხვა არბიტრისგან დაკომპლექტდება ყოველ საქმეზე. სააპელაციო ორგანოს დაფუძნება უფრო ხელსაყრელი იქნება მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე, რაც უნდა განხორციელდეს, მაგალითად UNCITRAL-ის მოდელურ კანონში საერთაშორისო კომერციული სამართლის შესახებ⁶⁸⁰ ან ვაშინგტონის კონვენციაში ცვლილების განხორციელების საშუალებით.⁶⁸¹

გავრცელებული მიდგომის თანახმად, სააპელაციო ინსტანცია არ წარმოადგენს საუკეთესო მექანიზმს თანმიმდევრული და ერთგვაროვანი გადაწყვეტილებების განსავითარებლად. ეს აიხსნება იმით, რომ გასაჩივრება გულისხმობს სავარაუდო ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეცვლების უფლებას, მისი გამოსწორების

⁶⁸⁰ UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration (with Amendments as Adopted in 2006), მიღების თარიღი: 21/06/1985, <https://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998_Ebook.pdf>, [16.02.2021].

⁶⁸¹ *Karl J.*, An Appellate Body for International Investment Disputes: How Appealing is It, in: *Sauvant P.T.* (Editor-in-Chief), *Torres P. A.* (Managing Editor) *Columbia FDI Perspectives on Topical Foreign Direct Investment Issues*, No. 147, Columbia University, New York, 2015, 1-2, <<http://ccsi.columbia.edu/files/2013/10/No-147-Karl-FINAL.pdf>>, [12.02.2021].

მიზნით.⁶⁸² აღსანიშნია, რომ სააპელაციო ორგანოს შექმნა, საერთაშორისო სასამართლოს ჩამოყალიბება ან ICSID-ის მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება უფრო ეფექტური შედეგის მომტანი არ იქნება. ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმით, რომ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის შეთანხმება განხორციელდება სუპრანაციონალურ დონეზე საერთაშორისო სასამართლოს მიერ. აღნიშნულთან შედარებით, ანუ თუ როგორ და რა სისტემით ფუნქციონირებენ საინვესტიციო არბიტრაჟები, უფრო პრობლემატურია ის, თუ როგორ განხორციელებენ ამგვარი მექანიზმის ფარგლებში საარბიტრაჟო ტრიბუნალები საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებას.⁶⁸³

აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოცემული იქნება საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განხილველი ორგანოს დადებითი და უარყოფითი ასპექტები და მისი როლი საინვესტიციო ხელშეკრულებების ნორმის განმარტებისას.

1. საინვესტიციო დავის განხილველი სააპელაციო ორგანოს შექმნისა და მისი ფუნქციონირების დადებითი ასპექტები

საინვესტიციო დავების განხილველი სააპელაციო მექანიზმის შექმნის იდეა განსაკუთრებით აქტუალურია 2002 წლიდან. ანუ, მას შემდეგ, რაც აშშ-ს კონგრესმა მიიღო *Bipartisan Trade Promotion Authority Act*, რომელიც განსაზღვრავს აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობების მიზნებს. აქტით აშშ-ს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებებისთვის დადგენილია, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნას სააპელაციო ორგანოს ან მსგავსი მექანიზმის არსებობა. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს სავაჭრო ხელშეკრულებებში საინვესტიციო ნორმების განმარტებების თანმიმდევრულობა.

მოლაპარაკებები ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმების თაობაზე დასაბამს იღებს 2003 წლიდან. შეთანხმებების მიხედვით,

⁶⁸² *Dolzer R., Schreuer Ch., Principles of International Investment Law, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2012, 35-36.*

⁶⁸³ *Hai Yen T., The Interpretation of Investment Treaties, Vol. 7, Brill Nijhof, Leiden, Boston, 2014, 24.*

მხარეები თანხმდებიან, რომ სააპელაციო მექანიზმის დაფუძნების შემთხვევაში თანხმობას განაცხადებენ აღნიშნულის გამოყენების შესახებ. აგრეთვე, ხელშეკრულებებში მოცემულია, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა შეთანხმების ძალაში შესვლიდან გარკვეული დროის განმავლობაში უნდა გადაწყვიტონ სურთ თუ არა ორმხრივი საინვესტიციო ორგანოს დაფუძნება.

2004 წლის ოქტომბერში ICSID-მა წარადგინა ინიციატივა სააპელაციო ორგანოს დაფუძნების თაობაზე. ICSID-მა გამართა მრავალი საკონსულტაციო შეხვედრა წევრ სახელმწიფოებთან, არსამთავრობო ორგანიზაციებთან და არბიტრაჟში მოღვაწე სპეციალისტებთან სააპელაციო მექანიზმის დაფუძნების მიზანშეწონილობის განსახილველად.⁶⁸⁴ ვაშინგტონის კონვენციის 53-ე მუხლის⁶⁸⁵ მიხედვით ICSID არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სააპელაციო განხილვის საგანს. იგი შეიძლება გაუქმდეს კონვენციის 52-ე მუხლში მკაცრად დადგენილი საფუძვლების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, საკითხავია შესაძლებელია თუ არა ფაქტობრივი ან სამართლებრივ მნიშვნელოვან შეცდომებზე შედავება კონვენციის 52-ე მუხლის საფუძველზე. არბიტრმა გარი ბორნმა გადაწყვეტილების არსებითი გადასინჯვის შესაძლებლობა განიხილა თავის რამდენიმე ნაშრომში, სადაც აღნიშნულია რომ ეს გააუმჯობესებს გადაწყვეტილებათა ხარისხს. გარი ბორნმა გამოიკვლია ასევე გადაწყვეტილების არსებითი გადასინჯვის

⁶⁸⁴ *Legum B.*, Options to Establish an Appellate Mechanism for Investment Disputes, in: *Sauvant P.K.* (Editor), *Appeals Mechanism in International Investment Disputes*, Oxford University Press, New York, 2008, 231-233.

⁶⁸⁵ ვაშინგტონის კონვენციის მუხლი 53(1): საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა მხარეებისთვის და არ ექვემდებარება ნებისმიერი სახის გასაჩივრებას, ან სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებას, გარდა ამ კონვენციით გათვალისწინებულისა. თითოეული მხარე ვალდებულია, შეასრულოს და დაემორჩილოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პირობებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღსრულება შეჩერებულია წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების მიხედვით; ვაშინგტონის კონვენციის მუხლი 53(2): ამ ნაწილის მიზნებისთვის, „საარბიტრაჟო გადაწყვეტილება“ მოიცავს ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელიც შეეხება ამგვარი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტებას, გადასინჯვას ან გაუქმებას 50-ე, 51-ე ან 52-ე მუხლების შესაბამისად.

შესაძლებლობა, რომლის საფუძველზეც მივიდა დასკვნამდე, რომ გარდა თანმიმდევრულობისა, ეს სისტემას შესძენს ლეგიტიმურობას.⁶⁸⁶ შესაბამისად, აღნიშნული მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საინვესტიციო სტანდარტების განმარტების ერთგვაროვანი მიდგომების განვითარებაზე.

საინვესტიციო არბიტრაჟში სააპელაციო პროცესი ემსახურება ორ ძირითად ფუნქციას - შეცდომის გამოსწორებასა და სამართალშემოქმედებას. აღნიშნული კი თავის მხრივ მიზნად ისახავს სამართლიანობის უზრუნველყოფას. ამ თვალსაზრისით აშშ-ს ადვოკატთა ასოციაციამ სააპელაციო მექანიზმის არსებობა შეაფასა, როგორც პროცედურული სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპი.⁶⁸⁷ მართლაც, აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო პროცესში აპელაციის არარსებობა არბიტრაჟის არაეფექტურობას იწვევს.⁶⁸⁸

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნია, რომ სააპელაციო ორგანოს ფუნქციონირების შემთხვევაში მიიღება აშკარად ჩამოყალიბებული წესები. აღნიშნულის საშუალებით ჰარმონიზდება გამოსაყენებელი სამართლის არათანმიმდევრულობა. ამის მეშვეობით კი იქმნება პროგნოზირებადი გადაწყვეტილებები ინვესტორებისა და სახელმწიფოებისთვის. ეს კი ბიძგს მისცემს სახელმწიფოებსა და ინვესტორებს, ერთმანეთს შორის სამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგონ განვითარებული წესების შესაბამისად. აგრეთვე, დამკვიდრებული განმარტების მეთოდებით კონტროლი გაეწევა სარჩელის სამართლებრივ ღირებულებას.⁶⁸⁹

⁶⁸⁶ *Rodríguez-Retamoso L.*, A Proposal to Modernize ICSID Dispute Settlement Rules: An ICSID Appeals Facility: An Arbitration-based Mechanism, Rodríguez Retamoso and Asociados S.A.S., Bogota, 2018, 1, <https://icsid-archive.worldbank.org/en/amendments/Documents/Rodriguez_Liliana_12.28.18.pdf>, [12.02.2021].

⁶⁸⁷ *Satagopan A.*, Conceptualizing a Framework of Institutionalized Appellate Arbitration in International Commercial Arbitration, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol. 18, No. 1, Pepperdine University Caruso School of Law, Malibu, 328-329.

⁶⁸⁸ *Satagopan A.*, Conceptualizing a Framework of Institutionalized Appellate Arbitration in International Commercial Arbitration, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol. 18, No. 1, Pepperdine University Caruso School of Law, Malibu, 331.

⁶⁸⁹ *Franck D.S., Wylie E.L.*, Predicting Outcomes in Investment Treaty Arbitration, *Duke Law Journal*, Vol. 65, No. 1, Duke University School of Law, Durham, 2015, 524.

აგრეთვე, საარბიტრაჟო განხილვისას არსებობს გარემოებები, როდესაც საარბიტრაჟო ტრიბუნალის ერთ-ერთი წევრი საგარეო თუ შიდა ფაქტორთა გამო არ არის მოტივირებული განსხვავებული აზრის დასაფიქსირებლად. მსგავსი შემთხვევა უარყოფითად აისახება საარბიტრაჟო დავის შედეგზე, სააპელაციო ორგანოს მეშვეობით კი მსგავსი ხარვეზების შანსი მცირდება.⁶⁹⁰

ამასთან, ყურადსაღებია, რომ ტრიბუნალებს გააჩნიათ თავისუფლება იმასთან დაკავშირებით, გაითვალისწინონ თუ არა სხვა საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებები. პრაქტიკაში საარბიტრაჟო ტრიბუნალები იმ შემთხვევაში უთითებენ სხვა გადაწყვეტილებებზე, როდესაც ეს მათთვის ხელსაყრელია. მაგალითად, შესაძლოა დასახელდეს საქმეები, *SGS v. Philippines* და *SGS v. Pakistan*, სადაც ერთმანეთის მსგავს განსახილველ საკითხებზე სხვადასხვა გადაწყვეტილება იქნა მიღებული. საარბიტრაჟო ტრიბუნალები სხვადასხვა შედეგამდე მივიდნენ საინვესტიციო ხელშეკრულების გამოყენებასთან დაკავშირებით. საქმეზე *SGS v. Philippines* საარბიტრაჟო ტრიბუნალმა *SGS v. Pakistan* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება განიხილა მხოლოდ როგორც *res judicata* და არა როგორც პრეცედენტი. თუმცა, მრავალი არბიტრის მიერ დამკვიდრებულია მიდგომა, რომ მიუხედავად ICSID-ის სისტემის ფარგლებში სხვადასხვა ტრიბუნალის შექმნისა, ზოგადად ისინი უნდა მოქმედებდნენ თანმიმდევრულად.

შესაბამისად, სააპელაციო მექანიზმი სასარგებლო იქნება უცხოური საინვესტიციო სამართლის სხვადასხვაგვარად განმარტებული პრინციპებისა და საინვესტიციო საარბიტრაჟო ტრიბუნალთა წინაღმდეგობრივი მიდგომების ჰარმონიზაციისთვის.⁶⁹¹

⁶⁹⁰ *Dautaj Y.*, Dissenting Opinions in Investment Treaty Arbitration: The Investment Court System, University College Dublin Law Review, Vol. 17, Inchicore, Dublin, 2018, 55.

⁶⁹¹ *Subedi P.S.*, International Investment Law, Reconciling Policy and Principle, 2nd Edition, Hart Publishing, Portland, 2012, 200.

2. საინვესტიციო დავის განმხილველი სააპელაციო ორგანოს შექმნისა და მისი ფუნქციონირების უარყოფითი ასპექტები

როგორც წინა თავში აღინიშნა, სააპელაციო ორგანოს შექმნის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილებათა თანმიმდევრულობისა და ერთგვაროვნების ჩამოყალიბება. მაგრამ, არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებები, რომელთა თანახმად, აღნიშნული არ წარმოადგენს ხელშეკრულების ნორმის ზუსტი განმარტების საფუძველს.⁶⁹² კერძოდ, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, ხელშეკრულების ნორმის განმარტების პროცესის შედეგები მუდმივმოქმედი და *Ad hoc* სააპელაციო მექანიზმის ფარგლებში.

Ad hoc სააპელაციო ორგანოს არსებობა დიდ გამოწვევას წარმოადგენს, ეს იქნება ორმხრივ, რეგიონალურ თუ მრავალმხრივ ხელშეკრულებაზე დაფუძნებული. ამ შემთხვევაში არსებობს ნაკლები შანსი იმისა, რომ ხელშეკრულების ნორმების განმარტება იყოს თანმიმდევრული. იმის გათვალისწინებით, რომ ტრიბუნალებს შორის არ არსებობს დაქვემდებარების პრინციპი, არსებობს დიდი რისკი იმისა, რომ *Ad hoc* სააპელაციო საარბიტრაჟო ტრიბუნალები ნორმას განმარტავენ სხვადასხვაგვარად. აღნიშნულის რისკი არსებობს იმ შემთხვევაშიც, თუ განიმარტება ერთი და იგივე ხელშეკრულება თუ სხვადასხვა ხელშეკრულების მსგავსი ნორმები.⁶⁹³ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის შექმნილი სააპელაციო საარბიტრაჟო ტრიბუნალს ნაკლები წარმატების შანსი აქვს საინვესტიციო სტანდარტების განმარტების პროცესის დახვეწაში.

საინტერესოა, განვიხილოთ მუდმივმოქმედი სააპელაციო საარბიტრაჟო ორგანოს როლი განსახილველ თემასთან მიმართებით. 2016 წელს არბიტრ გაბრიელ კაუფმან კოლერისა და არბიტრ მიშელ პოტესტას მიერ მომზადდა სახელმძღვანელო

⁶⁹² *Reed L., Sim Ch.*, Potential Investment Treaty Appellate Bodies: Open Questions, ICSID Review, Vol. 32, Issue 3, Oxford University Press, Oxford, 2017.

⁶⁹³ *Karl J.*, An Appellate Body for International Investment Disputes: How Appealing is It, in: *Sauvant P.T.* (Editor-in-Chief), *Torres P. A.* (Managing Editor) Columbia FDI Perspectives on Topical Foreign Direct Investment Issues, No. 147, Columbia University, New York, 2015, 2, <<http://ccsi.columbia.edu/files/2013/10/No-147-Karl-FINAL.pdf>>, [12.02.2021].

პრინციპები მრავალმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობისას მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაფუძნების თაობაზე. კერძოდ, გაეროს ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის არსებული საარბიტრაჟო დავის გამჭვირვალობის შესახებ კონვენციის მოდელის მიხედვით, როგორ უნდა ეფუნქციონირა მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ტრიბუნალს ან მუდმივმოქმედი სააპელაციო მექანიზმს მრავალმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში. მიუხედავად საერთაშორისო დავების გადაწყვეტის ცენტრის (Center for International Dispute Settlement - (CIDS) - ჟენევის უნივერსიტეტთან არსებული კვლევითი ცენტრი) მცდელობისა, ამ დრომდე არ არის დიდი პროგრესი მრავალმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობისას საარბიტრაჟო ორგანოს არსებობის თაობაზე და შესაბამისად არც სააპელაციო მექანიზმზე.⁶⁹⁴

სააპელაციო მექანიზმის ფუნქციონირების ყველაზე ხელსაყრელი შესაძლებლობაა მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ტრიბუნალის არსებობა დადგენილი ვადებით. მაგალითად, ICSID-ის ფარგლებში დასაფუძნებელი სააპელაციო ორგანოს მოდელი ეფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გასაჩივრების მექანიზმს. ამგვარი მექანიზმის ფუნქციონირების მოდელი შეიძლება იყოს სხვადასხვა: მხარეებს შესაძლოა ჰქონდეთ შესაძლებლობა სააპელაციო საარბიტრაჟო *Ad hoc* პანელის წევრები დანიშნონ ან შესაძლებელია არსებობდეს ტრიბუნალების წინასწარი შემადგენლობა. საპროცესო წარმოება უნდა წარიმართოს მკაცრად შეზღუდულ დროში, რათა თავიდან იქნეს აცილებული საქმის განხილვის გაჭიანურება და არ შემცირდეს ICSID-ის მიერ დავის გადაწყვეტის ეფექტურობა.⁶⁹⁵ ⁶⁹⁶ ამგვარი მექანიზმი,

⁶⁹⁴ *Parra R.A.*, The History of ICSID, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017, 295.

⁶⁹⁵ განსახილველი მექანიზმის დასაფუძნებლად აუცილებელია ვაშინგტონის კონვენციის 53-ე მუხლში ცვლილების განხორციელება, რომლის შედეგად შესაძლებელი იქნება საგამონაკლისო შემთხვევებში გადაწყვეტილების გასაჩივრება. ეს ცვლილება თავის მხრივ კი მოითხოვს ყველა წევრი სახელმწიფოსგან მხარდაჭერას.

⁶⁹⁶ *Rodríguez-Retamoso L.*, A Proposal to Modernize ICSID Dispute Settlement Rules: An ICSID Appeals Facility: An Arbitration-based Mechanism, Rodríguez Retamoso and Asociados S.A.S., Bogota, 2018, 3, <[https://icsid-archive.worldbank.org/en/amendments/Documents/Rodriguez Liliana 12.28.18.pdf](https://icsid-archive.worldbank.org/en/amendments/Documents/Rodriguez_Liliana_12.28.18.pdf)>, [12.02.2021].

Ad hoc არბიტრაჟთან შედარებით, უფრო მეტ შესაძლებლობას ქმნის ერთიანი და თანმიმდევრული მიდგომების განსავითარებლად და მის დასახვეწად. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საბოლოოდ საარბიტრაჟო ტრიბუნალები გადაწყვეტილებას იღებენ გამოსაყენებელი სამართლის მიხედვით. აღნიშნული კი თავისთავად იქნება ერთმანეთისგან განსხვავებული ყოველი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებისა და მოპასუხე სახელმწიფოს მიხედვით.⁶⁹⁷

ამას გარდა, სააპელაციო მექანიზმის არსებობის განხილვისას საინტერესოა, თუ როგორ უნდა შენარჩუნდეს ბალანსი გადაწყვეტილების საბოლოობასა და საარბიტრაჟო პროცესის ლეგიტიმურობას შორის,⁶⁹⁸ რაც გავლენას ახდენს ნორმის განმარტებაზე. საერთაშორისო არბიტრაჟში არბიტრი თითქოს ზემოსამართლედ წარმოგვიდგება, რადგან მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება და თითქოს იგი მოქმედებს საერთაშორისო სამართალზე მალა.⁶⁹⁹

აგრეთვე, საყურადღებოა, აღნიშნული საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის ეფექტურ ფუნქციონირებას ხელს შეუშლის თუ არა.⁷⁰⁰ უნდა აღინიშნოს, რომ საინვესტიციო არბიტრაჟში გადაწყვეტილების ლეგიტიმურობას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე კომერციულ არბიტრაჟში. ამ უკანასკნელის მხარეები, როგორც წესი, არიან კერძო პირები, ხოლო უცხოური საინვესტიციო დავები მიმდინარეობს კერძო პირს და სახელმწიფოს შორის. ფულადი რესურსი პირდაპირ თუ

⁶⁹⁷ *Subedi P.S.*, International Investment Law, Reconciling Policy and Principle, 2nd Edition, Hart Publishing, Portland, 2012, 200.

⁶⁹⁸ *Karl J.*, An Appellate Body for International Investment Disputes: How Appealing is It, in: *Sauvant P.T.* (Editor-in-Chief), *Torres P. A.* (Managing Editor) Columbia FDI Perspectives on Topical Foreign Direct Investment Issues, No. 147, Columbia University, New York, 2015, 1-2, <<http://ccsi.columbia.edu/files/2013/10/No-147-Karl-FINAL.pdf>>, [14.02.2021].

⁶⁹⁹ *Schneider K.A.*, *Pfeisterer S.*, Features of Trade Law Adjudications and Their Impact on the Development of Legal Concepts and Precedents, in: *Jemielniak L.*, *Nielsen L.*, *Palmer Olsen H.* (Editors), Establishing Judicial Authority of International Economic Law, Cambridge University Press, Cambridge, 2016, 194.

⁷⁰⁰ *Appleto B.*, The Song is Over: Why It's Time to Stop Talking About an International Investment Arbitration Appellate Body, Proceedings of the 107th Annual Meeting, American Society of International Law, Washington D.C., 2013, 24.

არაპირდაპირ მიეკუთვნება საჯარო სფეროს, რადგან დაკისრებული გადასახადი იფარება სახელმწიფო სახსრებიდან. შესაბამისად, გადაწყვეტილება გავლენას ახდენს არამხოლოდ ორ კერძო პირზე, არამედ საჯარო სექტორზე უმეტესწილად.⁷⁰¹ შესაბამისად, სააპელაციო მექანიზმის გამოყენებისას, ნორმის განმარტების პროცესი უმაღლესი ხარისხის სტანდარტს მოითხოვს, რაც კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს განსახილველი მექანიზმისთვის.

როგორც ჩანს, სააპელაციო საარბიტრაჟო მექანიზმის დაფუძნების თვალსაზრისით უფრო წინააღმდეგობა არსებობს, ვიდრე მხარდაჭერა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ არბიტრაჟი ანაციონალურია, ყოველი საქმე განიხილება სხვადასხვა გამოსაყენებელი სამართლის შესაბამისად და ირღვევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპი. ამასთან, უნდა არსებობდეს მუდმივმოქმედი სააპელაციო ორგანო (სულ მცირე ფართო არეალის რეგიონალურ დონეზე), რომელიც განიხილავდა ნებისმიერ საინვესტიციო საარბიტრაჟო საჩივარს, და არა ფრაგმენტულად არსებული სააპელაციო მექანიზმები ინსტიტუციური არბიტრაჟის ფარგლებში ან *Ad hoc* სააპელაციო საარბიტრაჟო ტრიბუნალები, რათა მიღწეულ იქნას განმარტების ერთიანი სისტემა. აღნიშნულის განხორციელება კი პრაქტიკული თვალსაზრისით არაპერსპექტიულია სამართლებრივი სისტემის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. ამას გარდა, ნებისმიერი განმარტება დაკავშირებულია დიდ ფინანსურ რისკებთან იმ თვალსაზრისით, რომ განმარტების ფარგლებზეა დამოკიდებული, თუ რამდენი დაეკისრება ჯარიმა სახელმწიფოს, გადაწყვეტილების მის წინააღმდეგ გამოტანის შემთხვევაში. შესაბამისად, სააპელაციო მექანიზმის არსებობა კიდევ უფრო რისკის ქვეშ დააყენებს ნორმის განმარტების შედეგს. ამასთან, აღსანიშნია, რომ არბიტრაჟის ერთ-ერთი უპირატესობა, მხარეებმა აირჩიონ არბიტრები თავად, საიმედო საშუალებას წარმოადგენს იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული არაკვალიფიციური გადაწყვეტილებები და წინდახედულობით დაკომპლექტდეს არბიტრთა შემადგენლობა ხარისხიანი გადაწყვეტილების მისაღებად.

⁷⁰¹ *Cleis M.N.*, *The Independence and Impartiality of ICSID Arbitrators*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 8, Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2017, 214.

X. დასკვნა

უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისა და ინვესტორის უფლებების დამცავი მექანიზმების მოწესრიგება მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების შემოდინებისთვის. საერთაშორისო საინვესტიციო ურთიერთობების მომწესრიგებელ დოკუმენტს კი, უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება. აღნიშნულით დარეგულირებულია ის საინვესტიციო სტანდარტები, რომლებიც ვრცელდება მიმღებ სახელმწიფოსა და უცხოელი ინვესტორის მშობლიურ სახელმწიფოს შორის არსებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით.

უცხოური ინვესტიციების დაცვის ყველაზე ნათელი გამოხატულებაა უცხოური ინვესტორისთვის ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის მექანიზმის არსებობა, როგორც არბიტრაჟია. თანამედროვე ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებათა უმრავლესობა, მათ შორის საქართველოსი, ითვალისწინებს ნორმას დავის გადაწყვეტის შესახებ, რომლის მიხედვითაც უცხოელ ინვესტორს ენიჭება უფლებამოსილება პირდაპირ მიმართოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალს დავის განსახილველად მასპინძელი სახელმწიფოს წინააღმდეგ იმ ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელთაც ითვალისწინებს საინვესტიციო ხელშეკრულება.⁷⁰² შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო არბიტრაჟი უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის გადაწყვეტის ყველაზე ხელსაყრელი მექანიზმია. თუმცა, პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როდესაც საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმა ბუნდოვანია და საარბიტრაჟო ტრიბუნალი ნორმის ინტერპრეტატორად გვევლინება.

ამ დროს მთავარი სირთულე ბალანსის შენარჩუნებაა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს დისკრეციაში ზედმეტად ჩაურევლობასა და, მეორე მხრივ, უცხოელი ინვესტორის ინტერესების სამართლიან დაცვას შორის. აგრეთვე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არბიტრაჟის ანაციონალური ბუნებიდან გამომდინარე, არ არსებობს პრეცედენტულობა ან ნორმის განმარტების საყოველთაოდ

⁷⁰² *de Brabandere E.*, Investment Treaty Arbitration as Public International Law, Procedural Aspects and Implications, Cambridge University Press, 2014, 25-26.

ადიარებული სტანდარტები, რაც არბიტრაჟს არ მისცემდა ფართო დისკრეციის საშუალებას და გადაწყვეტილებათა თანმიმდევრულობის საფუძველი გახდებოდა.

უდავოა, რომ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები უნდა უზრუნველყოფდეს ინვესტორთა უფლებების დაცვას მაქსიმალურად.⁷⁰³ მასპინძელ სახელმწიფოსა და უცხოელ ინვესტორს შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად საინვესტიციო ხელშეკრულება შეიცავს უცხოელი ინვესტორისადმი მოპყრობის ვრცელ სტანდარტებს. მასპინძელ სახელმწიფოს მოეთხოვება მოეპყრას უცხოელ ინვესტორს აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, რომლებიც ქმნიან თანამედროვე საერთაშორისო ინვესტიციების დაცვის საფუძველს.

თუმცა, როგორც ნათელია, სტანდარტები უმრავლეს შემთხვევაში გაურკვეველი და ბუნდოვანია. პრინციპები იშვიათად არის განმარტებული საინვესტიციო ხელშეკრულებების ტექსტში, რაც დავის წარმოშობის შემთხვევაში საარბიტრაჟო ტრიბუნალის ხელთ რჩება.⁷⁰⁴ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით მოცემული დათქმა ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის საინვესტიციო არბიტრაჟით დავის გადაწყვეტის შესახებ, ინვესტორს ლეგიტიმურ მოლოდინს უქმნის, რომ მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მისი ინტერესები იქნება დაცული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბუნდოვანი პრინციპების სათანადოდ განმარტების მეშვეობით.⁷⁰⁵

საქართველოს ორმოცამდე ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. საქართველოს ხელშეკრულებები არ არის სრულყოფილად მოწესრიგებული. მაგალითად, საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში ფართოდ და არასრულყოფილად არის მოწესრიგებული ისეთი ნორმები, როგორცაა სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის

⁷⁰³ *Basener N.*, Investment Protection in the European Union (Considering EU law in Investment Arbitrations arising from intra-EU and extra-EU Bilateral Investment Agreements), Nomos, Baden-Baden, 2017, 54.

⁷⁰⁴ *Salacuse J.*, The Law of Investment Treaties, Oxford University Press, New York, 2010, 139.

⁷⁰⁵ *Marsahal M.*, Investor-State Dispute Settlement Reconceptualized: Regulation of Disputes, Standards and Mediation, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol. 17, No.1, Pepperdine University, Malibu, 2017, 244.

პრინციპი, ეროვნული მოპყრობის პრინციპი, უპირატესი ხელშეწყობის და ინვესტიციის სრული დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტი. ამასთან ხელშეკრულებებში, სადაც მოხსენიებულია არაპირდაპირი ექსპროპრიაცია, არ არის განმარტებული ამ უკანასკნელის განსაზღვრება, რისი ინტერპრეტაციაც დავის არსებობისას ტრიბუნალის მიერ უნდა განხორციელდეს. აგრეთვე, ორმხრივ საინვესტიციო ხელშეკრულებებში მოცემულია, რომ არბიტრაჟის მიერ დავა განხილვას ექვემდებარება ინვესტიციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დავასთან მიმართებით. იმის განმარტება კი, თუ დავასთან დაკავშირებული რომელი საკითხები (მაგალითად, საინვესტიციო ან კომერციული კონტრაქტიდან წარმოშობილი დავა ექვემდებარება თუ არა განხილვას) დაექვემდებაროს განხილვას ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების საფუძველზე, ტრიბუნალის ხელთ რჩება. ამას გარდა, ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ უმრავლესი ხელშეკრულებებით არ არის მოცემული გამოსაყენებელი ხელშეკრულება ვრცელდება თუ არა მის ამოქმედებამდე წარმოშობილ საინვესტიციო დავაზე. შესაბამისად, აღნიშნული კიდევ უფრო ზრდის უცხოელ ინვესტორსა და საქართველოს შორის საინვესტიციო საარბიტრაჟო პოტენციური დავების ოდენობას.

აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო უცხოური ინვესტიციებისთვის თანდათანობით უფრო მიმზიდველი ქვეყანა ხდება, შესაბამისად არსებობს იმის ალბათობა, რომ მრავალი საკითხი გახდეს დავის საგანი, რადგან საინვესტიციო ურთიერთობა კომპლექსურია და საინვესტიციო ურთიერთობისას მხარე გაუთვალისწინებელი შედეგებისგან არ არის გარანტირებული. აღნიშნული განპირობებულია ასევე იმით, რომ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო კანონმდებლობის დახვეწა და ჰარმონიზაცია კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად არის მიჩნეული და სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს.⁷⁰⁶ აღნიშნული მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მიმდები სახელმწიფო თავის სუვერენულ უფლებებს ახორციელებს არა მხოლოდ საერთაშორისო პრინციპების, არამედ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, საქართველოში არ

⁷⁰⁶ სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის, 2020, 25-26, <http://gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf>, [27.01.2021].

არსებობს საინვესტიციო რისკების დაზღვევა, რაც კიდევ უფრო ზრდის დაცვის სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით გადაწყვეტის აუცილებლობას.

უდავოა, რომ ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებების განმარტების თვალსაზრისით.⁷⁰⁷ როგორც ჩანს, ვენის კონვენციის განმარტებითი მუხლების მნიშვნელობას საკვანძო როლი უკავია ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების განმარტებისას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ იშვიათად მოიძებნება ისეთი საინვესტიციო ხელშეკრულება, სადაც ინვესტიციის დაცვის პრინციპები სრულყოფილად და დაწვრილებით არის რეგულირებული.

წინამდებარე თემის ფარგლებში განხილულია ყველა ის ძირითადი პრინციპი, რომელიც უცხოელი ინვესტორისა და მისი ინვესტიციების უფლებების დაცვასთან არის დაკავშირებული. საინვესტიციო სტანდარტების განმარტების მიმოხილვის ფარგლებში მრავალი საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიდგომის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ არსებობს პრინციპის ფართო და შეზღუდული ფარგლებით განმარტება, რაც არ არის ხელსაყრელი საბოლოო შედეგის თვალსაზრისით. ნორმის შეზღუდული ფარგლებით განმარტებამ შესაძლოა ინვესტორის ინტერესების სათანადოდ დაცვა უგულებელყოს, ხოლო ნორმის ფართოდ განმარტებისას - სახელმწიფოს ბრალეულობის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა ისეთი მასშტაბურობით, რა შედეგიც ნორმის სათანადოდ განმარტების შემთხვევაში არ დადგებოდა. კვლევის შედეგად, ნათელი გახდა, რომ აღნიშნული ნორმების ზომიერების ფარგლებში განმარტება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითად, სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის სტანდარტის განმარტება ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით და ზომიერი მიდგომის საფუძველზე, ხელსაყრელ საშუალებას წარმოადგენს სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. უცხოელი ინვესტორისადმი მოპყრობის შეფასება სულ მცირე მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. მთავარია, რომ ტრიბუნალმა მინიმალური მოთხოვნების მიღმა არ შეაფასოს სადავო ქმედებები და ამასთან გაითვალისწინოს ის საერთაშორისო სამართლის პრინციპებიც, რომლებიც მიემართება მხარეთა ურთიერთობას. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს

⁷⁰⁷ *Salacuse J.*, *The Law of Investment Treaties*, Oxford University Press, New York, 2010, 139.

ბალანსის შენარჩუნებას სახელმწიფოსა და ინვესტორის ინტერესების სათანადოდ დასაცავად.

აგრეთვე, საინვესტიციო ხელშეკრულებები შეიცავენ თვითრეგულირებად ნორმებს. მათი ფუნქციური მნიშვნელობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან პრინციპებს. სახელმწიფოებმა საინვესტიციო ხელშეკრულებების გაფორმებისას არ უნდა უგულებელყონ საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები. ამასთან, დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის უფლებებს საინვესტიციო ხელშეკრულების ნორმის განმარტებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი დოკუმენტები და საინვესტიციო ხელშეკრულებები ერთმანეთის დამოუკიდებლად მოქმედებენ, აღნიშნული არ გამორიცხავს იმას, რომ ერთი მეორეზე გავლენას ახდენდეს. იქიდან გამომდინარე, რომ საინვესტიციო უფლებათა სტანდარტები პირდაპირ კავშირშია ადამიანის უფლებებთან, შესაბამისად, გამორიცხულია ადამიანის უფლებათა უგულებელყოფა. თუმცა, განსახილველ შემთხვევაშიც არბიტრებზეა დამოკიდებული უზრუნველყონ ისეთი ბალანსის შენარჩუნება, რომლის თანახმად, არც ზედმეტად განხორციელდება ადამიანის უფლებათა დოკუმენტების გათვალისწინება და არც ასევე მათი უარყოფა. ამასთან, მნიშვნელოვანია, არბიტრაჟმა გაითვალისწინოს, საინვესტიციო ხელშეკრულების მხარეები არიან თუ გამოსაყენებელი ადამიანის უფლებათა მარეგულირებელი შეთანხმების ხელშემკვრელი სახელმწიფოები. აღნიშნული ყურადსაღებია, რათა არბიტრებმა არ გადააჭარბონ თავიანთი მოქმედების ფარგლებს და ნორმა არ განმარტონ იმ პრინციპების შესაბამისად, რასაც სახელმწიფოები ერთხმად არ აღიარებენ.

ამასთან, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, როგორც მოპასუხე საარბიტრაჟო დავისას, რომელიც წარმოგვიდგება მოდავე მხარის თანასწორად. მხარეთა თანაბარი საპროცესო უფლებებიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორუფლებიანობა საარბიტრაჟო დავისას. აღნიშნული მნიშვნელოვანია არამხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ მხარეთა საპროცესო უფლებები სათანადოდ იყოს დაცული, არამედ ასევე იმისთვის, რომ სახელმწიფომ, როგორც ძალაუფლების მატარებელმა, რომლის სამართლის შესაბამისად განხორციელდა ინვესტორისადმი მოპყრობა, ეს უკანასკნელი არ წარმოდგეს საარბიტრაჟო დავისას სუსტ პოზიციაში.

საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში მთავარ აქტორებს წარმოადგენენ სახელმწიფოები, თუმცა ეს არ ნიშნავს მათ მარგინალიზაციას საინვესტიციო არბიტრაჟში. აღსანიშნია, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ ექსკლუზიური უფლებამოსილება ხელშეკრულების ნორმების შესადგენად, რაც წარმოადგენს საფუძველს საინვესტიციო არბიტრაჟის პროცესის საწარმოებლად. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ნაციონალური სასამართლო. ამ შემთხვევაში სუვერენიტეტი გაზიარებულად წარმოგვიდგება სახელმწიფოსა და საარბიტრაჟო ტრიბუნალს შორის.

სახელმწიფოს როლი საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დავის წარმოებისას შემოდის ქმედითად მაშინ, როდესაც ხელშეკრულების მხარეები წარადგენენ ერთობლივ განცხადებებს ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით. ამასთან, ზოგიერთი საინვესტიციო ხელშეკრულების მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებს გააჩნიათ უფლებამოსილება განმარტონ ხელშეკრულების ნორმები ერთობლივი კონსულტაციების საფუძველზე. აღნიშნული უმეტესწილად დაკავშირებულია ინვესტიციის ან ინვესტორის ცნების, ინვესტორის ნაციონალობასთან, ან უცხოელი ინვესტორის მიმართ გამოსაყენებელი უფრო ხელსაყრელი ნორმის გავრცელებასთან.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებული კომისიების მიერ შემუშავებული განმარტებების სავალდებულოება დადგენილია საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის. უდავოა, რომ ტრიბუნალის უფლებამოსილება უნდა იქნას დაბალანსებული, მაგრამ აღნიშნული მიდგომა გამორიცხავს საარბიტრაჟო ტრიბუნალის უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებას. ეს გულისხმობს იმას, რომ არბიტრაჟი დავის გადაწყვეტის ფუნქციას ვერ შეასრულებს. ამ შემთხვევაში ტრიბუნალი წარმოჩინდება, როგორც გადაწყვეტილების ფორმალურად მიმღები ორგანო. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოების მიერ შესაძლოა დადგენილი იყოს არბიტრებისთვის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი განმარტებებიც. აღნიშნული მიდგომა არ უნდა იყოს გამართლებული, რადგან არბიტრს ერთმევა შესაძლებლობა გარემოებების ანალიზის საფუძველზე განმარტოს ნორმა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი მეთოდი ნორმის განმარტების პროცესში, არ არის განმარტებისთვის დადგენილი სავალდებულოდ გასათვალისწინებელი კრიტერიუმები და სტანდარტები. იმის გათვალისწინებით,

რომ ნორმის განმარტების პროცესი განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს და არბიტრების მოქმედება ყოველ შემთხვევაში სუბიექტურია, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ხელსაყრელი საშუალება იქნება, თუ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული იქნება განმარტების საშუალებები (მაგალითად, ე.წ. მოსამზადებელი სამუშაოების გათვალისწინება ნორმის განმარტებისას, საინვესტიციო სამართალში მოღვაწე გავლენიანი პირებისა და პრეკედენტის გათვალისწინება ერთი და იმავე სამართლებრივი სივრცის ფარგლებში არსებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, დავის არბიტრაჟში წარდგენამდე ხელშემკვრელი მხარეების მიერ ნორმის ერთობლივად განმარტების სავალდებულობა) და ფარგლები (მაგალითად, მხარეთა მიერ შესაძლოა განისაზღვროს მოპყრობის მინიმალური სტანდარტი, ლეგიტიმური მოლოდინი, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის პრინციპების გამოყენება). აღნიშნული შესანიშნავად დააბალანსებდა, როგორც საარბიტრაჟო ტრიბუნალის მოქმედების ფარგლებს, ისე სახელმწიფოთა როლს. ე.ი. სახელმწიფოს ჩართულობა (საარბიტრაჟო დავის მონაწილის) არ განხორციელდება დავის წარმოებისას (როგორც ეს ხორციელდება, მაგალითად, უშუალოდ ხელშეკრულების მხარეთა მიერ ერთობლივი განცხადებების წარდგენის გზით უშუალოდ ნორმის განმარტებისას). აღნიშნული დადებითი ასპექტი იქნება დავის ობიექტურად გადაწყვეტისთვის, რადგან უშუალოდ დავის გადაწყვეტისას ხელშეკრულების მხარეთა მიერ განმარტებების წარდგენამ შესაძლოა გამოიწვიოს ინვესტორის არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩენა. ამასთან, არსებობს იმის რისკი, რომ ხელშეკრულების მხარეების მიერ ნორმის განმარტება განხორციელდეს თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ, რაც შესაძლოა გაითვალისწინოს არბიტრაჟმა. საინვესტიციო საარბიტრაჟო დავისას გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას ინვესტორის ინტერესებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს სასარგებლო საშუალებას ნორმის განმარტების პროცესის სათანადოდ წარსამართად. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით განმარტებითი მეთოდები უფრო მოქნილ სისტემას წარმოადგენს აწ უკვე მოქმედი ხელშეკრულებისთვის გამოსაყენებლად, ვიდრე საინვესტიციო ნორმების ცვლილება.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ხელშეკრულებით წინასწარ არ იქნება დადგენილი განმარტების მეთოდები და ფარგლები, კიდევ ერთ რეკომენდაციად

შესაძლოა დასახელდეს, რომ უშუალოდ დავის არბიტრაჟით განხილვამდე დაწესებული კონსულტაციების წარმოებისთვის განსაზღვრული ვადის განმავლობაში განხორციელდეს სადავო ნორმის შინაარსის და ფარგლების დადგენა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ. მაგალითად, საქართველოს მიერ გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით განსაზღვრულია, რომ შეთანხმების ინტერპრეტაციასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით ხელშემკვრელ მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა შეძლებისდაგვარად გადაწყდება კონსულტაციების ან მოლაპარაკებების გზით. თუ სადავო საკითხის გადაწყვეტა ვერ ხერხდება ექვსი თვის განმავლობაში, იგი ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნისამებრ წარედგინება საარბიტრაჟო ტრიბუნალს. აღნიშნულ პროცესში ასევე სასურველია, რომ ჩაერთოს ინვესტორის სახელმწიფო და მიმღებ სახელმწიფოსთან ერთად სადავო საინვესტიციო სტანდარტთან დაკავშირებით შეიმუშაონ ნორმის განმარტების ფარგლები და დააკონკრეტონ მიზნები. აღნიშნული ხელს შეუწყობს, როგორც მოლაპარაკების პროცესის წარმართვას, ისე ამ უკანასკნელის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, საარბიტრაჟო დავისას მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მხარეთა ინტერესების დასაბალანსებალად, საარბიტრაჟო პროცესის მოქნილად წარსამართად და მომავალი პოტენციური დავების შემთხვევაში პრაქტიკის შესაქმნელად ნორმის განმარტების თაობაზე. ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ შემუშავებული პოზიცია ნორმის შინაარსთან დაკავშირებით ტრიბუნალისთვის სახელმძღვანელო საშუალება იქნება ნორმის განსამარტად. ამასთან, აღნიშნული ხელს შეუწყობს ტრიბუნალის მოქმედების არეალის გარკვეულ ფარგლებში მოქცევას და თავიდან იქნება არიდებული არაპროგნოზირებადი შედეგები განმარტების ფარგლებთან დაკავშირებით. აგრეთვე, უცხოელი ინვესტორის საპროცესო თანასწორუფლებიანობა იქნება დაცული, რადგან დავის მონაწილე სახელმწიფო უშუალოდ დავის განხილვისას არ წარმოგვიდგება ნორმის ინტერპრეტატორად. ამას გარდა, ხაზგასასმელია ის, რომ ხელშემკვრელ მხარეთა მიერ მიღებული განმარტებები არ უნდა იყოს სავალდებულოდ გასათვალისწინებელი ტრიბუნალისთვის, რადგან აღნიშნული გამოიწვევს ტრიბუნალის როლის დაკნინებას, როგორც დავის გადამწყვეტის კომპეტენციის მქონეს.

ზემოთ აღნიშნული ქმედებების განხორციელების აუცილებლობა აგრეთვე განპირობებულია იმით, რომ არბიტრთა სუბიექტურობის რისკს კიდევ უფრო ზრდის

პროცესის კონფიდენციალურობა. აღნიშნული გამოწვეულია იმ შეხედულებით, რომ კონფიდენციალურობა გამორიცხავს გამჭვირვალობას.⁷⁰⁸ შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ არბიტრები ობიექტური შეფასების კრიტერიუმებს ნაკლებ პრიორიტეტულად გამოიყენებენ. ამასთან, ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ არბიტრების დიდ ნაწილი წინასწარ უარყოფითად არის განწყობილი სახელმწიფოების მიმართ.⁷⁰⁹ აღნიშნული კი თავის მხრივ წარმოშობს არბიტრთა მიკერძოების რისკს და საფრთხის ქვეშ აყენებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების კანონიერებას, როგორც სამართლებრივი, ისე ფინანსური შედეგის თვალსაზრისით.

აგრეთვე, ნათელია, რომ კონფიდენციალურობა აფერხებს პრეცედენტის ჩამოყალიბებას, რაც შესაძლოა ყოფილიყო დამხმარე საშუალება ნორმის განმარტების თანმიმდევრული და ერთიანი მიდგომების განსავითარებლად. მაგრამ, სირთულეს წარმოშობს ის ფაქტი, რომ არბიტრაჟში არ არსებობს გადაწყვეტილებათა პრეცედენტულობა. მაგრამ, იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც გადაწყვეტილებები საჯაროა, არბიტრთა მიდგომების გაზიარება და შეძლებისდაგვარად თანმიმდევრული განმარტებების ჩამოყალიბება შესაძლებელია მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ორგანოების შემთხვევაში. შესაბამისად, არბიტრაჟის ანაციონალური ბუნებიდან გამომდინარე, სადაც უდავოდ რთულია და ალბათ შეუძლებელიც *Ad hoc* ტრიბუნალების მიერ დავის განხილვის შემთხვევაში პრეცედენტის ჩამოყალიბება, საინვესტიციო არბიტრაჟისა და მისი როლის დახვეწასა და ჩამოყალიბებაში საინვესტიციო ნორმის განმარტების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ინსტიტუციონალური საინვესტიციო არბიტრაჟი.

ამასთან, საინვესტიციო საარბიტრაჟო სააპელაციო ორგანოს არსებობა დადებითად არ შეიძლება იქნას შეფასებული, რადგან აღნიშნული უფრო მეტ ქაოსს გამოიწვევს და ამასთან დაირღვევა არბიტრაჟის მთავარი მახასიათებელი - საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპი.

⁷⁰⁸ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 142.

⁷⁰⁹ *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013, 142.

ამდენად, აგრეთვე, არბიტრთა კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება და მხარეთა ინტერესების მაქსიმალური დაბალანსება. ამ პროცესში ნორმის განმარტებისას არ უნდა იქნეს გადამეტებული დისკრეციული უფლებამოსილება რაც სახელმწიფოს კომპეტენციაში შეჭრამდე მიგვიყვანს. ამასთან, არ უნდა იქნას უფლებელყოფილი მხარეთა მიერ არბიტრთა არჩევის შესაძლებლობა ტრიბუნალის დასაკომპლექტებლად. აღნიშნული წარმოადგენს შესანიშნავ შესაძლებლობას მხარეებისთვის, რათა აირჩიონ პროფესიული ავტორიტეტის მქონე არბიტრი, რომლისგანაც მხარეებს ექნებათ ობიექტური მოლოდინი დავის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადასაწყვეტად. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასევე იმ თვალსაზრისით, რომ არბიტრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება ნორმის განმარტების შესახებ პირდაპირპროპორციულად ასახავს დაკისრებული თანხის ფულად ოდენობას.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოქროს შუალედი იქნება დაცული იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები წინასწარ განსაზღვრავენ არბიტრაჟის მიერ გამოსაყენებელ მიდგომებს დავის გადაწყვეტისას ნორმის განმარტების პროცესში ან დავის მოსაგვარებლად განსაზღვრულ საკონსულტაციო პერიოდში შეიმუშავენ განცხადებებს ნორმის შინაარსის ფარგლებთან დაკავშირებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არბიტრაჟს გააჩნდეს მოქნილობის შესაძლებლობა და არ იყოს მკაცრად შეზღუდული. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მხარეთა ობიექტურ და კეთილსინდისიერ და არბიტრთა სამართლიან მიდგომაზეა დამოკიდებული საბოლოო შედეგი. წინასწარ მეთოდების დადგენა გამორიცხავს სახელმწიფოს ზედმეტ ჩართულობას უშუალოდ განმარტების პროცესში, რაც გარანტი იქნება საარბიტრაჟო მხარეთა ინტერესების მაქსიმალურად დაბალანსებისთვის.

ამასთან, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საინვესტიციო არბიტრაჟის პოპულარობის ზრდასთან ერთად კიდევ უფრო გაიზრდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ოდენობა, რომლებიც ეხება ორმხრივი ან მრავალმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ერთსა და იმავე დაცვის სტანდარტებსა და საკითხებს, იგივე ან მსგავს დათქმებს. აღნიშნული კი თავისთავად კიდევ უფრო გაზრდის საინვესტიციო საარბიტრაჟო ტრიბუნალის წვლილს და მნიშვნელობას საინვესტიციო ხელშეკრულების ბუნდოვანი და არასრულყოფილი

ნორმის განმარტებაში. ასევე, ყურადსაღებია, რომ საქართველოს განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დიდი ოდენობით შემოდინება, რაც ზრდის იმის შანსებს, რომ საქართველოს მონაწილეობით საარბიტრაჟო დავების ოდენობა გაიზარდოს და შესაბამისად, საქართველოს მონაწილეობით გაფორმებული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ნორმების განმარტების საჭიროება. აღნიშნული კი თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის, როგორც სამართლებრივ, ისე პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასა და პერსპექტივებზე, რაც სახელმწიფოს მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ბიბლიოგრაფია:

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. *ინჯია ბ., ლაპიაშვილი ნ.*, არბიტრაჟის განმარტებითი ლექსიკონი, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, თბილისი, 2016;
2. *ტაკაშვილი ს.*, უცხოური ინვესტიციების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ და საერთაშორისო საინვესტიციო რეჟიმთან, იურისტების სამყარო, თბილისი, 2020;
3. *ცერცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010;
4. *ცერცვაძე გ.*, შესავალი საერთაშორისო საინვესტიციო სამართალში, მერიდიანი, თბილისი, 2013.

უცხოურენოვანი ლიტერატურა:

1. *Alford L.P.*, Ancillary Discovery to Prove Denial of Justice, Virginia Journal of International Law Digest, Vol. 53, No. 1, Virginia Journal of International Law Association, Charlottesville, 2012;
2. *Allen E.B., Soave T.*, Jurisdictional Overlap in WTO Dispute Settlement and Investment Arbitration, in: *Huerta-Goldman A.J., Romanetti A., Stirinmann X.F.* (Editors), WTO Litigation, Investment Arbitration and Commercial Arbitration, Global Trade Law Series, Vol. 43, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2013;
3. *Appleto B.*, The Song is Over: Why It's Time to Stop Talking about an International Investment Arbitration Appellate Body, Proceedings of the 107th Annual Meeting, American Society of International Law, Washington D.C., 2013;
4. *Balcerzak F.*, Investor – State Arbitration and Human Rights, International Studies in Human Rights, Vol. 119, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2017;

5. *Banifatemi Y., von Walter A.*, Commentary on the French Model BIT, in: *Brown Ch.* (Editor), Commentaries on Selected Model Investment Treaties, Oxford University Press, Oxford, 2013;
6. *Basener N.*, Investment Protection in the European Union (Considering EU Law in Investment Arbitrations Arising from Intra-EU and Extra-EU Bilateral Investment Agreements), Nomos, Baden-Baden, 2017;
7. *Belgibayeva A., Plekhanov A.*, Does Corruption Matter for Sources of Foreign Direct Investment? European Bank for Reconstruction and Development, Working Paper, No. 176, 2015;
8. *Belohlavek J.A.*, Rights of the Host States within the System of International Investment Protection, Czech Yearbook of International Law, Vol. 2, Juris Publishing, New York, 2011.;
9. *Bernasconi-Osterwalder N., Johnson L.*, Metaclad Corp. v. United Mexican States, International Investment Law and Sustainable Development, Key Cases from 2000-2010, International Institute for Sustainable Development, Winnipeg, 2010;
10. *Bernasconi-Osterwalder N., Mann H.*, CETA and Investment: What is It about and What Lies Beyond, in: *Moïse Mbengue M., Schacherer S.* (Editors), Foreign Investment under the Comprehensive and Economic Trade Agreement, Springer, Berlin, 2018;
11. *Bernasconi-Osterwalder N.*, State-State Dispute Settlement in Investment Treaties, IISD Best Practices Series, International Institute for Sustainable Development, Winnipeg, 2014;
12. *Bishop R.D., Crawford J., Reisman W.M.*, Foreign Investment Disputes – Cases, Materials and Commentary, Wolters Kluwer, Hague, 2014;
13. *Bjorklund K.A.*, Investment Treaty Arbitral Decisions as Jurisprudence Constante, in: *Picker B.C., Bunn D.I., Arner W.D.* (Editors), International Economic Law, Hart Publishing, London, 2008;
14. *Bjorklund K.A.*, NAFTA, in: *Brown Ch.* (Editor), Commentaries on Selected Model Investment Treaties, Oxford University Press, Oxford, 2013;
15. *Bottini G.*, Present and Future of ICSID Annulment: The Path to an Appellate Body, in: ICSID Review, Vol. 31, Issue 3, Oxford University Press, 2016;

16. *Brower H.Ch.*, Fair and Equitable Treatment under NAFTA's Investment Chapter, Proceedings of the Annual Meeting Journal American Society of International Law, Vol. 96, No. 4, Cambridge University Press, Cambridge, 2002;

17. *Brown Ch.*, Introduction: The Development and Importance of the Model Bilateral Investment Treaty, in: *Brown Ch.* (Editor), Commentaries on Selected Model Investment Treaties, Oxford University Press, Oxford, 2013;

18. *Bücheler G.*, Proportionality in Investor-State Arbitration, Oxford University Press, Oxford, 2012;

19. *Burke-White W., Staden von A.*, The Need for Public Law Standards of Review in Investor-State Arbitrations, in: *Schill W.S.* (Editor), International Investment Law and Comparative Public Law, Oxford University Press, New York, 2010;

20. *Caron D.D.*, The Interpretation of National Foreign Investment Law as Unilateral Acts under International Law, in: *Arsanjani H. M., Cogan Katz J., Sloane D.R., Wiessner S.* (Editors), Looking to the Future, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2011;

21. *Castro C., Nunes P.*, Does Corruption Inhibit Foreign Direct Investment? *Política/Revista de Ciencia Política*, Vol. 51, No. 1, University of Chile, Santiago, 2013;

22. *Chen C.R.*, Precedent and Dialogue in Investment Treaty Arbitration, *Harvard International Law Journal*, Vol. 60, No. 1, Harvard Law School, Cambridge, 2019;

23. *Clasmier M.*, Arbitral Awards as Investments – Treaty Interpretation and the Dynamics of International Investment Law, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2017;

24. *Cleis M.N.*, The Independence and Impartiality of ICSID Arbitrators, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 8, Brill Nijhoff, Leiden, Boston, 2017;

25. *Cole T.*, The Structure of Investment Arbitration, Routledge Tony & Francis Group, London, New York, 2013;

26. *Commission J., Moolo R.*, Procedural Issues in International Investment Arbitration, Oxford University Press, Oxford, 2018;

27. *Dautaj Y.*, Dissenting Opinions in Investment Treaty Arbitration: The Investment Court System, *University College Dublin Law Review*, Vol. 17, Inchicore, Dublin, 2018;

28. *de Brabandere E.*, Investment Treaty Arbitration as Public International Law, Procedural Aspects and Implications, Cambridge University Press, Cambridge, 2014;

29. *de Branbadere E., van Damme I.*, Good Faith in Treaty Interpretation, in: *Andrew A.D., Sornarajah M., Voon T.* (Editors), *Good faith and International Economic Law* Oxford University Press, Oxford, 2015;
30. *Diehl A.*, *The Core Standard of International Investment Protection, Fair and Equitable Treatment*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011;
31. *Dimopoulos A.*, *EU Foreign Investment Law*, Oxford University Press, Oxford, 2011;
32. *Dolzer R., Schreuer Ch.*, *Principles of International Investment Law*, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2012;
33. *Dolzer R., Schreuer Ch.*, *Principles of International Investment Law*, Oxford University Press, Oxford, 2008.;
34. *Donovan D.F.*, *Investment Treaty Arbitration*, in: *Bermann G.A., Mistelis L.A.* (Editors), *Mandatory Rules in International Arbitration*, Juris, New York, 2011;
35. *Douglas Z.*, *The MFN Clause in Investment Arbitration: Treaty Interpretation Off the Rails*, *Journal of International Dispute Settlement*, Vol. 2, No. 1, Oxford University Press, Oxford, 2011;
36. *El-Hosseny F.*, *Civil Society in Investment Treaty Arbitration*, Brill Nijhoff, Vol. 10, Leiden, Boston, 2018;
37. *Exelbert J.M.*, *Consistently Inconsistent: What is a Qualifying Investment under Article 25 of the ICSID Convention and why the Debate Must End*, *Fordham Law Review*, Vol. 85, Issue 3, Article 12, Fordham Law School, New York, 2016;
38. *Feighery J.T.*, *Investor-State Arbitration and Human Rights*, *Vanderbilt Journal of Entertainment and Technology Law*, Vol. 21, No. 1, Vanderbilt University, Nashville, 2018.
39. *Fitzmaurice M.*, *Dynamic (Evolutive) Interpretation of Treaties*, *Hague Yearbook of International Law*, Vol. 28, Brill Academic Publisher, Hague, 2009;
40. *Franck D.S., Wylie E.L.*, *Predicting Outcomes in Investment Treaty Arbitration*, *Duke Law Journal*, Vol. 65, Duke University School of Law, Durham, 2015;
41. *Friedman M., Floriane L.*, *Damages Principles in Investment Arbitration*, in: *Trenor A.J.* (Editor), *The Guide to Damages in International Arbitration*, *Global Arbitration Review*, Law Business Research, London, 2016;
42. *Galea I., Biris B.*, *National Treatment in International Trade and Investment Law*, *Acta Juridica Hungarica*, No. 2, Academia Kiado, Budapest, 2014;

43. *Gardner R.*, Treaty Interpretation, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2015.
44. *Gazzini T.*, Interpretation of International Investment Treaties, Hart Publishing, Oxford, Portland, Oregon, 2016;
45. *Gazzini T.*, States and Foreign Investment – A Law of the Treaty Perspectives, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), The Role of the State in Investor-State Arbitration, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015;
46. *Ghuri A.*, Interaction and Conflict of Treaties in Investment Arbitration, Walter Kluwers, Alphen aan den Rijn, 2015;
47. *Ginsburg T.*, Objections to Treaty Reservation – A Comparative Approach to Decentralized Interpretation, in: *Roberts A., Stephan B.P., Verdier P.H., Versteeg M.* (Editors), Comparative International Law, Oxford University Press, New York, 2018;
48. *Gomula J.*, The State as a Respondent in Central and Eastern European Investment Arbitration, International Community Law Review, Vol. 13, No. 1-2, Martinus Nijhoff Publisher, Leiden, 2011;
49. *Grabowski A.*, The Definition of Investment under the ICSID Convention: A Defence of Salini, Vol. 15, No. 1, Article 13, Chicago Journal of International Law, The University of Chicago, Chicago, 2014;
50. *Hai Yen T.*, The Interpretation of Investment Treaties, Vol. 7, Brill Nijhof, Leiden, Boston, 2014;
51. *Hecker Padilla C.A.*, Denial of Justice to Foreign Lawyers, Cuadernos de Derecho Transnacional, Vol. 3, No. 1, Carlos III University of Madrid, Madrid, 2011;
52. *Henckels C.*, Proportionality and Deference in Investor-State Arbitration, Balancing Investment Protection and Regulatory Autonomy, Cambridge University Press, Cambridge, 2015;
53. *Hepburn J.*, Domestic Law in International Investment Arbitration, Oxford University Press, Oxford, 2017;
54. *Hober K., Dahlquist Cullborg J.*, Investment Treaty Arbitration – Problems and Exercises, Edward Edgar Publishing, Cheltenham, Northampton, 2018;
55. *Hodgson M.*, Investment Protection and Public Regulation: The Critical Balancing Act of Investment Treaty Arbitration, in: *Laird I.A., Sabahi B., Sourgens F.G., Weiled T.J.* (Editors), Investment Treaty Arbitration and International Law, Vol. 6, JurisNet, New York, 2013;

56. *Hueckel J.*, Rebalancing Legitimacy and Sovereignty in International Investment Agreements, *Emory Law Journal*, Vol. 61, Issue 3, Emory University School of Law, Atlanta, 2012;

57. *Jungam N.*, The Full Protection and Security Standard in International Investment Law: What and Who is Investment Fully Protected and Secured from, *American University Business Law Review*, Vol. 7, No. 1, American University, Washington D.C., 2018;

58. *Kaufmann-Kohler G.*, Interpretation of Treaties: How Do Arbitral Tribunals Interpret Dispute Settlement Provisions Embodied in Investment Treaties? in: *Mistelis L., Lew J.* (Editors), *Pervasive Problems in International Arbitration*, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2006;

59. *Kryvoi Y.*, *International Center for Settlement of Investment Disputes*, Kluwer International, Alphen aan den Rijn, 2010;

60. *Kulick A.*, *Reassertion of Control over the Investment Treaty Regime*, Cambridge University Press, Cambridge, 2016;

61. *Legum B.*, Options to Establish an Appellate Mechanism for Investment Disputes, in: *Sauvant P.K.* (Editor), *Appeals Mechanism in International Investment Disputes*, Oxford University Press, New York, 2008;

62. *Levine E.*, Amicus Curiae in International Investment Arbitration: The Implications of an Increase in Third-Party Participation, *Berkeley Journal of International Law*, Vol. 29, Issue 1, Berkeley Law, Berkeley, 2011;

63. *Lowenfeld A.*, *International Economic Law*, Oxford University Press, Oxford, 2008;

64. *Malik M.*, The Full Protection and Security Standard Comes of Age, Yet Another Challenge for States in Investment Treaty Arbitration, *The International Institute for Sustainable Development*, Winnipeg, 2011;

65. *Markert L.*, The Crucial Question of Future Investment Treaties: Balancing Investor's Rights and Regulatory Interests of Host States, in: *Bungenberg M., Griebel J., Hindelang S.* (Editors), *European Yearbook of International Economic Law*, Springer, Berlin, Heidelberg, 2011;

66. *McLachan C., Shore L., Weiniger M.*, *International Investment Arbitration – Substantive Principles*, in: *Mistelis L.* (Series Editor), *Oxford International Arbitration Series*, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017;

67. *McLachan C., Shore L., Weiniger M.*, International Investment Arbitration – Substantive Principles, Mistelis L. (Series Editor), Oxford International Arbitration Series, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2007;
68. *Meckenstock A.C.*, Investment Protection and Human Rightst Regulation, Nomos, Baden-Baden, 2010;
69. *Medina C.*, The Role of International Tribunals: Law-Making or Creative Interpretation? in: *Shelton D.* (Editor), The Oxford Handbook of International Human Rights Law, Oxford University Press, Oxford, 2013;
70. *Mitchell D.A., Munro J.*, Someone Else’s Deal: Interpreting International Investment Agreements in the Light of Third-Party Agreements, The European Journal of International Law, Vol. 28, No. 3, Oxford University Press, Oxford, 2017;
71. *Murphy S.D.*, U.S. Interpretation of Core NAFTA Investment Standards, The American Journal of International Law, Vol. 95, No. 4, Cambridge Universiy Press, Cambridge, 2001;
72. *Nadakavukaren Schefer K.*, International Investment Law – Text, Cases and Materials, 2nd Edition, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2016;
73. *Newcombe A., Paradell L.*, Law and Practice of Investment Treaties, Kluwer Law International, Alpen van den Rijn, 2009;
74. *Noah T., Shereshevsky Y.*, Does Exposure to Preparatory Work Affect Treaty Interpretation? An Experimental Study on International Law Students and Experts, The European Journal of International Law, Vol. 28, No. 4, Oxford University Press, Oxford, 2018;
75. *Nowrot K.*, Termination and Recognition of International Investment Agreement, in: *Hindelang S., Krajewski M.* (Editors), Shifting Paradigms in International Investment Law, Oxford University Press, Oxford, 2016;
76. *Ohler Ch.*, Democratic Legitimacy and the Rule of Law in Investor-State Dispute Settlement under CETA, in: *Bungenberg M., Krajewski M., Tams Ch., Terhechte J.P., Ziegler R.A.* (Editors), European Yearbook of International Economic Law, Springer, Berlin, 2017;
77. *Omniunu O.*, The Evolving Role of Sub-National Actors in International Economic Actors in International Economic Relations: Lessons from the Canada-European Union CETA, in: *Antenbrik F., Prévost D., Wessel A. R.* (Editors), Netherlands Yearbook of International Law 2017 - Shifting Forms and Levels of Cooperation in International Economic Law:

Structural Developments in Trade, Investment and Financial Regulation, Vol. 48, Asser Press, Hague, 2018;

78. *Paparinakis M.*, Good Faith and Fair and Equitable Treatment in International Investment Law, Good faith and International Economic Law; in: *Mitchell A.D., Sornarajah M., Voon T.* (Editors), Good Faith and International Economic Law, Oxford University Press, Oxford, 2015;

79. *Parra R.A.*, The History of ICSID, 2nd Edition, Oxford University Press, Oxford, 2017;

80. *Perera Th., Demeter D.*, A Balancing Act: Retaining Investor-State Dispute Settlement Provisions in Investment Agreements and Balancing Stakeholder Interests, The Australian Yearbook of International Law, Vol. 31, Centre for International and Public Law, ANU College of Law, The Australian National University, Melbourne, 2013;

81. *Potestà M.*, Legitimate Expectations in Investment Treaty Law: Understanding the Roots and the Limits of a Controversial Concept, ICSID Review, Vol. 28, No. 1, Oxford University Press, Oxford, 2013, 98;

82. *Radi Y.*, Realizing Human Rights in Investment Treaty Arbitration: A Perspective from within the International Investment Law Toolbox, Vol. 37, No. 4, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, University of North Carolina School of Law, Chapel Hill, 2012;

83. *Ratz P.*, International and European Law Problems of Investment Arbitration Involving the EU, 1st Edition, Nomos, Baden-Baden, 2017;

84. *Ravi S.*, Does Corruption in a Country Affect the Foreign Direct Investment? A Study of Rising Economic Super Powers China and India, Open Journal of Social Sciences, Vol. 3, No. Scientific Research Publishing, Wuhan, 3, 2015;

85. *Regan H.D.*, Sources of International Trade Law – Understanding what the Vienna Convention Says about Identifying and Using “Sources for Treaty Interpretation”, in: *Besson S., d’Aspremont J., Knuchel S.* (Editors), The Oxford Handbook on the Sources of International Law, Oxford University Press, Oxford, 2017;

86. *Reiner C., Schreuer Ch.*, Human Rights and International Investment Arbitration, in: *Dupuy P.M., Francioni F., Petersmann E.U.* (Editors), *Jackson H.J.* (General Editor), Human Rights in Investment Law and Arbitration, The Oxford University Press, Oxford, 2010;

87. *Reinisch A.*, The Interpretation of International Investment Agreements, in: *Bungeberg M., Griebel J., Hobe S., Reinisch A.* (Editors), *International Investment Law*, C.H.Beck/Hart/Nomos, London, 2015;
88. *Roberth A.*, State-to-State Investment Treaty Arbitration: A Hybrid Theory of Interdependent Rights and Shared Interpretive Authority, *Harvard Law Journal*, Vol. 55, No. 1, The Harvard Law Review Association, Cambridge, 2014;
89. *Roberts A.*, The Power and Persuasion in Investment Treaty Interpretation: The Dual Role of States, *The American Journal of International Law*, Vol. 104, No. 2, Cambridge University Press, Cambridge, 2010;
90. *Rubino-Sammartano M.*, *International Arbitration Law and Practice*, 3rd Edition, JurisNet, New York, 2014;
91. *Rubins N., Kinsella S.*, *International Investment, Political Risk and Dispute Resolution, A Practitioner's Guide*, Oceana Publications - A Division of Oxford University Press, New York, 2005;
92. *Ruthemeyer Th.*, *Der Amicus Curiae Brief im Internationalen Investitionsrecht*, Nomos Verlagsgesellschaft, Köln, 2014;
93. *Sacco S., Fernández-Fonseca C.M.*, National Treatmen in Investment Arbitration, in: *Huerta-Goldman A.J., Romanetti A., Stirinmann X.F.* (Editors), *WTO Litigation, Investment Arbitration and Commercial Arbitration*, Global Trade Law Series, Vol. 43, Wolters Kluwer, Alphen aan den Rijn, 2013;
94. *Salacuse J.*, *The Law of Investment Treaties*, Oxford University Press, New York, 2010;
95. *Salacuse W.J.*, *The Law of Investment Treaties*, 2nd Edition, Oxford University Press, New York, 2015;
96. *Saravanan A., Subramanian S.R.*, The Participation of Amicus Curiae in Investment Treaty Arbitration, *Journal of Civil and Legal Sciences*, Vol. 5, Issue 4, OMICS International, San Francisco, 2016;
97. *Sasson M.*, *Substantive Law in Investment Treaty Arbitration – The Unsettled Relationship between International and Municipal Law*, 2nd Edition, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2017;

98. *Satagopan A.*, Conceptualizing a Framework of Institutionalized Appellate Arbitration in International Commercial Arbitration, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol. 18, No. 1, Pepperdine University Caruso School of Law, Malibu;

99. *Sattorova M.*, Denial of Justice Disguised? Investment Arbitration and the Protection of Foreign Investors from Judicial Misconduct, in: *Redgwell C., McCorquodale R., Evans M., Fawcett J., Giliker P., Gray Ch.* (Editors), *International and Comparative Law Quarterly*, Vol. 61, Issue 1, Bell and Bain, Glasgow, 2012;

100. *Scheiderman D.*, The Paranoid Style of Investment Lawyers and Arbitrators: Investment Law Norm Entrepreneurs and Their Critics, in: *Lim C.L.* (Editor), *Alternative Visions of the International Law on Foreign Investment*, Cambridge University Press, Cambridge, 2016;

101. *Schernbeck A.*, Der Fair and Equitable Treatment Standard in Internationalen Investitionsschutzabkommen, *Nomos Verlagsgesellschaft*, Baden-Baden, 2013;

102. *Schmalenbach K.*, Lawmaking by Treaty: Negotiation of Agreements and Adoption of Treaty Texts, in: *Brölmann C., Raddi Y.* (Editors), *Research Handbook on the Theory and Practice of International Lawmaking*, Edward Elgar Publishing, Cheltenham, 2016;

103. *Schmied M.*, Switzerland, in: *Brown Ch.* (Editor), *Commentaries on Selected Model Investment Treaties*, Oxford University Press, Oxford, 2013;

104. *Schneider K.A., Pfeisterer S.*, Features of Trade Law Adjudications and Their Impact on the Development of Legal Concepts and Precedents, in: *Jemielniak L., Nielsen L., Palmer Olsen H.* (Editors), *Establishing Judicial Authority of International Economic Law*, Cambridge University Press, Cambridge, 2016;

105. *Schreider E.M.*, The Role of the State in Investor-State Arbitration, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), *The Role of the State in Investor-State Arbitration*, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015;

106. *Schreuer Ch.*, Introduction: Interrelationship of Standards, in: *Reinisch A.* (Editor), *Standards of Investment Protection*, Oxford University Press, Oxford, 2008;

107. *Sharpe K.J.*, *Litigating International Investment Disputes*, Brill/Nijhoff, Leiden, 2014;

108. *Sipiorski E.*, *Good Faith in International Investment Arbitration*, Oxford University Press, Oxford, 2019;

109. *Sornarajah M.*, The International Law on Foreign Investment, Cambridge University Press, New York, 2017;
110. *Sourgens G.F.*, Value and Judgement in Investment Treaty Arbitration, Journal of Dispute Resolution, Vol. 2018, No. 1, University of Missouri School of Law, Columbia, Missouri, 2018;
111. *Strik Ph.*, Shaping the Single European Market in the Field of Foreign Direct Investment, Hurt Publishing, Oxford, Portland, 2014;
112. *Subedi P.S.*, International Investment Law, Reconciling Policy and Principle, Second Edition, Hart Publishing, Portland, 2012;
113. *Sureda A.R.*, Investment Treaty Arbitration – Judging under Uncertainty, Cambridge University Press, Cambridge, 2012;
114. *Tams J. Ch., Tiede Ch.* (Editors), Documents in International Economic Law – Trade, Investment, and Finance, Oxford University Press, Oxford, 2012;
115. *Tereposky G., Nielsen L.*, Coordinated Actions in International Economic Law as Illustrated by Investment Treaty Arbitration and World Trade Organization Disputes, in: *Jemielniak J., Nielsen L., Palmer Olsen H.* (Editors), Establishing Judicial Authority in International Economic Law, Cambridge University Press, Cambridge, 2016;
116. *Thaliath J.*, Bilateral Investment Treaties and Sovereignty: An Analysis with Respect to International Investment Law, Christ University Law Journal, Issue 5, No. 2, National Law University, Jodhpur, 2016;
117. *Thomas J.C.*, Reflections on Article 1105 of NAFTA: History, State Practice and the Influence of Commentators, ICSID Review: Foreign Investment Law Journal, Vol. 17, No. 1, Oxford University Press, Oxford, 2002;
118. *Tienhaara K.*, Once BITen, Twice Shy? – The Uncertain Future of “Shared Sovereignty” in Investment Treaty Arbitration, Policy and Society, Vol. 30, Issue 3, Routledge, London, 2011;
119. *Trujillo E.*, Balancing Sustainability, the Right to Regulate and the Need for Investor Protection: Lessons from Trade Regime, Boston College Law Review, Vol. 59, Issue 8, Boston College Law School, Boston, 2018;
120. *Tucker T.*, The Concept of the State in Investor-State Arbitration – A Social Science Perspective, in: *Lalani Sh., Polanco Lazo R.* (Editors), The Role of the State in Investor-State

Arbitration, Nijhoff International Investment Law Series, Vol. 3, Brill, Nijhoff, Leiden, Boston, 2015;

121. *Vadi V.*, Cultural Heritage in International Investment Law and Arbitration, Cambridge University Press, Cambridge, 2014;

122. *Vandeveldde J.K.*, Bilateral Investment Treaties (History, Policy, and Interpretation), Oxford University Press, New York, 2010;

123. *Venzke I.*, Sources in Interpretation Theories – The International Law-Making Process, in: *Besson S., d’Aspremont., Knuchel S.* (Editors), The Oxford Handbook on the Sources of International Law, Oxford University Press, Oxford, 2017;

124. *Villiger E.M.*, The Rules on Interpretation: Misgivings, Misunderstandings, Miscarriage? The Crucible Intended by the International Law Commission, in: *Cannizzaro E.* (Editor), The Law of Treaties Beyond the Vienna Convention, Oxford University Press, New York, 2011;

125. *von Walter A., Andrisani M.L.*, Resolution of Investment Disputes, in: *Moïse Mbengue M., Schacherer S.* (Editors), Foreign Investment under the Comprehensive and Economic Trade Agreement, Springer, Berlin, 2018;

126. *von Walter A.*, Investor-State Contracts in the Context of International Investment Law, in: *Bungeberg M., Griebel J., Hobe S., Reinisch A.* (Editors), International Investment Law, C.H.Beck/Hart/Nomos, Oxford, 2015;

127. *Walid B.H.*, The Mihaly and Sri Lanka Case: Some Thoughts Relating to the Status of Pre-Investment Expenditures, International Investment Law and Arbitration, Cameron May Ltd, London, 2005;

128. *Wandahl Mouyal L.*, International Investment Law and the Right to Regulate – A Human Rights Perspective, Routledge, New York, 2016;

129. *Wordsworth S.*, Some Thoughts on Applicable Law and Interpretation, in: *Rovine W. A.* (Editor), Contemporary Issues in International Arbitration and Mediation, The Fordham Papers 2012, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2013;

130. *Zarra G.*, Parallel Proceedings in Investment Arbitration, G. Giappichelli Torino, Eleven International Publishing, Torino, 2017;

131. *Zeitler H.E.*, Full Protection and Security, in: *Shill W.S.* (Editor), International Investment Law and Comparative Public Law, Oxford University Press, Oxford, 2010;

132. *Ziegler A., Asif Q.*, International Economic Law, Third Edition, Thomson Reuters, London, 2011.

ქართული კანონმდებლობა:

საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, მიღების თარიღი: 12/11/1996.

საერთაშორისო აქტები (ქართულ ენაზე):

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღების და ძალაში შესვლის თარიღი: 10/12/1948;

2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მიღების თარიღი: 04/11/1950, ძალაში შესვლის თარიღი: 03/09/1953;

3. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის, მიღების თარიღი: 01/09/2014, ძალაში სრულად შესვლის თარიღი: 01/08/2016;

3. ვენის კონვენცია ხელშეკრულებათა შესახებ, მიღების თარიღი: 23/05/1969, ძალაში შესვლის თარიღი: 27/01/1980;

4. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მიღების თარიღი: 16/12/1966, ძალაში შესვლის თარიღი: 23/03/1976;

5. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 15/05/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 26/07/1999;

6. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ, მიღების თარიღი: 19/06/1995, ძალაში შესვლის თარიღი: 18/02/1997;

7. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 08/03/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 10/03/1996;

8. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 09/11/1994, ძალაში შესვლის თარიღი: 03/08/1996;

9. შეთანხმება საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 18/10/2001, ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/2004;

10. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 28/11/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 25/02/1999;

11. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუმინეთის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 11/12/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 01/07/1998;

12. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 22/04/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 28/10/1997;

13. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს შორის ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 23/06/1993, ძალაში შესვლის თარიღი: 23/06/1993;

14. შეთანხმება საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ორმხრივი დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 29/08/2009, ძალაში შესვლის თარიღი: 13/03/2011;

15. შეთანხმება საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 24/11/2009, ძალაში შესვლის თარიღი: 21/11/2016

16. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ქუვეითის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 13/10/2009, ძალაში შესვლის თარიღი: 30/05/2013;

17. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და წახალისების შესახებ, მიღების თარიღი: 03/06/1993; ძალაში შესვლის თარიღი: 01/03/1995.

18. შეთანხმება საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 03/06/2014, ძალაში შესვლის თარიღი: 17/04/2015;

19. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 17/07/2017, ძალაში შესვლის თარიღი: 08/04/2018.

20. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 09/11/2005, ძალაში შესვლის თარიღი: 01/11/2006;

21. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 05/10/2005, ძალაში შესვლის თარიღი: 05/03/2006;

22. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 24/11/2006; ძალაში შესვლის თარიღი: 30/12/2007;

23. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 30/10/2008; ძალაში შესვლის თარიღი: 01/04/2001;

24. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 26/09/1995; ძალაში შესვლის თარიღი: 22/06/2005;

25. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 01/03/2017, ძალაში შესვლის თარიღი: 01/12/2017;

25. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 05/06/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 18/01/1999;

26. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 20/03/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 28/07/1995;

27. შეთანხმება ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 17/09/1996, ძალაში შესვლის თარიღი: 24/04/1998;

28. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ნიდერლანდების სამეფოს მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 03/02/1998, ძალაში შესვლის თარიღი: 01/04/1999;

29. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აშშ-ს მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 07/03/1994, ძალაში შესვლის თარიღი: 10/08/1999;

30. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ, მიღების თარიღი: 03/02/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 13/04/2000.

საერთაშორისო აქტები (უცხოურ ენაზე):

1. Agreement Between the Republic of the Philippines and the Swiss Confederation on the Promotion and Reciprocal Protection of Investments, მიღების თარიღი: 31/05/1997, ძალაში შესვლის თარიღი: 23/94/1999, <<https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements/treaty-files/2174/download>>;

2. Convention on the Recognition and Enforcement of Foreign Arbitral Awards, მიღების თარიღი: 10/06/1958, ძალაში შესვლის თარიღი: 07/07/1959, <https://newyorkconvention1958.org/index.php?lvl=cmspage&pageid=10&menu=866&opac_view=-1>;

3. Convention on the Settlement of the Settlement of Disputes between States and Nationals of Other States (ICSID Convention), მიღების თარიღი: 18/04/1965, ძალაში შესვლის თარიღი: 14/10/1966, <<https://icsid.worldbank.org/sites/default/files/ICSID%20Convention%20English.pdf>>;

4. Energy Charter Treaty, მიღების თარიღი: 17/12/1994, ძალაში შესვლის თარიღი: 16/04/1998, <http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2014_2019/documents/itre/dv/energy_charter/energy_charter_en.pdf>;
5. EU-Canada Comprehensive Economic and Free Trade Agreement, მიღების თარიღი: 30/10/2016, ნაწილობრივ ძალაში შესვლის თარიღი: 21/09/2017, <http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2014/september/tradoc_152806.pdf>;
6. ICSID Additional Facility Rules, მიღების თარიღი: 29/09/2002, ძალაში შესვლის თარიღი: 01/01/2003, <http://icsidfiles.worldbank.org/icsid/icsid/staticfiles/facility/AFR_English-final.pdf>;
7. North American Free Trade Agreement, მიღების თარიღი: 17/12/1992, ძალაში შესვლის თარიღი: 01/01/1994, <<https://www.italaw.com/sites/default/files/laws/italaw6187%286%29.pdf>>;
8. Statute of the International Court of Justice, მიღების თარიღი: 23/07/1963, ძალაში შესვლის თარიღი: 31/08/1965, <<https://www.icj-cij.org/en/statute>>;
9. Treaty Between the United States of America and the Republic of Ecuador Concerning the Encouragement and Reciprocal Protection of Investment, მიღების თარიღი: 27/08/1993, ძალაში შესვლის თარიღი: 11/05/1997, <<https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements/treaty-files/1065/download>>;
10. U.S. Model Bilateral Investment Treaty, მიღების თარიღი: 2012, <<https://ustr.gov/sites/default/files/BIT%20text%20for%20ACIEP%20Meeting.pdf>>;
11. UNCITRAL Arbitration Rules (Revised in 2010), მიღების თარიღი: 15/12/1976, გადამუშავებული ვერსიის ძალაში შესვლის თარიღი: 15/08/2010, <<https://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/arb-rules-revised/arb-rules-revised-2010-e.pdf>>;
12. UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration (with Amendments as Adopted in 2006), მიღების თარიღი: 21/06/1985, <https://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-arb/07-86998_Ebook.pdf>.
13. UNCITRAL Rules on Transparency in Treaty-based Investor-State Arbitration, მიღების თარიღი: 11/07/2013, ძალაში შესვლის თარიღი: 01/04/2014, <<https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/rules-on-transparency-e.pdf>>.

***Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალების გადაწყვეტილებები:**

1. *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 1987 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Amoco International Finance Corp. v. Iran, <<https://www.translex.org/231900/iran-us-claims-tribunal-amoco-int-l-finance-corp-v-iran-15-iran-us-ctr-at-189-et-seq/>>;
2. *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 1989 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Biloune v. Ghana, <<https://jsumundi.com/en/document/decision/en-biloune-and-marine-drive-complex-ltd-v-ghana-investments-centre-and-the-government-of-ghana-award-on-jurisdiction-and-liability-friday-27th-october-1989>>;
3. *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2001 წლის 10 აპრილის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საქმეზე Pope & Talbot Inc. v. The Government of Canada, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0678.pdf>>;
4. *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2005 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე Methanex Corporation v. United States of America, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0529.pdf>>;
5. *Ad hoc* საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Hesham T. M. Al Warraq v. Republic of Indonesia, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw4164.pdf>>;
6. NAFTA-ს საფუძველზე შექმნილი საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2004 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Gami Investments, Inc. v. The Government of the United Mexican States, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0353_0.pdf>.

მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ორგანოების გადაწყვეტილებები:

1. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2004 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე Enron Corporation and Ponderosa Assets, L.P. v. Argentine Republic, ICSID Case No. ARB/01/3, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0291.pdf>>;

2. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Siemens A.G. v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/02/8, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0790.pdf>>;

3. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე Aguas del Tunari, S.A. v. Republic of Bolivia, ICSID Case No. ARB/02/3, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw10957_0.pdf>;

4. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე Fraport AG Frankfurt Airport Services Worldwide v. The Republic of the Philippines, ICSID Case No. ARB/03/25, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0340.pdf>>;

5. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2003 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Técnicas Medioambientales Tecmed, S.A. v. The United Mexican States, Case No. ARB (AF)/00/2, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0854.pdf>> ;

6. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Merrill and Ring Forestry L.P. v. Canada, ICSID Case No. UNCT/07/1, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0504.pdf>>;

7. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2013 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე TECO Guatemala Holdings LLC v. Republic of Guatemala, ICSID Case No. ARB/10/23, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw3035.pdf>>;

8. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2008 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე Ioan Micula, Viorel Micula, S.C. European Food S.A, S.C. Starmill S.R.L. and S.C. Multipack S.R.L. v. Romania, ICSID Case No. ARB/05/20, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0530.pdf>>;

9. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2000 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Compañía de

Aguas del Aconquija S.A. and Vivendi Universal S.A. v. Argentine Republic, ICSID Case No. ARB/97/3, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0206.pdf>>;

10. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2016 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Total S.A. v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/04/01, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw7084.pdf>>;

11. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Gemplus SA, SLP SA, Gemplus Industrial SA de CV v. Mexico, ICSID Case No. ARB(AF)/04/3, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0357.pdf>>;

12. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2015 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Electrabel S.A. v. Republic of Hungary, ICSID Case No. ARB/07/19, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw4495.pdf>> .

13. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2006 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე, ICSID Case No. ARB/03/17, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0807.pdf>>;

14. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2009 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Corn Products International, Inc. v. United Mexican States, ICSID Case No. ARB (AF)/04/1, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0244.pdf>>;

15. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე United Parcel Service of America Inc. v. Government of Canada, ICSID Case No. UNCT/02/1, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0885.pdf>> ;

16. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 1990 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Asian Agricultural Products Ltd. v. Republic of Sri Lanka, ICSID Case No. ARB/87/3, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita1034.pdf>>;

17. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2009 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Pantechniki S.A. Contractors & Engineers (Greece) v. The Republic of Albania, ICSID Case No. ARB/07/21, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0618.pdf>>;

18. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე Compañía de Aguas del Aconquija S.A. and Vivendi Universal S.A. v. Argentine Republic, ICSID Case No. ARB/97/3, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0215.pdf>>;

19. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2003 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Loewen Group, Inc. and Raymond L. Loewen v. United States of America, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0470.pdf>>, ICSID Case No. ARB(AF)/98/3>;

20. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2009 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Glamis Gold, Ltd. v. The United States of America, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0378.pdf>>;

21. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2015 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე Dan Cake S.A. v. Hungary, ICSID Case No. ARB/12/9, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw4457.pdf>>;

22. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2008 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე Duke Energy Electroquil Partners & Electroquil S.A. v. Republic of Ecuador, ICSID Case No. ARB/04/19, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0256.pdf>>;

23. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2000 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე Metalclad Corporation v. The United Mexican States, ICSID Case No. ARB(AF)/97/1, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0510.pdf>>;

24. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2004 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე MTD Equity

Sdn. Bhd. and MTD Chile S.A. v. Republic of Chile, ICSID Case No. ARB/01/7, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0544.pdf>>;

25. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2004 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე SGS Société Générale de Surveillance S.A. v. Republic of the Philippines, ICSID Case No. ARB/02/6, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0782.pdf>>;

26. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2009 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Waguhi Elie George Siag and Clorinda Vecchi v. The Arab Republic of Egypt, ICSID Case No. ARB/02/6, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0786_0.pdf>;

27. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2006 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ADC Affiliate Limited and ADC & ADMC Management Limited v. The Republic of Hungary, ICSID Case No. ARB/03/16, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0006.pdf>>;

28. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2006 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Azurix Corp. v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/01/12. <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0061.pdf>>;

29. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე Impregilo S.p.A. v. Islamic Republic of Pakistan, ICSID Case No. ARB/03/3.. <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0422.pdf>>;

30. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Noble Ventures, Inc. v. Romania, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0565.pdf>>;

31. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2003 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე SGS Société Générale de Surveillance S.A. v. Islamic Republic of Pakistan,

ICSID Case No. ARB/01/13, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0779.pdf>>;

32. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 1998 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Fedax N.V. v. The Republic of Venezuela, ICSID Case No. ARB/96/3, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0316_0.pdf>;

33. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე CMS Gas Transmission Company v. The Republic of Argentina, ICSID Case No. ARB/01/8, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0184.pdf>>;

34. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2006 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება პირველადი პრეტენზიის შესახებ საქმეზე Pan American Energy LLC and BP Argentina Exploration Company v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/03/13, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0616.pdf>>.

35. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე El Paso Energy International Company v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/03/15, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0270.pdf>>;

36. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე El Paso Energy International Company v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/03/15, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0270.pdf>>;

37. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე Gas Natural SDG, S.A. v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/03/10, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0354.pdf>>;

38. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე Plama Consortium Limited v. Republic of Bulgaria, ICSID Case No. ARB/03/24, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0669.pdf>>;

39. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Enron Corporation and Ponderosa Assets, L.P. v. Argentine Republic, ICSID Case No. ARB/01/3, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0299.pdf>>;

40. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 1990 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Asian Agricultural Products Ltd. v. Republic of Sri Lanka, ICSID Case No. ARB/87/3, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita1034.pdf>>;

41. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2015 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Tulip Real Estate and Development Netherlands B.V. v. Republic of Turkey, ICSID Case No. ARB/11/28, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw7037.pdf>>;

42. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2012 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Tulip Real Estate and Development Netherlands B.V. v. Republic of Turkey, ICSID Case No. ARB/03/23, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita1069.pdf>>;

43. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2013 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Ioan Micula, Viorel Micula, S.C. European Food S.A, S.C. Starmill S.R.L. and S.C. Multipack S.R.L. v. Romania, ICSID Case No. ARB/05/20, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw3036.pdf>>;

44. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Urbaser S.A. and Consorcio de Aguas Bilbao Bizkaia, Bilbao Biskaia Ur Partzuergoa v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/07/26, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw8136_1.pdf>;

45. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Malaysian Historical Salvors, SDN, BHD v. The Government of Malaysia, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0496.pdf>>;

46. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Malaysian Historical Salvors, SDN, BHD v. The Government of Malaysia, ICSID Case No. ARB/05/10, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0496.pdf>>;

47. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 1992 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Amco Asia Corporation and others v. Republic of Indonesia, ICSID Case No. ARB/81/1, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw8887.pdf>>;

48. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Suez, Sociedad General de Aguas de Barcelona S.A., and InterAguas Servicios Integrales del Agua S.A. v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/03/17, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0813.pdf>>;

49. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2002 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Mondev International Ltd. v. United States of America, ICSID Case No. ARB(AF)/99/2, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita1076.pdf>>;

50. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე United Parcel Service of America Inc. v. Government of Canada, ICSID Case No. UNCT/02/1, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0885.pdf>>;

51. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე AES Corporation v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/02/17, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0011.pdf>>;

52. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Saipem S.p.A. v. The People's Republic of Bangladesh, ICSID Case No. ARB/05/07, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0734.pdf>>;

53. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Aguas del

Tunari, S.A. v. Republic of Bolivia, ICSID Case No. ARB/02/3, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0020_0.pdf>;

54. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე AES Summit Generation Limited and AES-Tisza Erömu Kft v. The Republic of Hungary, ICSID Case No. ARB/07/22, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0014_0.pdf>;

55. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2002 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Mihaly International Corporation v. Democratic Socialist Republic of Sri Lanka, ICSID Case No. ARB/00/2, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0532.pdf>>;

56. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2006 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Azurix Corp, v. The Argentine Republic, ICSID Case No. ARB/01/12, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0061.pdf>>;

57. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2001 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე Salini Constructions S.P.A. and Italstrade S.P.A. v. Kingdom of Marocco, ICSID Case No. ARB/00/4, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0738.pdf>>;

58. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2012 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Quiborax S.A., Non Metallic Minerals S.A. and Allan Fosk Kaplún v. Plurinational State of Bolivia, CSID Case No. ARB/06/2, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw1098.pdf>>;

59. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Malaysian Historical Salvors, SDN, BHD v. The Government of Malaysia, ICSID Case No. ARB/05/10, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0496.pdf>>;

60. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2001 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Autopista

Concesionada de Venezuela, C.A. v. Bolivarian Republic of Venezuela, CSID Case No. ARB/00/5, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw6352.pdf>>;

61. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2001 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება იურისდიქციის შესახებ საქმეზე Loewen Group, Inc. and Raymond L. Loewen v. United States of America, ICSID Case No. ARB(AF)/98/3, <<https://bit.ly/2UY2sKU>>;

62. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2007 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Malaysian Historical Salvors, SDN, BHD v. The Government of Malaysia, ICSID Case No. ARB/05/10, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0496.pdf>>;

63. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Ioannis Kardassopoulos and Ron Fuchs v. Georgia, ICSID Case No. ARB/05/18 and ARB/07/15, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0347.pdf>>;

64. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2012 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე EDF International, SAUR International and León Participaciones Argentinas v. Argentina, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita1069.pdf>>;

65. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2000 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Philippe Gruslin v. Malaysia, ICSID Case No. ARB/99/3, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0385.pdf>>;

66. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2003 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე SGS Société Générale de Surveillance S.A. v. Islamic Republic of Pakistan, ICSID Case No. ARB/01/13, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0779.pdf>>;

67. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2012 წლის 10 დეკემბრის ბრძანება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ საქმეზე Bidzina Ivanishvili v. Georgia, ICSID Case No. ARB/12/27, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw1185.pdf>>;

68. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2013 წლის წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Zhinvali Development Ltd. v. Republic of Georgia, 24/06/2013, ICSID Case No. ARB/00/1, <<https://jsumundi.com/en/document/decision/en-zhinvali-development-ltd-v-republic-of-georgia-award-friday-24th-january-2003>>;

69. ვაშინგტონის საერთაშორისო საინვესტიციო საარბიტრაჟო დავების განმხილველი ცენტრის 2009 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Itera International Energy LLC and Itera Group NV v. Georgia, ICSID Case No. ARB/08/7, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0437.pdf>>;

70. სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტის 2006 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Vladimir Berschader and Moïse Berschader v. The Russian Federation, SCC Case No. 080/2004, <https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0079_0.pdf>;

71. ჰააგის მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს 2006 წლის 17 მარტის ნაწილობრივი გადაწყვეტილება საქმეზე Saluka Investments B.V. v. The Czech Republic, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0740.pdf>>;

72. ჰააგის მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს 2013 წლის 17 სექტემბრის და 2018 წლის 30 აგვისტოს ნაწილობრივი გადაწყვეტილებები საქმეზე Chevron Corporation and Texaco Petroleum Corporation v. The Republic of Ecuador, PCA Case No. 2009-23, First Partial Award <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw1585.pdf>>, Second Partial Award <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw9934.pdf>>;

73. ჰააგის მუდმივმოქმედი სასამართლოს 2018 წლის 30 აგვისტოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება საქმეზე Chevron Corporation and Texaco Petroleum Corporation v. The Republic of Ecuador, UNCITRAL, PCA Case No. 2009-23, <<https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/italaw9934.pdf>>.

ელექტრონული მასალა:

http://arbitrationlaw.com/files/free_pdfs/titletoc15naf.pdf

http://digitalcommons.osgoode.yorku.ca/cgi/viewcontent.cgi?article=1135&context=public_writing

http://gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf

<http://www.oecd.org/investment/internationalinvestmentagreements/50291678.pdf>

http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/41118/EU-Georgia_2014_-_9

<http://www1.worldbank.org/publicsector/anticorrupt/feb06course/corruption%20Chp1.pdf>

<https://bit.ly/2MuUZOV>

<https://bit.ly/30HIg3C>

<https://bit.ly/367YlQI>

<https://bit.ly/3eHK0xe>

<https://icsid.worldbank.org/en/Pages/about/Member-States.aspx>

<https://icsid.worldbank.org/en/Pages/cases/AdvancedSearch.aspx>

[\[archive.worldbank.org/en/amendments/Documents/Rodriguez_Liliana_12.28.18.pdf\]\(archive.worldbank.org/en/amendments/Documents/Rodriguez_Liliana_12.28.18.pdf\)](https://icsid-</p></div><div data-bbox=)

<https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements>

<https://investmentpolicy.unctad.org/international-investment-agreements/countries/77/georgia>

<https://ir.lawnet.fordham.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2429&context=ilj>

https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3537598

[<cpa.org/en/cases/94/#:~:text=The%20dispute%20concerned%20the%20sovereignty,for%20more%20than%20200%20years>](https://pca-</p></div><div data-bbox=)

https://static1.squarespace.com/static/5574a2fae4b0083487121509/t/557c444de4b072849367b050/1434207309183/Scriptieprijs2010_NVER_Berends.pdf

https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2014/december/tradoc_152982.pdf

https://unctad.org/en/Docs/webdiaeia2011d10_en.pdf

https://unctad.org/system/files/official-document/edmmisc232add33_en.pdf

https://www.biiicl.org/files/3915_2004_mtd_v_chile.pdf

https://www.biicl.org/files/3937_1990_aapl_v_sri_lanka.pdf

<https://www.iisd.org/system/files/publications/stakes-are-high-review-financial-costs-investment-treaty-arbitration.pdf>

https://www.iisd.org/system/files/publications/trade_nafta_aug2001.pdf

https://www.italaw.com/sites/default/files/case-documents/ita0019_0.pdf

<https://www.mondaq.com/france/arbitration-dispute-resolution/821940/the-isds-mechanism-provided-for-under-the-ceta-is-compatible-with-eu-law>

<https://www.nortonrosefulbright.com/en-nl/knowledge/publications/9f197d24/ceta-is-in-effect-mostly-what-you-need-to-know>

https://www.oecd.org/daf/inv/investment-policy/WP-2006_3.pdf

<https://www.oecd-ilibrary.org/docserver/5jlr71rq1j30-en.pdf?expires=1613254562&id=id&accname=guest&checksum=F1810467975CCCE95F26E70C284C86E9>

<https://www.oecd-ilibrary.org/docserver/5js7rhd8sq7h-en.pdf?expires=1612811340&id=id&accname=guest&checksum=5639D7488F773925C527F6849FCCFC80>

https://www.osgf.ge/files/2016/Publications/DCFTA_GEO_WEB.pdf

https://www.research.manchester.ac.uk/portal/files/54553070/FULL_TEXT.PDF

[NEGOTIATIONShttps://docs.wto.org/gtd/WTOlegaltexts/Legal_texts_e.pdf](https://docs.wto.org/gtd/WTOlegaltexts/Legal_texts_e.pdf)

<https://www.international-arbitration-attorney.com/wp-content/uploads/137-volume-5.pdf>

https://935c5e62-e407-4ddc-a888-204e4f049dc1.filesusr.com/ugd/50061c_b24b0f2b90364a639da2d265ef34d22c.pdf

<https://openscience.ge/bitstream/1/1646/1/Kristine%20Janelidze%20Samagisro.pdf>

<http://ccsi.columbia.edu/files/2013/10/No-147-Karl-FINAL.pdf>

http://ccsi.columbia.edu/files/2014/04/State_control_over_treaty_interpretation_FINAL-April-5_2014.pdf

<http://isdsblog.com/2015/11/12/isds-case-summary-maffezini-v-spain/>

<http://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2016/03/01/denial-of-justice-as-a-basis-for-the-icsid-ruling-against-hungary>

<http://www.s2bnetwork.org/wcontent/uploads/2016/10/Analysis-of-Investment-part-FINAL-interpreative-declaration-CETA-11-oct-1.pdf>

[http://ccsi.columbia.edu/files/2019/06/Primer -International-Investment-Treaties-and-Investor-State-Dispute-Settlement.pdf](http://ccsi.columbia.edu/files/2019/06/Primer_International-Investment-Treaties-and-Investor-State-Dispute-Settlement.pdf)

<https://openscience.ge/bitstream/1/1003/1/samagistro%20goshkhetheliani.pdf>

https://gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/avtoreferatebi_2016/Soc-mecn_17.02.16/avtoreferati_g.vekua.pdf

<https://www.italaw.com/cases/4411>

<https://www.international-arbitration-attorney.com/wp-content/uploads/2019/05/Elettronica-Sicula-S.p.A.-ELSI.pdf>

http://www.worldcourts.com/pcij/eng/decisions/1929.07.12_payment1.htm